მის ჯეჰეზჰიბის

სახლი

ოჩვეოდო ძაკშვეძისთვის

ჰენსომ ჰიგზი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰენსომ ჰიგზი
მის ჯეჰეზჰიბის სახლი
ოჩვეოდო ბაკშვეძისთვის

მის ჰეხეგხინის

სახლი

უჩვეულო ძაუშვებისთვის

ხენსომ ხიგზი

წიგნები ბათუმში

ანრეკ სი�dილი, ალანრეკ ძილი,
სალეგნო ეკოლეგა,
სიყვანწილის სახლი ტეკილი,
ის, ვინრეკ ეკვეანსოლეგა.
ქალწილი თე ხეროიკალეკი,
ლანლი, ლხინი სიფვანთა –
ლონ სეკლილან ეანეიგალეკლის,
ყველა ვინეკ კი ეიყვანლა.*

ბალე ვილლი ეკეესი

* სალომე ბენიძის თარგმანი

ՅԱՌՈՒՄԱՅՆ

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ოგორც კი დავიჯერე, რომ ჩემი ყოფა სულაც არ იქნებოდა რაღაცით გამორჩეული, თავს უჩვეულო მოვლენათა ნიაღვარი დამატყდა. თავდაპირველად მომხდარმა შოკში ჩამაგდო და, როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, ჩემი ცხოვრება ორად გაიყო: ამ ამბამდე და მას შემდეგ. იმ უცნაურ მოვლენათა მსგავსად, რაც მომავალში მელოდა, ეს ამბავიც ბაბუაჩემს, აბრაამ პორტმანს უკავშირდებოდა.

ბავშვობაში ბაბუა პორტმანი ყველაზე ფანტასტიკურ და გასაოცარ პიროვნებად მიმაჩნდა. მისი ნაამბობიდან ვიცოდი, რომ ობოლთა თავშესაფარში გაზრდილსა და ნაომარს, ოკეანეები გემით გადაეცურა და, ცხენზე ამხედრებულს, უდაბნოები გადაელახა. საცირკო წარმოდგენებშიც მიეღო მონაწილეობა. იარაღზე, თავდაცვასა და უდაბურ ადგილებში თავის გატანის საშუალებებზე ყველაფერი იცოდა. ინგლისურის გარდა, სულ ცოტა, სამ ენაზე საუბრობდა. ბუნებრივია, ეს ყველაფერი უზომოდ მიმზიდველი გახლდათ ბავშვისთვის, რომელიც ფლორიდის საზღვრებს არ გასცდენოდა. ბაბუას ყოველ ნახვაზე ვემუდარებოდი, თავისი ისტორიები მოეყოლა და ისიც ამბებს ისეთი იდუმალი ტონით მიამბობდა, თითქოს მათი გამხელა მხოლოდ ჩემთვის შეეძლო.

ექვსი წლის ასაკში დავასკვენი, რომ თუ მსურდა, ისეთივე თავგადასავლებით სავსე ცხოვრება მქონოდა, როგორიც ბაბუა პორტმანს ჰქონდა, მოგზაური უნდა გამოვსულიყავი. ბა-

ბუა მხარში მედგა. ხშირად მთელი დღეები მსოფლიო რუკებს ვუკირკიტებდით და წარმოსახვითი მოგზაურობის მარშრუტს წითელთავიანი ჭიკარტებით მოვინიშნავდით ხოლმე, მერე კი ბაბუა იმ გასაოცარ ადგილებზე მიყვებოდა, მომავალში რომ უნდა აღმომეჩინა.

ოჯახს ჩემი გეგმების შესახებ საზეიმოდ ვამცნე და მომდევნო დღეებშიც წამდაუწუმ გავყვიროდი: „მიწა გამოჩნდა! მოემზადეთ გადასასხდომად!“ მშობლებმა რამდენჯერმე გარეთ მიმაბრძანეს. ალბათ, ეშინოდათ, რომ ბაბუა გამოუსწორებელ მეოცნებედ მაქცევდა და ამისგან ვერასდროს განვიკურნებოდი. მიაჩნდათ, რომ ეს ფანტაზიები პრაქტიკულ, რეალურ მიზნებს მაშორებდა. ამიტომაც ერთ დღეს დედაჩემმა დამსვა და ამიხსნა, რომ მოგზაური ვერ გავხდებოდი, რომ შეუფერებელ ეპოქაში დავიბადე და დედამიწაზე უკვე ყველაფერი აღმოეჩინათ.

თავი მოტყუებულად ვიგრძენი და მივხვდი, რომ ბაბუა პორტმანის დაუჯერებელი ისტორიები სიმართლეს არ შეესაბამებოდა. ბაბუა მიყვებოდა, რომ პოლონეთში დაბადებულიყო და 12 წლის ასაკში უელსში, ბავშვთა სახლში გაეგზავნათ. როდესაც მშობლებთან განშორების მიზეზს ვეკითხებოდი, ყოველთვის ერთსა და იმავეს მპასუხობდა, ჩემზე ურჩხულები ნადირობდნენ, რომლებითაც პოლონეთი სავსე იყოო...

– როგორი ურჩხულები? – ვეძიებოდი მე და თვალებგაფართოებული შევყურებდი.

– საშინელი, კუზიანი არსებები, ქერცლიანი კანითა და შავი თვალებით, – მპასუხობდა ბაბუა, – და აი, ასე დაიარებოდნენ! – ფეხების ფრატუნით გამომეკიდებოდა ხოლმე, მე კი სიცილით გავრბოდი. იმ ურჩხულებივით მოძრაობდა, ძველ ფილმებში რომ მენახა.

მათი აღწერისას, ყოველ ჯერზე, თითო საზარელ დეტალს მაინც უმატებდა: თითქოს გახრწნილი ლეშივით ყარდნენ, უჩინარნი იყვნენ და ადამიანი მხოლოდ მათ ჩრდილებს ხედავდა,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რომელთაც პირიდან საცეცები მოუჩანდათ; შეეძლოთ, საცეცები წამიერად შოლტივით მოექნიათ და კაცი თავიანთ განიერ ყბებში მოექციათ.

ამ ამბებმა ძილი დამიფრთხო. ჩემი მდიდარი წარმოსახვა სველ ტროტუარზე მიმავალი მანქანების ბორბლების ხმას ფანჯარასთან მიყუჟული ურჩხულის გამალებულ ხვნეშად აქცევდა, ხოლო ღამით დანახულ ჩრდილებს – მოშავო-მონაცრისფრო საცეცებად. ურჩხულების კი მეშინოდა, მაგრამ თან გულის ფანცქალით წარმოვიდგენდი მათთან მებრძოლ და გამარჯვებულ ბაბუას, რომელიც ცოცხალი გადარჩენილიყო, რათა მოგვიანებით მათ შესახებ ეამბა.

ყველაზე გასაოცრად მაინც უელსის ბავშვთა სახლის ამბები მეჩვენებოდა. ჯადოსნური ადგილი იყოო, ამბობდა ბაბუა. სწორედ ბავშვების ურჩხულებისგან დასაცავად შეიქმნა კუნძულზე, სადაც ყოველდღე მზე ანათებდა, ცუდად არავინ ხდებოდა და სიკვდილი არ არსებობდა. თურმე ყველა ერთად ცხოვრობდა საკმაოდ მოზრდილ სახლში, რომელსაც ბებერი, ბრძენი ფრინველი მფარველობდა.

ცოტა რომ წამოვიზარდე, ბაბუას მონათხრობმა დამაეჭვა.

– როგორი ფრინველი? – ვკითხე ერთ დღეს. მაშინ შვიდი წლისა ვიყავი. მაგიდასთან, ერთმანეთის პირისპირ ვისხედით და „მონოპოლიას“ ვთამაშობდით. ვიცოდი, რომ ბაბუა განზრახ მაგებინებდა.

– დიდი შევარდენი, რომელიც ჩიბუხს ეწეოდა, – მომიგო აუღელვებლად. მე კი გავბრაზდი.

– ბაბუ, ალბათ, ძალიან შტერი გგონივარ, ხომ ასეა?

ბაბუამ თავისი ყვითელი და ლურჯი სათამაშო ბანკნოტების შეთხელებული დასტა მოქექა.

– შენზე ასეთ რამეს არასდროს გავიფიქრებ, იაკობ, – თავი ასწია და თვალებში შემომხედა.

მივხვდი, რომ ვაწყენინე, რადგან ასეთ დროს ხმაში პოლონური აქცენტი გამოერეოდა ხოლმე. მახვილებს სიტყვის შუ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

აში სვამდა და დაახლოებით ასე წარმოთქვამდა: შენ'ზე, ან – ვიფიქ'რებდი.

თავი დამნაშავედ ვიგრძენი და გადავწყვიტე, კამათი შემეწყვიტა.

– ურჩხულები რას გერჩოდნენ? – ვკითხე ინტერესით.

– ჩვენ სხვა ადამიანებს არ ვგავდით, უცნაურები ვიყავით.

– მაინც როგორი უცნაურები?

– როგორ გითხრა, ყველა თავისებური იყო, – ბაბუამ მხრები აიჩეჩა, – მაგალითად, ერთ გოგონას ფრენა შეეძლო, ერთი ბიჭის სხეულში ფუტკრები ბუდობდნენ. კიდევ და-ძმა გვყავდა, რომლებიც დიდი ლოდების ხელში ატაცებას ახერხებდნენ.

ვერ მივხვდი, ამ ყველაფერს სერიოზულად ამბობდა თუ არა. ისე კი, ხუმრობა დიდად არ უყვარდა. შემატყო, რომ ეჭვები მღრღნიდა და სახე მოეღუშა.

– კი ბატონო, თუ სიტყვაზე არ მენდობი, სურათებით დაგიმტკიცებ!

ეზოს ასაკეცი სკამი უკან გააჩოჩა და სახლში შევიდა, მე კი მწერებისგან დამცავი ბადით შემოსაზღვრულ ვერანდაზე დავრჩი. ცოტა ხნის შემდეგ სიგარების ძველი ყუთით ხელში დაბრუნდა და იქიდან ოთხი დაკუჭული, შეყვითლებული ფოტო ამოაძვრინა.

პირველ სურათზე მხოლოდ ტანსაცმელი ჩანდა, თითქოს მისი პატრონი უთავო იყო.

– უთავო როგორაა! – გაეღიმა ბაბუას, – უბრალოდ, შენ ვერ ხედავ.

– რატომ, უჩინარია?

– ერთი ამას დამიხედეთ, როგორი გამჭრიახი ყოფილა! – წარბები ასწია ბაბუამ, – მილარდი ჰქვია. უცნაური ვინმე კი იყო. ზოგჯერ მეტყოდა, ეი, ეიბ, ვიცი, დღეს რაც მოიმოქმედეო და სულ დაწვრილებით მომიყვებოდა, სად წავედი, რა ვჭამე, ცხვირში თითი ხომ არ შევიყავი. ზოგჯერ, რომ ვერ შეგვემჩნია, უტანსაცმლოდ, გატრუნული თაგუნასავით უკან

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

აგვედევნებოდა და გვაკვირდებოდა! – ბაბუამ თავი გააქნია, – ეჰ, ასეთი ნიჭი ჰქონდა და დროს სისულელეებში კარგავდა!

ცოტა ხნით ჩაფიქრდა, მერე კი ჩემკენ ახალი სურათი გამოაცურა. მაცადა, დავკვირვებოდი და შემდეგ მკითხა:

– აბა, რას ხედავ?

– პატარა გოგონას.

– დაააა...

– გვირგვინს მის თავზე.

მაგიდაზე თითი დააკაკუნა და სურათის ქვედა ნაწილზე მიმითითა:

– ფეხებზე რას მეტყვი?

ფოტო ახლოდან შევათვალიერე. გოგონა ფეხებით მიწას არ ეხებოდა, მაგრამ არც დახტოდა – თითქოს ჰაერში ლივლივებდა. პირი დავაღე.

– დაფრინავს!

– არ დაფრინავს, – თქვა ბაბუამ, – უბრალოდ, ჰაერში დანარნარებს. ის საკუთარ შესაძლებლობებს ვერ ზომავდა და რომ არ გაფრენილიყო, ხანდახან თოკით ვაბამდით!

გოგონას მომაჯადოებელ სახეს, თოჯინისას რომ მიუგავდა, თვალს ვერ ვწყვეტდი.

– ნამდვილია?

– რა თქმა უნდა, ნამდვილია, – უკმეხად მომიგო ბაბუამ. მერე სურათი ამაცალა და წინ სხვა ფოტო დამიდო. ზედ გალეული ბიჭი იყო გამოსახული, რომელსაც ხელში უზარმაზარი ლოდი აეტაცებინა, – ვიქტორი და მისი დაიკო ჭკუით არ გამოირჩეოდნენ, მაგრამ ღონიერები ნამდვილად იყვნენ.

– არც ისე ღონიერი ჩანს, – ბიჭის წვრილ მკლავებს ვაკვირდებოდი.

– დამიჯერე, კარგა ჯანიანი იყო. ერთხელ მკლავჭიდში შევეჯიბრე და კინაღამ ხელი მომაგლიჯა!

ყველაზე უცნაურად მაინც ბოლო სურათი მომეჩვენა. ზედ ვიღაცის კეფა იყო გამოსახული, რომელზეც სახე მიეხატათ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მე ისევ ბოლო ფოტოსურათს დავცქეროდი, ბაბუა პორ-ტმანი კი მიხსნიდა:

– ორი პირი ჰქონდა, ხვდები? ერთი წინ და მეორე – უკან. ამიტომაც იყო ასეთი დიდი და მსუქანი!

– კი მაგრამ, ყალბი არ არის? – წამოვიძახე მე, –უბრალოდ სახე აქვს მიხატული.

– რა თქმა უნდა, სახე საღებავითაა შესრულებული – სა-ცირკო წარმოდგენისთვის მიახატეს, მაგრამ გეუბნები, ორი პირი ჰქონდა-მეთქი. არ გჯერა?

დავფიქრდი. ჯერ სურათს დავაკვირდი, შემდეგ სერიოზ-ული და გულწრფელი გამომეტყველებით მომზირალ ბაბუაჩ-ემს და მივუგე:

– მჯერა.

მართლა მჯეროდა, თანაც, რამდენიმე წლის განმავლობა-ში. ალბათ, უფრო იმიტომ, რომ ასე მსურდა. ჩემი ასაკის სხვა ბავშვებს ერჩიათ, სანტა კლაუსის არსებობა ერწმუნათ. ჩვენ ხომ თავგამოდებით ვებღაუჭებით ზღაპრებს, სანამ ამ რწმე-ნისთვის გადასახდელი საზღაური აუტანელი არ გახდება. ჩემთვის ეს იმ დღეს მოხდა, როცა მეორე კლასში, სადილობი-სას, რობი ჯენსენმა გოგონების წინაშე შემარცხვინა და გამო-აცხადა, რომ სულელური ფანტაზიების მჯეროდა. შეიძლება ამას ვიმსახურებდი კიდეც, რადგან სკოლაში ბაბუას ისტო-რიებს ვყვებოდი. თუმცა იმ რამდენიმე დამამცირებელ წამში ჩემი მომავალი დავინახე, როგორ შემარქმევდნენ „მეზღაპრე ბიჭს“ და ეს სახელი დიდხანს გამყვებოდა. ვიცოდი, ბაბუა არ იმსახურებდა, მაგრამ მის მიმართ სიძულვილი ვიგრძენი.

გაკვეთილების შემდეგ ბაბუა მაკითხავდა ხოლმე, რადგან მშობლები მუშაობდნენ. როცა იმ დღეს სკოლიდან გამოვე-დით, მისი ძველი „პონტიაკის“ წინა სავარძელზე ავძვერი და გამოვუცხადე, შენი ზღაპრების აღარ მჯერა-მეთქი.

– რა ზღაპრების? – გადმომხედა სათვალის ზემოდან.

– აი, იმ ამბების, ბავშვებსა და ურჩხულებზე რომ მიყვები ხოლმე.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დაბნეული ჩანდა.

– და ზღაპრები რა შუაშია?

ავუხსენი, მოგონილი ამბები და ზღაპრები ერთი და იგივეა, ზღაპრები კი ქვეშაფსია ბავშვებისთვისაა და ვიცი, შენი სურათები და ისტორიები ყალბია-მეთქი. მეგონა, გაბრაზდებოდა ან შემეკამათებოდა, მაგრამ უბრალოდ თქვა, კარგიო და მანქანა დაძრა. ეგ იყო და ეგ, ჩემთვის აღარაფერი მოუყოლია.

ალბათ, გრძნობდა, რომ ეს დღე ახლოვდებოდა, ზღაპრების ასაკიდან უნდა გამოვსულიყავი. თუმცა, ამბების თხრობა ისე მყისიერად შეწყვიტა, თავს მოტყუებულად ვგრძნობდი. ვერ გამეგო, რაში დასჭირდა ისტორიების შეთხზვა და რატომ უნდოდა, რომ დამეჯერებინა. რამდენიმე წლის შემდეგ მამამ გადაწყვიტა, ჩემთვის ყველაფერი აეხსნა. თურმე ბაბუას რამდენიმე ამბავი ბავშვობაში მისთვისაც მოუყოლია. მამაჩემის სიტყვებით, ეს ისტორიები ტყუილი კი არა, გაზვიადებული სიმართლე იყო. ბაბუა პორტმანის ბავშვობა ხომ ზღაპარზე მეტად საშინელებათა წიგნს ჰგავდა!

ბაბუაჩემი ოჯახის ერთადერთი წევრი იყო, რომელმაც მეორე მსოფლიო ომამდე პოლონეთიდან გაღწევა მოახერხა. 12 წლის ყოფილა, როდესაც მშობლებმა უმცროსი შვილი უცხო ადამიანებს ჩააბარეს და, ტანსაცმლით სავსე ჩემოდნის ამარა, ბრიტანეთისკენ მიმავალ მატარებელზე დასვეს. ბილეთი ერთი გზობისა იყო. დედ-მამა აღარასდროს უნახავს, არც უფროსი ძმები, არც ბიძაშვილები, მამიდები, დეიდები თუ ბიძები. თითოეული მათგანი, სანამ მას 16 შეუსრულდებოდა, იმ ურჩხულებმა იმსხვერპლეს, რომელთაგან ბაბუამ თავი ძლივს დაიძვრინა. 7 წლის ბავშვის გონება მათ საცეცებიან, ქერცლიან არსებებად წარმოიდგენდა, თუმცა სინამდვილეში ურჩხულები გახამებულ უნიფორმებში გამოწკეპილი, მწყობრში მოსიარულე ჯარისკაცები იყვნენ, რომელთაც ბაბუას მშობლიური მიწა-წყალი აეოხრებინათ.

ურჩხულების მსგავსად, მოჯადოებული კუნძულის ამბავიც გაზვიადებული სიმართლე აღმოჩნდა. ევროპაში დატრი-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ალებულ საშინელებებთან შედარებით, ბავშვთა სახლი, რომელმაც ბაბუა შეიფარა, სამოთხედ ჩანდა და ამიტომაც მას ბაბუაჩემის წარმოდგენაში სწორედ ასეთი ელფერი შეეძინა: უსაფრთხო ადგილი მზიანი დღეებით, მფარველი ანგელოზებითა და ჯადოქარი ბავშვებით, რომლებიც, სინამდვილეში, არც დაფრინავდნენ და არც უჩინრად ყოფნა თუ ლოდების ხელში ატაცება შეეძლოთ. უცნაურობა, რის გამოც მათ დევნიდნენ, მათი ებრაული წარმომავლობა გახლდათ. პატარა კუნძულზე გარიყული ომის შვილები იყვნენ, რომლებიც საოცარ ბავშვებად სასწაულებრივ უნარ-ჩვევებს კი არ ექციათ, არამედ იმას, რომ გეტოებისა და გაზის კამერებისთვის თავის დაღწევა მოეხერხებინათ.

ბაბუასთვის ამბების მოყოლა აღარ მითხოვია და, მგონი, ამის გამო გულის სიღრმეში შვებაც კი იგრძნო. ბაბუას ხომ ჯოჯოხეთი გამოევლო და უფლება ჰქონდა, ეს ყველაფერი საიდუმლოდ შეენახა. ძალიან მრცხვენოდა, რომ ოდესღაც მის მიერ განვლილი წლებისა მშურდა. შევეცადე, ჩემი უსაფრთხო და არაფრით გამორჩეული ცხოვრების მადლიერი ვყოფილიყავი.

თუმცა, გარკვეული ხნის შემდეგ, 15 წლის ასაკში, უჩვეულო და საზარელი ამბავი შემემთხვა და ჩემი ცხოვრებაც ორად გაიხლიჩა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თაკვი ჰიროკეკრი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სწორედ ამ ამბების წინ მთელი შუადღე ჰიგიენური საფენების ყუთებისგან „ემფაიერ სთეით ბილდინგის“ 1:10000-თან მასშტაბის მოდელის აგებას მოვანდომე. შესანიშნავი ნახელავი გამომივიდა, მეტრ-ნახევრამდე სიღრმის საძირკვლით. ფუძე დიდი ყუთებით შევაკოწიწე, ვერანდა – მსუბუქი კოლოფებით, ხოლო შენობის ზედა ნაწილად საცდელი საფენების ყუთები გამოვიყენე. თითქმის სრულყოფილი იყო, ერთ პატარა საბედისწერო დეტალს თუ არ ჩავთვლით.

– „ნევერლიკის“ საფენების კოლოფები გამოგიყენებია, – თქვა შელიმ და ჩემს ნახელავს ეჭვის თვალით შეხედა, – ფასდაკლება კი „სთეი-თაითის“ საფენებზეა, – შელი მაღაზიის მენეჯერი იყო. სულ ერთთავად ჩამოყრილი მხრებითა და მკაცრი გამომეტყველებით დაიარებოდა და გვაიძულებდა, ლურჯი მაისურები გვცმოდა.

– მეგონა, „ნევერლიკი“ მითხარი, – მივუგე მე, რადგან ნამდვილად ასე მითხრა.

– „სთეი-თაითი“, – გაიმეორა მან და თავი დანანებით გადაქნია. უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. შელი ხან მე მიყურებდა, ხან – კოშკს და თავს აქნევდა. არაფრის მთქმელი მზერა მივაპყარი, თითქოს ვერ გამეგო, რას ნიშნავდა მისი ეს პასიური, თუმცა აგრესიული მინიშნება.

– ااا, – ვთქვი ბოლოს, – ეს იმას ნიშნავს, რომ თავიდან უნდა ავაწყო?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ხომ ხვდები... უბრალოდ, „ნევერლიკის“ საფენები გამოგიყენებია, – მხრები აიჩეჩა.

– კარგი, საქმეს ახლავე შევუდგები, – მივუგე და კოშკის საძირკველს ერთი ყუთი გამოვაცალე. დიდებული ქმნილება მყისიერად ჩამოიშალა. საფენები იატაკზე მიმოიფანტა, კოლოფები კი შემცბარ კლიენტებს ფეხებში გაებლანდა. ორმა ყუთმა მექანიკურ კარამდეც კი მიაღწია. კარი გაიღო და მაღაზიაში აგვისტოს ხვატი შემოიჭრა.

შელის სახე მწიფე ბრონეულისფრად აელეწა. წესით, იმ წამსვე უნდა გავეთავისუფლებინე, მაგრამ ვიცოდი, ასე არ მოიქცეოდა. მთელი ზაფხულის განმავლობაში ვცდილობდი, „სმარტ ეიდიდან“ გამოვეგდე, მაგრამ ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელი აღმოჩნდა. მუდმივად ვაგვიანებდი და თავის გასამართლებლად სრულიად დაუჯერებელ მიზეზებს ვიგონებდი, ხურდის დაბრუნებისას შეცდომებს ვუშვებდი, პროდუქციას თაროებზე განზრახ არასწორად ვალაგებდი – ტანის ლოსიონებს საფაღარათო საშუალებებთან ერთად ვაწყობდი, ხოლო ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებს ბავშვის შამპუნების გვერდით. ასეთი მონდომებით იშვიათად გავრჯილვარ, მაგრამ, ჩემი არაკომპეტენტურობის გამუდმებული მტკიცების მიუხედავად, შელი სამსახურში ჯიუტად მტოვებდა.

„სმარტ ეიდში“ სამსახურის დაკარგვა *ჩემთვის* იყო შეუძლებელი, თორემ ნებისმიერ თანამშრომელს, ჩემსავით რომ მოქცეულიყო, იმ წუთასვე მიაბრძანებდნენ. ენგლვუდში, ზღვისპირა, უსიცოცხლო ქალაქში, სადაც მე ვცხოვრობ, 3 „სმარტ ეიდია“, სარასოტას ოლქში – 27, ხოლო მთლიანად ფლორიდაში 115. მოკლედ, მთელ შტატს უკურნებელი გამონაყარივითაა მოდებული. მე სამსახურიდან იმიტომ არ მაგდებდნენ, რომ მაღაზიათა ქსელი ჩემს ბიძებს ეკუთვნოდათ; ნებით კი ვერ წამოვიდოდი, რადგან, ოჯახური ტრადიციის მიხედვით, პირველი სამსახური აუცილებლად „სმარტ ეიდი“ უნდა ყოფილიყო. თვითგანადგურების მცდელობა იმით დას-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რულდა, რომ შელისთან წინასწარვე მარცხისთვის განწირულ პაექრობას ჩაუყარა საფუძველი, ხოლო თანამშრომლებს საშინლად შევაძულე თავი. კაცმა რომ თქვას, ისინი, ადრე თუ გვიან, მაინც შემიძულებდნენ, რადგან, რამდენი კონსტრუქციაც უნდა წამექცია და რამდენი მომხმარებელიც უნდა მომეტყუებინა ხურდის დაბრუნებისას, ამ კომპანიის საკმაოდ მოზრდილ წილს ერთ დღეს მემკვიდრეობით მაინც მე მივიღებდი.

* * *

შელიმ იატაკზე მიმობნეულ საფენებსა და ყუთებს შორის გზა გაიკვლია, მომიახლოვდა, მკერდზე თითი დამასო და, ის იყო, სასტიკად უნდა გავეჯორე, რომ მაღაზიაში დამონტაჟებული დინამიკებიდან ხმა გაისმა:

– ჯეიკობ, მეორე ხაზზე გირეკავენ. ჯეიკობ, ტელეფონთან, მეორე ხაზზე!

შელის ჩემთვის თვალი არ მოუშორებია, სანამ უკან-უკან ვიხევდი და სახეალეწილს კოშკის ნანგრევებში ვტოვებდი.

* * *

მაღაზიის ერთ მხარეს თანამშრომლებისთვის ნესტიანი, უფანჯრო ოთახი გამოეყოთ. იქ ლინდა, ფარმაცევტის ასისტენტი, დამხვდა. სენდვიჩს კიკნიდა. კედელზე მიჭედებულ ტელეფონზე მანიშნა და თქვა:

– ვინც უნდა გირეკავდეს, ჭკუაზე ვერ უნდა იყოს.

ხელი ჩამოკონწიალებულ ყურმილს დავავლე.

–იაკობ, შენ ხარ?

– გამარჯობა, ბაბუა, – ვთქვი, ცოტა არ იყოს, გაკვირვებულმა.

– იაკობ, მადლობა ღმერთს! ჩემი გასაღები მჭირდება. სად არის? – ძალიან აღელვებული ჩანდა და ძლივს სუნთქავდა.

– რომელი გასაღები?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ახლა თამაშის დრო არ არის, – გაბრაზდა უცებ, –იცი, რაზეც გელაპარაკები!

– ალბათ სადმე დადე და დაგავიწყდა.

– მამაშენი გეტყოდა. მითხარი და არაფერს ვეტყვი.

– არაფერი უთქვამს. დღეს დილით აბები დალიე? – ვცადე, თემა შემეცვალა, მაგრამ ბაბუამ არ მომისმინა.

– მეძებენ, გესმის? არ ვიცი, ამდენი წლის შემდეგ როგორ მომაგნეს, მაგრამ ფაქტია, რომ მიპოვეს. რით უნდა შევებრძოლო, დაწყევლილი ჯაყვით?

ასეთ რამეს მისგან პირველად არ ვისმენდი. ბაბუაჩემი ბერდებოდა, რაც მის გონებაზეც გარკვეულ კვალს ტოვებდა. თავდაპირველად ეს უმნიშვნელო დეტალებში გამოიხატებოდა: ხან სურსათის ყიდვა ავიწყდებოდა, ხან დედაჩემს მამიდაჩემის სახელით მიმართავდა, მაგრამ იმ ზაფხულს დემენციამ მკვეთრად იჩინა თავი. მის მიერვე გამოგონილი დაუჯერებელი ამბები ურჩხულებსა და მოჯადოებულ კუნძულზე, რომლებიც ომის დროს ეხებოდა, მისთვის სრულ, ნამდვილ რეალობად იქცა. ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში განსაკუთრებით აღგზნებული ჩანდა და ჩემმა მშობლებმა – იმის შიშით, თავს რამე უბედურება არ აუტეხოსო – მისი მოხუცთა თავშესაფარში მიბარების საკითხის განხილვა დაიწყეს. გაურკვეველი მიზეზით, მე ერთადერთი ადამიანი ვიყავი, ვისთანაც ბაბუა ავისმომასწავებელ სატელეფონო ზარებს უშვებდა.

როგორც ყოველთვის, მისი დამშვიდება ვცადე.

– საფრთხე არ გემუქრება. ყველაფერი რიგზეა. ვიდეოს წამოვიღებ, რომ მოგვიანებით ერთად ვუყუროთ, კარგი? ჰა, როგორი აზრია?

– არა! დაეტიე, სადაცა ხარ! აქ ყოფნა სახიფათოა!

– ბაბუ, ურჩხულები არ დაგდევენ. ომის დროს ყველა დახოცე. ნუთუ დაგავიწყდა?! – კედლისკენ შევტრიალდი, რომ ლინდას ჩემი ლაპარაკი არ გაეგო. მაგიდას მისჯდომოდა და

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დროდადრო ცნობისმოყვარე მზერას მტყორცნიდა, თან თავს იკატუნებდა, თითქოს მოდის ჟურნალს კითხულობდა.

– ყველა არ დამიხოცავს, არა. მართალია, ბევრი მოვკალი, მაგრამ სხვები გამოჩნდნენ! – მესმოდა, როგორ აბრახუნებდა რაღაც ნივთებს, უჯრებს აღებდა და აჯახუნებდა. სიგიჟის პირას იყო.

– აქაურობას არ გაეკარო, გესმის?! მე არაფერი დამიშავდება. იმათ ენა უნდა ამოვაჭრა და თვალები დავთხარო, მხოლოდ ესაა საჭირო! ოღონდ კი წყეული *გასაღები* მაპოვნინა!

აღნიშნული გასაღები ბაბუა პორტმანის ავტოფარეხის უზარმაზარ კარადას აღებდა. შიგ აურაცხელი, მთელი ბატალიონის სამყოფი თოფი და დანა ინახებოდა. ბაბუამ ნახევარი ცხოვრება მათ შეგროვებას შეალია – სხვადასხვა შტატში თოფების გამოფენებზე დასასწრებად მოგზაურობდა, სანადიროდ დიდი ხნით მიდიოდა; მზიანი კვირადღე რომ გამოერეოდა, ოჯახის წევრებს აიძულებდა, სროლა ესწავლათ და ტირის თოფით ავარჯიშებდა. თავისი იარაღი ისე უყვარდა, ხანდახან ძილშიც კი ვერ გააგდებინებდი ხელიდან. მამაჩემს, ამის დასტურად, ძველი ფოტოსურათიც კი შემოენახა – როგორ თვლემს ბაბუა პორტმანი იარაღით ხელში.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

როდესაც მამას ვკითხე, ბაბუა ასე რატომ გიჟდებოდა იარაღზე, მომიგო, ეს ზოგჯერ ძველ ჯარისკაცებს ან იმ ადამიანებს ემართებათ, ვინც ცხოვრებაში მძიმე ტრავმა გადაიტანაო. ბუნებრივია, იმ ყველაფრის მერე, რაც გადახდა, ბაბუა თავს უსაფრთხოდ ვეღარსად გრძნობდა. ახლა კი, მანიითა და პარანოიით შეპყრობილი კაცისთვის, სახლში მარტო ყოფნაც სახიფათო გამხდარიყო, რადგან იქ იარაღის მთელი კოლექცია ინახებოდა. სწორედ ამ მიზეზით, მამამ გასაღები გადამალა.

ისევ ვიცრუე. ვუთხარი, რომ აზრზე არ ვიყავი, სად იყო გასაღები. კვლავ ლანძღვისა და ბრახუნის ხმა მომესმა. ბაბუა სახლში ტლანქად დააბიჯებდა და გასაღებს ეძებდა.

– კარგი, – დანებდა ბოლოს, – თუ მამაშენისთვის ასეთი მნიშვნელოვანია, ჰქონდეს ეგ გასაღები. ჩემი გვამიც მისთვის მიმიბარებია!

ზრდილობიანად დავემშვიდობე და შემდეგ მამას დავურეკე.

– ბაბუა სულ გადაირია, – ვუთხარი მაშინვე.

– დღეს აბები დალია?

– არ მეუბნება, მაგრამ, მგონი, არა.

გავიგონე, მამამ როგორ ამოიოხრა.

– შეგიძლია, შეიარო და მიხედო? მე ჯერჯერობით სამსახურიდან ვერ გამოვალ.

მამაჩემი ფრინველების თავშესაფარში მოხალისედ მუშაობდა, სადაც მანქანის ქვეშ მოყოლილი თეთრი ყანჩებისა და კავგადაყლაპული ვარხვების მოვლა-პატრონობა ევალებოდა. მოყვარული ორნითოლოგი გახლდათ და ბუნების შესახებაც წერდა, თუმცა დახვავებულ ნაწერებს არასდროს აქვეყნებდა. ამ საქმიანობას კი სამსახურს მხოლოდ იმ შემთხვევაში უწოდებ, თუ იმ ქალზე ხარ დაქორწინებული, ვისი ოჯახიც 115 ფარმაცევტულ მაღაზიას ფლობს.

ცხადია, ნამდვილ სამსახურად ვერც ჩემს სამუშაოს ჩავთვლიდი. შემეძლო მაშინ წავსულიყავი, როცა მომესურვებოდა. ჰოდა მამას ვუთხარი, წავალ-მეთქი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– გმადლობ, ჯეიკ. გპირდები, რომ ბაბუას ამბავს მალე მოვაგვარებთ.

– გინდათ, მოხუცებულთა თავშესაფარში გაამწესოთ, არა?! – გავბრაზდი მე, – გინდათ, სხვის პრობლემად იქცეს!

– მე და დედას ჯერ არ გადაგვიწყვეტია.

– რა თქმა უნდა, უკვე გადაწყვეტილი გაქვთ.

– ჯეიკობ...

– მე მივხედავ, მამა. მართლა გეუბნები.

– შეიძლება ახლა მოახერხო, მაგრამ მომავალში მისი მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდება.

– ჰო, კარგი. როგორც შენ იტყვი.

გავუთიშე და ჩემ მეგობარ რიკის დავურეკე. წაყვანა ვთხოვე. 10 წუთის შემდეგ ავტოსადგომზე მისი ანტიკვარული „ქრაუნ ვიქტორიას“ სიგნალის ხმა გაისმა. წასვლამდე შელის ვაცნობე, რომ მის „სთეი თაითის“ საფენების კოშკს ხვალამდე მოუწევდა ლოდინი.

– სასწრაფო საქმე გამომიჩნდა. სახლიდან დამირეკეს, – ავუხსენი.

– ჰო, აბა რა! – მომიგო დამცინავად.

სიცხისგან დახუთულ ჰაერზე გამოვედი. რიკი თავის დანჯღრეულ მანქანას მიყუდებოდა და სიგარეტს აბოლებდა. მისმა ტალახიანმა ფეხსაცმელმა, პირიდან გამოშვებულმა კვამლის ბოლქვებმა და ჩამავალი მზით მკრთალად განათებულმა მწვანე თმამ ჯეიმზ დინი გამახსენა, ოღონდ, ეს უკანასკნელი ფერმერად რომ მოგვვლენოდა. რიკი იმ ადამიანთა კატეგორიას მიეკუთვნებოდა, რომელთაც მხოლოდ სამხრეთ ფლორიდაში შეიძლება შეხვდე.

დამინახა და მაშინვე ავტოსადგომის ბოლოდან დამიყვირა:

– რა ქენი, ბოლოს და ბოლოს, გამოაგდებინე თავი?

– ჩუ! – გამოვცერი და მისკენ გავიქეცი, – ჩემი გეგმის შესახებ არ იციან!

რიკიმ მეგობრულად დამკრა ხელი მხარზე.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ნუ იდარდებ, გამორჩეულო. ხვალინდელი დღე წინ გაქვს.

გამორჩეულს იმიტომ მეძახდა, რომ უჩვეულო ნიჭით დაჯილდოებული ბავშვებისთვის განკუთვნილ იმ რამდენიმე საგანს ვსწავლობდი, რომლებიც ჩვენს სკოლაში, ფაქტობრივად, განსაკუთრებულ საგნებად ითვლებოდა. რიკის კი ამ სახელწოდებაზე გულიანად ეცინებოდა. ასეთი იყო ჩვენი მეგობრობა – თანაბარწილად როგორც ერთმანეთის გამოჯავრებას, ისე ურთიერთდახმარებას ეფუძნებოდა. ჩემს ჭკუაგონებას მის ჯან-ღონეზე ვცვლიდი. მე ვეხმარებოდი, რომ ინგლისურში არ ჩაჭრილიყო, რიკი კი სკოლის დერეფნებში მოსიარულე სტეროიდებით გატენილი სოციოპათებისგან მიცავდა. თანაც, ის ფაქტი, რომ რიკთან ჩემი მშობლები თავს უხერხულად გრძნობდნენ, უკეთესიც იყო. რიკი, ალბათ, ჩემი გულითადი მეგობარი გახლდათ, რაც არც ისე გულისამაჩუყებლად ჟღერს, როგორც „ერთადერთი მეგობარი“.

რიკიმ მანქანის კარს წიხლი ჰკრა, რადგან სხვანაირად ვერ გააღებდა და მეც ჩავჯექი. ავტომობილი ნამდვილად სამუზეუმო ექსპონატს წარმოადგენდა. რიკის ის ქალაქის ნაგავსაყრელზე მხოლოდ ერთი, 25 ცენტიანებით სავსე ქილის საფასურად ეყიდა; ყოველ შემთხვევაში, თავად ასე ამბობდა. მანქანა ისე ყარდა, რომ სუნს სარკეზე ჩამოკიდებული ხის ფორმის ჰაერის არომატიზატორების მთელი ტყეც ვერ უშველიდა. სავარძლებისთვის საიზოლაციო ლენტი გადაეკრათ, რათა მოუსვენარი ზამბარები შემთხვევით უკანალში არ შეგრჭობოდათ. თუმცა ყველაზე შთამბეჭდავად ის მაინც გარედან გამოიყურებოდა. სულ დაკაწრული და დახაზული იყო, რადგან რიკის საწვავის ფულის გამომუშავების თავისებური გეგმა მოეფიქრებინა: წვეულებებზე მთვრალ ბიჭებს სთავაზობდა, ერთი დოლარის სანაცვლოდ მანქანისთვის გოლფის ჯოხი დაერტყათ. ერთადერთი წესი ის იყო, რომ მინებს არ უნდა შეხებოდნენ, მაგრამ ამ მითითებას დიდად არავინ დაგიდევდათ.

ავტოსადგომი დავტოვეთ და, სავაჭრო ცენტრის გავლით, ბაბუა პორტმანის სახლისკენ გავეშურეთ. მთელი გზა იმას

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვდარდობდი, ადგილზე რომ მივიდოდით, რა დაგვხვდებოდა. ყველაზე უარეს შემთხვევებს განვიხილავდი – გზაზე დედიშობილა მორბენალ ან ხელში სანადირო თოფით მდგარ ბაბუაჩემს. შეიძლებოდა, თავის ეზოში გვეხილა – დუჟმორეული ან ბლაგვსაგანმომარჯვებული. ყველაფერი შესაძლებელი იყო და ძალიან ვღელავდი იმის გამო, რომ რიკის იმთავითვე არასახარბიელო შთაბეჭდილება შეექმნებოდა იმ კაცზე, რომელზეც ასეთი მოწიწებით ვლაპარაკობდი.

როდესაც ბაბუაჩემის დასახლებაში შევუხვიეთ, ცაზე მეწამული ღრუბლები ირეოდა. ეს თავგზაამბნევი, ერთმანეთში გადახლართული ჩიხების ლაბირინთი „წრიული უბნის“ სახელით იყო ცნობილი. შესასვლელ ჭიშკართან შევჩერდით, რათა ჩვენი ვინაობა გვეუწყებინა, მაგრამ ჯიხურში მოხუც დარაჯს ტკბილად ეძინა, ჭიშკარი კი ღია იყო. გზა განვაგრძეთ. ჩემმა ტელეფონმა დაიწკარუნა. მამა მწერდა – აინტერესებდა, საქმე როგორ მიდიოდა. იმ რამდენიმე წამში, რაც პასუხის აკრეფაში დავხარჯე, რიკის გზა აერია. როდესაც ვუთხარი, რომ აზრზე არ ვიყავი, საით უნდა წავსულიყავით, შეიგინა და რამდენჯერმე მკვეთრად მოუხვია. თან ნაღეჭი თამბაქოს წვენს ფანჯრიდან აფურთხებდა. იქაურობას ვათვალიერებდი იმ იმედით, რომ ნაცნობ ადგილს შევნიშნავდი. ბაბუასთან უთვალავჯერ ვყოფილვარ, მაგრამ ეს მაინც ძალზე რთული აღმოჩნდა. ყველა სახლი ერთმანეთს ჰგავდა, საგზაო ნიშნები კი მზისგან იმდენად გადახუნებულ-გადათეთრებულიყო, რომ დიდად ვერაფერს გვშველიდა. ერთადერთი ნიშანსვეტი მდელოს უცნაური და ხასხასა ორნამენტები გახლდათ, რომლებიც „წრიულ უბანს“ ნამდვილ ღია ცის ქვეშ გამართულ მუზეუმად აქცევდა.

ბოლოს, როგორც იქნა, საფოსტო ყუთი ვიცანი, რომელიც ლითონის მსახურთუხუცესს ეჭირა ხელში. მსახურის გამართული ზურგისა და მედიდური გამომეტყველების მიუხედავად, დაჟანგული სახე ტირილის ასოციაციას იწვევდა. რიკის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვუყვირე, მარცხნივ შეეხვია. „ვიკის“ ბორბლები აჭრიალდა და უნებურად კარს მივეხეთქე. ამან, ეტყობა, ტვინში რაღაც გადამიტრიალა, რადგან ბაბუას სახლისკენ მიმავალი გზა უცებ თვალნათლივ წარმომიდგა.

– ფლამინგოებისკენ წადი! სახურავზე სანტა კლაუსები რომ შემომსხდარან, მანდ მარცხნივ ჩაუხვიე! ხოლო ქერუბიმები რომ ფსამენ, მაგ ქანდაკებისკენ პირდაპირ იარე!

ქერუბიმების ქანდაკებას რომ გავცდით, რიკიმ სვლა შეანელა და ბაბუაჩემის უბნის თვალიერება დაეჭვებული მზერით დაიწყო. გარე განათება გამოერთოთ, ფანჯრების უკან არც ტელევიზორების ციმციმი ჩანდა და არც მანქანები ავტოსადგომზე. როგორც ჩანს, ბაბუას ყველა მეზობელს, საშინელი სიცხისგან გასარიდებლად, ჩრდილოეთისთვის შეეფარებინა თავი. ეზოს დეკორატიული ჯუჯები ნებაზე მიშვებულ გაზონებში ძლივს მოჩანდნენ. დარაბები საგულდაგულოდ ჩაერაზათ, ამიტომ თითოეული სახლი ბომბსაფარს ჰგავდა.

– მარცხნივ, ბოლო სახლია, – ვთქვი მე. რიკიმ გაზის პედალს ფეხი დააჭირა და ჩვენც ხმაურით გავემართეთ ქუჩის ბოლოსკენ. მეოთხე თუ მეხუთე სახლს რომ გავუსწორდით, მოხუცი კაცი შევნიშნეთ, რომელიც ყვავილებს რწყავდა. კვერცხის ფორმის თავი ჰქონდა, გარეთ ხალათითა და ჩუსტებით გამოსულიყო და კოჭებამდე ბალახს წყალს ასხურებდა. მისი სახლიც ისეთივე წყვდიადს მოეცვა და ისევე იყო ჩარაზული, როგორც დანარჩენები. შევტრიალდი, რომ მისი სახე დამენახა. ელდა მეცა. თვალები რძესავით თეთრი აპკით დაფარვოდა, მაგრამ თითქოს ისიც მე მომშტერებოდა. „რა უცნაურია“, გავიფიქრე, „ბაბუა პორტმანს ბრმა მეზობელი საუბარში არასოდეს უხსენებია“.

ქუჩის ბოლოს ფიჭვები იდგა. რიკიმ ბაბუას სახლთან მარცხნივ მკვეთრად მოუხვია, ძრავა გამორთო, მანქანიდან გადმოხტა და ჩემს კარს წიხლი ჰკრა. გადმოვედი და სახლისკენ უხმოდ წავედით.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ზარი დავრეკე და დაველოდე. საიდანღაც ძაღლის ყეფა მოისმა – ნესტიანი საღამოს ეული გამოძახილი. არავინ მიპასუხა და კარზე დავაბრახუნე – მეგონა, ზარი მოიშალა. რიკიმ კოღოების ფარდასავით გარშემორტყმული ჯარის გაჟუჟვა დაიწყო.

– იქნებ გასულია, – გაეღიმა რიკის, – ალბათ პაემანზეა, ვინმე მაგარ ქალთან ერთად.

– მიდი, იცინე. ბაბუაჩემს სამაგისოდ ჩვენზე მეტი შანსი აქვს. აქ საკმაოდ ბევრი მარტოხელა ქვრივი ქალი ცხოვრობს, – ნერვების მოსათოკად ვიხუმრე. სიჩუმე ძალიან მაშფოთებდა.

ამჯერადაც არავინ გამომხმაურებია და ბუჩქებში გაკეთებული სამალავიდან გასაღები ამოვიღე.

– აქ დამელოდე, – ვუთხარი რიკის.

– ვითომ რატომ? არავითარ შემთხვევაში.

– იმიტომ, რომ შენი სიმაღლე მეტრი და 95 სანტიმეტრია და თმა მწვანედ გაქვს შეღებილი. ბაბუაჩემს კი ძალიან ბევრი იარაღი აქვს და აზრზე არაა, ვინ ხარ.

რიკიმ მხრები აიჩეჩა და თამბაქო გაღეჭა. მერე ეზოს სკამზე ჩამოჯდა და გაიზმორა. მე გასაღები საკეტს მოვარგე და სახლში შევაბიჯე.

ამ მკრთალ შუქზეც კი აშკარა იყო, რომ სახლში საშინელება ტრიალებდა. მძარცველთა მიერ გადაქოთებულს ჰგავდა: დივანი და სკამები გადმოყირავებული დამხვდა, თაროები და უჯრები – დაცარიელებული, მათში მოთავსებული ხარახურა და „რიდერს დაიჯესტის“ ნომრები კი იატაკზე მიმოფანტული.

გული მომიკვდა. ბაბუა პორტმანს ჭკუა საბოლოოდ დაეკარგა. დავუძახე, მაგრამ ხმა არ გამცა.

ოთახიდან ოთახში დავდიოდი, შუქს ვანთებდი და ყველგან ვიხედებოდი, სადაც შეიძლებოდა მანიით შეპყრობილი მოხუცი ურჩხულებს დამალვოდა: ავეჯის უკან, სხვენის კუთხეში, ავტოფარეხის სამუშაო დაზგის ქვეშ. ბაბუას იარაღების საცავიც შევამოწმე, თუმცა, რაღა თქმა უნდა, ჩაკეტილი დამხვდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სახელურს ნაკაწრები და ნაჭდეურები ეტყობოდა. ალბათ, ბაბუა გატეხვას ეცადა.

გარეთ, ვერანდაზე, მოურწყავი გვიმრის შეყავისფრებული ლიანები ნიავზე სახრჩობელასავით ირწეოდა. პალმის ტოტებს მივჩერებოდი და მოსალოდნელი უბედურებისგან გული მისკდებოდა.

უკანა ეზოში სუსტი ნათება შევნიშნე.

მწერებისგან დამცავი ბადის კარი გავაღე და გავიქეცი. ბალახში ფარანი ეგდო, რომლის შუქიც ეზოს ბოლოში ველურ ბუჩქნარს ეცემოდა. ჯაგნარი „წრიულ უბანსა“ და ახლოს მდებარე სამეზობლოს – „საუკუნის ტყეს“ შორის იყო მოქცეული. ადგილობრივთა რწმენით, ტყეში გველები, ენოტები და ტახები ბინადრობდნენ. ტყეში ხალათის ამარა დარჩენილი, გზააბნეული ბაბუაჩემი წარმოვიდგინე და გული შემეკუმშა. თვეში ერთხელ მაინც ტბაში ჩავარდნილ და ალიგატორების მიერ შეჭმულ ხანდაზმულ მოქალაქეებზე ახალ-ახალი ამბები მესმოდა, ამიტომ ყველაზე უარესი სცენარის წარმოდგენა არ გამჭირვებია.

რიკის ვუხმე და ისიც ჩემკენ თავქუდმოგლეჯილი გამოიქცა. მან მალევე შეამჩნია ის, რაც მე არ შემინიშნავს – მწერებისგან დამცავი ბადე ჩახეული იყო. ხმადაბლა დაუსტვინა.

– რამხელაზეა გაფხრეწილი. ამას მარტო ტახი თუ იზამდა, ან ფოცხვერი. ერთი მაგათი ბრჭყალები განახა.

სადღაც ახლოს გაშმაგებული ყეფა მოისმა. ორივე შევკრთით და ერთმანეთს შეშფოთებით მივაცქერდით.

– ან ძაღლი, – ვთქვი მე.

ხმაური სამეზობლოს დომინოს პრინციპით მოედო და მალე ყოველი კუთხიდან ყეფა მოისმა.

– შეიძლება, – თავი დამიქნია რიკიმ, – მანქანაში 22-კალიბრიანი უნდა მქონდეს. აქ დამელოდე, – თქვა და იარაღის მოსატანად წავიდა.

ყეფა თანდათან მიჩუმდა და მის მაგივრად მწერების გაბმული ბზუილი გაისმა. სახეზე ოფლი მდიოდა. უკვე დაღამე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბულიყო, მაგრამ ნიავი არ იძვროდა და ჰაერი კიდევ უფრო ადუღებული მეჩვენებოდა, ვიდრე დღისით.

ფარანი ავიღე და ხეებისკენ გავემართე. დარწმუნებული ვიყავი, ბაბუაჩემი სადღაც აქ იყო, მაგრამ – ზუსტად სად? წინ თითქოს უჩინარი ძალა მიმიძღვოდა. გულისცემა ამიჩქარდა, წებოვან ჰაერში ჩურჩულის ხმა მომესმა და ლოდინი ერთი წამითაც ვეღარ შევძელი. ჯაგნარისკენ მძიმე ნაბიჯით იმ მეძებარი ძაღლივით წავედი, უხილავი კვალის სუნი რომ აუღია.

ფლორიდის ტყეებში სირბილი ძნელია, რადგან ყოველი მტკაველი ხეებით ან პალმის ყლორტებითა და ერთმანეთში გადახლართული ლიანებითაა დაფარული, მაგრამ მე მაინც გავრბოდი. თან ბაბუას ვეძახდი და ფარანს აქეთ-იქით ვანათებდი. უცებ სიბნელეში რაღაცამ თეთრად გაიელვა და მისკენ გავემართე. წლების წინ დაკარგული ჩემი ჩაფუშული ფეხბურთის ბურთი აღმოჩნდა.

უკვე რიკისთან დაბრუნებას ვაპირებდი, რომ დაბალი პალმების ახლადგატკეპნილი ვიწრო დერეფანი შევამჩნიე. შევაბიჯე და ფანარი იქაურობას მივანათე – პალმის ფოთლები მუქი ფერის სითხის წვეთებით დაფარულიყო. ყელი გამიშრა. ჩემს თავს შემოვუძახე და ბილიკს გავუყევი. რაც უფრო ღრმად შევდიოდი, მით უფრო ვიძაბებოდი, თითქოს ჩემი სხეული მომავალს წინასწარ გრძნობდა და ჩემ გაფრთხილებას ლამობდა. ნაკვალევმა უფრო ფართო ადგილას გამიყვანა და მე ის დავინახე.

ბაბუა მიწაზე პირქვე იწვა, ფეხები გაეფარჩხა, გადაგრეხილი ხელი მუცელქვეშ მოყოლოდა, ისე, თითქოს სიმაღლიდან ჩამოვარდნილიყო. მკვდარი მეგონა. მაისური სისხლით მოსვროდა და შარვალი გახეოდა. ცალი ფეხსაცმელი დაკარგვოდა. რამდენიმე უსასრულო წამის განმავლობაში პირდაღებული მივჩერებოდი. ბოლოს ღრმად ჩავისუნთქე და მისი სახელი წარმოვთქვი. არ განძრეულა.

დავიხარე და ხელი ზურგზე დავადე. მაისურში გამოჟონილი სისხლი თბილი იყო. მისი სუსტი სუნთქვა ვიგრძენი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მკლავები ტანქვეშ შევუცურე და ზურგზე გადმოვაბრუნე. ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, მაგრამ დიდი დრო აღარ დარჩენოდა. უსიცოცხლო თვალები და გადაფითრებული სახე ჰქონდა. მუცელზე ღრმა ჭრილობები შევნიშნე და კინაღამ გული წამივიდა.

მიწა, სადაც იწვა, სისხლისგან ატალახებულიყო. ვცადე, მაისურის ნაფლეთები ჭრილობებზე დამეფარებინა.

რიკიმ უკანა ეზოდან დამიძახა:

– მოვედი!

ვიღრიალე. ალბათ კიდევ რამე უნდა დამეყვირა, მაგალითად, „აქ სახიფათოა“ ან „სისხლი“, მაგრამ სიტყვებს თავს ვერ ვუყრიდი. მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, რომ ბაბუები მყუდრო ოთახებში, სასთუმალს მისვენებულნი უნდა კვდებოდნენ, იმ სივრცეში, სადაც მხოლოდ სამედიცინო აპარატების გუგუნი ისმის და არა – ჯაგნარში, მიწაზე პირქვე დამხობილნი, ცალ ხელში კონვერტის გასახსნელი დანით, ტანზე ჭიანჭველები რომ აცოცდებიან და სისხლს წოვენ.

გასახსნელი. თავის დასაცავად ესღა ებადა. გასახსნელი თითებიდან ფრთხილად გამოვაცალე. ჰაერის ჩასუნთქვა სცადა, მე კი მისი მტევანი ავიღე და ჩავეჭიდე.

– უნდა წაგიყვანო, – ვუთხარი და ცალი ხელი ზურგქვეშ შევუცურე, ხოლო მეორე – ფეხებქვეშ. ოდნავ წამოვწიე, მაგრამ ბაბუამ ამოიკვნესა და გაქვავდა. გავჩერდი. ვერ ავიტანდი, მისთვის ტკივილი მიმეყენებინა, მაგრამ ვერც ასე დავტოვებდი. ლოდინის გარდა, აღარაფერი დამრჩენოდა. მკლავებიდან, სახიდან და შეთხელებული თეთრი თმიდან მიწა გადავუფერთხე. სწორედ ამ დროს შევნიშნე მისი ტუჩების მოძრაობა.

ძლივს ლაპარაკობდა. დავიხარე და ყური ტუჩებთან მივუტანე. ხან პოლონურად ბუტბუტებდა, ხანაც – ინგლისურად, მაგრამ სრულიად გაუგებრად.

– არ მესმის, – წავიჩურჩულე. მის სახელს ვიმეორებდი, სანამ მზერა ჩემზე არ შეაჩერა. შემდეგ ღრმად ამოისუნთქა და ჩურჩულით, მაგრამ გასაგებად წარმოთქვა:

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– კუნძულზე წადი, იაკობ. აქ ყოფნა სახიფათოა.

ხელი მოვუჭირე და მტკიცება დავუწყე, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა. მერე ვთხოვე, აეხსნა, რა მოხდა, რა დაემართა, რომელმა ცხოველმა დაგლიჯა, მაგრამ არ მისმენდა.

– კუნძულზე წადი, – გაიმეორა, – იქ უსაფრთხოდ იქნები. დამპირდი, რომ წახვალ.

– წავალ. გპირდები, – სხვა რა უნდა მეთქვა?!

– მეგონა, შენ დაცვას შევძლებდი, – წაილუღლუღა ბაბუამ, – ეს შენთვის დიდი ხნის წინ უნდა გამემხილა... – ვხედავდი, როგორ კვდებოდა.

– რა უნდა გაგემხილა? – ცრემლები მახრჩობდა.

– ახლა მაგის დრო არ არის, – თავი წამოსწია, ერთიანად აკანკალდა და ყურში ჩამჩურჩულა:

– ჩიტი იპოვე... მარყუჟში... მოხუცის საფლავის გადაღმა. 1940 წლის 3 სექტემბერი, – თავი დავუქნიე, მაგრამ მიხვდა, რომ ვერაფერი გავიგე. შერჩენილი ძალები მოიკრიბა და დასძინა:

– ემერსონი... წერილი... იაკობ, მოუყევი, რაც მოხდა.

ამის თქმა იყო და ძალაგამოცლილი ძირს დაეშვა. ვუთხარი, რომ ძალიან მიყვარდა. მერე თითქოს გაუჩინარება დაიწყო. მისი მზერა ჩემს სახეს მოშორდა და ჩემ უკან, ვარსკვლავებით მოჭედილ ცას მიაშტერდა.

რამდენიმე წამში ბუჩქნარიდან რიკი გამოვარდა. ჩემს ხელში მომაკვდავი მოხუცის სხეული დაინახა და უკან დაიხია.

– ოო, ღმერთო, ოო, ღმერთო! – შესძახა. სანამ პულსის გასინჯვასა და პოლიციაში დარეკვაზე ლაპარაკობდა და მეკითხებოდა, რამე ცხოველი ხომ არ დამინახავს, უჩვეულო შეგრძნება დამეუფლა. ბაბუას ხელი გავუშვი და წამოვიმართე. ტყეში რაღაც იმალებოდა და ამას მთელი სხეულით ვგრძნობდი.

მთვარე არ ჩანდა, არც ბუჩქები შერხეულა, მაგრამ ვიგრძენი, ფარანი საით უნდა მიმენათებინა. ამ შეზღუდული

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სინათლის ფონზე, სულ ერთი წამით, თვალი მოვკარი სახეს, რომელიც თითქოს პირდაპირ ჩემი ბავშვობის კოშმარებიდან გადმოსულიყო. მის ელვარე თვალებს მივაშტერდი, კანის კუპრივით შავ, დანაოჭებულ ღარებს, მის საზიზღრად დაღებულ პირს, საიდანაც საზარლად გადმოეგდო უზარმაზარი ენა. ვიღრიალე. არსება კი გაიკლაკნა და გაქრა. ფოთლების შრიალმა რიკის ყურადღება მიიპყრო. მან თავისი 22-კალიბრიანი აღმართა და სამჯერ გაისროლა.

– ეს რა იყო? ეს რა ჯანდაბა იყო?! – ყვიროდა რიკი, თუმცა არსება მას არ დაუნახავს. ხმას ვერ ვიღებდი. გაქვავებული ვიჯექი და ოდნავ მბჟუტავი ფარანი ტყისკენ მიმეშვირა. მერე ალბათ გული წამივიდა, რადგან რიკის ძახილი თითქოს შორიდან ჩამესმა.

– ჯეიკობ, ჯეიკ, კარგად ხარ?!

მეტი აღარაფერი მახსოვს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თაკვი ვეფრაე

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბაბუას გარდაცვალებიდან მოყოლებული, დღეებს კრემისფერ მოსაცდელ ოთახებსა და კაბინეტებში ვატარებდი. ჩემგან მოშორებით მსხდარნი გამუდმებით შეკითხვებს მისვამდნენ, ჩემს ნათქვამს აანალიზებდნენ, ერთსა და იმავეს მამეორებინებდნენ, თავს მიქნევდნენ, აზიდული წარბებითა და სიბრალულით განმსჭვალული მზერით მიცქერდნენ. ჩემი მშობლები საგვარეულო ნივთივით მეპყრობოდნენ – ეშინოდათ, არ დავმტვრეულიყავი. ჩემი თანდასწრებით კამათსა და ჩხუბს ერიდებოდნენ.

საშინელი სიზმრების გამო ხშირად ყვირილით ვიღვიძებდი. კოშმარებმა ისე გამაწამა, რომ იძულებული გავხდი, დამცავი მეტარებინა, რათა კრაჭუნისგან კბილები არ ჩამმსხვრეოდა. თვალის მოხუჭვისთანავე მკაფიოდ ვხედავდი საცეცებიან, შემაძრწუნებელ არსებას. დარწმუნებული ვიყავი, რომ ბაბუაჩემი მან მოკლა და მალე ჩემ წასაყვანადაც დაბრუნდებოდა. ზოგჯერ შიში ამიტანდა და მეჩვენებოდა, რომ ურჩხული მაღაზიის გვერდით ან ავტოფარეხის უკან ჩასაფრებული მელოდებოდა.

პრობლემის გადაჭრის ერთადერთ გზად სახლში გამოკეტვა მივიჩნიე. რამდენიმე კვირის განმავლობაში გაზეთის მოსატანად ეზოში გასვლაზეც კი უარი ვთქვი. საბნებში გახვეულს, საკუჭნაოს იატაკზე მეძინა. ეს ჩვენი სახლის ერთადერთი უფანჯრო ოთახი იყო, რომლის კარიც შიგნიდან იკეტებოდა. აქ გავატარე ბაბუას დასაფლავების დღეც. ტანსაცმლის საშრობ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მანქანაზე ვიჯექი, ლეპტოპი მუხლებზე მედო და ვცდილობდი, ვიდეოთამაშებით შემექცია თავი.

მომხდარში საკუთარ თავს ვადანაშაულებდი. მუდმივად იმაზე ვფიქრობდი, რა იქნებოდა, ბაბუასთვის დამეჯერებინა. მაგრამ არც მე დავუჯერე და არც სხვებმა. ახლა კი მეც იმავეს ვგრძნობდი, რადგან ჩემი არავის სჯეროდა. რამე თუ დამცდებოდა, ისე მიყურებდნენ, როგორც გიჟს.

მაშინაც ასე მოხდა, როდესაც პოლიციის ოფიცერი გვესტუმრა. მომხდარი ვუამბე და საზარელ არსებაზე მოვუყევი. სამზარეულოს მაგიდასთან, ჩემ პირდაპირ იჯდა. ბლოკნოტში არაფერი ჩაუწერია. თხრობა რომ დავასრულე, მხოლოდ ეს თქვა:

– მშვენიერია, გმადლობთ, – შემდეგ კი მშობლებს მიუტრიალდა და ჰკითხა, ვინმესთან თუ დაგყავთო – ეგონა, ვერ მივხვდებოდი, რას გულისხმობდა. ვუთხარი, კიდევ რაღაცის განცხადება მსურს-მეთქი, შუა თითი ვაჩვენე და ოთახიდან გავედი.

ესოდენ ხანგრძლივი დუმილის შემდეგ მშობლებმა იმ დღეს პირველად მიყვირეს. ამ ნაცნობი, ტკბილი ხმის მოსმენამ შვება მომგვარა. მერე საზიზღრობები მივახალე: გიხარიათ, ბაბუა პორტმანი რომ მკვდარია, მე ერთადერთი ვარ, ვისაც ის უყვარდა-მეთქი.

პოლიციელმა და ჩემმა მშობლებმა ცოტა ხანს ეზოში ისაუბრეს, შემდეგ პოლიციელი მანქანაში ჩაჯდა და ერთი საათის შემდეგ ვიღაც ტიპთან ერთად დაბრუნდა, რომელმაც განაცხადა, ჩანახატებს ვაკეთებო. ხელში დიდი სახატავი დაფა ეჭირა. მთხოვა, არსება კიდევ ერთხელ აღმეწერა. ხატვისას ხშირად ჩერდებოდა და დეტალების დასაზუსტებლად კითხვებს მისვამდა.

– რამდენი თვალი ჰქონდა?

– ორი.

– აჰა, – ისე თქვა, თითქოს ურჩხულების დახატვა მისთვის ყოველდღიური საქმიანობა ყოფილიყოს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბუნებრივია, ყველაფერი ჩემ დასამშვიდებლად მოაწყვეს. ეს საბოლოოდ ცხადი გახდა, როდესაც დასრულებული ჩანახატის ჩემთვის მოცემა დააპირა.

– დოკუმენტებისთვის არ დაგჭირდებათ? – ვკითხე მე.

მან და პოლიციელმა წარბები აზიდეს და ერთმანეთს გადახედეს.

– რა თქმა უნდა. აბა როგორ!

თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რიკისაც კი, ჩემს ერთადერთ და გულითად მეგობარს, რომელიც იმ ღამით იქ იყო, არ სჯეროდა ჩემი. იფიცებოდა, იმ ღამით ტყეში უცნაური არსება არ დამინახავსო. პოლიციელებსაც ასე უთხრა. არადა, ფარანი ურჩხულისკენ მქონდა მიშვერილი და ყეფა ნამდვილად გაიგონა. ორივემ გავიგონეთ. პოლიციელებს არ გაჰკვირვებიათ. დაასკვნეს, რომ ბაბუაჩემი გარეულმა ძაღლებმა დაგლიჯეს. აღმოჩნდა, რომ მათ ერთი კვირით ადრე სხვაგანაც წასწყდომოდნენ – ღამით „სენჩერი ვუდზში“ მოსეირნე ქალი დაეკბინათ.

– ასეთ დროს ურჩხულების დანახვა რთულია, – ვთქვი მე, მაგრამ რიკიმ თავი გააქნია და ჩაიბუტბუტა, მსგავსი აზრებისგან გასათავისუფლებლად თავის გამორეცხვა გჭირდებაო.

– ტვინის გამორეცხვა, – შევუსწორე, – და გმადლობთ, ძალიან მიხარია, რომ მეგობარი მხარში მიდგას.

ჩემი სახლის სახურავის ვერანდაზე ვისხედით და მზის ჩასვლას ვუმზერდით. რიკი ფეხმორთხმით იჯდა უზომოდ ძვირ ხის სკამზე, რომელიც ჩემს მშობლებს ემიშ ქანთრიდან ჩამოეტანათ. ხელები გადაეჯვარედინებინა და სიგარეტს სიგარეტზე აბოლებდა. რიკი ჩემს სახლში თავს ყოველთვის უხერხულად გრძნობდა, მაგრამ ახლა რაღაც უცნაურად მარიდებდა თვალს და ვხვდებოდი, რომ ამჯერად მე ვაფორიაქებდი და არა ჩემი მშობლების ავლადიდება.

– უბრალოდ, იმას გეუბნები, რასაც ვფიქრობ, – თქვა მან, – გააგრძელე ურჩხულებზე ლაპარაკი და ნახავ, თუ სადმე არ გამოგამწყვდიონ. მერე მართლა გამორჩეული იქნები.

– ეგრე ნუ მეძახი!

სიგარეტი ჩააქრო და, მოაჯირს მიყრდნობილმა, თამბაქოს წვენი გადააფურთხა.

– ახლა თან ეწეოდი და თან თამბაქოს ღეჭავდი?

– ჰო, რა იყო, დედაჩემი ხარ?

– მეტყობა, რომ საჭმლის ტალონების სანაცვლოდ მოვაჭრეებთან ორალური სექსით ვიქცევ თავს?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რიკი დახელოვნებული იყო დედებზე ღადაობაში, მაგრამ, როგორც ჩანს, მეტისმეტად შევტოპე და ვერ აიტანა. სკამიდან წამოხტა და ხელი ისე მკრა, კინაღამ სახურავიდან გადავვარდი. ვუყვირე, გაეთრიე-მეთქი, თუმცა, ისედაც მიდიოდა.

რამდენიმე თვეს ველარ ვნახავდი. ესეც შენი მეგობრები!

* * *

საბოლოოდ, მშობლებმა ტვინის გამოსარეცხად მაინც წამიყვანეს ფსიქოთერაპევტთან – ხორბლისფერკანიან, მშვიდ კაცთან, რომელსაც გოლანი ერქვა. მაინცდამაინც არ გავძალიანებივარ – ვიცოდი, დახმარება მჭირდებოდა.

მეგონა, კერკეტი კაკალი აღმოვჩნდებოდი, თუმცა ექიმმა გოლანმა მალევე გაართვა თავი ჩემს ახირებებს. მისი წყნარი, აუღელვებელი საუბარი ჰიპნოზივით მოქმედებდა და ორი სეანსის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ურჩხული მხოლოდ ჩემი წარმოსახვის ნაყოფი იყო – ბაბუას სიკვდილით გამოწვეულმა ტრავმამ ის წარმომადგენინა, რაც იქ არ ყოფილა. ექიმმა ამიხსნა, რომ ბავშვობაში მოსმენილმა ისტორიებმა ჩემს გონებაში ურჩხულის ხატი ჩანერგა და ამიტომაც გასაკვირი არ იყო, რომ როდესაც, მუხლებზე დამხობილს, ბაბუას უსულო სხეული მკლავებში მქონდა მოქცეული, ჩემმა წარმოსახვამ ბოროტი სული გამოიხმო.

ამ მდგომარეობას სახელიც ჰქონდა: მწვავე სტრესული აშლილობა.

– მწარე აშლილობა? – თქვა დედამ, როდესაც დიაგნოზი მოისმინა. მის ხუმრობას არ გავუღიზიანებივარ.

ურჩხულების რომ აღარ მჯეროდა, კარგად ყოფნას არ ნიშნავდა: კოშმარებს ისევ ვხედავდი და სხვებთან ურთიერთობის დროსაც ისეთი შეშინებული და აფორიაქებული ვიყავი, მშობლები იძულებული გახდნენ, ჩემთვის კერძო მასწავლებელი დაექირავებინათ. ასე რომ, შემეძლო სკოლაში მხოლოდ მაშინ მევლო, როცა მომესურვებოდა. როგორც იქნა, ნება დამრთეს,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

„სმარტ ეიდში“ მუშაობისთვის თავი დამენებებინა. ახლა ჩემი მთავარი მოვალეობა გამომჯობინება იყო.

მიზნად დავისახე, სულ მალე ამ „სამსახურისგანაც“ თავი დამეღწია. მას შემდეგ, რაც ჩემს დროებით შეშლილობას გარკვეულწილად უწამლა, ექიმი გოლანის ფუნქცია, ძირითადად, რეცეპტების გამოწერით ამოიწურებოდა. „ისევ კოშმარები გაწუხებს? ამის წამალი არსებობს. სკოლის ავტობუსში პანიკამ შემოგიტია? პრობლემას ეს მოგიგვარებს. ვერ იძინებ? მოდი, დოზა გავზარდოთ“. აბები მასუქებდა და მათაყვანებდა, მაგრამ თავს მაინც უბედურად ვგრძნობდი – ღამით მხოლოდ ორ-სამ საათს მეძინა. სწორედ ამის გამო ექიმის მოტყუება დავიწყე. თავს ვაჩვენებდი, თითქოს შესანიშნავად ვიყავი, არადა, თვალები უძილობისგან შეშუპებული მქონდა და პატარა ჩქამზეც კი დამფრთხალი კატასავით ვკრთებოდი და ვხტოდი. ერთი კვირის განმავლობაში „სიზმრების დღიურში“ სულ გამოგონილ სიზმრებს ვწერდი, ჩვეულებრივსა და მარტივს – ნორმალური ადამიანის სიზმრებს. თითქოს კბილის ექიმთან მივდიოდი ან დავფრინავდი. ექიმ გოლანს მოვახსენე, ზედიზედ ორი დღე მესიზმრებოდა, რომ სკოლაში სრულიად შიშველი გამოვცხადდი-მეთქი.

ექიმმა თხრობა გამაწყვეტინა:

– და ურჩხულები?

მხრები ავიჩეჩე.

– გაქრნენ. ალბათ უკეთ ვარ.

ექიმი გოლანი კალამს მაგიდაზე აკაკუნებდა. შემდეგ ბლოკნოტში რაღაც ჩაინიშნა.

– იმედია, იმას არ მიყვები, რისი გაგონებაც, შენი აზრით, მესიამოვნება.

– რა თქმა უნდა, არა, – მზერა კედელზე გამოფენილ, ჩარჩოში ჩასმულ სერთიფიკატებს მივაპყარი. ყოველი მათგანი ფსიქოლოგიის სხვადასხვა ქვედარგის ექსპერტობას ადასტურებდა. დარწმუნებული ვიყავი, მათ რიცხვში იმის დამადას-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტურებელი სერთიფიკატიც იქნებოდა, თუ როგორ ოსტატურად შეეძლო გამოეცნო, ცრუობდა თუ არა მწვავე სტრესული აშლილობის მქონე მოზარდი.

– მოდი, გულახდილად ვისაუბროთ, – კალამი დადო და შემომხედა, – ამ კვირაში კოშმარი ერთხელაც არ გინახავს?

ტყუილი არასოდეს მეხერხებოდა. თავი რომ არ შემერცხვინა, გადავწყვიტე, მეღიარებინა.

– მგონი, ერთხელ, – ჩავილაპარაკე.

სინამდვილეში იმ კვირას კოშმარი ყოველდღე მესიზმრებოდა: ვითომ ბაბუას საძინებელი ოთახის კუთხეში ვარ მიკუნჭული და ვარდისფერი პლასტმასის პისტოლეტის ლულა კარისკენ მაქვს მიშვერილი. იატაკს ფანჯრიდან შემოსული, ჩამავალი მზის შუქი ეცემა. იქ, სადაც საწოლი უნდა იყოს, ტკბილეულის უზარმაზარი, მანათობელი ავტომატი დგას, ოლონდ შიგ დიდი დანები და ცეცხლსასროლი იარაღი აწყვია. ბაბუაჩემი თავის ძველ, ბრიტანულ საბრძოლო უნიფორმაშია გამოწყობილი და აპარატში დოლარის კუპიურებს აცურებს, მაგრამ პისტოლეტი ძალიან ძვირი ღირს. არადა, ჩვენი დრო იწურება. საბოლოოდ, პრიალა 45-კალიბრიანი იარაღი ადგილიდან იძვრის, თუმცა ჩამოვარდნისას იჭედება. ბაბუა გაურკვეველ ენაზე ილანძღება, აპარატს წიხლებს უშენს, შემდეგ კი მუხლებზე დგება და ცდილობს, იარაღის გამოსაღებად ხელი აპარატში შეყოს. მკლავი შიგნით ეჭედება. ისინი სწორედ ამ დროს მოდიან. მათი გრძელი, შავი ენები ფანჯრის მინაზე დასრიალებენ, შემოსასვლელ გზას ეძებენ. ჩემს იარაღს ვუმიზნებ და სასხლეტს ხელს გამოვკრავ, მაგრამ არაფერი ხდება. ბაბუა პორტმანი შეშლილივით ყვირის:

– ჩიტი იპოვე და მარყუჟი, იაკობ, რა'ტომ არ გესმის, დაწყე'ვლილო, იდიოტო ბავშვო!

შემდეგ ფანჯრები იმსხვრევა და ნამსხვრევები ოთახში იბნევა. შავი ენები გვიახლოვდებიან. როგორც წესი, ამ დროს ოფლში გაწურულს მეღვიძება, გული გამალებით მიცემს და

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მუცელში ტკივილი მივლის. სიზმარში თუმცა სულ ერთი და იგივე ხდება და ამაზე ასჯერ მაინც გვისაუბრია, ექიმი გოლანი გამუდმებით მაიძულებს, სიზმარი თავიდან ვუამბო, თითქოს ჩემი ქვეცნობიერის გადაჩხრეკა სურს – იქნებ 99-ე ჯერზე მაინც იპოვოს რაიმე მინიშნება, რაც მანამდე გამორჩა.

– სიზმარში ბაბუაშენი რას ამბობს?

– რასაც ყოველთვის, – მივუგე მე, – ჩიტზე, მარყუჟზე და საფლავზე ლაპარაკობს.

– იგივე სიტყვები გაიმეორა?

თავი დავუქნიე.

– როგორ გგონია, რას გულისხმობდა?

– უბრალოდ, უაზრო სიტყვებია.

– კარგი რა! შენ ხომ სინამდვილეში ასე არ ფიქრობ.

თავს ვაჩვენებდი, თითქოს ბაბუას უკანასკნელი ფრაზა არ მადარდებდა, არადა ეს სიტყვები, კოშმარების მსგავსად, სულს მიღრღნიდა. თავს ვალდებულად ვთვლიდი, ბაბუას ნათქვამი არ უგულებელმეყო და მონაჩმახად არ მიმეჩნია. ექიმ გოლანს მიაჩნდა, რომ მისი მნიშვნელობის ამოცნობა კოშმარებისგან თავის დაღწევაში დამეხმარებოდა, ამიტომ გაშიფვრა შევეცადე.

ბაბუა პორტმანის ნათქვამი აზრს მოკლებული არ იყო. მაგალითად, მისი სურვილი, კუნძულზე წავსულიყავი, ლოგიკას ექვემდებარებოდა. მან ხომ თქვა, თუ როგორ ეშინოდა, ურჩხულებს არ მოვეკალი, კუნძულზე წასვლით კი თავს ვუშველიდი, როგორც მან ეს ბავშვობაში მოახერხა. ბაბუამ იმის ახსნა ვერ მოასწრო, რაც „ჩემთვის დიდი ხნის წინ უნდა გაემხილა“, ამიტომ ვიფიქრე, რომ მისი საიდუმლოს გარკვევის სხვა გზაც იარსებებდა. შეიძლება მან იმ ადამიანის კვალზე დამაყენა, ვინც ეს საიდუმლო იცოდა. ალბათ კოდური სიტყვები: მარყუჟი, საფლავი და წერილი სწორედ მასთან მისასვლელი გზა გახლდათ.

ერთხანს მეგონა, რომ მარყუჟი „წრიულ უბანში“ მდებარე ქუჩა აღმოჩნდებოდა – უბანში, სადაც მარყუჟივით მორ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კალული ჩიხები იშვიათობას არ წარმოადგენდა. შეიძლება, ემერსონი ბაბუას ომისდროინდელი მეგობარი იყო, ვისთანაც შემდგომშიც ჰქონდა მიმოწერა. ალბათ, „წრიული უბნის“ ერთ-ერთ ჩიხში ცხოვრობდა, სასაფლაოსთან ახლოს და 3 სექტემბრით დათარიღებულ წერილს ინახავდა. ვიცოდი, რომ ეს ყველაფერი არადამაჯერებლად ჟღერდა, მაგრამ ზოგჯერ ამაზე უფრო უცნაური ამბებიც სინამდვილე გამომდგარა.

ინტერნეტით ვერაფერი მოვიძიე და „წრიული უბნის“ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე წავედი, სადაც მოხუცები ნარდის სათამაშოდ და თავიანთ ავადმყოფობაზე სალაპარაკოდ იკრიბებოდნენ. სასაფლაოს ადგილმდებარეობის გაგება მსურდა და მისტერ ემერსონის შესახებაც გავიკითხე. გაოცებით შემომცქეროდნენ, თითქოს კისრიდან მეორე თავი ამომზრდოდა. „წრიულ უბანში“ არც სასაფლაო აღმოჩნდა და არც ემერსონის გვარის კაცი; ასევე არც ერთი ქუჩის სახელი არ აღმოჩნდა მარყუჟის პროსპექტი, ხეივანი ან რამე ამდაგვარი.

თუმცა ექიმმა გოლანმა დანებების უფლება არ მომცა – ჩამაგონა, რალფ უალდო ემერსონის, ძველი და ცნობილი პოეტის, წიგნები მომეძებნა.

– ემერსონს საკმაოდ ბევრი წერილი აქვს დაწერილი, – თქვა მან, – იქნებ ბაბუაშენი სწორედ მას გულისხმობდა.

ეს ვერსია ბნელში ხელის ფათურის მცდელობას ჰგავდა, მაგრამ, გოლანის თავიდან მოსაშორებლად, ერთ საღამოს მამას ბიბლიოთეკაში წაყვანა ვთხოვე. მალე აღმოვაჩინე, რომ რალფ უალდო ემერსონის ავტორობით მართლაც ბევრი წერილი გამოექვეყნებინათ. რაღაც მომენტში მეგონა, რომ გასაღებს მივაკვლიე, მაგრამ სულ მალე ორი რამ გახდა ცხადი: ჯერ ერთი, რომ ემერსონს 1800-იან წლებში ეცხოვრა და მე-19 საუკუნეში გარდაცვლილიყო, ამიტომ 1940 წლის 3 სექტემბრით დათარიღებული წერილის ავტორი ვერ იქნებოდა; მეორეც, მისი ასოები ერთმანეთს ისე იყო მიტყუპებული და კა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლიგრაფია იმდენად რთული გასარჩევი აღმოჩნდა, რომ ბაბუა მისი წაკითხვით თავს ნამდვილად არ შეიწუხებდა. ემერსონის წიგნზე თავჩამოდებულს ჩამეძინა. მისი ნარკვევი, სახელად „თავდაჯერებულობა“ სულ დავდორბლე და იმ კვირაში უკვე მეექვსედ დამესიზმრა ტკბილეულის ავტომატი. ყვირილით გამომელვიძა და ბიბლიოთეკიდანაც უცერემონიოდ მიმაბრძანეს. ექიმ გოლანის იდიოტური თეორიები მთელი გულით დავწყევლე.

მოთმინების ფიალა მაშინ ამევსო, როცა რამდენიმე დღის შემდეგ მშობლებმა მითხრეს, რომ ბაბუა პორტმანის სახლის გაყიდვა გადაეწყვიტათ. განცხადების გამოქვეყნებამდე სახლი უნდა მოეწესრიგებინათ. ექიმის აზრით, კარგი იქნებოდა, საფრთხისთვის თვალი გამესწორებინა და იქ მეტრიალა, სადაც ძლიერი ტრავმა მივიღე. ამიტომ, მისი რჩევით მაიძულეს, მამას და მამიდა სიუზის დალაგებაში დავხმარებოდი. წავყევი. მამას წარამარა გვერდზე გავყავდი, რათა დარწმუნებულიყო, რომ კარგად ვიყავი. იმის მიუხედავად, რომ ჯაგნარზე პოლიციის ლენტი კონწიალობდა და მწერებისგან დამცავი დაფხრეწილი ბადე ნიავის დაბერვაზე ირხეოდა, ჩემდა გასაკვირად, თავს ცუდად არ ვგრძნობდი. ეს ყველაფერი, მათ შორის, დაქირავებული ნაგვის მანქანა, რომელსაც სახლიდან ნივთები უნდა წაეღო და ბაბუაჩემის ცხოვრების კვალი წაეშალა, კი არ მაშინებდა, მასევდიანებდა.

როდესაც დარწმუნდნენ, რომ ნერვული შეტევა არ მემუქრებოდა, საქმეს შევუდექით. ნაგვის პარკებით შეიარაღებულნი სახლში დავიარებოდით და თაროებს, უჯრებსა და საკუჭნაოს ვაცარიელებდით. წლობით ერთ ადგილზე მდგარი საგნების ქვეშ დაგროვილ მტვერს ვწმენდდით. იმ ნივთებს, რომელთა შენახვასაც ვაპირებდით და მათ, რომელთაც გადასაყრელად ვიმეტებდით, ცალ-ცალკე ვახვავებდით. მამიდაჩემი და მამაჩემი სენტიმენტალური ადამიანები არ იყვნენ, ამიტომ გადასაყრელი ნივთების გროვა შესანახი ნივთების გროვაზე

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გაცილებით დიდი აღმოჩნდა. მე რამდენიმე მათგანის გამოსახსნელად მედგრად ვიბრძოდი; მაგალითად, მთელი გულით ვცდილობდი გადამერჩინა წყლისგან დანესტიანებული, ჟურნალ „ნეშენალ ჯიოგრეფიკის“ სამი მეტრი სიმაღლის დასტა, ავტოფარეხის კუთხეში რომ მიკუჭულიყო. რამდენი დღე გამიტარებია მათ თვალიერებაში! თავს ხან ახალი გვინეის თიხის კაცებს შორის წარმოვიდგენდი, ხან ბუტანის სამეფოში, კლდეზე ნაშენი სასახლის აღმოჩენისას. მამამ და მამიდამ მაჯობეს. არც იმის ნება დამრთეს, ბაბუას ძველებური, ბოულინგის სათამაშო მაისურების კოლექცია შემენახა („სამარცხვინოა“, ამტკიცებდა მამა), ვერც მისი 1978 წლის სუინგის ფირფიტები გამოვიხსენი („გგონია, ვინმე ამაში გვარიან თანხას გადაიხდის?“) და ვერც მისი მასიური, ჯერ კიდევ ჩარაზული კარადის შიგთავსი („ხუმრობ, არა? იმედია, ხუმრობ!“).

მამას ვუთხარი, უგულო ხარ-მეთქი. მამიდაჩემი ოთახიდან გაიპარა და ბაბუას კაბინეტში, სადაც მისი ძველი ანგარიშების ფურცლებს ვაწესრიგებდით, მარტო დაგვტოვა.

– მე, უბრალოდ, პრაქტიკული ადამიანი ვარ, ჯეიკობ, – მითხრა მამამ, – ასე ხდება, როდესაც ადამიანები კვდებიან.

– ხოო? მერე შენ რომ მოკვდები, შენი ძველი ხელნაწერები მეც უნდა დავწვა?

მამას ალმური მოედო. ეს არ უნდა მეთქვა. მისი სანახევროდ დასრულებული პროექტების ხსენებით ნამდვილად ზღვარს გადავედი, თუმცა, დაყვირების მაგივრად, წყნარად მითხრა:

– დღეს აქ იმიტომ მოგიყვანე, რომ მეგონა, ამ ყველაფრის გასაძლებად საკმარისად გაწონასწორებული იყავი. თურმე, ვცდებოდი.

– კი, ნამდვილად შეცდი. შენ გგონია, რომ თუ ბაბუას ნივთებს თავიდან მოვიშორებთ, მე ის დამავიწყდება, მაგრამ ეს არ მოხდება.

მამამ ხელები უღონოდ ჩამოუშვა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– იცი, რას გეტყვი? ჩხუბმა დამღალა. ყველაფერი შეინახე, რაც შენს გულს გაუხარდება, – გაყვითლებული ფურცლების შეკვრა ფეხებთან მომიგდო, – აი, ეს, კენედის მკვლელობიდან მოყოლებული, პუნქტებად ჩამოწერილი დასკვნების კრებულია. მიდი, ჩარჩოში ჩასვი!

დასტას წიხლი ვკარი და კაბინეტის კარი გავიჯახუნე. შემდეგ სასტუმრო ოთახში ველოდებოდი, როდის გამოვიდოდა და ბოდიშს მომიხდიდა. როდესაც ფურცლების დასაკუწი მანქანის ხმა მომესმა, მივხვდი, რომ ამას არ აპირებდა. ამიტომ ფეხების ბაკუნით გადავჭერი მთელი სახლი და საძინებელში ჩავიკეტე. ჰაერი ჩახუთულიყო და ფეხსაცმლის ტყავისა და ბაბუაჩემის ოდეკოლონის სუნი იდგა. კედელს მივეყუდე. გადაწეული ხალიჩის ქვეშ, კარიდან საწოლამდე მიმავალ კვალს მივაპყარი მზერა. მზის სხივები საწოლის ქვეშ დამალული კოლოფის კუთხეს ეცემოდა. მივუახლოვდი, მუხლებზე დავდექი და სამალავიდან გამოვიღე. ძველი, მტვრით დაფარული სიგარების ყუთი აღმოჩნდა, რომელიც ვიღაცამ თითქოს გამიზნულად ჩემთვის დატოვა ამ ადგილას.

შიგნით ის ფოტოები ეწყო, რომლებიც ბავშვობაში მენახა: უჩინმაჩინი ბიჭუნა, ჰაერში მოლივლივე გოგონა, ლოდების ამტაცებელი და-ძმა და კაცი, რომელსაც კეფაზე სახე ჰქონდა მიხატული. სურათები გაცრეცილიყო და უფრო მცირე ზომის გახლდათ, ვიდრე მე მახსოვდა. ვიდექი და ვფიქრობდი, როგორ მარტივად მოხერხდებოდა მათი გაყალბება – „უჩინარი“ ბიჭის თავის გასაქრობად სურათის ოდნავი მოწვა და რამდენიმე სხვა ხრიკის გამოყენება შეიძლებოდა. გაჩხინკული ბავშვის მიერ ატატებული დიდი ლოდი კი სინამდვილეში თაბაშირის იქნებოდა. თუმცა მსგავსი დაკვირვებები ექვსი წლის ბავშვისთვის, რომელსაც ასე ძალიან უნდოდა საოცარი ამბების დაჯერება, ბუნებრივია, შეუმჩნეველი დარჩებოდა.

ამ ფოტოების ქვეშ კიდევ ხუთი სურათი აღმოვაჩინე, რომლებიც ბაბუა პორტმანს ჩემთვის არასდროს უჩვენებია. ჯერ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გაკვირვებულმა დავათვალიერე, შემდეგ კი თითოეულს ყურადღებით დავაკვირდი. სამი მათგანის სიყალბეს ბავშვიც კი ადვილად მიხვდებოდა: ერთ-ერთზე ბოთლში „გამომწყვდეული“ პატარა გოგონა იყო გამოსახული, მეორეზე – ჰაერში გამოკიდებული ჩვილი, რომელსაც მის უკან გამოჭრილი კარის ღრიჭოში, სავარაუდოდ, რაღაც უჩინარი აკავებდა. მესამე ძაღლის ფოტო იყო, ოღონდ, ცხოველის თავის ნაცვლად მისთვის ტლანქად დაეკოსებინათ ბავშვის თავი. ამ უცნაური ფოტოების გვერდითაც კი, ბოლო ორი სურათი დევიდ ლინჩის ფილმებში ნანახს ჰგავდა: ერთ ფოტოზე პატარა, მოწყენილი აკრობატი გოგონა „ხიდზე“ გადადიოდა, მეორეზე კი უცნაურ კოსტიუმებში გამოწკეპილი, საზარელი შესახედაობის ტყუპები გამოესახათ. ბაბუაჩემიც კი, კაცი, რომელიც თავს საცეცებიანი ურჩხულების ისტორიებით მიტენიდა, ხვდებოდა, რომ ეს სურათები ნებისმიერ ბავშვს ძილს დაუფრთხობდა.

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბაბუაჩემის მტვრიან იატაკზე დაჩოქილს უეცრად გამახსენდა, როგორი იმედგაცრუება ვიგრძენი, როდესაც მივხვდი, რომ ბაბუას ნაამბობი გამონაგონი იყო. თითქოს ჭეშმარიტება გაცხადდა: მისი უკანასკნელი სიტყვები იმის წარმატებული მცდელობა გახლდათ, რომ კოშმარებით, ავადმყოფური ფანტაზიებითა და პარანოიდული აზრებით დავეავადებინე, რომელთა ამოსაძირკვადაც წლობით თერაპია და მედიკამენტებით მკურნალობა დამჭირდებოდა.

ყუთი დავხურე და მისაღებ ოთახში გავიტანე, სადაც მამაჩემი და მამიდა სიუზი კუპონებით სავსე უჯრას აცარიელებდნენ. თავდახრილმა გავუწოდე. არც კი უკითხავთ, შიგნით რა იდო.

* * *

– ესე იგი, მისი სიკვდილი ჩვეულებრივი ამბავია? – მკითხა ექიმმა გოლანმა.

დივანზე ვიყავი წამოწოლილი და კუთხეში მდგარ თევზების აკვარიუმს მივჩერებოდი, რომლის ერთადერთი ოქროსფერი ტყვე ზოზინით დაცურავდა.

– თუ თქვენ მომხდარის უკეთესი ვერსია არ გაქვთ, ან რაიმე საინტერესო თეორია, რომელიც ჩემთვის ჯერ არ გაგიმხელიათ, მაშინ ეს...

– რა?

– მაშინ ეს დროის კარგვა გამოდის.

ექიმმა ამოიოხრა და თავზე ისე მიიჭირა ხელები, თითქოს ტკივილისგან გათავისუფლება სურდა.

– ბაბუაშენის სიტყვების არსის გაგება ჩემი მიზანი არ არის. მთავარია, შენ რას ფიქრობ.

– რასაც ახლა ამბობთ, ეგ მხოლოდ ფსიქოლოგიური ყბედობაა, – როგორც იქნა, გადმოვანთხიე, – მნიშვნელოვანი ის კი არაა, მე რას ვფიქრობ, არამედ ის, რაც სინამდვილეში ხდება, მაგრამ, როგორც ჩანს, ამას ველარასოდეს გავიგებთ. თუმცა ეგ ვის ანაღვლებს? გამჭყიპეთ წამლებით და ჩეკი აიღეთ!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მინდოდა, გაცხარებულიყო, ეჩხუბა და დაემტკიცებინა, რომ ვცდებოდი. ამის ნაცვლად კი, არაფრის მთქმელი გამომეტყველებით იჯდა და სკამის სახელურზე კალამს აკაკუნებდა.

– ვხედავ, დანებდი, – თქვა ცოტა ხნის შემდეგ, – ძალიან გამიცრუე იმედები. ის ადამიანი არ მეგონე, ვინც საქმეს შუა გზაზე ტოვებს.

– ესე იგი, კარგად არ მიცნობთ, – მივუგე მე.

* * *

წვეულების განწყობა საერთოდ არ მქონდა, თუმცა მაშინვე, როგორც კი ჩემმა მშობლებმა იმაზე წუწუნი დაიწყეს, წინ როგორი მოსაწყენი შაბათ-კვირა გველოდა, მივხვდი, რომ რაღაცას მიმზადებდნენ. თექვსმეტის ვხდებოდი. ვემუდარე, წვეულება ამ ერთ წელს მაინც გამოეტოვებინათ, რადგან, სხვა მრავალ მიზეზთან ერთად, ერთი ადამიანიც არ მოიძებნებოდა, ვისი დანახვაც გამიხარდებოდა, მაგრამ ისინი ფიქრობდნენ, რომ მარტო მეტისმეტად დიდ დროს ვატარებდი და თვლიდნენ, რომ სოციალიზაცია ჩემთვის კარგი თერაპია იქნებოდა. ელექტროშოკიც კარგი თერაპიაა-მეთქი, ვუთხარი მე, მაგრამ დედაჩემი ამ შემთხვევის ხელიდან გაშვებას არ აპირებდა. მისთვის წვეულების მოსაწყობად პატარა მიზეზიც საკმარისი იყო – ერთხელ თავისი მეგობრები კაკადუს დაბადების დღეზე დაპატიჟა. მიზეზი ისიც იყო, რომ ჩვენი სახლით თავის მოწონება უყვარდა. სტუმრებს, ღვინის ჭიქით ხელში, ავეჯით გადატენილი ოთახიდან ოთახში დაატარებდა, არქიტექტორს ხოტბას ასხამდა და ნივთების შესახებ ისტორიებს უყვებოდა („ამ შანდლების იტალიიდან ჩამოტანას თვეები დასჭირდა“).

ის-ის იყო, ექიმი გოლანის საშინელი სეანსიდან დავბრუნდით. საეჭვოდ ჩაბნელებული მისაღები ოთახისკენ მიმავალ მამას უკან მივსდევდი, ის კი ბუტბუტებდა თუ რა სამწუხარო იყო, რომ ჩემი დაბადების დღისთვის არაფერი დაუგეგმავთ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სწორედ ამ დროს ყველა ნათურა ერთდროულად აინთო და ბიცოლები, ბიძები და ბიძაშვილები (რომლებთანაც იშვიათად ვურთიერთობდი), გამოჩნდნენ ლენტებითა და ბუშტებით ხელში. ყველა ესწრებოდა, ვისი დაყოლიებაც დედას მოეხერხებინა, მათ შორის, რიკიც. მისი დანახვა ძალიან გამიკვირდა. ეტყობოდა, რომ იტანჯებოდა და თავისი ლითონის მოსართავებიანი ტყავის ქურთუკით კონტექსტიდან ამოვარდნილიყო. ტაშის კვრას რომ მორჩნენ, დედამ ხელი მომხვია და ჩამჩურჩულა:

– ხომ არ მიბრაზდები?

ნერვებმოშლილი და გადაღლილი ვიყავი. მინდოდა, ძილის წინ „უორსპაიერ 3: გამოწვევა“[1] მეთამაშა, შემდეგ კი ჩართული ტელევიზორის წინ დამეძინა, მაგრამ რაღას გავაწყობდი? ყველას უკან ხომ არ გავაბრუნებდი? ამიტომ მივუგე, რომ არ ვბრაზობდი და დედამაც გახარებულმა გამიღიმა.

– ახალი ავეჯის ნახვა ვის უნდა? – მიუტრიალდა სტუმრებს და სანამ ნათესავების დასს ზედა სართულისკენ წაუძღვებოდა, შარდონე ჩამოისხა.

მე და რიკიმ ერთმანეთს შორიდან დავუკარით თავი. უთქმელად შევთანხმდით, ერთმანეთი ერთი-ორი საათით აგვეტანა. იმ დღის შემდეგ, კინაღამ სახურავიდან რომ გადამაგდო, სხვების თვალში მეგობრებად დარჩენის აუცილებლობა ორივემ გავაცნობიერეთ. მასთან დალაპარაკებას ვაპირებდი, მაგრამ ბიძია ბობიმ იდაყვზე მტაცა ხელი და კუთხეში გამიყვანა. ბობი მოსული, ფართომკერდიანი ტიპი იყო. დიდი მანქანა ჰყავდა, დიდ სახლში ცხოვრობდა და უშველებელი ბურგერების უზომო რაოდენობით შთანმთქმელი, ერთხელაც გულის შეტევის მსხვერპლი შეიქნებოდა. ბუნებრივია, ყველაფერს თავის პაწია, მშვიდი ხასიათის ცოლსა და მარიხუანას მწეველ შვილებს დაუტოვებდა. ის და ბიძია ლესლი „სმარტ

[1] Warspear – (ინგლ.) ფენტეზის ჟანრის ცნობილი ონლაინ თამაში.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ეიდის“ თანაპრეზიდენტები იყვნენ და ჩვევად ჰქონდათ, ადამიანებისთვის იდაყვში ხელი ეტაცათ და დასალაპარაკებლად კუთხეში გაეყვანათ, თითქოს მუდმივად შეთქმულებას გეგმავდნენ.

– დედაშენი მეუბნება, კრიტიკული პერიოდი გადალახა და უკეთ არისო.

უკეთ... არავინ იცოდა, ამისთვის რა სახელი ეწოდებინა.

– მწვავე სტრესული აშლილობა, – მივუგე მე.

– რა?

– ეგ მჭირდა. მჭირს. როგორც არის, მოკლედ.

– ოჰ! ძალიან მიხარია, რომ უკეთ ხარ, – ხელი აიქნია, თითქოს უსიამოვნო ფიქრებს იშორებდა თავიდან.

– მე და დედაშენმა ვისაუბრეთ. რას იტყვი ამ ზაფხულს ტემპაში წამოსვლაზე? ნახავდი, საოჯახო ბიზნესს როგორ ვუძღვებით. სათაო ოფისში ვილაც-ვილაცებს მოვარჯულებდით, – ისე ხმამაღლა გაიცინა, უნებლიეთ უკან დავიხიე, – ჩვენთან დარჩებოდი, შაბათ-კვირას ტარპონზე სათევზაოდ შენს ბიძაშვილებთან ერთად ივლიდი.

შემდეგი ხუთი, უზომოდ გაწელილი წუთი თავისი ახალთახალი იახტის აღწერას მოანდომა, თითქოს ჩემ დასათანხმებლად მხოლოდ ეს იქნებოდა საკმარისი. ლაპარაკი რომ მოათავა, გაიღიმა და ხელი ჩამოსართმევად გამომიწოდა.

– აბა, რას იტყვი, უფროსო?

როგორც ჩანს, თავისი ჭკუით, ყველაფერი ისე დაგეგმა, რომ შემოთავაზებაზე უარს ვერ ვეტყოდი, მაგრამ სინამდვილეში ბიძაჩემთან და მის გათამამებულ შვილებთან ცხოვრებას ციმბირის საკონცენტრაციო ბანაკში წასვლა მერჩია. რაც შეეხება „სმარტ ეიდის“ სათაო ოფისში მუშაობას, ვიცოდი, რომ მომავალში ეს არ ამცდებოდა, მაგრამ კორპორატიულ საკანში გამოკეტვას რამდენიმე წელი მაშორებდა. შევყოვნდი. სიტუაციიდან თავის დაძვრენა დახვეწილი მეთოდით მსურდა, თუმცა, ესლა მოვიფიქრე:

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არა მგონია, ჩემმა ფსიქიატრმა ეს იდეა მომიწონოს.

ბიძიამ ბუჩქივით გადაფურჩქნული წარბები შეკრა და თავი დამიქნია.

– აა, ჰოო. რა თქმა უნდა. მაშინ ცხოვრების დინებას მივ-ყვეთ, არა, მეგობარო? – ჩემს პასუხს არც დალოდებია, ისე გამეცალა, თითქოს ოთახის მეორე ბოლოში სხვისთვის უნდა ეტაცა ხელი.

დედამ გამოაცხადა, საჩუქრების გახსნის დროაო. საჩუქ-რების გახსნას ყოველთვის სხვების თვალწინ მაიძულებდა, რაც ჩემთვის დიდ პრობლემას წარმოადგენდა, მე ხომ ტყუ-ილი და თავის მოკატუნება არ შემეძლო. საშობაო სიმღერების დისკისა და „ფილდ ენდ სტრიმის“ ჟურნალებისთვის (ბიძია ლესლი წლების განმავლობაში იმ ილუზიით ცხოვრობდა, რომ მე ეზოში თამაში ძალიან მიყვარდა) მადლიერების გამოხატვა მიჭირდა. თუმცა, ზრდილობის წესების დასაცავად, თავი ვა-იძულე, გამეღიმა და ყოველი ახალგახსნილი საჩუქარი სხვე-ბის დასანახად მაღლა ამეწია, სანამ მაგიდაზე საჩუქრების რაოდენობა სამამდე არ შემცირდა.

ყველაზე პატარა საჩუქრის ყუთს დავწვდი. შიგნით ჩემი მშობლების მდიდრული „სედანის“ გასაღები იდო. დედამ გან-მარტა, რომ ის და მამა ახალი მანქანის ყიდვას აპირებდნენ, ამიტომ ძველი ავტომობილი მე მერგებოდა. ჩემი პირველი მანქანა! აღტაცებისგან ყველამ შეჰყვირა, მე კი ვიგრძენი, როგორ წამოვწითლდი. ადვილი არ გახლდათ ამ გულუხვი სა-ჩუქრის მიღება რიკის თვალწინ, რომლის მანქანაც იმაზე ნაკ-ლები ღირდა, ვიდრე მე 12 წლის ასაკში ყოველ თვეში მაძლევ-დნენ. თითქოს ჩემი მშობლები გამუდმებით ცდილობდნენ, ფულზე მეფიქრა, მაგრამ მე ეს არ მანაღვლებდა. პრინციპში, ეს საკმაოდ ადვილია, როცა ფული საკმარისზე მეტი გაქვს.

შემდეგი საჩუქარი ციფრული ფოტოაპარატი აღმოჩნდა, რომლის ყიდვასაც ჩემს მშობლებს მთელი წინა ზაფხულის განმავლობაში ვევედრებოდი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ვაა! – ვთქვი მე და ხელით მისი წონა შევამოწმე, – ძალიან მაგარია.

– ჩიტების შესახებ ახალი წიგნისთვის მონახაზს ვწერ, – მითხრა მამამ, – ვიფიქრე, რომ სურათებს შენ გადაიღებდი.

– ახალი წიგნი! – შეიცხადა დედამ, – ბრწყინვალე აზრია, ფრენკ. ისე, შენს წინა წიგნს რა დაემართა? თითქოს სხვა რაღაცაზე მუშაობდი, – ეტყობოდა, უკვე რამდენიმე ჭიქა ღვინო დაელია.

– დეტალებს ვასწორებ, – მშვიდად მიუგო მამამ.

– აჰა, გასაგებია, – დედამ მხრები აიჩეჩა. ბიძია ბობის ხმადაბალი ხვიხვინი შემომესმა.

– კარგი, – განვაცხადე ხმამაღლა და უკანასკნელ საჩუქარს დავწვდი, – ეს მამიდა სიუზისგანაა.

– სინამდვილეში, – შემომხედა მამიდამ, როდესაც შესაფუთი ქაღალდის შემოცლა დავიწყე, – ეს ბაბუასგანაა.

გავჩერდი. ოთახში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. სტუმრები მამიდა სიუზის ისე მისჩერებოდნენ, თითქოს ავსული გამოეძახებინოს. მამას სახეზე დაძაბულობა დაეტყო, დედამ კი ჭიქაში დარჩენილი ღვინო ერთი ამოსუნთქვით გამოცალა.

– უბრალოდ, გახსენი და თვითონ ნახავ, – თქვა მამიდამ.

დარჩენილი ქაღალდიც შემოვახიე. მაგარყდიანი წიგნი აღმოჩნდა, ძველი და საკმაოდ გაქუცული. სათაურად „რალფ უალდო ემერსონის რჩეული ნაშრომები“ ეწერა. ყდას ისე დავაშტერდი, თითქოს გადაუშლელად მსურდა მთელი წიგნის წაკითხვა. მაინც ვერ გამეგო, ჩემს აკანკალებულ ხელებში რანაირად აღმოჩნდა. ექიმ გოლანის გარდა, ბაბუას უკანასკნელი სიტყვების შესახებ არავინ არაფერი იცოდა და ექიმიც რამდენჯერმე შემპირდა, რომ თუ გალოთებით ან სანშაინის ხიდიდან წყალში თავით გადაშვებით არ დავემუქრებოდი, მის კაბინეტში ჩვენ შორის გამართულ ყველა დიალოგს საიდუმლოდ შეინახავდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მამიდას შევხედე. სახეზე გაოგნება მეწერა და არ ვიცოდი, კითხვა როგორ დამესვა. მან ოდნავ შესამჩნევად გამიღიმა და მითხრა:

– სახლის დალაგებისას ბაბუას საწერი მაგიდის უჯრაში ვიპოვე. ყდაზე შენი სახელი დაუწერია და ჩავთვალე, რომ სურდა, შენ გქონოდა.

ღმერთმა დალოცოს მამიდა სიუზი. კეთილი გული ჰქონდა.

– ძალიან კარგად მოგიფიქრებია, – თქვა დედამ დაძაბულობის განმუხტვის მიზნით, – ისე, არ მეგონა თუ ბაბუაშენს კითხვა უყვარდა.

– ჰო, – კბილებში გამოსცრა მამამ, – გმადლობთ, სიუზან.

წიგნი გადავშალე. დარწმუნებული ვიყავი, ყდის შიდა მხარეს ბაბუას გაურკვეველი ხელით გამოყვანილი წარწერა დამხვდებოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რალფ უალდო ემერსონი

რჩეული ნაშრომები

რედაქტორი და წინასიტყვაობის ავტორი
დოქტორი კლიფტონ დიურერი

ჯერ-კიდევ მაგლოვნ ჯოხყმანს
და იმ სამყაროს, ჰომლოგიურ
მას ჯერ კიდევ ალმოსავლი აქვს

ანთემ ბუქსი • ნიუ-იორკი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

წამოვდექი, რომ იქაურობას გავცლოდი. მეშინოდა, ყველას თვალწინ არ ავტირებულიყავი. ამ დროს წიგნიდან რაღაც გადმოვარდა და იატაკზე დაეცა. მის ასაღებად დავიხარე. წერილი აღმოჩნდა.

ემერსონი! წერილი!

ვიგრძენი, როგორ გავფითრდი. დედა ჩემკენ გადმოიხარა და დაძაბულმა წამჩურჩულა, წყალი ხომ არ გინდაო, რაც სინამდვილეში ნიშნავდა: „გამაგრდი, ხალხი გიყურებს!“

– რაღაც ვერ ვარ კარგად... – ვთქვი მე. ხელი მუცელზე მივიდე და ჩემი ოთახისაკენ გავიქეცი.

* * *

წერილი მდიდრულ, დაუხაზავ ფურცელზე გადაბმული ასოებით ეწერა. ლამაზი ნაწერი ხან მუქდებოდა, ხან ღიავდებოდა და ძველი ავტოკალმით ნაწერს ჰგავდა. გულის ფანცქალით წავიკითხე:

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ძვირფასო ეროვ.

ბოლოს ამ ხელოვნის ძალიან. იმედია. ეხლაც ბევრი ეს ჯანმრთელობა იცხოვრებ. იმედია ეს ომი გავიარეს ასე ადამიანებ. რომ ეროვნულ სიყვარულ ასე გაფრთიანა! ეს იმიტომ კი ასე ვ
თ. ბევრ ეს ეს ეროვნული. ეროვნული. ძალა. ენერგია. ბევრ ხალხ ეროვნულ ხელოვნებ ეროვნული ეროვნული ყოველთვის ეროვნული ეროვნ. ხალხი. ამაყი და ოპტიმისტი ეროვ!

რომ ეროვნულ კულტურაზე ხალხს ეზიზღებოდა. ამ ბევრი ასოციაციი ეროვნული. ნიმუშიანი. სიმაღლე და ხელოვანი სხვ ბევრ ის ასოცი. რომ ეროვ! ხელოვნ. ამიტომ ეროვ ხალხ ეროვ ეროვ? ეს. ეროვ კი ხალხ. კულტურ ეროვ ეროვნულ ეროვ. ოპოზიციურ ეროვ. ეროვ ეროვ ეროვ. ეროვ ეროვ ეროვ. ეროვ ეროვ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ავტორის დაპირებისამებრ, წერილს ფოტო ჰქონდა დართული.

საწერი მაგიდის სანათის შუქზე ვცდილობდი, ქალის სახეზე რაიმე დეტალი გამერჩია, მაგრამ უშედეგოდ. ძალიან უცნაური სურათი იყო, თუმცა ბაბუაჩემის ფოტოებს საერთოდ არ ჰგავდა – არანაირი ხრიკი, მხოლოდ ქალი, რომელიც ყალიონს ეწეოდა. შერლოკ ჰოლმსის ჩიბუხს ჰგავდა, მოღუნულსა და ჩამოკონწიალებულს. ჩემი მზერა გამუდმებით მასზე ჩერდებოდა.

ნუთუ ბაბუაჩემს სურდა, ეს მეპოვა? „დიახ“, გავიფიქრე, „არა ემერსონის წერილები, არამედ ემერსონის წიგნში ჩადებული წერილი“. მაინც ვინ იყო ეს დირექტორი ქალი, გვარად პერეგრინი? გამომგზავნის მისამართის დადგენის მიზნით კონვერტი საფუძვლიანად დავათვალიერე, მაგრამ მხოლოდ გაცრეცილი შტემპელი აღმოვაჩინე, რომელზეც შემდეგი იკითხებოდა: ქეირნჰოლმის კუნძული, ქამრი, გაერთიანებული სამეფო.

ბავშვობაში შესწავლილი ატლასებიდან ვიცოდი, რომ ქამრი უელსს ნიშნავდა, ქეირნჰოლმი კი ის კუნძული უნდა ყოფილიყო, რომელიც წერილში მის პერეგრინმა ახსენა. ასე შეიძლება იმ ადგილს ერქვა, სადაც ბაბუა ბავშვობაში ცხოვრობდა.

9 თვით ადრე ბაბუამ მითხრა, რომ „მეპოვა ჩიტი“. 9 წლის წინ დაიფიცა, რომ ბავშვთა სახლს „ჩიბუხისმწეველი ფრინველი“ მფარველობდა. 7 წლის ასაკში ეს ფრაზა პირდაპირი მნიშვნელობით გავიგე. სურათზე გამოსახული ქალი ყალიონს ეწეოდა და პერეგრინი[1] ერქვა. იქნებ, სინამდვილეში, ბაბუაჩემს სურდა, ბავშვთა სახლის დირექტორი, მისი მხსნელი ქალი მეპოვა? შეიძლება მის პერეგრინი ისევ კუნძულზე იმყოფებოდა. დაბერებულს, მოვალეობები აძლებინებდა და კიდევ ის ბავშვები, რომლებიც გაიზარდნენ, მაგრამ იქაურობა არ დაუტოვებიათ.

[1] Peregrine – (ინგლ.) შევარდენის სახეობა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბაბუაჩემის სიტყვები პირველად დაექვემდებარა ლოგიკას. უნდოდა, კუნძულზე წავსულიყავი და ბავშვთა სახლის დირექტორი მენახა, რომელმაც მისი საიდუმლო იცოდა. თუმცა, კონვერტის შტემპელი იუწყებოდა, რომ წერილი 15 წლის წინ გამოეგზავნათ. ნუთუ შეიძლებოდა, ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილიყო? გონებაში სწრაფად გადავითვალე: თუ ის ბავშვთა სახლს 1939 წელს მართავდა, ვთქვათ, 25 წლის ასაკში, ახლა 90 წელზე მეტის იქნებოდა. ეს კი სავსებით შესაძლებელი იყო – ენგლვუდში ამაზე უფრო ხნიერები ცხოვრობდნენ და მანქანებსაც მართავდნენ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მის პერეგრინი წერილის გამოგზავნის შემდეგ გარდაიცვალა, ქეირნჰოლმში, სავარაუდოდ, ისევ იქნებოდნენ ადამიანები, რომლებიც ბაბუა პორტმანს ბავშვობაში იცნობდნენ.

„ჩვენ“, წერდა ქალი, „კუნძულზე შემორჩენილებს“.

* * *

ალბათ ხვდებით... ჩემი მშობლების დაყოლიება, რომ ზაფხული უელსში მდებარე პაწაწინა კუნძულზე გამეტარებინა, ადვილი არ გახლდათ. მათ, განსაკუთრებით კი დედაჩემს, უამრავი მიზეზი ჰქონდათ, თუ რატომ იყო ეს საშინელი იდეა: ჯერ ერთი, მგზავრობა ძვირი ჯდებოდა; გარდა ამისა, მე, წესით, ზაფხული ბიძია ბობისთან უნდა გამეტარებინა და ბიზნესის მართვა მესწავლა; და ბოლოს, რაც მთავარია, მარტო უნდა გავმგზავრებულიყავი. არავინ აპირებდა, წამომყოლოდა, მარტოს კი არ გამიშვებდნენ. ამ მიზეზების გასაბათილებლად არგუმენტები არ მქონდა, სიმართლეს კი ვერ გავუმხელდი. ვერ ვეტყოდი, რომ ვალდებული ვიყავი, ასე მოვქცეულიყავი, რადგან ჩემს ნორმალურობაში კიდევ უფრო დაეჭვდებოდნენ. თუ ბაბუა პორტმანის უკანასკნელ სიტყვებს გავუმხელდი ან წერილისა და ფოტოს შესახებ მოვუყვებოდი, ნამდვილად საგიჟეთში გამამწესებდნენ. სულ ორი არგუმენტი მოვიფიქრე, რომელიც, ასე თუ ისე, საღ აზრს ექვემდებარებოდა: „მსურს,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ოჯახის ისტორიაზე მეტი შევიტყო“ და „ჩედ კრამერი და ჯოშ ბელი ზაფხულში სამოგზაუროდ ევროპაში მიდიან. მე რა დავაშავე?“ (არგუმენტი, რომელიც არასდროს ჭრიდა). ამას მათ ხშირად ვუმეორებდი, ოღონდ ერთხელ შევცდი და წამომცდა, მაინც საკმარისზე მეტი ფული გაქვთ-მეთქი. მოკლედ, ყველაფერი ჩემ წინააღმდეგ იყო მომართული.

თუმცა, მომდევნო დღეებში განვითარებულმა მოვლენებმა საქმე ჩემ სასიკეთოდ შემოაბრუნა. ჯერ ბიძია ბობი შეიპყრო ეჭვებმა – ვის უნდა სახლში გიჟი?! ასე რომ, ზაფხული მთლიანად გამითავისუფლდა. შემდეგ მამაჩემმა გაიგო, რომ ქეირნჰოლმის კუნძულზე თურმე იმ ჩიტების ნაირსახეობები ბინადრობდნენ, რომელთა სახელის გაგონებაზეც კი ჟრუანტელი უვლიდა. ის ახალი წიგნის დაწერაზე ალაპარაკდა და ამ თემას შეეხებოდა თუ არა, მეც მაქსიმალურად ვცდილობდი, მხარი ამება და დაინტერესებულის როლი მეთამაშა. ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ექიმი გოლანის ფაქტორი აღმოჩნდა. მის დასაყოლიებლად გასაოცრად ცოტა დრო დამჭირდა. მას არა მარტო მოეწონა ეს აზრი, არამედ ჩემ გასაშვებად მშობლების დაყოლიებაც სცადა.

– შეიძლება ეს მისთვის მნიშვნელოვანი იყოს, – უთხრა დედას ერთ საღამოს, სეანსის შემდეგ, – ეს ადგილი ბაბუამისის მიერ მითოლოგიზებული იყო, ამიტომ მისი მონახულება დაარწმუნებს, რომ იქ არაფერია ჯადოსნური. ნახავს, რომ ის არა მისტიკური, არამედ სხვა ადგილებივით ჩვეულებრივი კუნძულია. შედეგად კი, ბაბუამისის ფანტაზიები ძალას დაკარგავს და ეს რეალობაში დაბრუნების ეფექტიანი გზა იქნება.

– მე მეგონა, ამ ამბების აღარ სჯეროდა, – თქვა დედამ და შემომიტრიალდა, – ხომ ასეა, ჯეიკ?

– არ მჯერა, – ვეცადე, დამერწმუნებინა.

– ცნობიერს არ სჯერა, – ჩაერთო ექიმი გოლანი, – მაგრამ სწორედ მისი არაცნობიერი იწვევს პრობლემებს: სიზმრებს, შფოთვას.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მართლა გგონიათ, რომ იქ გამგზავრება დაეხმარება? – დედამ თვალები მოჭუტა და ისე შეხედა, თითქოს სასტიკი სიმართლის მოსასმენად ემზადებოდა. ასეთ შემთხვევებში ექიმი გოლანის სიტყვა კანონი იყო ხოლმე.

– ასე მგონია, – უპასუხა ექიმმა.

ეს იყო და ეს – ქეირნჰოლმზე წასვლა გადაწყდა.

* * *

ამის შემდეგ მოვლენები საოცარი სისწრაფით განვითარდა: ბილეთები იყიდეს და გეგმა შეიმუშავეს. მე და მამაჩემი კუნძულს ივნისში სამი კვირით ვესტუმრებოდით. ჩავთვალე, რომ ეს საკმაოდ დიდი დრო იყო, თუმცა, მამა იფიცებოდა, არც კი ვიცი, სამ კვირაში იშვიათი სახეობის ჩიტების შესწავლას მოვასწრებ თუ არაო. მეგონა, დედა წინააღმდეგობას გაუწევდა, მაგრამ რაც უფრო ახლოვდებოდა ჩვენი გამგზავრების დრო, მით უფრო აღტაცებული მეჩვენებოდა.

– ჩემი ბიჭები თავგადასავლებისთვის ემზადებიან! – ამბობდა ხოლმე სახეგაბრწყინებული.

მისი ენთუზიაზმი გულს მიჩუყებდა, სანამ ერთ დღესაც შემთხვევით არ მოვისმინე, თავის მეგობარს ტელეფონით აღფრთოვანებული რომ ეუბნებოდა თუ როგორ შვებას გრძნობდა, მთელი სამი კვირით „ძველ ცხოვრებას რომ დაუბრუნდებოდა“ და „ორ ჭირვეულ ბავშვზე“ აღარ ინერვიულებდა.

მინდოდა, დამცინავად მიმეძახა, მეც მიყვარხარ-მეთქი, თუმცა არ შევუმჩნევივარ და მეც ხმა აღარ ამომიღია. რა თქმა უნდა, დედაჩემი მიყვარდა, მაგრამ უფრო იმიტომ, რომ დედის სიყვარული სავალდებულოა და არა იმიტომ, რომ ქუჩაში შეხვედრისას ან გაცნობისას მომხიბლავდა. თუმცა ის ქუჩაში არც არასოდეს შემხვდებოდა, მისი აზრით, ფეხით ხომ მხოლოდ ღარიბები დადიოდნენ.

გამგზავრებამდე ყველანაირად შევეცადე, დავრწმუნებულიყავი, რომ მის ელმა ლეფეი პერეგრინი ისევ ცოცხლების

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სიაში ეწერა, მაგრამ ინტერნეტში ქექვამ შედეგი არ გამოიღო. მინდოდა, ტელეფონზე დაკავშირება და მისი გაფრთხილება მაინც მომეხერხებინა, თუმცა მალე მივხვდი, რომ ქეირნჰოლმზე ტელეფონები არ ჰქონდათ. როგორც იქნა, მთელ კუნძულზე ერთადერთი ტელეფონის ნომერი აღმოვაჩინე და მაშინვე დავრეკე.

დაკავშირებას თითქმის ერთი წუთი დასჭირდა. სატელეფონო ხაზი ხან შიშინებდა, ხან კი საერთოდ ჩუმდებოდა. ბოლოს სიგნალი გაისმა და, როგორც იქნა, ჩემი დასკვნით, საკმაოდ შეზარხოშებულმა კაცმა, ტელეფონს უპასუხა.

– ფსლის ორმო! – იღრიალა მაშინვე. ისეთი აურზაური და ყვირილი ისმოდა, როგორსაც მეგობრებისთვის კოლეჯში გამართული წვეულებისას თუ მოისმენთ. ვეცადე, ჩემი ვინაობა მემცნო, მაგრამ, მგონი, ვერაფერი გაიგონა.

– ფსლის ორმო! – კიდევ ერთხელ ჩაჰყვირა ყურმილს, – რომელი ხარ? – მაგრამ სანამ ვუპასუხებდი, ვიღაცას ულრიალა:

– ხომ ვთქვი, მოკეტეთ-მეთქი, მთვრალო ნაბიჭვრებო! ტელეფონზე ვლაპ... – და სიგნალი გაითიშა.

ცოტა ხანს ასე, ყურზე ყურმილმიდებული და დაბნეული ვიჯექი, შემდეგ კი ყურმილი დავკიდე. ხელმეორედ დარეკვით თავი არ შემიწუხებია. თუ ქეირნჰოლმის ერთადერთი ტელეფონი რაღაც უკანონო ბუნაგთან – „ფსლის ორმოსთან“ მაკავშირებდა, ეს ამ კუნძულის სასიკეთო თვისებებზე სულაც არ მეტყველებდა. ნუთუ ჩემს პირველ ევროპულ მოგზაურობას მთვრალი მანიაკებისგან თავის არიდებასა და კლდოვან სანაპიროზე ჩიტების სკინტვლის ყურებაში გავატარებდი?! ეს სავსებით შესაძლებელი იყო. თუმცა, თუ, ბოლოს და ბოლოს, შევძლებდი, ბაბუაჩემის მისტიკური ისტორიები დამევიწყებინა და საკუთარი ცხოვრებისთვის მიმეხედა, ნებისმიერ რამეზე თანახმა გახლდით.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მესამე

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვარს ნისლი გვერტყა. კაპიტანმა გამოაცხადა, თითქმის მივედითო, რაც თავიდან ხუმრობა მეგონა – გემბანიდან მხოლოდ უსასრულო ნაცრისფერ ფარდას ვხედავდი. მოაჯირს მოვეჭიდე და ტალღებს მივაშტერდი. თევზებს ვუყურებდი. მამაჩემი გვერდით მედგა, გრძელსახელოიანი ზედა ეცვა და კანკალებდა. არ მეგონა, თუ ასეთი სიცივე და ნალექი შესაძლებელი იყო ივნისში. იმედი მქონდა, რომ აქ ჩამოსაღწევად გზაში გატარებული საშინელი 36 საათი – სამი თვითმფრინავით მგზავრობა, ორჯერ გადაჯდომა, მატარებლების ბინძურ სადგურებში რიგ-რიგობით თვლემა და ახლა ეს დაუსრულებელი მოგზაურობა ბორნით – შედეგს გამოიღებდა. მერე მამამ დამიძახა, შეხედეო. თავი ავწიე და სიცარიელიდან ამოზიდული კლდე დავინახე.

ეს ბაბუას კუნძული იყო: დაბინდული და უფერული, ბურუსში გახვეული, უთვალავი ჩიტით გარშემორტყმული. უძველეს დროში გოლიათების მიერ ნაშენებ ციხე-სიმაგრეს ჰგავდა. კლდეებს ავხედე. მათი მწვერვალები ღრუბლებში უჩინარდებოდა. ამ ადგილის მაგიურ კუნძულად წარმოდგენა სიგიჟეზე სულაც არ მეტყველებდა.

გულისრევამ გადამიარა. მამა, პატარა ბავშვივით, აქეთ-იქით დახტოდა აღტაცებული და ჩვენს თავზე მონავარდე ჩიტებს თვალს არ აშორებდა.

– ჯეიკობ, ერთი ამას შეხედე! – იყვირა და ჰაერში მოლივლივე წინწკლებისკენ გაიშვირა ხელი, – ქარიშხალა!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რაც უფრო ვუახლოვდებოდით კლდეებს, წყალქვეშ მით უფრო მეტი უცნაური ფორმა იკვეთებოდა. ეკიპაჟის ერთ-ერთმა წევრმა დამინახა, მოაჯირზე გადაყუდებული რომ მივშტერებოდი და მკითხა: ჩაძირული გემები არასოდეს გინახავს, არა?!

მე მოვტრიალდი.

– სერიოზულად ამბობთ?

– მთელი ეს მიდამოები ერთი უზარმაზარი სასაფლაოა. ძველ დროში კაპიტნები თუიქს ჰარტლენდ ფოინთსა და ქეირნჰოლმის ყურეზე იტყოდნენ ხოლმე, ამ ყურეში მოცურავე მეზღვაურს ცალი ფეხი სამარეში უდგასო.

სწორედ ამ დროს გავცდით ზედაპირთან ახლოს მყოფ დაღუპულ გემს. მისი მომწვანო კარკასის მოხაზულობა ისე მკაფიოდ იკვეთებოდა, თითქოს ცოტაც და წყლიდან ამოიზრდებოდა.

– ხედავ? – თქვა უცნობმა და გემზე მიმითითა, – წყალქვეშა საბრძოლო ნავმა ჩაძირა.

– აქ საბრძოლო ხომალდები იყვნენ?

– საკმაოდ ბევრი. ირლანდიის ზღვაში მცურავებს გერმანული წყალქვეშა ნავებისგან მოსვენება არ ჰქონდათ. სანაძლეოს ვდებ, მათ მიერ ჩაძირული ყველა გემი წყლიდან რომ ამოიყვანო, ნახევარ ფლოტს მოაგროვებ, – წარბი ასწია და სიცილით გამეცალა.

გემბანი სწრაფად გავირბინე, რომ გემის ნამსხვრევებისთვის კიდევ ერთხელ შემევლო თვალი. შემდეგ იმაზე ფიქრი დავიწყე, კუნძულზე გადასასვლელად კლდეებზე სპეციალური აღჭურვილობით აცოცება ხომ არ დაგვჭირდებოდა, მაგრამ ციცაბო კლდეები თანდათან ფერდობებად იქცა. კონცხს შემოვუარეთ, რომ კლდოვან, ნახევარმთვარის ფორმის ყურეში შევსულიყავით. შორიდან პატარა პორტი დავინახე, ფერადი სათევზაო ნავებით გარშემორტყმული, კიდევ უფრო შორს კი ქალაქი მოჩანდა. მინდვრები, ცხვრის ფარა რომ შესეოდა,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მაღალ მთაგრეხილებს უერთდებოდა, რომელთა თავზე მორიალე ღრუბლები ბამბის მოაჯირებს მოგაგონებდათ. ასეთი ლამაზი ადგილი არასოდეს მენახა. ყურეში შესვლისას თავგადასავლებისთვის დამახასიათებელმა თრთოლვამ ამიტანა, თითქოს იმ უდაბურ მიწას ვუჭვრეტდი, რომლის შესახებ ინფორმაცია რუკაზე მხოლოდ ლურჯი, გადღაბნილი ლაქით მოენიშნათ.

ბორანი გაჩერდა და, ზურგზე ჩანთებმოკიდებულებმა, პატარა ქალაქში შევაბიჯეთ. სიმართლე რომ ვთქვა, ახლოდან სულ სხვანაირი აღმოჩნდა. როგორც წესი, ასეა – რაც შორიდან ლამაზი გეჩვენება, სინამდვილეში მახინჯია ხოლმე. კოტეჯებს ალაგ-ალაგ საღებავი ჩამოსცლოდა. ტალახიან გზებზე უცნაური სახლები ჩაემწკრივებინათ, რომელთა სახურავებზე სატელიტური თეფშები იდგა. რეალურად, ქეირნჰოლმი ძალიან შორი და უმნიშვნელო კუნძული იყო, რათა მასზე ელექტროენერგიის ხაზები გაეყვანათ, ამიტომ ყოველი კუთხიდან საწვავის სუნით აყროლებული გენერატორები ზუზუნებდა და ტრაქტორების (კუნძულის ერთადერთი გადასაზიდი ტრანსპორტის) ბრდღვინვას ხმას უწყობდა.

ქალაქის ერთ ნაწილში სახურავახდილი კოტეჯები იდგა, რაც მოსახლეობის შემცირებაზე მიანიშნებდა. როგორც ჩანს, ახალგაზრდები საუკუნეების განმავლობაში თევზაობითა და მეცხოველეობის ტრადიციებით ცნობილი ადგილიდან შორს, უფრო მომხიბლავი პერსპექტივის საძიებლად მიდიოდნენ.

ქალაქი ბარგის თრევით გატანჯულებმა გავიარეთ. სასტუმროს, სახელად „მღვდლის კერას“, ვეძებდით, სადაც მამას ჩვენთვის ოთახი დაეჯავშნა. მე მეგონა, სასტუმროდ გადაკეთებული ძველი ეკლესია იქნებოდა – უბრალო მოსასვენებელი ადგილი, სადაც ჩიტების ცქერისა და ნივთმტკიცების შეგროვებისგან დაღლილები ღამეს გავათევდით ხოლმე. იქაურებს გზას ვეკითხებოდით, თუმცა ყველას სახეზე დაბნეულობა ეხატებოდა და ვერაფერს გვპასუხობდნენ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ინგლისურად არ ლაპარაკობენ? – ხმამაღლა აღმოხდა მამაჩემს.

ჩემოდნის თრევისგან უკვე ხელი მტკიოდა, როცა ძველი ეკლესიის შენობას გადავეყარეთ. ჩვენი ღამის გასათევი გვეგონა, მაგრამ შიგნით რომ შევედით, აღმოჩნდა, რომ სასტუმროდ კი არა, პატარა მუზეუმად გადაეკეთებინათ.

ძველი სათევზაო ბადეებითა და ცხვრის ტყავით გაწყობილ ოთახში კურატორი ვიპოვეთ. ჩვენ დანახვაზე სახე გაუბრწყინდა, თუმცა მალევე ჩაუქრა, რადგან მიხვდა, რომ, უბრალოდ, დავიკარგეთ.

– ალბათ „მღვდლის ორმოს“ ეძებთ, – თქვა მან, – კუნძულზე ოთახებს მარტო ისინი აქირავებენ.

გზა მიგვასწავლა. მის აქცენტზე ძალიან გავერთე. ვგიჟდებოდი უელსელების საუბრის მანერაზე, თუმცა ნათქვამი, მეტწილად, ჩემთვის გაუგებარი რჩებოდა. მამამ კაცს მადლობა გადაუხადა და წასვლა დააპირა, მაგრამ კურატორი იმდენად კეთილგანწყობილი ჩანდა, რომ შევყოვნდი და ვკითხე:

– ბავშვთა ძველ თავშესაფარს სად ვიპოვი?

– ძველ რას? – თვალები მოჭუტა კურატორმა.

მისმა პასუხმა თავზარი დამცა. უცებ მეგონა, რომ შეცდომით სხვა კუნძულზე ამოვყავი თავი ან უარესი – ბავშვთა თავშესაფარი ბაბუაჩემის მოგონილი კიდევ ერთი ამბავი იყო.

– მეორე მსოფლიო ომის დროს აქ ლტოლვილი ბავშვების თავშესაფარი იყო... დიდი სახლი უნდა იყოს...

კაცმა ტუჩზე იკბინა და დაეჭვებულმა ამათვალიერ-ჩამათვალიერა, თითქოს ყოყმანობდა, დამხმარებოდა თუ არა. ბოლოს მაინც შევეცოდე.

– ლტოლვილებზე არაფერი ვიცი, მაგრამ, მგონი, ვხვდები, რომელ სახლსაც გულისხმობ. კუნძულის მეორე ბოლოშია, ჭაობს უნდა გასცდე და ტყე გაიარო. თუმცა, მარტო წასვლას არ გირჩევ. ბილიკს თუ ასცდები, შენს კვალს ველარავინ მიაგნებს. კლდეზე არ გადაიჩეხო, იქ სველი ბალახისა და ცხვრის ფარის მეტი არაფერია.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– გმადლობთ ინფორმაციისთვის, – მიუგო მამამ და თვალი თვალში გამიყარა, – დამპირდი, რომ მარტო არ წახვალ.

– კარგი, კარგი.

– მაგ სახლით რატომ დაინტერესდი? – მკითხა კაცმა, – ტურისტულ სანახაობათა სიაში ნამდვილად არ იქნება შეტანილი.

– გენეალოგიის გამოკვლევითაა დაკავებული, – მამა კართან შეყოვნდა, – იქ რამდენიმე წელი მამაჩემი ცხოვრობდა.

მივხვდი, თავისივე მოხერხებულობამ გააოცა, მკვდარ ბებუებსა და ფსიქიატრებზე საუბარი რომ ასე ადვილად აირიდა. კაცს მადლობა ხელმეორედ გადაუხადა და მუზეუმიდან სწრაფად გამიყვანა.

კურატორის მითითებებს მივყევით, უკვე გავლილ გზას უკან გავუყევით და, ბოლოს და ბოლოს, შავი ქვისგან გამოთლილ, კუშტი შესახედაობის ქანდაკებას წავაწყდით. ეს გახლდათ ზღვაში დაკარგულებისთვის მიძღვნილი მემორიალი, სახელად „მომლოდინე ქალი“. ქანდაკება დამწუხრებული გამომეტყველებით იდგა და რამდენიმე კვარტლის გადაღმა მდებარე პორტისკენ ხელები გაეწვდინა, გზის მოპირდაპირე მხარეს კი „მღვდლის ორმო“ გამოჩნდა. სასტუმროს კონსიერჟი არ ვარ, მაგრამ თვალის ერთი შევლებითაც აშკარა იყო, რომ ოთხვარსკვლავიან სასტუმროში დასვენება არ გვეწერა და არც პიტნის კანფეტებს დაგვახვედრებდნენ. აბრაზე უზარმაზარი ასოებით ეწერა: „ღვინო, ლუდი, მაგარი სასმელები“, ხოლო მის ქვეშ უფრო პატარა ზომის ასოებით: „ჩინებული კერძები“. კიდევ უფრო ქვევით: „ქირავდება ოთახები“, თუმცა „ებ“ გვარიანად გაუფერულებულიყო და მხოლოდ „ოთახი“ იკითხებოდა. მამას ბუტბუტი შემომესმა. სპეკულანტებსა და არასწორ რეკლამირებაზე წუწუნებდა. „მომლოდინე ქალს“ გავხედე და გავიფიქრე, ნამდვილად იმას ელის, ვინმემ დასალევი მიუტანოს-მეთქი.

ჩემოდნები შესასვლელ კარში როგორღაც შევატიეთ და დაბალჭერიან ბარში გამეფებულ წყვდიადში აღმოვჩნდით.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

წუთზე მეტი დაგვჭირდა, რომ ჩვენი თვალები სიბნელეს შეჩვეოდა, მერე კი მივხვდი, რომ „ორმო“ ამ ადგილისთვის ზუსტად შესაფერისი სახელი გახლდათ. პაწაწინა ფანჯრები მხოლოდ იმდენ შუქს ატარებდა, რომ კაცს ლუდის ჩამოსასხმელ ონკანამდე გზა მაგიდებისა და სკამების გადაუყირავებლად გაეგნო. მორყეული მაგიდები შეშად უფრო გამოდგებოდა. შუადღისას ბარი უკვე სავსე იყო მთვრალი მამაკაცებით, რომელთაც თავები ისე ჩაექინდრათ, თითქოს ქარვისფერი სითხით სავსე ბოკლებთან ლოცულობენო.

– თქვენ ალბათ ოთახის თაობაზე მოხვედით, – თქვა ბართან მდგომმა მამაკაცმა და ხელის ჩამოსართმევად მოგვიახლოვდა, – მე კევი მქვია და ესენი ჩვენი ჯიგრები არიან. ჯიგრებო, ახალმოსულებს მიესალმეთ!

– გაუმარჯოს, – ამოილუღლუღეს მთვრალმა კაცებმა.

კევს ვიწრო კიბეზე ავყევით, რომელიც ოთახებისკენ (დიახ, ოთახებისკენ!) ადიოდა. ჩვენს ნომერს ორი საძინებელი ჰქონდა (უფრო მოზრდილი მაშინვე მამამ დაისაკუთრა) და ოთახი, რომელიც სამზარეულოს, სასადილოსა და მისაღების ფუნქციას ითავსებდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ იქ ერთადერთი მაგიდა, ჩრჩილისგან შეჭმული დივანი და ერთიც გამათბობელი ქურა იდგა. საპირფარეშო ფუნქციონირებდა...

– თუ პრობლემა შეგექმნებათ, ძველ მეთოდს მიმართეთ, – თქვა კევმა და ხევში დადგმულ მოძრავ ტუალეტს გახედა, რომელიც ფანჯრიდან მშვენივრად ჩანდა.

– ჰო, კიდევ ეს დაგჭირდებათ, – ორი ნავთის სანათი გამოიტანა, – ათ საათზე გენერატორები ითიშება, რადგან ბენზინის კუნძულზე ჩამოტანა ძალიან ძვირი ჯდება, ამიტომ ან ადრე უნდა დაიძინოთ, ან სანთლები შეიყვაროთ, – გაიღიმა, – იმედია, შუა საუკუნეები გიზიდავთ.

შევეცადეთ კევი დაგვერწმუნებინა, რომ საპირფარეშოში გარეთ გასვლა და სანთლების ანთება ჩვენთვის პრობლემას არ წარმოადგენდა და რომ ეს ყველაფერი ამაღელვებელიც კი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გვეჩვენებოდა, – თითქოს რაღაც თავგადასავალს წააგავდა. ამის შემდეგ კევმა ქვედა სართულზე ჩაგვიყვანა და „ორმოს“ თვალიერებასაც მოვრჩით.

– შეგიძლიათ, საჭმელი აქ მიირთვათ ხოლმე. უფრო სწორად, მოგიწევთ, აქ მიირთვათ, რადგან სხვა სასადილო არ არის. თუ სადმე დარეკვა მოგინდებათ, ტელეფონის ჯიხური იმ კუთხეშია. ზოგჯერ პატარა რიგი დგას ხოლმე, რადგან მობილური ტელეფონები არ იჭერს და ეს კუნძულის ერთადერთი ტელეფონია. ხომ ხედავთ, ჩვენ ყველაფერი გვაქვს – კუნძულის ერთადერთი სასტუმრო, ერთადერთი სასადილო და ერთადერთი ტელეფონი! – კედელს მიეყრდნო და ხმამაღლა გადაიხარხარა.

ტელეფონს გავხედე. ჯიხურს კარი ჰქონდა და იკეტებოდა, ალბათ იმისთვის, რომ შენი ლაპარაკი სხვებს არ გაეგონათ. ზუსტად ისეთი იყო, ძველებურ ფილმებში რომ მენახა. უცებ თავზარდაცემულმა გავაცნობიერე, რომ ეს ის ადგილი გახლდათ, სადაც რამდენიმე კვირის წინ დავრეკე – მეგობრული წვეულება რომ გაემართათ. სწორედ ეს იყო „ფსლის ორმო“.

კევმა მამაჩემს ოთახის გასაღები მიაწოდა.

– თუ რამე კითხვა გექნებათ, იცით, სად მიპოვოთ.

– მე მაქვს შეკითხვა, – ვთქვი მე, – და ფსლის... მღვდლის ორმო რას ნიშნავს?

ბარში მამაკაცებს სიცილი აუტყდათ.

– მღვდლების ორმოს, რა თქმა უნდა! – თქვა ერთ-ერთმა და დანარჩენები კიდევ უფრო ახორხოცდნენ.

კევი ბუხრისკენ წავიდა, სადაც ფიცრები აცაბაცად დაეგოთ. იქვე ხეიბარ ძაღლს ეძინა.

– აი, შეხედეთ, – ფეხით იატაკის ფიცარზე დააკაკუნა, რომელიც ძირს ჩასასვლელი კარი აღმოჩნდა, – ძველად, როდესაც კათოლიკეებს სარწმუნოების გამო ხეებზე კიდებდნენ, დევნილი მღვდლები აქ მოდიოდნენ ხოლმე. თუ ვინმეს დედოფალ ელიზაბეტის თავზეხელაღებული ამალა მოსდევდა, ჩვენ მას მოსახერხებელ ადგილას, მღვდლის ორმოში, ვმალავდით,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– საინტერესო ის იყო, რომ ამ ყველაფერს პირველ პირში ყვებოდა, თითქოს პირადად იცნობდა კუნძულის დიდი ხნის წინ გარდაცვლილ მცხოვრებლებს.

– ნამდვილად მოსახერხებელია, – თქვა ერთ-ერთმა მთვრალმა ჯეელმა, – ცეცხლზე დაბრაწული ბუტერბროდივით თბილი და ვიწრო.

– შიგ მეც დიდი სიამოვნებით ჩავძვრებოდი, – გამოეხმაურა მეორე.

– მოდი, – განაგრძო პირველმა. – ქეირნჰოლმს გაუმარჯოს! დაე, კიდევ დიდხანს მისცეს დევნილებს თავშესაფარი!

– გაუმარჯოს! – შესძახეს ერთხმად და ბოკლები მიაჭახუნეს.

* * *

დაღლილ-დაქანცულებმა ადრე დავიძინეთ. უფრო სწორად, საწოლებში ჩავწექით და თავზე ბალიშები დავიმხეთ, რომ ქვემოდან ამომავალი მოგუდული ხმა რამენაირად ჩაგვეხშო. მალე ეს ხმა ისეთ ყაყანში გადაიზარდა, მეგონა, მოქეიფეები ჩემს ოთახში შემოიჭრნენ. შემდეგ, სავარაუდოდ, ათ საათზე, მოზუზუნე გენერატორმა ერთი ამოიხვნეშა და ჩაკვდა. ხმაურიც მალე მიწყნარდა და უეცრად უშფოთველ, ნეტარ სიბნელეში აღმოვჩნდი. მხოლოდ შორეული ტალღების ხმა მახსენებდა, სად ვიყავი.

ამდენი თვის განმავლობაში კოშმარებისგან თავისუფალს პირველად მეძინა ტკბილი ძილით. ბაბუაჩემის პატარაობა მესიზმრა. ვითომ პირველ ღამეს ათევდა უცხო მიწაზე, უცხო სახლის ჭერქვეშ. გადარჩენას იმ ადამიანებს უმადლოდა, რომლებიც მისთვის სრულიად გაუგებარ ენაზე საუბრობდნენ. როდესაც გამომეღვიძა, ფანჯრიდან მზის სხივები იღვრებოდა და მივხვდი, რომ მის პერეგრინმა არა მხოლოდ ბაბუაჩემის, არამედ ჩემი და მამაჩემის სიცოცხლეც იხსნა. თუ გამიმართლებდა, ბოლოს და ბოლოს, მადლობის გადახდას მოვახერხებდი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ქვედა სართულზე ჩავედი, სადაც მაგიდასთან მჯდომი მამა დამხვდა. ყავას ხვრეპდა და თავის მდიდრულ ბინოკლს აპრიალებდა. დავჯექი და კევიც გამოჩნდა, ორი თეფშით ხელში, რომლებზეც შემწვარი ტოსტები და გაურკვეველი წარმოშობის ხორცი ელაგა.

– არ მეგონა, ტოსტის შეწვა თუ შეიძლებოდა, – აღვნიშნე და კევმა ამიხსნა, რომ ნებისმიერი საჭმელი, თუკი შეწვავდი, ერთიორად უფრო გემრიელი ხდებოდა.

საუზმისას მე და მამამ დღის გეგმები განვიხილეთ და შევთანხმდით, რომ კუნძულს უკეთ უნდა გავცნობოდით. ჯერ მამასთვის ვიპოვიდით ხელსაყრელ ადგილებს ჩიტებზე დასაკვირვებლად, მერე კი ბავშვთა სახლს ვეწვეოდით.

ცხიმიანი საკვების მიღების შემდეგ ბარი დავტოვეთ და ქალაქს ფეხით გავუყევით. იქამდე ვიარეთ, სანამ გზები მინდვრებმა არ შეცვალა და ხმაური არ მიწყდა. გრილი და ქარიანი დღე იყო, მზე ღრუბლების უკან იმალებოდა, მხოლოდ დროდადრო გამოანათებდა და მთებს გასაოცარ ელფერს ანიჭებდა. ენერგიითა და იმედით ავივსე. კლდოვანი სანაპიროსკენ მივიწევდით, სადაც მამას ბორნიდან ჩიტების მთელი ამალა შეემჩნია. თავიდან გამიჭირდა იმის წარმოდგენა, თუ როგორ უნდა მიგვეღწია იქამდე – კუნძულს ჯამის ფორმა ჰქონდა, კიდეებში ამოზრდილი მთები კი სანაპიროზე ციცაბო კლდეებით ბოლოვდებოდა. თუმცა, სწორი გზა ავირჩიეთ – იქ კლდეების ნაპირები დაქანებულიყო და ბილიკი ზღვის სანაპიროს, ქვიშის ვიწრო ზოლს უერთდებოდა.

სანაპიროზე გზა გავიკვლიეთ და ათასი ჯურის ფრინველით გარშემორტყმულნი აღმოვჩნდით. ჩიტები ფრთებს ატყლაშუნებდნენ, წიოდნენ და წყლის გუბურებში თევზაობდნენ. მამა მათ თვალებგაფართოებული შესცქეროდა.

– პირდაპირ გასაოცარია, – ამოილუღლუღა და გაქვავებული სკინტლის კალმით აფხეკა დაიწყო, – ერთხანს აქ უნდა დავრჩე. რას იტყვი?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მსგავსი გამომეტყველება მის სახეზე მანამდეც მენახა და ზუსტად ვიცოდი, რომ „ერთხანს“ კარგა ხანს იქ დარჩენას ნიშნავდა.

– მაშინ სახლს ჩემით ვიპოვი.

– იქ მარტო არ წახვალ, ხომ შემპირდი?

– ვინმე თანამგზავრს ვნახავ და ის წამიყვანს.

– მაინც ვის?

– კევს ეცოდინება.

მამამ ზღვას გახედა, სადაც უზარმაზარი ლოდების გროვაზე დაჟანგული შუქურა აღმართულიყო.

– დედაშენი აქ რომ იყოს, ხომ იცი, რასაც გიპასუხებდა?

მშობლებს ჩემი აღზრდის მეთოდებთან დაკავშირებით განსხვავებული შეხედულებები ჰქონდათ. დედაჩემი ყველაფერს მაძალებდა და ყოველთვის თავს დამტრიალებდა, მამაჩემი კი უფრო თავშეკავებული იყო და ფიქრობდა, რომ დროდადრო შეცდომები უნდა დამეშვა. გარდა ამისა, თუ გამიშვებდა, სკინტლის საფხეკად მთელი დღე ექნებოდა.

– კი ბატონო, – თქვა ბოლოს, – მაგრამ იმ ადამიანის ტელეფონის ნომერი დამიტოვე, ვისთან ერთადაც წახვალ.

– მამა, აქ ტელეფონი არავის აქვს.

ამოიოხრა.

– კარგი, მთავარია, სანდო ვინმე ნახო.

* * *

კევი რაღაც საქმეზე იყო გასული. არ მინდოდა, რომელიმე შეზარხოშებული კლიენტისთვის მეთხოვა წაყოლა, ამიტომ ყველაზე ახლომდებარე მაღაზიას მივაკითხე – იქნებ იქაურ ღირსეულ თანამშრომელს მაინც გაეწია მეგზურობა. კარზე „თევზით მოვაჭრე“ ეწერა. შევედი და უცებ წვერიანი გოლიათის წინაშე აღმოვჩნდი, რომელსაც სისხლით მოთხვრილი წინსაფარი ეკეთა. თევზის ფხეკა შეწყვიტა და შემომხედა. ხელში ჩაბღუჯული საყასბო დანიდან სისხლი ძირს იღვენთე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბოდა და გულში დავიფიცე, რომ ამის შემდეგ მთვრალებს აღარასოდეს დავიწუნებდი.

– მანდ რა ჯანდაბა გინდა? – შემომიბღვირა გოლიათმა, როდესაც ვუთხარი, სად მინდოდა წასვლა, – იქ ჭაობი და მუდამ საშინელი ამინდია, სხვა – არაფერი.

ავუხსენი, რომ ეს ბაბუაჩემის ბავშვთა სახლი იყო. კოპები შეკრა, დახლზე გადმოიხარა და ჩემს ფეხსაცმელს დაეჭვებულმა შეავლო თვალი.

– მგონი, დილანს ბევრი საქმე არ უნდა ჰქონდეს და წამოგყვება, – თქვა მან, თან საყასბო დანა ჩემი ტოლი ბიჭისკენ გაიშვირა, რომელიც საყინულეში თევზს ასაწყობებდა, – მაგრამ რამე ნორმალური ფეხსაცმელი დაგჭირდება. მაგ კედებით ვერ გაგიშვებ, ტალახში ჩაეფლობი.

– ჰოო? – მივუგე მე, – ასე გგონიათ?

– დილან! ამ ბატონს რეზინის ჩექმა მოართვი.

ბიჭმა ამოიოხრა, ზოზინით დახურა საყინულე, ხელები გაიწმინდა და თაროებს ზანტად მიუახლოვდა.

– ძალიან კარგი და გამძლე ბოტები გვაქვს, – თქვა თევზით მოვაჭრემ, – ერთს თუ იყიდი, მეორეს უფასოდ არავინაც არ მოგცემს, – გადაიხარხარა და ორაგულს დანა დაჰკრა. სისხლით მოსვრილი თევზის თავი დახლის ბოლოსკენ გასრიალდა და პატარა ურნაში ჩავარდა.

ჯიბიდან მამაჩემის მოცემული ფული ამოვაძვრინე. ვიფიქრე, რომ იმ ქალის საპოვნელად, ვისთან შესახვედრადაც ატლანტის ოკეანე გადმოვცურე, ცოტაოდენი ფულის დახარჯვა გამართლებული იქნებოდა.

მაღაზიიდან იმდენად დიდი ზომის ბოტებით გამოვედი, რომ შიგნით კედებიც თავისუფლად მეტეოდა. უზომოდ მძიმე ბოტები იყო და უკმაყოფილო მეგზურს ძლივს ვეწეოდი.

– სკოლაში ამ კუნძულზე დადიხარ? – ვკითხე დილანს. ფაქტობრივად, სირბილით მივყვებოდი. მართლა მაინტერესებდა, როგორი იყო ჩემი ასაკის ბიჭისთვის კუნძულზე ცხოვრება.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მან ყველაზე დიდ კუნძულზე მდებარე ქალაქის სახელი ჩაილულლულა.

– იქ მისასვლელად ბორნით ერთი საათი მაინც დაგჭირდება, არა?

– აჰა.

ეს იყო და ეს. საუბრის წამოწყების ყოველი მორიგი მცდელობისას კიდევ უფრო უხალისოდ მპასუხობდა, ან სულაც უპასუხოდ მტოვებდა; ამიტომ შევეშვი და უბრალოდ, უკან მივდევდი. ქალაქიდან გასვლისას გზაზე მის ერთ-ერთ მეგობარს შევეჩეხეთ, ჩვენზე უფროს ბიჭს, რომელსაც ყვითელი სპორტულები ეცვა და ზედ ყალბი ოქროს ჯაჭვები ჩამოეკონწიალებინა. ასტრონავტის სკაფანდრიც რომ მოერგო, ქეირნჰოლმისთვის უფრო შეუფერებელ ჩაცმულობას ვერ მოიფიქრებდა. დილანს მუშტი მუშტზე დაჰკრა და თავი ჭიად გამაცნო.

– ჭია? – გავიოცე მე.

– ჰო, ამ სახელით გამოდის ხოლმე სცენაზე, – ამიხსნა დილანმა.

– მთელ უელსში ყველაზე მაგრად ჩვენ ორნი ვრეპავთ, – განაგრძო ჭიამ, – მე რეპერი ჭია ვარ, ეს – მურთხი ზუთხი, იგივე ბინძური დილანი, ბინძური საქმოსანი, ქეირნჰოლმის ნომერ პირველი ბით-ბოქსერი. გინდა, ამ ამერიკელს კლასი ვუჩვენოთ, ბინძურო დი?

დილანი ნერვებმოშლილი ჩანდა.

– ახლა?

– მიდი, რამე გიჟური რიტმი შეუბერე.

დილანმა ტუჩები მოპრუწა, მაგრამ ბოლოს მაინც დასთანხმდა. თავიდან მეგონა, იხრჩობოდა, თუმცა მერე მივხვდი, რომ მის ფურთხებაში რიტმი იგრძნობოდა.

– პაჰ-პაჰ, პიუ, პაჰ-პაჰ-პაჰ-პაჰ, პიუ-პიუ.

ამაზე ჭიამ გარეპვა დაიწყო.

– „მღვდლის ორმოში“ ყოფნა მიყვარს,
რადგან ხშირად ვთვრები,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იქ აგდია მამაშენი
მთელი ღამეები.
მაგარ რითმებს რომ ვიგონებ,
ნუ გგონია ადვილი.
დილანის ბიტს შეედრება
მხოლოდ კარგი სადილი.

დილანი გაჩერდა.

– ვერანაირი აზრი ვერ გამოვიტანე... და მამაშენი აგდია იქ მთელი ღამე, თუ კარგია.

– ჯანდაბა, ბინძურო დი, მაშინ ახლა შენ გააგრძელე, – ჭიამ ბით-ბოქსინგი დაიწყო, – მიკროფონი აიღე, დი.

დილანი დარცხვენილი ჩანდა, მაგრამ რითმების მოფიქრებას შეუდგა:

– ჩიტუნია გავიცანი და მას ერქვა შერონი,
ისე ძაან მოვეწონე, თქვა, მე დიდხანს გელოდი.
მაგარი დრო გავატარეთ, არ ჩავვარდი ვალებში
და ეს რითმა მოვიფიქრე, როცა ვიყავ ტუალეტში.

ჭიამ თავი გააქნია.

– ტუალეტში?

– გასარეპად მთლად მზად არ ვიყავი.

ისინი მომიტრიალდნენ და აზრი მკითხეს. იმის გათვალისწინებით, რომ ერთმანეთის შემოქმედება თავადაც არ მოსწონდათ, ვერ მივხვდი, რა უნდა მეთქვა.

– მგონი, მე უფრო სხვანაირი მუსიკა მომწონს... როცა მღერიან... და გიტარაზე უკრავენ.

ჭიამ ხელის აქნევით შემაჩერა:

– ამას სულ რომ პანჩურები ურტყა, რითმის მომფიქრებელი არ არის.

დილანს გაეცინა და მათ ხანგრძლივი, კომპლექსური ხელის ჩამორთმევისა და მუშტის დაკვრის ილეთი შეასრულეს.

– შეიძლება წავიდეთ? – ვიკითხე მე.

ცოტა ხანს კიდევ იბუზღუნეს და იზოზინეს, მერე კი სახლისკენ მიმავალ გზას დავადექით, ამჯერად ჭიასთან ერთად.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მე ჩამოვრჩი. ვცდილობდი, მის პერეგრინისთვის სათქმელი ტექსტი დამელაგებინა. თავაზიან უელსელ ქალბატონთან შეხვედრას ველოდი. ალბათ სასტუმრო ოთახში ჩაის მოვწრუპავდით და უმნიშვნელო ამბებზე ვიბაასებდით, სანამ ცუდი ამბის შესატყობინებლად შესაფერის დროს არ შევარჩევდი.

– იცით, მე აბრაამ პორტმანის შვილიშვილი ვარ, – ვეტყოდი მას, – ამის თქმა ძალიან მიმძიმს, მაგრამ მან ჩვენ... დაგვტოვა.

შემდეგ, ჩუმად ცრემლს რომ შეიშრობდა, კითხვებს დავაყრიდი.

დილანსა და ჭიას მიხვეულ-მოხვეულ გზაზე მივყვებოდი, რომელიც საბალახოდ გამოსული ცხვრით მოფენილ საძოვრებს მიუყვებოდა. მერე სქელი ბურუსით გარშემორტყმულ ციცაბო კლდეს მივადექით. ისეთი განცდა მქონდა, თითქოს სხვა სამყაროში შევაბიჯე. რომელიღაც ბიბლიურ სურათს ჰგავდა. წარმოვიდგინე, რომ გამწყრალი ღმერთი ეგვიპტელებს ამ ბურუსის მოვლინებით სჯიდა. დაღმართზე ნისლი უფრო და უფრო სქელდებოდა. მზე ფერმკრთალ, რძისფერ წყვდიადში გაუჩინარდა. ტანსაცმელი დამინესტიანდა. ტემპერატურა მკვეთრად დაეცა. ცოტა ხნით ჭია და დილანი დავკარგე და გავიქეცი. მალე მივაგენი, იდგნენ და მელოდნენ.

– ამერიკელო! – დამიძახა დილანმა, – აქეთ.

მორჩილად მივყევი. საცალფეხო ბილიკზე სიარულის ნაცვლად ახლა გზას ჭაობით დაფარულ ველზე მივიკვლევდით. ცხვარი დიდი, წყლიანი თვალებით მოგვშტერებოდა, ბეწვი დანამვოდა და კუდი ჩამოეშვა. ნისლში პატარა, ფანჯრებაჭედილი სახლი გამოჩნდა.

– დარწმუნებული ხარ, რომ ის სახლია? – გავიოცე მე, – მგონი, ცარიელია.

– ცარიელი?! არა, შიგ ბლომად მძღნერია, – მომიგო ჭიამ.

– მიდი, შეიხედე, – მითხრა დილანმა.

ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ვილაცის მიერ დაგებულ ხაფანგში გავები, თუმცა საფეხურები მაინც ავიარე და

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კარზე დავაკაკუნე. ურდული არ ჰქონდა და ხელის შეხებისთანავე გაიღო. შიგნით ისე ბნელოდა, არაფერი ჩანდა. ჩემდა გასაკვირად, თითქოს მყარ, ჭუჭყიან ზედაპირზე დავდგი ფეხი, მაგრამ მალევე გავაცნობიერე, რომ სინამდვილეში კოჭებამდე ექსკრემენტის ზღვა იყო. ეს უკაცური ქოხმახი, რომელიც გარედან უწყინარ შთაბეჭდილებას ტოვებდა, ცხვრის მოსასაქმებელი ადგილი და ნამდვილი ქაქის ორმო გახლდათ.

– ღმერთო! – შევძახე ზიზღით.

გარედან სიცილი შემომესმა. სასწრაფოდ უკან დავიხიე, საშინელი სუნისგან გული რომ არ წამსვლოდა. ბიჭებს მუცლებზე ხელები მიეჭირათ და ხარხარებდნენ.

– რა ნაბიჭვრები ხართ, – ვთქვი მე და ნაკელის ჩამოსაფერთხად ბოტები ავაბაკუნე.

– რაო? – იკითხა ჭიამ, – ხომ გითხარი, შიგნით მძღნერიამეთქი.

ყურადღება არ მივაქციე და დილანს ნერვებაშლილმა მივმართე:

– იმ სახლს მაჩვენებთ თუ არა?

– ეს მართლა სერიოზულად ამბობს, – ჭია თვალებზე მომდგარ ცრემლს იწმენდდა.

– რა თქმა უნდა, სერიოზულად ვამბობ!

დილანს სახეზე ღიმილი შეაცივდა.

– მეგონა, ღადაობდი, მეგობარო.

– რაა?

– მეგონა, ხუმრობდი.

– არ ვხუმრობ.

ბიჭებმა ერთმანეთს შეშფოთებით გადახედეს. დილანმა ჭიას ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. მერე ჭიამაც ჩასჩურჩულა. ბოლოს დილანი მომიტრიალდა და ბილიკზე მიმითითა.

– თუ მისი ნახვა ასე ძალიან გინდა, ჭაობს გასცდი და ტყე გაიარე. ძალიან დიდი და ძველი სახლია, გვერდს ვერ აუვლი.

– ეს რა ჯანდაბაა! თქვენ არ უნდა მიგეცილებინეთ?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჭიამ გვერდზე გაიხედა.

– ამაზე შორს ვერ წამოვალთ.

– რატომ?

– ვერ წამოვალთ და მორჩა, – შებრუნდნენ და მძიმე ნაბიჯით უკანვე გაბრუნდნენ.

სხვადასხვა ვარიანტის განხილვა დავიწყე: ან ჩემს მწვალებლებს უნდა გავყოლოდი ან გზა მარტოს გამეგრძელებინა და მამა მომეტყუებინა.

ცოტა ხნის განსჯა-ფიქრის შემდეგ გზას დავადექი.

* * *

ბილიკის ორივე მხარეს, ნისლში, უზარმაზარი ჭაობი გადაჭიმულიყო. სადამდეც თვალი მიმიწვდებოდა, მხოლოდ შეყავისფრებულ ბალახსა და ჩაყვითლებულ წყალს ვხედავდი. ცოტა ხნის შემდეგ დაბურულ ტყეში შევედი. ხეთა ტოტები ძველი ფუნჯების თავებივით გაფარჩხულიყო. ბილიკი ჩამოცვენილ ფოთლებსა და სუროს ხალიჩებში გაუჩინარდა და ორიენტირება ბრმად, ბედის ამარა, მიწევდა. ნეტავი, მოხუცი მის პერეგრინი ამ დაბრკოლებებს როგორ ძლევდა? ვივარაუდე, რომ მასთან სახლში პროდუქტი შეკვეთით მიჰქონდათ, თუმცა, იქვე მივხვდი, რომ ამ გზაზე არათუ თვეების, არამედ წლების განმავლობაში, კაციშვილს ფეხი არ დაედგა.

უშველებელ, ხავსით დაფარულ კუნძზე გადავცოცდი. ხეები ფარდასავით გაიყო და ბურუსით მოცული სახლი დავინახე. გასაგები გახდა, ბიჭებმა წამოსვლაზე უარი რატომაც მითხრეს.

ბაბუაჩემს სახლი ასჯერ მაინც ჰქონდა აღწერილი, თუმცა მის ნაამბობში ის ყოველთვის ნათელი, ბედნიერების მომნიჭებელი ადგილი გახლდათ. უზარმაზარი და თავგზაამბნევიც, მაგრამ მაინც სინათლითა და მხიარულებით სავსე. ჩემ წინ კი მონსტრებისგან თავდასაცავი შენობა კი არა, თვითონ მონსტრი იდგა – მთის მწვერვალიდან მაცქერალი და დამშე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ული. ჩამსხვრეული ფანჯრებიდან ხეები გარეთ გამოდიოდა. ველური ვაზის ხორკლიანი ტოტები კედლებს ისე მოსდებოდა, როგორც ანტისხეულები – ვირუსს, თითქოს სახლისთვის თავად ბუნებას გამოეცხადებინოს დაუნდობელი ომი; თუმცა ის – უკვდავი და დაუმარცხებელი – ამაყად თავაწეული იდგა, მიუხედავად უპროპორციო კუთხეებისა და ალაგ-ალაგ ჩამონგრეული სახურავისა.

ვცადე, თავი დამერწმუნებინა, რომ ამ ჩამონგრეულ სახლში მაინც შეიძლებოდა ვინმეს ეცხოვრა. მსგავსი რამ ჩემი ქალაქისთვისაც კი არ ყოფილა უცხო ხილი. ზოგჯერ აღმოუჩენიათ, რომ ნანგრევებს ქალაქის გარეუბანში ვიღაც მოხუცი განდეგილისთვის სახლის მაგივრობა გაუწევია. ადამიანები ბერდებიან და სახლს ველარ უვლიან, ხოლო ოჯახთან, ამა თუ იმ მიზეზის გამო, ურთიერთობა გაწყვეტილი აქვთ. ისინი არავის ახსოვს, სანამ ქონების შემფასებელი შიგნით არ შეიჭრება და საბრალო არსებას დივანზე მტვრად ქცეულს არ იპოვის. სამწუხაროდ, ასეც ხდება ხოლმე; ამიტომ დაკაკუნება მაინც მომიწევდა.

შერჩენილი გამბედაობა მოვიკრიბე და წელამდე ბალახში გზა გავიკვლიე. შემდეგ დამტვრეულ კაფელსა და დამპალ მორებს გადავახტი, გაბზარულ ფანჯარაში რომ შემეჭყიტა. ჭუჭყიანი შუშიდან მხოლოდ ავეჯის მოხაზულობა გავარჩიე, ამიტომ კარზე დავაკაკუნე და უკან დავიხიე. ირგვლივ სიჩუმე სუფევდა. ჯიბეში მის პერეგრინის წერილი ჩავბღუჯე – ჩემი ვინაობის დასადასტურებლად თან წამომეღო. ჯერ ერთი, მერე ორი წუთი მიიწურა და აშკარა გახდა, რომ წერილი არ დამჭირდებოდა.

გადავწყვიტე, სახლისთვის გარს შემომევლო. ყველა კუთხეში ახალ-ახალი აივნები, ქანდარები და საკვამურები მხვდებოდა. როცა სახლის უკან აღმოვჩნდი, შიგნით შეღწევის შესანიშნავი შესაძლებლობა მომეცა – უკარო შესასვლელი, რომელსაც ველური ვაზი ფარავდა, შავი, ფართოდ დაღებუ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლი ხახა, თითქოს ჩემ გადაყლაპვას რომ ლამობდა. ამის დანახვაზე თმა ყალყზე დამიდგა, მაგრამ ნახევარი მსოფლიო იმისთვის არ გამომევლო, რომ სახლის შემზარავი შესახედაობის გამო ყვირილით უკან გავქცეულიყავი. ის საშინელებები გავიხსენე, რასთან გამკლავებაც ბაბუა პორტმანს მოუხდა და ვიგრძენი, გამბედაობა მემატებოდა. შიგნით თუ ვინმე ცხოვრობდა, აუცილებლად მივაკვლევდი. დამსხვრეული საფეხურები ავიარე და სახლის ზღურბლი გადავკვეთე.

* * *

სამარხივით ბნელ შესასვლელში ვიდექი და კაუჭებზე ჩამოკიდებულ ტყავს გაქვავებული ვუყურებდი. მეგონა, სიბნელიდან ვიღაც შეშლილი კანიბალი გამოხტებოდა დანით ხელში, მაგრამ შემდეგ მივხვდი, რომ ეს მხოლოდ საკიდზე ჩამოკიდებული დაძონძილი და სიძველისგან ფერდაკარგული ქურთუკები იყო. უნებლიეთ გამაჟრჟოლა და ღრმად ჩავისუნთქე. ჯერ მხოლოდ სამი მეტრი მქონდა გავლილი და შიშისგან უკვე კინაღამ ჩავისვარე.

– გამაგრდი, – ვუთხარი საკუთარ თავს.

შემდეგ ფეხაკრეფით შევუდექი სახლის გარშემოვლას. გული გამალებით მიცემდა.

ყოველი ოთახი წინაზე უფრო შემაძრწუნებელი გახლდათ. გაზეთები გორაკებად დაეხვავებინათ, დამტვრეული სათამაშოები, დიდი ხნის წინ გარდაცვლილი ბავშვების მოსაგონარი, მტვერში მიმოფანტულიყო. ფანჯრების გარშემო სივრცე ხავსს დაეფარა. ჭერიდან ჩამოზრდილი ხვიარა მცენარეები, თითქოს ბუხრების დახრჩობას რომ ლამობდნენ, იატაკზე საცეცებივით განტოტვილიყვნენ. სამზარეულოს თაროებზე ქილები ელაგა. ნაწილი ათი ათასჯერ გაყინვისა და ადუღების გამო დამსკდარიყო და კედელზე შემზარავი შესახედაობის ლაქები დაეტოვებინა. სასადილო ოთახში ბათქაში ჩამოცვენილიყო და წამით მეგონა, ჭერქვეშ თოვლი იდო. ჩაბნელებული დე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რეფნის ბოლოში მორყეული კიბე ფეხით მოვსინჯე. რეზინის ჩექმა სქელ ფენად დადებულ მტვერზე ახალთახალ კვალს ტოვებდა. საფეხურებმა ხმამაღალი კვნესა დაიწყეს, თითქოს ღრმა ძილიდან გამოაფხიზლესო. თუ ზედა სართულზე ვიღაც ნამდვილად იმყოფებოდა, აშკარა გახლდათ, რომ მას ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ქვევით ფეხი არ ჩამოედგა.

ზემოთ ორი კედლებჩამონგრეული ოთახი დამხვდა, სადაც ბუჩქები და დაბალი ხეები ამოზრდილიყო. ნიავის სუსტ ქროლვას ვგრძნობდი და ვერ გამერკვია, რას შეეძლო სახლის ასე დაზიანება. ალბათ, რაღაც საშინელება დატრიალდა. მყუდრო სახლზე ბაბუას ნაამბობსა და ამ საშინელ შენობას ერთმანეთს ვერ ვუკავშირებდი. ჯერ კიდევ ბევრი რამ მქონდა სანახავი, მაგრამ მივხვდი, რომ ეს დროის ფლანგვა იქნებოდა. შეუძლებელი იყო, აქ ვინმეს ეცხოვრა, ყველაზე კაცთმოძულე განდეგილსაც კი. სახლიდან იმ შეგრძნებით წამოვედი, რომ სიმართლის გარკვევას უწინდელზე უფრო დიდი მანძილი მაშორებდა.

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ოცი ავტორი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნისლიან ტყეში გზა ხტუნვით, ბორძიკითა და ხელის ცეცებით გავიკვლიე და სინათლით სავსე სამყაროს დავუბრუნდი. გავოგნდი, როდესაც შევნიშნე, რომ მზე ჩადიოდა და ცა წითლად შეეფერადებინა. მთელ დღეს შეუმჩნევლად გაევლო. ლუდის ბარში მამა მელოდა. კუპრივით შავი ლუდი და გახსნილი ლეპტოპი წინ, მაგიდაზე ელაგა. ჩამოვჯექი და მის ლუდს ხელი დავტაცე, სანამ ბეჭდვას შეწყვეტდა და ამომხედავდა.

– ო, ღმერთო, – ამოვაფურთხე და ხველა ამიტყდა, – ეს რა არის, ძრავის ზეთი?

– დაახლოებით, – გაეცინა მამას და ზურგი მოიფხანა, – ამერიკულ ლუდს არ ჰგავს; თუმცა შენ ამერიკული ლუდი არც გაგისინჯავს, ხომ ასეა?

– რა თქმა უნდა, არა, – თვალი ჩავუკარი. არადა, სიმართლეს ვამბობდი.

მამას რატომღაც სწამდა, რომ მე ისეთივე თავგადასავლების მოყვარული ვიყავი, როგორიც თვითონ იყო ჩემს ასაკში.

გამომკითხა, როგორ მივაღწიე სახლამდე და ვინ დამეგზავრა. რადგან მოტყუება ყველაზე მარტივი მაშინაა, როდესაც ახალ ამბავს კი არ იგონებ, არამედ ფაქტებს საერთოდ გამოტოვებ ხოლმე, მომხდარის მოკლე შინაარსი ვუამბე. საკმაოდ მოხერხებულად „დამავიწყდა“ იმის თქმა, რომ ჭიამ და დილანმა ცხვრის კურკლში ჩაძირულ სახლში შემიტყუეს, შემდეგ კი დანიშნულების წერტილამდე ნახევარი მილის მო-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შორებით მარტო დამტოვეს. მამას ესიამოვნა, რომ ჩემი თანატოლების გაცნობა მოვახერხე. როგორც ხვდებით, იმის ხსენებაც გამომრჩა, რომ ამ ბავშვებს ვეზიზღებოდი.

– სახლზე რას მეტყვი?

– მთლიანად განადგურებულია.

შეკრთა.

– ძალიან დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ბაბუაშენი იქ ცხოვრობდა.

– ან სხვა ვინმე.

მამამ ლეპტოპი დახურა. ეს იმის მანიშნებელი იყო, რომ მთელ ყურადღებას მე დამითმობდა.

– გეტყობა, იმედგაცრუებული ხარ.

– ჰო, ათასობით მილი შემაძრწუნებელი შესახედაობის, ნაგვით გატენილი სახლის სანახავად არ გამომივლია.

– ახლა რას აპირებ?

– იქნებ ვინმე დამეხმაროს. ვინმეს მაინც ეცოდინება იქ ნამყოფი ბავშვების ვინაობა. წესით, რამდენიმე მათგანი ჯერ კიდევ ცოცხალი უნდა იყოს. იქნებ აქ ან მთავარ კუნძულზე ცხოვრობენ, მოხუცთა თავშესაფარში ან სადმე სხვაგან.

– მშვენიერი იდეაა, – თქვა მამამ, თუმცა დაეჭვებული ჩანდა. ცოტა ხანს მიყურა და მკითხა:

– შენი აზრით, აქ ყოფნა ბაბუაშენის უკეთ გაცნობაში დაგეხმარება?

დავფიქრდი.

– არ ვიცი, ალბათ, მაგრამ ეს უბრალო კუნძულია, ასე არ არის?

– ზუსტადაც რომ, – თავი დამიქნია.

– შენ დაგეხმარება?

– მე? – მხრები აიჩეჩა, – მე მამაჩემთან საერთო ენის გამონახვაზე დიდი ხანია ხელი ჩავიქნიე.

– სამწუხაროა. მაინცდამაინც არ გაინტერესებდა?

– თავიდან როგორ არა, მაგრამ რაღაც პერიოდის შემდეგ – აღარ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვიგრძენი, ეს საუბარი ჩემთვის უსიამოვნო თემამდე მიგვიყვანდა, მაგრამ მაინც არ გავჩერდი.

– რატომ?

– როდესაც სახლში არ გიშვებენ, კარზე კაკუნს წყვეტ. ხვდები, რისი თქმა მინდა?

მამა ასე არასდროს ლაპარაკობდა. შეიძლება ლუდის ბრალი იყო, შეიძლება სახლიდან შორს ყოფნის, ან უბრალოდ, გადაწყვიტა, რომ ამის მოსასმენად უკვე საკმარისად დიდი ვიყავი. არ მინდოდა, შეეწყვიტა.

– მამაშენი არ იყო? რატომ დანებდი?

– მე არ დავნებებულვარ! – ძალიან ხმამაღლა მოუვიდა. დარცხვენილმა ძირს დაიხედა და ხელი ლუდის ბოკალს წაავლო.

– უბრალოდ... მე მგონია, რომ ბაბუაშენმა არ იცოდა, მამობა როგორ გაეწია, მაგრამ მიაჩნდა, რომ მამა აუცილებლად უნდა გამხდარიყო – მისი და-ძმებიდან ხომ ომს მხოლოდ ის გადაურჩა. სულ სანადიროდ დადიოდა, მოგზაურობდა. ჩვენთან ყოფნისასაც კი, გეგონებოდა, ფიქრებით სადღაც სხვაგან იყო.

– ჰელოუინს გულისხმობ?

– რაა?

– ფოტოდან ვიცი.

ეს ძველისძველი ამბავი ჰელოუინის დღეს მოხდა. მამაჩემი 4 ან 5 წლის იქნებოდა და ტკბილეულის შესაგროვებლად ჯერ არასდროს ყოფილიყო, ამიტომ ბაბუა პორტმანი შეპირდა, რომ სამსახურის შემდეგ აუცილებლად წაიყვანდა. ბებიაჩემს მამასთვის სასაცილო, ვარდისფერი კურდღლის კოსტიუმი უყიდია. მამას სასწრაფოდ ჩაუცვამს და ბაბუას მოლოდინში ეზოში დამჯდარა. 5 საათიდან დაღამებამდე ელოდა, მაგრამ ბაბუა არ დაბრუნებულა. ბებია ისე გაბრაზებულა, რომ ქუჩაში მტირალი მამაჩემისთვის სურათი გადაუღია, რომ ბაბუასთვის თვალი აეხილა და ეჩვენებინა, რა გარეწარიც ბრძანდებოდა. რა თქმა უნდა, ეს სურათი მამაჩემისთვის სირცხვილის და ტყუილის სიმბოლოდ იქცა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

JUN • 56

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჰელოუინის შემთხვევა მხოლოდ ერთ-ერთი იყო, – თავი დახარა, – ჯეიკ, შენ მასთან ბევრად ახლოს იყავი, ვიდრე მე ოდესმე ვყოფილვარ. არ ვიცი, რატომ, მაგრამ თქვენ შორის უხილავი კავშირი არსებობდა.

რა უნდა მეპასუხა? ნუთუ ჩემზე ეჭვიანობდა?

– ამას რატომ მეუბნები?

– რადგან ჩემი შვილი ხარ და არ მინდა, რამეზე გული დაგწყდეს.

– მაინც რაზე?

შეყოვნდა. გარეთ ღრუბლებმა ფორმა იცვალა და მზის უკანასკნელმა სხივებმა ჩვენი ჩრდილები კედელზე არეკლა. უცნაური გრძნობა დამეუფლა – აი, ისეთი, მშობლები რომ გეუბნებიან, განქორწინებას ვაპირებთო, მაგრამ სიმართლეს იქამდე ხვდები, ვიდრე ხმას ამოიღებენ.

– მე ჩაძიება არ მიცდია. მეშინოდა, რომ რაღაც არასასურველს აღმოვაჩენდი, – თქვა მან.

– ომს გულისხმობ?

– არა. ბაბუა ომის ამბებს თავისთვის ინახავდა, რადგან ისინი ტკივილს აყენებდა. ეს ყველაფერი მშვენივრად მესმოდა. მე მოგზაურობასა და მის მუდმივ არყოფნას ვგულისხმობ. იმის გაგების მეშინოდა, სინამდვილეში რას აკეთებდა. მგონი, მეც და მამიდაშენსაც სხვა ქალის არსებობის გვჯეროდა. შეიძლება არა ქალის, არამედ – ქალების.

ნათქვამის გასააზრებლად დრო დამჭირდა. სხეული უნებურად ამითრთოლდა.

– მამა, რა სისულელეა.

– ერთხელ წერილი ვიპოვეთ. ვიღაც ქალისგან იყო. წერდა: „მიყვარხარ, მენატრები, როდის დაბრუნდები?“ და მსგავსი რამეები.

თითქოს დანა ჩამცესო, ისე შემრცხვა. მეგონა, მამაჩემი ჩემს დანაშაულზე საუბრობდა, თუმცა, ნათქვამი ბოლომდე მაინც ვერ დავიჯერე.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– წერილი დავხიეთ და უნიტაზში ჩავრეცხეთ. მეტი წერილი აღარ გვიპოვია. ალბათ, შემდეგში სიფრთხილეს იჩენდა.

მამაჩემს თვალს ვერ ვუსწორებდი.

– მაპატიე, ჯეიკ. ადვილი მოსასმენი არაა. ვიცი, ბაბუას როგორ აღმერთებდი.

ჩემკენ გამოიწია, რომ მხარზე ხელი გადაეხვია, მაგრამ გავიწიე და მისი ხელი ავირიდე. შემდეგ სკამის საზურგეს მივეხეთქე და წამოვდექი.

– მე არავის ვაღმერთებ.

– კარგი. უბრალოდ... არ მინდოდა, ეს შენთვის მოულოდნელი ინფორმაცია ყოფილიყო. სულ ესაა.

ქურთუკს ხელი წავავლე და ზურგზე მოვიგდე.

– რას აკეთებ? სადილის დროა.

– არ ხარ მართალი, – ვთქვი მე, – და ამას დავამტკიცებ!

ამოიხვნეშა. ეტყობა, მიხვდა, რომ ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა.

– კი ბატონო. იმედია, ასე იქნება.

„მღვდლის ორმო“ დავტოვე და კარი გავიჯახუნე. უმისამართოდ წავედი. ხანდახან ადამიანს, უბრალოდ, ჰაერის გამოცვლა სჭირდება.

რა თქმა უნდა, მამა სიმართლეს ამბობდა – ბაბუას ვაღმერთებდი. მე მისი ისტორიების ავთენტურობის დასაბუთება მჭირდებოდა, ოღონდ ღალატი მათ რიცხვში არ შედიოდა. ბავშვობაში ბაბუას ფანტასტიკურმა ზღაპრებმა დამარწმუნა, რომ ჯადოსნური ცხოვრება შესაძლებელი იყო. მას შემდეგაც კი, რაც გავაცნობიერე, რომ ეს ამბები სიმართლეს არ შეესაბამებოდა, ბაბუას მაინც მოსდგამდა რაღაც მაგიური იდუმალება. ის თავს გადახდენილ საშინელებებს გაუმკლავდა და ღირსეულ, კეთილ და მამაც ადამიანად ჩამოყალიბდა, ისეთად, როგორიც მე გავიცანი – ეს კი ნამდვილად საოცრება გახლდათ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

* * *

მუზეუმის კარი ღია დამხვდა, შუქი – ანთებული, მაგრამ შიგნით ვერავინ ვნახე. იქ კურატორთან სალაპარაკოდ წავედი. ვიმედოვნებდი, რომ მას მაინც ეცოდინებოდა რაიმე კუნძულის ისტორიისა და ცარიელი სახლის შესახებ და მისი ძველი მაცხოვრებლების ადგილსამყოფელს მიმასწავლიდა. ვიფიქრე, ალბათ ცოტა ხნით გავიდა-მეთქი და დროის მოსაკლავად ექსპონატების თვალიერება დავიწყე.

ექსპონატები კედლებთან, საეკლესიო სკამების ადგილას განლაგებულ დიდ, ღია კარადებში იყო მოთავსებული. მათი უმეტესობა წარმოუდგენლად მოსაწყენი აღმოჩნდა – ძირითადად თევზჭერის ტრადიციის მქონე სოფლის ცხოვრებას აღწერდა, თუმცა ერთი ექსპონატი სხვებისგან გამორჩეული მომეჩვენა. საპატიო ადგილას, მდიდრულ კოლოფში მოეთავსებინათ იქ, სადაც ადრე საკურთხეველი უნდა ყოფილიყო. მის წინ თოკი გაეჭიმათ (რომელსაც გადავაბიჯე) და იქვე პატარა გამაფრთხილებელი წარწერაც გაეკრათ (რისი კითხვითაც თავი არ შემიწუხებია). კოლოფს ხის კუთხეები ჰქონდა, ხოლო ზედაპირი თერმოპლასტის მინით დაეფარათ, ამიტომაც შიგ ჩახედვა მხოლოდ ზევიდან იყო შესაძლებელი.

როდესაც ჩავიხედე, სუნთქვა შემეკრა და მაშინვე გამიელვა: „ურჩხული!“ გაშავებული ცხედრის პირისპირ აღმოვჩნდი. დამჭკნარი სხეული საზიზღარი კანით, რომელიც თითქოს ცეცხლის ალზე შეეტრუსათ, ჩემი ღამეული კოშმარების სტუმრებს მაგონებდა. წამით მეგონა, რომ ყელში მწვდებოდა და მიმახრჩობდა, მაგრამ არაფერი მომხდარა და ცოტათი დავმშვიდდი. ეს უბრალოდ მუზეუმის ექსპონატი იყო, ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფი.

– როგორც ვხვდები, ბერიკაცი გაიცანი! – თქვა ხმამ ჩემ ზურგსუკან. შემოვტრიალდი და ჩემკენ მომავალი კურატორი დავინახე.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მასთან შეხვედრას საკმაოდ კარგად გაუმკლავდი. ხშირად მინახავს მის დანახვაზე გულწასული ზრდასრული მამაკაცები! – გაიკრიჭა და ხელი გამომიწოდა.

– მარტინ პეგეტი. მგონი, წინა შეხვედრისას შენი სახელი არ გიხსენებია.

– ჯეიკობ პორტმანი, – მივუგე, – ეს ვინ არის? უელსის ყველაზე გახმაურებული მკვლელობის მსხვერპლი?

– ჰა-ჰა-ჰა! შეიძლება მსხვერპლიც იყოს, მაგრამ არქეოლოგიურ წრეებში „ქეირნჰოლმის ადამიანის“ სახელითაა ცნობილი. ჩვენ კი, უბრალოდ, „ბერიკაცს“ ვეძახით. 2700 წელზე მეტისაა, თუმცა სულ 16 წლისა იყო, რომ დაიღუპა. შეიძლება ითქვას, რომ ბებერი ახალგაზრდაა.

– 2700? – მკვდარი ბიჭის სახეს დავხედე; მისი სათუთი ნაკვთები, კაციშვილმა არ იცის, რა მანქანებით, მშვენივრად შემონახულიყო, – მაგრამ ის ძალიან...

– ასე ხდება ხოლმე, როდესაც დროს უჟანგბადო და ბაქტერიებისგან თავისუფალ ადგილას ატარებ, მაგალითად, ჩვენი ჭაობის წიაღში. ეს ნამდვილი ახალგაზრდობის წყაროა, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ უკვე მკვდარი ხარ.

– იქ იპოვეთ? ჭაობში?

კურატორს გაეცინა.

– მე არ მიპოვია. ტორფის მჭრელებმა იპოვეს. 70-იანებში ტორფის ჭაობს თხრიდნენ. ახალ გარდაცვლილს ჰგავდა და ეგონათ, ქეირნჰოლმში მკვლელი დაძრწოდა, სანამ პოლიციელებმა მის ხელში უძველესი ხანის მშვილდი და მის ყელზე შემოჭერილი ადამიანის თმისგან დაწნული ქამანდი არ შეამჩნიეს.

გამაჟრიალა.

– მსხვერპლშეწირვას ჰგავს.

– ზუსტად. მას გაგუდვის, დახრჩობის, გამოფატვრისა და თავში მოხვედრილი ისრის კვალი ეტყობოდა, რაც მისი მოსპობის მცდელობაზე მიანიშნებდა. შენ ასე არ გგონია?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ალბათ.

მარტინს ხარხარი აუტყდა.

– ალბათ! – გამომაჯავრა.

– კარგი, მართალი ხარ.

– რასაკვირველია, მართალი ვარ, თუმცა, ჩვენთვის, თანამედროვე ადამიანებისთვის, ყველაზე გასაკვირი ისაა, რომ, ჩვენი ვარაუდით, ბიჭი სიკვდილზე საკუთარი ნებით წავიდა. მის ხალხს ხომ ჭაობი ღმერთების სამყაროში შესასვლელი კარიბჭე ეგონა, ხოლო ღმერთებისთვის საუკეთესო ძღვენი – ადამიანის მსხვერპლად შეწირვა.

– რა სიგიჟეა!

– მეც მასე მგონია. თუმცა ის მეთოდები, რა მეთოდებითაც ჩვენ დღეს ვიკლავთ თავს, მომავლის ადამიანებს ალბათ სიგიჟედ მოეჩვენებათ. რაც შეეხება სხვა სამყაროს კარიბჭეს, ჭაობი ცუდი არჩევანი არ უნდა იყოს – ის არც მთლად წყალია და არც მიწა, რაღაც შუალედურია.

მარტინი კოლოფზე გადაიხარა და შიგნით ჩასვენებულ არსებას ჩააშტერდა.

– განა მშვენიერი არ არის?

სხეულს ხელმეორედ შევხედე – გაგუდულს, გამოფატრულსა და დამხრჩვალს, მაგრამ ამ ყველაფრის გადატანის შემდეგ, უკვდავად ქცეულს.

– არა მგონია, – ვაღიარე.

მარტინი გასწორდა და შემდეგ გამოთქმით დაიწყო:

– აგერ, იხილეთ კუპრისფერი გვამი კაცისა!
მშვიდად განისვენებს;
ჭვარტლისფერია მისი სახე და
სათუთია მისი ნაკვთები.
დამჭკნარი კიდურები
ქვანახშირს მიუგავს,
ტერფები კი – ზღვის მიერ
გამორიყულ ნაფოტებს,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რომლებიც ზედ უსიცოცხლოდ ჩამოჰკიდებია
გამხმარი ყურძნის მარცვლებივით.

მარტინმა ხელები თეატრის მსახიობივით განზე გაშალა და მედიდური ნაბიჯებით სიარულს მოჰყვა.

– აგერ, იხილეთ მისი ჭრილობები –

დანით მიყენებული!

ქვებით ჩაქოლილი

ტვინი და ძვლები,

ჯერაც მის ყელზე მოქანავე თოკი.

ის პირველი ნაყოფია,

რომელიც აკაფეს და სანაგვეზე მოისროლეს.

სამოთხის მაძიებელო,

ახალგაზრდობაში დატუსაღებულო მოხუცო,

სულ ცოტა მაკლია, გითხრა: მიყვარხარ!

მან თავი დამიკრა, მე კი აპლოდისმენტით დავაჯილდოვე.

– შესანიშნავია! თქვენ დაწერეთ?

– ნამდვილად, – მორცხვად გამიღიმა, – ხანდახან ერთიორ ტაეპს ვწერ ხოლმე, მაგრამ ეს მხოლოდ გატაცებაა. დიდი მადლობა, რომ მოგეწონა.

ნეტავი, ეს უცნაური, განათლებული კაცი, დაუთოებული შარვლითა და ახლადგამომცხვარი ლექსებით, ქეირნჰოლმში რატომ ცხოვრობდა? ბანკირს უფრო ჰგავდა, ვიდრე გადაკარგული, უგზო და უტელეფონო კუნძულის ბინადარს.

– დიდი სიამოვნებით გაჩვენებდი მთელ ჩვენს კოლექციას, – მითხრა მარტინმა და კარისკენ გამიძღვა, – მაგრამ მუზეუმი იკეტება. თუ გინდა, ხვალაც დაბრუნდი, თუმცა...

– მე აქ სხვა რამისთვის მოვედი. დიდი იმედი მაქვს, თქვენ მაინც გეცოდინებათ, – შევაჩერე, სანამ მუზეუმიდან გამომაპანღურებდა, – იმ სახლზე მინდოდა მეკითხა. მის სანახავად ვიყავი.

– მერე? – შესძახა, – მეგონა, შეგეშინდებოდა. როგორ მდგომარეობაშია ჩვენი აჩრდილების სახლი? ჯერ კიდევ არ წაქცეულა?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დავარწმუნე, რომ სახლი ადგილზე იყო, მერე კი ვკითხე:

– მანდ ვინც ცხოვრობდა, იმ ადამიანების ადგილსამყოფელი ხომ არ იცით?

– ყველა მკვდარია. ეს დიდი ხნის წინ მოხდა.

გავოგნდი, მიუხედავად იმისა, რომ არაფერი იყო საკვირველი – მის პერეგრინი მოხუცი იყო, მოხუცები კი კვდებიან. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავდა, რომ ჩემი გამოძიება დასრულდა.

– მე მხოლოდ დირექტორს არ ვეძებ. ნებისმიერს შევხვდებოდი, ვისაც იქ უცხოვრია.

– ყველა მკვდარია, – გამიმეორა, – ომის შემდეგ იქ არავის უცხოვრია.

გასააზრებლად რამდენიმე წუთი დამჭირდა.

– რას გულისხმობთ? რომელი ომის? – ვკითხე მერე.

– ჩემო ბიჭო, როდესაც ჩვენ ომს ვახსენებთ, მხოლოდ ერთი – მეორე მსოფლიო ომი იგულისხმება. თუ არ ვცდები, გერმანელების საჰაერო იერიშს შეეწირნენ.

– შეუძლებელია!

თავი დამიქნია.

– იმ დროს კუნძულის უკიდურეს წერტილში, ტყესთან და სახლთან ახლოს, საჰაერო იერიშისგან თავდასაცავი ქვემეხები ინახებოდა, რაც ქეირნჰოლმს ცხელ სამხედრო ზონად აქცევდა. გერმანელებს შეცდომა მოუვიდათ და ერთ-ერთი ბომბი შემთხვევით ზედ სახლის თავზე ჩამოაგდეს... იმ ბავშვებს ბედი არ ჰქონიათ, – თავი გააქნია.

– შეუძლებელია, – ხელმეორედ აღმომხდა და ჩავფიქრდი.

– ჩამოჯექი, ჩაის მოგიმზადებ, – მითხრა მარტინმა, – ფერი არ გადევს.

– ჰო, რაღაც ვერ ვარ კარგად.

სკამზე დამსვა და ჩაის გასაკეთებლად გავიდა. შევეცადე, აზრები დამელაგებინა. თუ სახლი ომის დროს დაიბომბა, უკედლო ოთახების არსებობის მიზეზი გასაგები იყო, მაგრამ მაშინ მის პერეგრინმა 15 წლის წინ როგორღა გამოგზავნა წერილი ქეირნჰოლმის შტემპელით?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მარტინი დაბრუნდა და ჭიქა გამომიწოდა.

– სულ ცოტა „პენდერინი“ – საიდუმლო ინგრედიენტი ჩავუმატე. მალე გამოგიყვანს.

მადლობა გადავუხადე და ჩაი მოვსვი. საიდუმლო ინგრედიენტი მაღალგრადუსიანი ვისკი აღმოჩნდა. ისეთი განცდა დამეუფლა, თითქოს საყლაპავ მილში ფეთქებადი ნივთიერება ჩამასხეს.

– მართლა მაგრად დამარტყა, – ვაღიარე სახეაწითლებულმა.

მხრები აიჩეჩა.

– მამაშენი არ გაბრაზდეს.

– არა, არაფერი მიჭირს. დაბომბვის შესახებ კიდევ რაიმეს მოყოლა თუ შეგიძლიათ, მადლობელი დაგრჩებით.

მარტინი ჩემ წინ სკამზე მოკალათდა.

– ერთი რამ მეც მიკვირს. ამბობ, ბაბუაჩემი იქ ცხოვრობდაო და ნუთუ დაბომბვა არასოდეს უხსენებია?

– ეგ მეც მაკვირვებს. ალბათ, ეს მას შემდეგ მოხდა, რაც მან სახლი დატოვა. თუ იცით, სახლი როდის დაიბომბა? ომი ახალი დაწყებული იყო თუ უკვე მთავრდებოდა?

– სიმართლე რომ გითხრა, არ ვიცი. თუ გაინტერესებს, გაგაცნობ ადამიანს, ვისაც აუცილებლად ეცოდინება – ბიძაჩემ ოგის. 83 წლისაა და მთელი ცხოვრება აქ გაატარა. გონება ხანჯლის პირივით მახვილი აქვს, – მარტინმა საათს დახედა.

– თუ მას „მამა ტედის“ დაწყებამდე მივუსწრებთ, ყველაფერს დიდი სიხარულით გიამბობს.

* * *

10 წუთის შემდეგ მე და მარტინი ოგის მისაღებ ოთახში, დივანზე მოვკალათდით. იქვე წიგნების გროვა და გაცვეთილი ფეხსაცმლის ყუთები აეხორხლათ. იმდენი სანათური ჩაემწკრივებინათ, ერთ დიდ სკვერს გაანათებდა, თუმცა მათგან მხოლოდ ერთი ჩაერთოთ. გავიფიქრე, გადაკარგულ კუნძულ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ზე ცხოვრება ადამიანებს თურმე ტყის ვირთხებად აქცევს-მეთქი. ოგი ჩვენ პირდაპირ იჯდა, ზემოდან გაცვეთილი პიჯაკი ეცვა, ქვემოთ კი პიჟამა. ისე გამოპრანჭულიყო, თითქოს სტუმრებს ელოდა, ოღონდ არც მთლად იმდენად პატივსაცემ ხალხს, რომ შარვლის ჩაცმა აუცილებლად მიეჩნია.

საუბრისას ცელოფანგადაკრულ სარწეველა სავარძელზე გაუთავებლად წინ და უკან ირწეოდა. მსმენელი რომ დაიგულა, ბედნიერი ჩანდა და როდესაც ამინდზე, უელსურ პოლიტიკურ გეზსა და ცუდი მანერების მქონე ახალგაზრდა თაობაზე საუბარი მოათავა, მარტინმა ბოლოს და ბოლოს მოახერხა ბავშვთა სახლისა და დაბომბვის ამბავი ეკითხა.

– როგორ არ მახსოვს! – შესძახა ოგიმ, – ძალიან უჩვეულო ბავშვები იყვნენ. ხანდახან ქალაქშიც ვხედავდით. მათი ზედამხედველიც გამოჩნდებოდა ხოლმე რძის, მედიკამენტების ან რაიმე სხვა პროდუქტის საყიდლად. მიესალმებოდი და მაშინვე გვერდზე გაიხედავდნენ. თავიანთ ნაჭუჭში იყვნენ ჩაკეტილი. ხალხი ბევრს ჭორაობდა, მაგრამ დანამდვილებით არავინ არაფერი იცოდა.

– მაინც რას ამბობდნენ?

– რაღაც მონაჩმახს. როგორც ვთქვი, არაფერი იცოდნენ. ზუსტად მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ჩვეულებრივი ობლები არ იყვნენ. ზოგიერთი გამართულადაც ვერ საუბრობდა ან ინგლისურად სიტყვაც არ იცოდა.

– ეგ იმიტომ, რომ სხვა ქვეყნებიდან გამოიქცნენ: პოლონეთიდან, ავსტრიიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, – ჩავერიე მე.

– ააა, – ცალი წარბი აწია ოგიმ, – ეგ არ გამიგია.

გაღიზიანებული ჩანდა; თითქოს ვაწყენინე, რაკი მისი კუნძულის შესახებ რაღაც მეტი ვიცოდი. სავარძელზე რწევა უფრო სწრაფად და აგრესიულად განაგრძო. თუ ბაბუაჩემსა და სხვა ბავშვებს ქალაქში ყველა ასე მტრულად ხვდებოდა, რა გასაკვირი იყო, კარჩაკეტილი ცხოვრებით ეცხოვრათ! მარტინმა ყელი ჩაიწმინდა:

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– და დაბომბვა, ბიძია?!

– პირში ნუ მეცემი ხოლმე! – მოხუცმა მკაცრად შეხედა, მერე კი ჩაფიქრებულმა განაგრძო, – ჰო, ჰო, ეგ დაწყევლილი გერმანელები. მაგათ რა დამავიწყებს?

შემდეგ ოგიმ საკმაოდ ვრცლად აგვიწერა, თუ რას ნიშნავდა გერმანიის საჰაერო იერიშების დროს კუნძულზე ცხოვრება: გამაყრუებელი სირენის ხმა, აყალმაყალი თავშესაფრებში გაქცევისას. თურმე მოხალისეები კარიდან კარზე დარბოდნენ იმაში დასარწმუნებლად, რომ სახლებში ფარდები ჩამოაფარეს და შუქი ჩააქრეს, რათა კუნძული მტრისთვის მიზანში ადვილად ამოსაღები არ ყოფილიყო. მოსახლეობა კი ემზადებოდა, მაგრამ არასოდეს უფიქრიათ, რომ მათზე იერიშს მართლა მიიტანდნენ. მთავარ კუნძულზე არსებული პორტები და ქარხნები ხომ უფრო მნიშვნელოვანი სამიზნე უნდა ყოფილიყო, ვიდრე ქეირნჰოლმის იარაღის პაწაწინა საწყობი. თუმცა ერთ ღამეს ბომბების ცვენა დაიწყო.

– შემაძრწუნებელი ხმა გაისმა, – თქვა ოგიმ, – თითქოს კუნძულს გოლიათები შემოსეოდნენ. ის რამდენიმე წუთი საუკუნეებად გაიწელა. მადლობა ღმერთს, ქალაქში არავინ დაღუპულა, რასაც ვერ ვიტყვი მებრძოლ ბიჭებზე, რომლებმაც ძალ-ღონე არ დაიშურეს. სამწუხაროდ, ვერც ბავშვთა სახლის საბრალო ბინადრები გადარჩნენ. სადაც უნდა ყოფილიყო მათი სამშობლო, შეიძლება ითქვას, რომ მათ ბრიტანეთს შესწირეს სიცოცხლე. ღმერთმა ნათელში ამყოფოთ!

– გახსოვთ, ეს როდის მოხდა? – ვკითხე მე, – ომი ახალი დაწყებული იყო?

– ზუსტ თარიღს გეტყვი, – მომიგო, –1940 წლის 3 სექტემბერი.

მეგონა, ოთახში ჰაერი გაქრა. თვალწინ ბაბუას გაფითრებული სახე დამიდგა, ტუჩებს ძლივს ამოძრავებდა და იმავე სიტყვებს ამბობდა: „1940 წლის 3 სექტემბერი“.

– დარწმუნებული ხართ? ნამდვილად ეგ რიცხვი იყო?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ომში წასვლა არ მომიწია, ამიტომ ეგ ღამე იყო ჩემთვის მთელი ომი და, რა თქმა უნდა, დარწმუნებული ვარ. მაგ დღეს ვერასოდეს დავივიწყებ.

ენაჩავარდნილი და გაშტერებული ვუსმენდი. ეს ყველაფერი იმდენად უცნაური იყო, ვიფიქრე, ვინმე ბოროტ ოინს ხომ არ მიწყობს-მეთქი.

– არავინ გადარჩენილა? – იკითხა მარტინმა.

მოხუცი ცოტა ხანს დაფიქრდა და მზერა ჭერს მიაპყრო.

– ახლა მახსენდება, მგონი, კი. ერთი ახალგაზრდა ბიჭი, ამ ბიჭუნაზე ოდნავ უფროსი, – ქანაობა შეწყვიტა, – კი, ნამდვილად ეგრე იყო. ქალაქში მეორე დღეს გამოჩნდა. ნაკაწრიც კი არ ჰქონია. იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ მეგობრები დაკარგა, დიდად შეწუხებული არ ჩანდა. ძალიან უცნაურია.

– ალბათ, შოკის გამო, – აღნიშნა მარტინმა.

– ალბათ. მხოლოდ ერთხელ ამოიღო ხმა. მამაჩემს ჰკითხა, ცენტრალური კუნძულისკენ მიმავალი გემი როდის გადისო. თქვა, რომ სურდა, პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აეღო და თავისიანების მკვლელი ურჩხულები დაეხოცა.

ოგის მონაყოლიც ისევე გაზვიადებული მეჩვენა, როგორც ბაბუას ნაამბობი, მაგრამ არანაირი საბაბი არ მქონდა, მისთვის არ დამეჯერებინა.

– იმ ბიჭს ვიცნობდი, – გავბედე თქმა, – ბაბუაჩემი იყო.

გაოგნებულებმა შემომხედეს. ბოდიში მოვიხადე და წამოვდექი. მარტინმა აღნიშნა, გაფითრებული ხარო და ლუდის ბარამდე მიცილება შემომთავაზა, მაგრამ უარი ვუთხარი. მარტო ყოფნა მსურდა.

– მალე მინახულე, – მთხოვა და მეც შევპირდი, ასე მოვიქცევი-მეთქი.

უკან შემოვლითი გზით დავბრუნდი. ყურეს გაყოლებაზე მოციმციმე ჩირაღდნები ანათებდა. ჰაერი ასობით საკვამურიდან ამომავალი ბოლით დამძიმებულიყო. პორტის ბოლოსკენ წავედი და მთვარის ამოსვლას ვაკვირდებოდი. სექტემბრის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

საშინელ დილას აქ მდგომი, მიღებული შოკით დამუნჯებული, გემის მომლოდინე ბაბუაჩემი წარმოვიდგინე. ჰო, გემით გაშორდებოდა იმ ადგილს, სადაც ამდენი ახლობელი ადამიანი დაკარგა და ომში წავიდოდა. ურჩხულებს იმ კუნძულზეც კი ვერ დაემალა, რომელიც რუკაზე ქვიშის მარცვლისოდენა ჩანდა, ნისლიანი მთებით, ციცაბო კლდეებითა და მდინარის ნაკადებით გარშემორტყმული. ურჩხულებს ვერსად გაექცეოდა. ეს მწარე სიმართლე გახლდათ, რომლის გამჟღავნებაც ბაბუას ჩემთვის არ სურდა.

შორიდან გენერატორების ამოხვნეშის ხმა გავიგე. ყურეს გასწვრივ, ფანჯრებში სინათლემ მკვეთრად გაიელვა და გაილია. ვეცადე, წარმომედგინა, როგორ გამოჩნდებოდა ეს ყველაფერი თვითმფრინავიდან – თითქოს არც არასოდეს უარსებიაო, მთელი კუნძული პატარა, მოციმციმე ვარსკვლავივით ჩაქრა.

* * *

მთვარის შუქზე გზას უკან გავუყევი და მამაჩემი დავინახე, რომელიც ბარის წინ იმავე მაგიდასთან იჯდა და წინ ნახევრად შეჭმული ხბოს ხორცი ედო.

– ნახეთ, ვინ დაბრუნებულა, – თქვა, როგორც კი ჩამოვჯექი, – შენთვის სადილი გადავანახინე.

– არ მშია, – მივუგე და ბაბუა პორტმანზე ახლადმოსმენილი ინფორმაცია გავუზიარე.

მამას სახეზე გაოცებაზე მეტად გაბრაზება დაეტყო.

– ვერ ვიჯერებ, – თქვა ხმადაბლა, – ეს ამბავი ერთხელაც კი არ უხსენებია.

მისი გაბრაზების მიზეზი ჩემთვის გასაგები იყო: ერთია, როდესაც ასეთ ინფორმაციას ბაბუა შვილიშვილს უმალავს, ხოლო მეორე, როდესაც მამა – შვილს, თან ამდენი წლის განმავლობაში.

ვეცადე, საუბრის მიმართულება შემეცვალა.

– რა საოცარია, რამდენი რამე გადაუტანია!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მამამ თავი დამიქნია.

– არა მგონია, ოდესმე სრული სიმართლე შევიტყოთ.

– ბაბუა პორტმანს საიდუმლოს შენახვა ძალიან კარგად შეეძლო.

– ხუმრობ? ეგ კაცი აუღებელი ციხე-სიმაგრე იყო შიგ გამოკეტილი ემოციებით.

– ვფიქრობ, ეს იყო მიზეზი, თუ რატომ გექცეოდა ბავშვობაში გულგრილად, – მამამ მკაცრი მზერა მტყორცნა და სასწრაფოდ ავუხსენი, რასაც ვგულისხმობდი, – მან ხომ ორჯერ დაკარგა ოჯახი, ერთხელ პოლონეთში და ერთხელ აქ...

– რა გამოდის, რომ ასე ჩვენი დაკარგვის შიშით იქცეოდა?

– მე სერიოზულად ვლაპარაკობ. იქნებ ბებიას სულაც არ ღალატობდა?

– არ ვიცი, ჯეიკ. მე არ მჯერა, რომ შესაძლებელია, მოვლენებს ასეთი მარტივი ახსნა ჰქონდეს, – ამოიხვნეშა. ამოსუნთქულმა ჰაერმა მისი ბოკალი დაორთქლა, – ერთ რამეს ვხვდები – იმას, თუ რატომ იყავით შენ და ბაბუა ასე ახლოს ერთმანეთთან.

– განაგრძე...

– 50 წელი დასჭირდა იმ შიშის გადასალახად, რაც ოჯახის ყოლასთან იყო დაკავშირებული. შენ ზუსტად ამ დროს დაიბადე.

არ ვიცოდი, რა მეპასუხა. საკუთარ მამას იმას ხომ არ ვეტყოდი, ვწუხვარ, მამაშენს საკმარისად რომ არ უყვარდიმეთქი? ამიტომ არც არაფერი მითქვამს, ტკბილი ძილი ვუსურვე და დასაძინებლად ზედა სართულზე ავედი.

* * *

მთელ ღამეს ვწრიალებდი. წერილებზე ფიქრს ვერ შევეშვი: ერთი მამაჩემისა და მამიდა სიუზის მიერ ბავშვობაში ნაპოვნი წერილი იყო – „სხვა ქალისგან“, მეორე კი ჩემ მიერ აღმოჩენილი წერილი მის პერეგრინისგან. კონვერტის შტემპელი 15

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

წლის წინანდელი გახლდათ, მაგრამ ამ ქალის შესახებ ყველა წყარო ერთსა და იმავეს იუწყებოდა – ის 1940 წელს ააფეთქეს. ჩემი აზრით, ამის ახსნა ორნაირად შეიძლებოდა: ბაბუაჩემს ან გარდაცვლილ ქალთან ჰქონდა მიმოწერა – რაც, რასაკვირველია, საეჭვოდ ჟღერს, ან წერილის ავტორი სინამდვილეში მის პერეგრინი სულაც არ იყო და ვიღაც მის სახელს იყენებდა, რათა საკუთარი თავი არ გაემჟღავნებინა.

წერილში შენი ვინაობის დაფარვა რატომ უნდა მოგინდეს? იმიტომ, რომ რაღაცას მალავ, იმიტომ, რომ "სხვა ქალი" ხარ.

იქნებ ამ მოგზაურობისას მხოლოდ ის აღმოვაჩინე, რომ ბაბუაჩემი მოღალატე და მატყუარა კაცი იყო? უკანასკნელი ამოსუნთქვისას ქეირნჰოლმში დაღუპულ ოჯახს მისტიროდა თუ ათწლეულების განმავლობაში დამალული რომანის აღიარება სურდა? შეიძლება, ორივე. ფაქტი ის გახლდათ, რომ მან ახალგაზრდობაში იმდენჯერ დაკარგა ახლობლები, არ იცოდა, ოჯახის ერთგულება რას ნიშნავდა.

საბოლოო ჯამში, მთელი ეს თეორიები მხოლოდ მკითხაობა იყო, დანამდვილებით არაფერი ვიცოდი და ვერც ვერავისგან გავიგებდი. ყველა, ვისაც პასუხის გაცემა შეეძლო, დიდი ხნის მკვდარი იყო. 24 საათზე ნაკლებ დროში ჩემთვის ამ მოგზაურობამ აზრი დაკარგა.

როგორც იქნა, ჩამეძინა. მზის ამოსვლისას ხმაურმა გამომაფხიზლა. გადმოვბრუნდი, რომ მენახა, რა ხდებოდა და საწოლზე წამოვჯექი. ჩემს კარადაზე უშველებელი ფრინველი შემოსკუპულიყო და მომშტერებოდა. ნაცრისფერი ბუმბულით დაფარული თავი ჰქონდა და ნაცრისფერივე კლანჭები, რომლებითაც კარადის კიდეს ჩაბღაუჭებოდა და თითქოს ჩემ უკეთ შესწავლას ცდილობდა. მივაშტერდი. თავი სიზმარში მეგონა.

მამას დავუძახე. ყვირილის ხმაზე ჩიტი კარადიდან ჩამობობღდა. თავი მკლავებში ჩავრგე და უკან დავიხიე. ცოტა ხნის შემდეგ ფრთხილად გამოვიჭყიტე და დავინახე, რომ ჩიტი ღია ფანჯრიდან გაფრენილიყო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მამაჩემი ოთახში ბინდგადაკრული თვალებით შემობორიალდა.

– რა ხდება?

კარადაზე დატოვებულ კლანჭების ნაკვალევსა და იატაკზე დავარდნილ ბუმბულზე მივუთითე.

– ღმერთო, რა უცნაურია, – თქვა და ბუმბული შეათვალიერა, – შევარდნები ადამიანებს ასე არასოდეს უახლოვდებიან.

მეგონა, მომესმა.

– შევარდენი?

მამამ ბუმბული მაღლა ასწია.

– ნამდვილად გასაოცარი არსება და დედამიწაზე მოსულდგმულე ყველაზე სწრაფი ფრინველია.

საუზმისას იმაზე დავფიქრდი, ნაადრევად ხომ არ შევწყვიტე ძიება. მართალია, ცოცხალი არავინ გადარჩენილა, ბაბუაზე რომ გველაპარაკა, მაგრამ სახლი ჯერ კიდევ არსებობდა, სადაც ბევრი რამ შეიძლებოდა აღმომეჩინა. თუ ბაბუაჩემის შესახებ ინფორმაცია რაიმე ფორმით არსებობდა – წერილების, ფოტოალბომის ან დღიურის სახით, ალბათ ათწლეულების წინ დაიწვებოდა ან გაიცრიცებოდა; თუმცა, თუ ამაში თავად არ დავრწმუნდებოდი და კუნძულიდან ისე წავიდოდი, ვიცოდი, აუცილებლად ვინანებდი.

აი, ასე დაიყოლია მუდმივად დაზაფრულმა, კოშმარებითა და არარსებული ურჩხულების წარმოსახვით დატანჯულმა ბიჭმა საკუთარი თავი, კიდევ ერთხელ სწვეოდა მიტოვებულ სახლს, სადაც ობოლმა ბავშვებმა სამუდამო განსასვენებელი ჰპოვეს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ო

ეეხეთ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

საოცარი დილა იყო. ბარიდან გასვლისთანავე თვალწინ ისეთი პეიზაჟი გადამეშალა, კარგად დამუშავებულ ფოტოს მაგონებდა: ძველი კოტეჯებით გადატვირთული ქუჩები მთაგრეხილებით ერთმანეთზე გადაბმული მწვანე ველებისკენ მიემართებოდა, ამ ხედს კი სწრაფად მოძრავი თეთრი ღრუბლები აგვირგვინებდა. სახლების, ველებისა და ცხვრის ფარის მაღლა, ბამბის ნაყინს რომ წააგავდა, შორეულ მწვერვალებს სქელი ნისლის ენები ლოკავდა. აქ თითქოს ქვეყნიერება მთავრდებოდა და სხვა – ცივი, ტენიანი და უმზეო სამყარო იწყებოდა.

მთაგრეხილი გადავიარე და შხაპუნა წვიმაში მოვყევი. რეზინის ჩექმის ჩაცმა დამავიწყდა. გზა თანდათან ატალახდა, მაგრამ ქედის ხელმეორედ გადავლას და სახლში მიბრუნებას მერჩია, დავსვრილიყავი. ფაცხას ჩავუარე. შიგნით გრილ კედელს მიხუტებული ცხვარი დავლანდე. შემდეგ ჭაობი შემომხვდა, უტყვი და იდუმალი, რამაც კუნძულის 2700 წლის მაცხოვრებელი გამახსენა ქეირნჰოლმის მუზეუმიდან. ნეტავ, კიდევ რამდენი მისი თანამოძმე იწვა ჭაობის ფსკერზე? კიდევ რამდენმა დათმო სიცოცხლე სამოთხის ძიებაში?

ბავშვთა სახლს რომ მივაღწიე, კოკისპირულად წვიმდა. დრო არ მქონდა, ველური მცენარეებით დაფარულ ეზოს ნება-ნება გავყოლოდი და შენობის შემზარავ შესახედაობაზე მეფიქრა, ან იმაზე, რომ შესასვლელის წყლით გაჟღენთილი ფიცრები ფეხის შეხებაზე ძალიან იზნიქებოდა. დერეფანში

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვიდექი, მაისურს ვიწურავდი და თავიდან წვიმის წვეთებს ვიფერთხავდი. ცოტათი შევშრი და ძიებას შევუდექი.

აქეთ-იქით დავბორიალობდი, იატაკს ძველისძველი გაზეთებისგან ვათავისუფლებდი და სკამებისა და მაგიდების ქვეშ ვიხედებოდი. მეგონა, რაიმე საზარელს წავაწყდებოდი, მაგალითად – შავ ძონძებში გახვეულ ადამიანის ძვლებს, მაგრამ საშიში არაფერი იყო. პირველი სართული მიწასთან იყო გასწორებული – ოთახები ნესტს, ქარსა და ჭუჭყს ძლიერ დაეზიანებინა. კიბესთან მივედი და ცოტა ხანს შევყოვნდი. ვერ გადამეწყვიტა, ზედა სართულს ვწვეოდი თუ ქვედას. ზევით ასვლის წინააღმდეგ ის არგუმენტი მქონდა, რომ, ფანჯარას თუ არ ჩავთვლით, იქიდან გასაქცევი გზა არ არსებობდა (სახლს შეფარებული მაწანწალებისა თუ სისხლისმწოველი არსებებისგან, რომლებიც იმ წუთებში წარმოვიდგინე). ქვემოთაც იგივე მელოდა, თუმცა ამას კიდევ ერთი უარყოფითი ფაქტორი ემატებოდა – სიბნელე. ფარანი არ მქონდა და, საბოლოოდ, ზედა სართულზე აცოცება გადავწყვიტე.

საფეხურები ჭრაჭუნობდა და კვნესოდა, მაგრამ ჩემს წონას მაინც გაუძლო. დერეფნის გაყოლებით ჩამწკრივებული ოთახები, იმათთან შედარებით, რაც უკვე მენახა, საკმაოდ კარგად შემონახულიყო. რამდენიმე ადგილას ისეთ ნივთებსაც მივაგენი, რომლებიც ფენად დადებული მტვრის გადაწმენდის შემდეგ ახლებივით გამოიყურებოდა. სოკომოდებული მაისური სკამის საზურგეზე დაუდევრად გადაეკიდათ. კომოდზე მთელი მუჭა ხურდა ფული დაეხვავებინათ. ყველაფერი ზუსტად ისე შემონახულიყო, როგორც ბავშვებმა დატოვეს, თითქოს მათი სიკვდილის ღამეს დრო გაჩერებულიყო.

ოთახიდან ოთახში დავდიოდი და ნივთებს არქეოლოგიური ცნობისმოყვარეობით ვსწავლობდი. ყუთში ხავსმოკიდებული ხის სათამაშოები აღმოვაჩინე, ფანჯრის რაფაზე – რამდენიმე ცალი ფერადი ცარცი, რომელთა ფერები შუადღის მწველ მზეს გაეფერმკრთალებინა; ასევე, თოჯინების სახლი შიგ გა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მომწყვდეული თოჯინებით, რომლებიც ჩუქურთმებიან საკანში თითქოს სასჯელს იხდიდნენ. მოკრძალებული ზომის ბიბლიოთეკაში შეპარულ ნესტს თაროები დაელბო და მათი მოხაზულობა დაჯღანული ღიმილის შთაბეჭდილებას ტოვებდა. წიგნებს ხელი გადავუსვი. აქ იდო „პიტერ პენი“ და „საიდუმლო ბაღი“, ლათინურისა და ბერძნულის სახელმძღვანელოები და, კიდევ, იმ ავტორთა მიერ დაწერილი ისტორიები, რომელთა სახელებიც დროს დავიწყებისთვის მიეცა. კუთხეში რამდენიმე ძველი მერხი იდგა. ესე იგი, ეს ობოლი ბავშვების საკლასო ოთახი უნდა ყოფილიყო, მის პერეგრინი კი, სავარაუდოდ – მათი მასწავლებელი.

ამის მერე მძიმე კარის წინ აღმოვჩნდი. მისი გამოღება უშედეგოდ ვცადე. ხანგრძლივი ჯაჯგურის შემდეგ დავასკვენი, რომ საკეტი ჩაჭედილიყო. უკან დავიხიე და კარს მხრით შევასკდი. კარი გაიღო და იატაკს სახით დავენარცხე. აზრზე მოსასვლელად რამდენიმე წუთი დამჭირდა. როცა წამოდგომა მოვახერხე და ირგვლივ მიმოვიხედე, მივხვდი, რომ მის პერეგრინის საძინებელში ვიყავი. მძინარე მზეთუნახავის კოშკს ჰგავდა. კედლებში შანდლები იდგა ჩამოღვენთილი სანთლებით (რომლებზეც ობობებს ქსელები გაებათ) და კუთხეში – მუხის უზარმაზარი საწოლი. თვალწინ ქალის მიერ აქ გატარებული ბოლო ღამე წარმომიდგა – ალბათ სირენის ხმაზე წამოხტა და აკანკალებულმა ბავშვები გააღვიძა, ალბათ მძიმედ სუნთქავდა და მათ უყვიროდა, ქურთუკები არ დაგავიწყდეთო.

„გეშინოდათ?“ გავიფიქრე, „გესმოდათ, როგორ გიახლოვდებოდათ თვითმფრინავები?“

უცნაური გრძნობა დამეუფლა. ასე მეგონა, ვილაც მაკვირდებოდა. თითქოს ბავშვები არსად წასულიყვნენ, კედლებში ჩაცემენტებულიყვნენ და ღრიჭოებიდან მიჭვრიტინებდნენ.

სხვა ოთახში გავედი. ფანჯრიდან სუსტი სინათლე შემოდიოდა. შპალერის ნაკუწები ყვავილების ფურცლებივით გადაშლილიყო. საწოლებს მტვრიანი თეთრეული ფარავდა. უცებ ვირწმუნე, რომ ბაბუაჩემის ოთახში ვიყავი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

„რისთვის გამომგზავნე? აქ რა უნდა აღმოვაჩინო?“

ერთ-ერთი საწოლის ქვეშ რაღაც შევამჩნიე და ჩავიმუხლე. ძველი ჩემოდანი აღმოჩნდა.

„შენია? ეს ჩემოდანი გეჭირა ხელში, როცა დედა და მამა უკანასკნელად იხილე და ძველი ცხოვრება უკან მოიტოვე?“

ჩემოდანი გამოვაცურე და გაქუცული ტყავის საკეტის გახსნა ვცადე. ადვილად გაიხსნა, თუმცა, შიგ მკვდარი ხოჭოების ოჯახის მეტი ვერაფერი ვიპოვე.

სულში სიცარიელე ვიგრძენი. ისე დავმძიმდი, თითქოს დედამიწა ღერძის გარშემო უფრო სწრაფად ბრუნავდა და შეცვლილი გრავიტაცია იატაკისკენ მექაჩებოდა. ძალაგამოცლილი ჩამოვჯექი საწოლზე, რომელიც, სავარაუდოდ, ბაბუას ეკუთვნოდა. იმ ძუნძგლიან თეთრეულში გავიჭიმე და ჭერს მივაშტერდი.

„რაზე ფიქრობდი, ღამით აქ რომ იწექი ? შენც კოშმარები გესიზმრებოდა?“

ტირილი დავიწყე.

„შენი მშობლების დაღუპვის ამბავი გაიგე? მათი წასვლა იგრძენი?“

კიდევ უფრო მწარედ ავქვითინდი. ტირილი არ მსურდა, მაგრამ ვერ ვჩერდებოდი. ყველა საშინელება გამახსენდა, რაც ბოლო პერიოდში თავს გადამხდა. ჩემს დიდ ბებია-ბაბუაზე ვფიქრობდი, რომლებიც შიმშილით დაიხოცნენ, მათ სხეულებზე, ალბათ ნაგავს რომ გაატანეს და ზიზღზე, რომელსაც უცხო ადამიანებისგან გრძნობდნენ და რომელიც არაფრით დაემსახურებინათ. ვფიქრობდი აქ მცხოვრებ ბავშვებზე, რომლებიც იმიტომ დაიწვნენ, რომ ვიღაც უგულისყური პილოტმა ღილაკს თითი არასწორად დააჭირა. კიდევ იმაზე, რომ ბაბუას ოჯახი წაართვეს და ამის გამო მამაჩემი ვერ გრძნობდა, რომ მამა ჰყავდა, რომ ახლა მე მწვავე აშლილობითა და კოშმარებით ვიტანჯებოდი, ამ დანგრეულ სახლში მარტოდმარტო დავბორიალობდი და სულელივით ცრემლებს ვღვრი-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დი. 70 წლიანი ტანჯვა საგვარეულო ნივთივით მემკვიდრეობით გადმომეცა და სიცოცხლე მომიწამლა. არსებობდნენ ურჩხულები, რომლებსაც ვერ შევებრძოლებოდი, რადგან ყველა მკვდარი იყო. მე მათ ვერც დავხოცავდი, ვერც დავსჯიდი – ვერაფერს ვუზამდი. ბაბუაჩემი ომში მაინც წავიდა და მათ ებრძოდა. მე კი რისი გაკეთება შემეძლო?

ტირილმა თავი საშინლად ამატკია. ტკივილის გასაყუჩებლად ცოტა ხნით თვალები დავხუჭე და ქუთუთოებზე თითები მივიჭირე. შემდეგ თითები მოვადუნე და თვალები გავახილე. ფანჯრიდან მზის სხივები იღვრებოდა. ავდექი, გაბზარულ მინას მივუახლოვდი და გარეთ გავიხედე. თან წვიმდა და თან მზე ანათებდა. ამ მოვლენას დედაჩემი „ობლის ცრემლებს“ უწოდებდა, რიკი კი ამბობდა ხოლმე, ეშმაკმა თავისი ცოლი კარგად მიტყიპაო. გამეცინა და თავი უკეთ ვიგრძენი.

უცებ ოთახში მდგარი მეორე საწოლის ქვეშ სკივრის კიდეს მოვკარი თვალი. მივუახლოვდი და საწოლს გადასაფარებელი გადავაძრე, რომელიც მის დანახვაში ხელს მიშლიდა. ძველებური სკივრი იყო, დაჟანგული საკეტით ჩარაზული. ვიფიქრე, რომ ცარიელი არაფრის დიდებით არ იქნებოდა; აბა, ცარიელს ვინ ჩაკეტავდა?!

– გამხსენი, – თითქოს მემუდარებოდა იგი, – მე ძალიან ბევრ საიდუმლოს ვინახავ!

ხელები კიდეებზე შემოვხვიე და გამოვქაჩე, მაგრამ ძვრაც ვერ ვუყავი. უფრო ღონივრად დავეჭიდე, თუმცა, უშედეგოდ. ძნელი სათქმელი გახლდათ, მართლა ასეთი მძიმე იყო თუ დაგროვილ მტვერსა და ნესტს იატაკზე მიეწებებინა. წამოვდექი და რამდენჯერმე წიხლი ვკარი. ამან სკივრი ოდნავ შეარყია. შემდეგ ვცადე, მისი ორივე მხარე რიგრიგობით გამომეწია, თითქოს გაზის ქურას ან მაცივარს ვაჩოჩებდი და, ასე და ამგვარად, საწოლის ქვეშიდან გამოვათრიე. მისი ძირი იატაკზე წრიულ ნაკვალევს ტოვებდა. საკეტს დავეჯაჯგურე. საგულდაგულოდ ჩაეკეტათ. ვიფიქრე, გასაღები სადმე ახლომახლო

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იქნება-მეთქი, მაგრამ საპოვნელად ალბათ საათები დამჭირდებოდა. ამასთან, საკეტი ისეთი დაჟანგული იყო, გასაღები ველარც გახსნიდა. ერთადერთი გზა რჩებოდა – გატეხვა.

საჭირო იარაღის პოვნის იმედით გარემო დავზვერე. გვერდითა ოთახში მორყეული სკამი ვნახე და ფეხი მოვამტვრიე. სკამის ფეხი ჯალათის ცულივით მაღლა ავწიე და საკეტს დავცხე. მანამ ვუბათქუნე, სანამ ხელში ნაფოტები არ შემრჩა. შემდეგ ოთახი ყურადღებით მოვათვალიერე და საწოლს რკინის რიკული მოვაძრე, ერთი კიდე საკეტს გამოვდე, მეორეს კი ხელი წავავლე და, რაც ძალი და ღონე მქონდა, ჩემკენ გამოვქაჩე. სკივრს მაინც ვერაფერი დავაკელი. საწოლს მთელი ძალით დავაწექი და ფეხები მაღლა ავწიე. სულ ოდნავ გაიჭრიალა.

მოთმინების ფიალა მევსებოდა. სკივრს ფეხს ვურტყამდი და კისერზე ძარღვებდაჭიმული გავყვიროდი:

– გაიღე, შე წყეულო! შე სულელურო სკივრო!

თითქოს დაგროვილმა აგრესიამ და იმედგაცრუებამ ბოღმის გადმოსანთხევად გამოსავალი მონახა – თუ ბაბუასგან ვერ გავიგე მისი საიდუმლო, ამ სკივრს მაინც ვაიძულებდი, თავისი საიდუმლო გაემჟღავნებინა. უცებ რიკული ხელიდან გამისხლტა და დარეტიანებული იატაკზე აღმოვჩნდი.

ცოტა ხანს არ გავნძრეულვარ. ჭერს მივჩერებოდი და ვქოშინობდი. „ობლის ცრემლები“ კვლავ თავსხმა წვიმაში გადაზრდილიყო. ურო ან ხერხის საშოვნელად ქალაქში დაბრუნება დავაპირე, მაგრამ ეს იმ კითხვებს წამოჭრიდა, რომლებზე პასუხის გაცემაც დიდად არ მსურდა.

უეცრად გონება გამინათდა. რა იყო ჩემზე ან ჩემს ხელში მოხვედრილ იარაღებზე უფრო მძლავრი? გრავიტაცია. მე ხომ სახლის მეორე სართულზე ვიმყოფებოდი. სკივრის ფანჯრიდან გადასაგდებად მისი აწევა დამჭირდებოდა, რაც ჩემს ძალებს აღემატებოდა, თუმცა დერეფნიდან კიბემდე გაჭიმული მოაჯირი დიდი ხნის წინ მონგრეულიყო. სკივრი როგორმე დერეფანში უნდა გამეთრია და იქიდან გადამეგდო. შიგთავსი გა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დარჩებოდა თუ არა, ეს სხვა საკითხი იყო, მაგრამ იმას მაინც გავიგებდი, შიგნით რა ინახებოდა.

სკივრთან ჩავიცუცქე და ვცადე, დერეფნისკენ გამეჩოჩებინა. მისი ლითონის კუთხეები რბილ იატაკში ჩაიჭედა და ძვრაც ველარ ვუყავი. არ შევმდრკალვარ. შემოვუარე და ახლა ჩემკენ გამოვქაჩე. ჩემდა გასაკვირად, მაშინვე 6-7 სანტიმეტრით გამოიწია. უნდა ვაღიარო, ეს საქმე მაინცა და მაინც დიდი ღირსების გრძნობით არ მავსებდა – წამდაუწუმ ჩაცუცქვა მჭირდებოდა და საჯდომი მეჭიმებოდა. თანაც, ყოველ გაჩოჩებაზე ლითონის ჭრიალი მესმოდა და ნერვები მეშლებოდა. ბოლოს და ბოლოს, მაინც შევძელი და დანიშნულების ადგილამდე მივაღწიე.

დავეჯაჯგურე და კიდეს გავუსწორე. სკივრმა ქანაობა დაიწყო. ოდნავი ხელის კვრა და იმწამსვე გადაეშვებოდა. მინდოდა, ნაკუწებად ქცეულიყო – სწორედ ეს იქნებოდა გაწეული შრომისთვის მიღებული ჯილდო. წამოვდექი, ღრმად ჩავისუნთქე და ხელი ვკარი.

სკივრი წამით შეყოვნდა და დავიწყების უფსკრულის პირას შეყანყალდა, მერე კი გაბედულად გადაეშვა. ჰაერში რამდენჯერმე ამოტრიალებაც მოასწრო. დაცემის ხმა მთელ სახლში ექოდ გაისმა. ქვედა სართულიდან მტვრის ბუღი ამოვარდა. იძულებული გავხდი, სახეზე ხელები ამეფარებინა და უკან დამეხია, სანამ ჰაერი გაიწმინდებოდა. რამდენიმე წუთში ძველ ადგილს დავუბრუნდი და ქვევით ჩავიხედე. ხის ნამსხვრევების გროვას ველოდი, სანაცვლოდ კი, ქვედა სართულის იატაკზე სკივრის ფორმის ორმო დამხვდა. ჩემოდანი პირდაპირ სარდაფში გადაშვებულიყო.

დაბლა დავეშვი და ხვრელთან ახლოს იატაკზე მუცლით გავხოხდი, ზუსტად ისე, თხელ ყინულზე ჩატეხილ ორმოსთან რომ მიხოხავენ ხოლმე. ხუთიოდე მეტრით ქვემოთ, სიბნელესა და მტვრის ბუღში გახვეული ნაფოტები ძლივს გავარჩიე. სკივრი კვერცხივით გამსკდარიყო. მისი ნაწილები იატაკ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ზე გაბნეულიყო, გარშემო კი ფურცლები მიმოფანტულიყო. „მგონი, წერილებს მივაგენი!“ გავიფიქრე და გახარებულმა ტაში შემოვკარი. თუმცა, ხანმოკლე დაკვირვების შედეგად, მათზე ფიგურები, სახეები და სხეულები გავარჩიე და ცხადი გახდა, რომ წერილები კი არა, ფოტოები იყო, თანაც, ძალიან ბევრი. ავფორიაქდი, მაგრამ მაშინვე, თითქოს ცივი წყალი გადამასხესო, შემაძრწუნებელმა აზრმა გამიელვა:

ქვევით ჩასვლა მომიწევს!

* * *

სარდაფი პირქუში ოთახების ლაბირინთს წარმოადგენდა, სადაც ისეთ წყვიადს დაესადგურებინა, თითქოს თვალებზე სახვევაფარებულს დამეთვალიერებინოს. ჭრიალა საფეხურებზე დავეშვი და ცოტა ხანს იქვე შევჩერდი იმ იმედით, რომ თვალებს უკუნეთს შევაჩვევდი, მაგრამ ისე ბნელოდა, ასეთი რამ შეუძლებელი აღმოჩნდა. ამის ნაცვლად, უცნაური სუნი მეცა, რომელმაც ქიმიის საკლასო ოთახი მომაგონა. ცხვირზე მაისურის საყელო ავიფარე, საკუთარ თავს წარმატება ვუსურვე და ხელებგაწვდილი ადგილიდან დავიძარი.

ფეხი რაღაცას წამოვდე და კინაღამ წავიქეცი. იატაკზე აშკარად შუშის საგანი გაგორდა. სუნი უფრო და უფრო მძაფრდებოდა. ჩემ წინ ბნელში დაგებული მახე წარმოვიდგინე. მოჩვენებებსა და ურჩხულებს თავი რომ გავანებოთ, ორმოებს რას მოვუხერხებდი? ჩემს სხეულს ვეღარასოდეს იპოვიდნენ.

გამოსავალს მაინც მივაგენი. ჯიბიდან ტელეფონი ამოვიღე და ეკრანი წინ მივატრიალე. მართალია, მობილურს ფარანი არ მოჰყვებოდა, მაგრამ ეკრანი სუსტად ანათებდა, რაც ამ შემთხვევაში მნიშვნელოვან დახმარებას გამიწევდა. ტელეფონი იატაკს მივანათე, სადაც გაბზარული ფილებისა და თაგვის ხაფანგების მეტი ვერაფერი ვიპოვე.

ერთი ნაბიჯი გადავდგი და ტელეფონი ირგვლივ მიმოვანათე. თვალი შუშის ქილებით სავსე თაროებს მოვკარი. სხვა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დასხვა ზომის დამტვერილ ქილებში ჟელატინის მსგავსი რაღაცები მღვრიე სითხეში დაცურავდნენ. სამზარეულო და იქ ნანახი დამსკდარი ქილები გამახსენდა. ალბათ ტემპერატურა აქ უფრო სტაბილურად იყო შენარჩუნებული და ეს ქილებიც ამიტომ გადარჩენილიყო.

მივუახლოვდი, უფრო ყურადღებით დავაკვირდი და მივხვდი, რომ ეს ხილ-ბოსტნეულის მარინადები კი არა, ორგანოები იყო – ტვინი, გული, ფილტვები, თვალები, რომლებიც უცნაურ ხსნარში ჩაელაგებინათ. გასაგები გახდა, საძაგელი სუნი საიდანაც მოდიოდა. კინაღამ გული ამერია და შეშინებულმა უკან დავიხიე. რას წარმოადგენდა ეს ადგილი? მსგავს ქილებს სამედიცინო უნივერსიტეტის ლაბორატორიაში თუ წააწყდები და არა ბავშვთა სახლში. ბაბუას აქაურობაზე მშვენიერი ისტორიები რომ არ მოეყოლა, მის პერეგრინს ბავშვებისთვის ორგანოების ამოცლას დავწამებდი.

პირველმა ელდამ რომ გამიარა, თავი ავწიე და სინათლე შევნიშნე – ტელეფონის შუქის ანარეკლი კი არა, მზის სუსტი სხივები. ალბათ ჩემ მიერ ჩატეხილი ორმოდან ჩამოდიოდა. პერანგის საყელოაფარებული ვსუნთქავდი და ვცდილობდი, კედლებს მოვშორებოდი, რათა კიდევ რაიმე საზარელს არ წავწყდომოდი.

ნელი ნაბიჯით დავიძარი და პატარა ოთახში შევედი, სადაც ჭერი ჩამოზნექილიყო. ჩატეხილი იატაკიდან დღის სინათლე აღწევდა და ნანგრევებსა და დამტვრეული შუშის გროვას დაჰნათოდა. აქა-იქ ხალიჩის ნაკუწები ჩანდა, რომლებსაც მტვრის ბულულები მოსდებოდა. სუსტი ფხაკუნი მესმოდა – როგორც ჩანს, სარდაფში მღრღნელებს დაედოთ ბინა.

ნაფოტებსა და ჟანგიან ლურსმნებს შორის გზა გავიკვლიე, რომ სურათებამდე მიმეღწია. ფრთხილად ვიღებდი და ვაკვირდებოდი. კაცმა არ იცოდა, იატაკის დანარჩენი ნაწილი როდის ჩამოიშლებოდა და თავზე დამემხობოდა, თუმცა ფოტოების თვალიერებისგან თავს მაინც ვერ ვიკავებდი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ერთი შეხედვით, იმ ფოტოებს მაგონებდა, ძველებურ საოჯახო ალბომებში რომ მენახა. ზღვის სანაპიროდან და ეზოს ტერასებიდან ხალხი მიღიმოდა. ძალიან ბევრი ბავშვის ფოტო იყო, მარტო ან წყვილად, მოყვარულთა მიერ გადაღებული მომენტალური ფოტოები თუ ოფიციალური პორტრეტები, რომლებიც ფარდის ფონზე გადაეღოთ. ზოგ ბავშვს ხელში გაშეშებული მზერით მაცქერალი თოჯინები ჩაებღუჯა. ეს თოჯინა-ზომბები უცნაური ვარცხნილობით დამთრგუნველად მოქმედებდა. მაშფოთებდა ის ფაქტიც, რომ ბავშვები არც ერთ სურათზე არ იღიმოდნენ; თუმცა ყველაზე მეტად იმან დამზაფრა, რომ რაც უფრო დიდხანს ვაკვირდებოდი მათ სახეებს, მით უფრო მეცნობოდნენ. ეს ფოტოები ბაბუაჩემის ძველ სურათებს ჰგავდა, რომლებიც სიგარების კოლოფში ინახებოდა.

ერთ-ერთ სურათზე არცთუ ისე დამაჯერებლად დახატული ოკეანის ფონზე ორი ახალგაზრდა გოგონა იყო გამოსახული. უცნაური ის გახლდათ, რომ ობიექტივისკენ ზურგით იდგნენ. ვერ ვხვდები, რატომ უნდა იწვალო, დიდი თანხა გადაიხადო (ფოტოების გადაღება მაშინ ძვირი ეღირებოდა!) და სურათი ზურგშექცეულმა გადაიღო! მეგონა, ნანგრევებში ამ გოგოების სხვა ფოტოსაც ვიპოვიდი და ამჯერად სახის მაგივრად მომღიმარი თავის ქალები გამოჩნდებოდა.

დანარჩენი სურათები ისევე გაეყალბებინათ, როგორც ბაბუაჩემის ზოგიერთი ფოტო. ერთი ეული ბავშვი სასაფლაოსთან ახლოს იდგა და გუბურაში იცქირებოდა, ოღონდ წყალში, ერთის ნაცვლად, ორი ანარეკლი მოჩანდა. ბოთლში „გამომწყვდეული“ ბავშვი გამახსენდა ბაბუას კოლექციიდან, თუმცა ამ შემთხვევაში გაყალბების მეთოდი ისეთივე აშკარა არ გახლდათ. მეორე ფოტოდან ოდნავ დადარდიანებული ბიჭი მშვიდი გამომეტყველებით მიმზერდა, სხეულზე ფუტკრები ეხვია. ამ სურათის გაყალბება რთული არ იქნებოდა, ისევე, როგორც ლოდატატებული ბიჭის შემთხვევაში. ყალბი ლოდი, ყალბი ფუტკრები. მაგრამ უცებ ბაბუა პორტმანის ნათქვამი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გამახსენდა ბავშვთა სახლში მცხოვრები მისი მეგობრის შესახებ, რომლის მუცელშიც ფუტკრები ცხოვრობდნენ და თმა ყალყზე დამიდგა.

– როგორც კი პირს გახსნიდა, ზოგიერთი მაშინვე გარეთ გამოფრინდებოდა ხოლმე, – ამბობდა ბაბუა, – მაგრამ ისინი არასდროს იკბინებოდნენ თუ ეს ჰიუს თავად არ სურდა.

ვივარაუდე, რომ ბაბუას სურათები ამავე სკივრიდან ამოელო. საბოლოოდ კი მაშინ დავრწმუნდი, როცა ნილბიანი, მოქარგულსაყელოიანი კოფთებით შემოსილი, შემზარავი შეხედულების ბავშვების სურათს წავაწყდი. თითქოს ერთი მეორეს თოკს აჭმევდა. რას ნიშნავდა ეს ფოტო? ვინ იყვნენ ისინი? სადომაზოხისტი ბალერონები?! უკვე დანამდვილებით ვიცოდი, რომ ეს ბიჭები სწორედ ის ბავშვები იყვნენ, რომელთა ფოტოებსაც ბაბუა პორტმანი სიგარების ყუთში მალავდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დამთხვევა ვერ იქნებოდა. ბაბუაჩემის მიერ ჩემთვის ნაჩვენები სურათები, რომლებზეც იფიცებოდა, ბავშვთა სახლის ბინადართა ფოტოებიაო, აქედან იყო წაღებული. ეს იმას ხომ არ ნიშნავდა, რომ ფოტოები ნამდვილი იყო? იქნებ მათთან დაკავშირებული ფანტასტიკური ისტორიებიც სიმართლეს შეესაბამებოდა? ბუნებრივია, ამის დაჯერება ძალზე ძნელი იყო, მაგრამ იმ მომენტში, სუსტად განათებული მკვდარი სახლის სარდაფში მდგარი, დაეჭვებული ვფიქრობდი: „იქნება და“...

უცებ ზედა სართულიდან ტკაცანის ხმა მოისმა და ისე შევხტი, ფოტოები ძირს დამიცვივდა.

„ასეთ ხმებს სახლები გამოსცემენ ხოლმე“, ვცადე, საკუთარი თავი დამერწმუნებინა, „ან სახურავი ჩაიზნიქა“. მაგრამ ფოტოების ასაღებად რომ დავიხარე, ხმა განმეორდა. იმავე წამს ხვრელიდან ჩამოსული მკრთალი სინათლეც გაქრა და უკუნეთ ბნელში აღმოვჩნდი.

ჯერ ნაბიჯების ხმა გავიგონე, შემდეგ – ლაპარაკი. დავიძაბე. შევეცადე გამეგონა, რას ლაპარაკობდნენ, მაგრამ ვერაფრით მოვახერხე. მეშინოდა, რომ ოდნავი შერხევა და ირგვლივ მიმობნეული ნამსხვრევები ხმაურით ჩამოშვავდებოდა. იმავდროულად, ჩემი შიში არარაციონალური მეჩვენებოდა. ალბათ ის სულელი რეპერი ბავშვები მახეს მიგებდნენ. თუმცა გული გამალებით მიძგერდა და რაღაც ცხოველური ინსტინქტი მაიძულებდა, გავსუსულიყავი.

ფეხი დამიბუჟდა და სიმძიმე, ძალიან ფრთხილად, ერთი ფეხიდან მეორეზე გადავიტანე, სისხლი რომ ამოძრავებულიყო. ნანგრევებიდან რაღაც ჩამოვარდა, ძირს გაგორდა და სიჩუმეში საშინელი ხმაური გამოიწვია. ლაპარაკი მიჩუმდა. შემდეგ ზუსტად ჩემს თავზე იატაკის ფიცარმა გაიჭრიალა და ბათქაში ჩამოცვივდა. მაღლა მყოფმა ჩემი ადგილმდებარეობა ზუსტად იცოდა.

სუნთქვა შემეკრა.

უეცრად გოგონას ნაზი ხმა გავიგონე:

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ეიბ, შენა ხარ?

მეგონა, მომეჩვენა. დაველოდე, რომ კიდევ რაღაც ეთქვა, მაგრამ კარგა ხანს მარტო წვიმის წკაპაწკუპი მესმოდა სახლის სახურავზე, თითქოს სადღაც ერთდროულად ათასი თითი მაგიდის ზედაპირზე აკაკუნებდა. მერე ზევით ლამპარი აანთეს. კისერი წავიგრძელე და ჩატეხილი ჭერიდან თორმეტამდე ჩამუხლული, ჩემკენ მაცქერალი ბავშვი დავინახე.

საიდანღაც მეცნობოდნენ, მაგრამ ვერ ვხვდებოდი, საიდან. ნახევრად მივიწყებულ სიზმარში ნანახი სახეები ჰქონდათ. საიდან ვიცნობდი? ან ბაბუაჩემის სახელი საიდანღა იცოდნენ?

შემდეგ ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. ჯერ მათმა ტანისამოსმა გამაკვირვა – უელსელებისთვისაც კი მეტად უცნაურად ეცვათ, მერე ფერმკრთალმა, გაუცინარმა გამომეტყველებამ. ჩემ წინ სურათები მიმოფანტულიყო, ზემოდან კი მათზე გამოსახული ბავშვები დამჩერებოდნენ.

რა თქმა უნდა, ისინი ფოტოებზე მენახა.

გოგონა, რომლის ხმაც წელან გავიგონე, ჩემ უკეთ შესათვალიერებლად წამოდგა. ხელში მოციმციმე საგანი ეჭირა. შიშველ ხელებში არა ლამპარი ან სანთელი, არამედ მანათობელი სფერო მოექცია. მისი ფოტო აქამდე ხუთჯერ მაინც მენახა. ის ახლაც ზუსტად ისევე გამოიყურებოდა და ხელშიც ისეთივე უცნაური შუქი უციმციმებდა.

– მე ჯეიკობი ვარ, – მსურდა, მეთქვა მათთვის, – და თქვენ გეძებდით.

თუმცა ჩემი ყბები თითქოს ერთმანეთს შეწებებოდა და ბავშვებს უხმოდ მივჩერებოდი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გოგონას სახე შეეჭმუხნა. ალბათ, საზარლად გამოვიყურებოდი: წვიმით დასველებული, მტვერში ამოგანგლული და ნამსხვრევებში ჩაცუცქული. აშკარა იყო, რომ ის, ვის ნახვასაც ბავშვები ჩატეხილ ორმოში ელოდნენ, მე არ ვიყავი.

ბავშვებმა ერთმანეთს რაღაც გადაუჩურჩულეს, წამოდგნენ და სწრაფად გაეცალნენ იქაურობას. მათმა მოულოდნელმა მოქმედებამ გამათავისუფლა, ხმა დამიბრუნდა და დავუყვირე, მოიცადეთ-მეთქი, თუმცა მათი ნაბიჯებით ვხვდებოდი, რომ გასასვლელს უახლოვდებოდნენ. ნამსხვრევებს წამოვედე და აყროლებული სარდაფის ბოლოს ბნელში გახვეული კიბისკენ მიმავალ გზას ბრმად გავუყევი. პირველ სართულზე რომ ავედი, მივხვდი, აორთქლებულიყვნენ.

გარეთ გავიჭერი და დანგრეული აგურის საფეხურებიდან ბალახში ყვირილით გავიქეცი:

– მოიცადეთ! შეჩერდით!

მაგრამ უკვე წასულიყვნენ. ეზო მოვათვალიერე. მძიმედ ვსუნთქავდი და თავ-ბედს ვიწყევლიდი.

ხეებში რაღაცამ გაიტკაცუნა. შემოვტრიალდი და ტოტებში მოძრაობა შევნიშნე. თეთრ კაბასაც მოვკარი თვალი. ის გოგონა იყო. ტყეში შევვარდი და გამოვეკიდე. ბილიკისკენ გაიქცა.

ძირს დაყრილ კუნძებს ვახტებოდი, ტოტებქვეშ გასაძრომად თავს დაბლა ვხრიდი. მივდევდი, სანამ ფილტვები არ შემეკუმშა. გოგონა ჩემი ხელიდან დასხლტომას ცდილობდა – ბილიკიდან ულრანი ტყისკენ გარბოდა. შემდეგ ტყე უკან მოვიტოვეთ და გაშლილ ჭაობთან აღმოვჩნდით. შესაძლებლობა მომეცა. ახლა ველარსად დამემალებოდა, უბრალოდ, უფრო სწრაფად უნდა მერბინა. მე სპორტული ფეხსაცმელი და ჯინსი მეცვა, მას – კაბა, ჩემგან გაქცევის შანსი არ ჰქონდა. მაგრამ როგორც კი მივუახლოვდი, მკვეთრად მოუხვია და ჭაობისკენ წავიდა. სხვა არჩევანი არ მქონდა, უნდა გავყოლოდი.

აქ სირბილი შეუძლებელი იყო. მიწას ველარ ვენდობოდი: ხან ქვევით მიმათრევდა, ხან ვბორძიკობდი, ხანაც მუხლამდე

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტალახის ორმოებში ვეფლობოდი, რომლებიც ქვემოთ მექაჩებოდა და შარვალს ტალახით მიჟღინთავდა. გოგონამ კი ზუსტად იცოდა, ფეხი სად დაებიჯებინა. უფრო და უფრო მშორდებოდა, სანამ ბოლოს ნისლში არ გაუჩინარდა და საორიენტაციოდ მხოლოდ მისი ნაკვალევიღა შემრჩა.

მეგონა, ჩემგან გაქცეული, ბილიკისკენ წავიდოდა, მაგრამ მის ნაკვალევს ჭაობის შუაგულისკენ მივყავდი. შემდეგ ბურუსში გავეხვიე და ბილიკსაც ველარ ვხედავდი. ნეტავი, ოდესმე თუ მოვახერხებდი აქედან გაღწევას? ვუყვიროდი:

– ჯეიკობ პორტმანი ვარ! ეიბ პორტმანის შვილიშვილი! არაფერს დაგიშავებ!

მაგრამ ნისლი და ტალახი თითქოს ჩემს ხმას ყლაპავდა.

გოგონას ნაკვალევმა ქვებთან მიმიყვანა, რომელიც დიდ, ნაცრისფერ იგლუს ჰგავდა, მაგრამ აკლდამა იყო, ადგილობრივებისთვის „ქეირნი“ (ქვისგან ნაგები პირამიდა) – ნეოლითის ხანის წარმონაქმნი, რის გამოც ქეირნჰოლმს ეს სახელი ეწოდა.

ჩემზე ოდნავ მაღალ, ვიწრო აკლდამას მართკუთხედი ფორმის შესასვლელი ჰქონდა და ტალახიან ბორცვზე ამოზრდილიყო. ჭანჭრობიდან ამოვბობღდი და შედარებით მყარ ზედაპირზე დავდგი ფეხი, რომელიც აკლდამას გარს შემოვლებოდა. დავინახე, რომ შესასვლელს ღრმა გვირაბისკენ მივყავდი. ორივე მხარეს კედლებზე მარყუჟები და სპირალები გამოესახათ, არქაული იეროგლიფები, რომელთა მნიშვნელობაც საუკუნეების წინ დავიწყებას მისცემოდა.

მაინც შევედი, რადგან გოგონას ნაკვალევი სწორედ აქ მთავრდებოდა. აკლდამა ნესტიანი იყო, ვიწრო, საკმაოდ ბნელი და ისეთი დაბალი, რომ მოძრაობა კუზიანი კიბორჩხალასავით მიწევდა. კიდევ კარგი, ჩემი ფობიების სიაში დახურული სივრცის შიში არ შედიოდა.

დამფრთხალი და აკანკალებული გოგონა რომ წარმოვიდგინე, სიარული განვაგრძე და ლაპარაკი გავუბი. ვცდილობდი,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დამერწმუნებინა, რომ არაფერს დავუშავებდი. ჩემი სიტყვები უკან ექოდ მიბრუნდებოდა. ცოტა ხნის შემდეგ გვირაბი გაფართოვდა. როგორც იქნა, წელში გავიმართე. ხელების განზე გაშლაც შემეძლო. ტელეფონი ამოვიღე, რომ ფარნის მაგივრობა გაეწია. სივრცის შეთვალიერებას დიდი დრო არ წაუღია. უბრალო, ქვებით მოპირკეთებული კედლები ჰქონდა, ჩემი საძინებლის ზომისა, სრულიად ცარიელი. გოგო თითქოს გამქრალიყო.

ვიდექი და ვფიქრობდი, მაინც როგორ მოახერხა, ხელიდან დამსხლტომოდა-მეთქი და უცებ ერთმა აზრმა გამიელვა. თავი იდიოტად ვიგრძენი, ამის მისახვედრად ამდენი დრო რომ დამჭირდა – არანაირი გოგონა არ არსებობდა. ჩემმა წარმოსახვამ ის თავად შეთხზა, ისიც და დანარჩენი ბავშვებიც. უბრალოდ, ჩემმა ტვინმა მათი სახეები სურათებიდან აღადგინა. რა იყო ის მოულოდნელი მზის დაბნელება, მათთან შეხვედრას წინ რომ უძღოდა? რა თქმა უნდა, გული წამივიდა.

ეს ბავშვები დიდი ხნის წინ დაიხოცნენ და იმ სახლში ვერანაირად ვერ იქნებოდნენ. რომც არ დახოცილიყვნენ, როგორ შეიძლებოდა, ზუსტად ისეთივე შესახედაობა ჰქონოდათ, როგორიც ფოტოებზე? ამის დაჯერება სისულელე იყო, მაგრამ მოვლენები ისე სწრაფად განვითარდა, რომ ვერ შევძელი საკუთარ ჰალუცინაციებზე დავფიქრებულიყავი.

ექიმ გოლანისეული ახსნის წინასწარმეტყველება არ გამჭირვებია.

– ობოლთა თავშესაფარი შენთვის იმდენად ემოციური ადგილია, რომ იქ ყოფნამ ძლიერი ზეგავლენა იქონია და აშლილობის გამომწვევი მიზეზი გახდა, – მეტყოდა იგი.

დიახაც, გოლანი ფსიქოლოგიურ ბოდვებს აფრქვევდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ ცდებოდა.

დარცხვენილი გამოვტრიალდი. ღირსება სულ დავივიწყე და გვირაბის გასასვლელისკენ ფორთხვით წავედი. რაღაც მომენტში თავი ავწიე და უცებ მივხვდი, რომ ეს ადგილი მანამ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დეც მენახა მარტინის მუზეუმში. „ქეირნჰოლმის ადამიანი“ აქ აღმოაჩინეს. ახლა კიდევ უფრო გამიჭირდა იმის დაჯერება, რომ ეს ნესტიანი, ვიწრო აკლდამა ვინმეს შეიძლებოდა სამოთხის ჭიშკარი ჰგონებოდა და თან ამ აზრის ისე ერწმუნა, რომ ჩემხელა ბიჭს აქ მოსახვედრად თავი გაეწირა. რა სევდის აღმძვრელი, სულელური დანაკარგი იქნებოდა!

შინ დაბრუნება გადავწყვიტე. აღარც სარდაფში ნაპოვნი სურათები მაღელვებდა, აღარც მინიშნებები ან იდუმალი ისტორიები და უკანასკნელი სურვილის ასრულების მცდელობამაც დამღალა. ბაბუაჩემის აკვიატებამ ჩემზე უარყოფითად იმოქმედა და დრო იყო, ამ ყველაფერს შევშვებოდი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გვირაბიდან გამოვძვერი და გარეთ გამოვაბიჯე. შუქმა დამაბრმავა. სახე მოვიჩრდილე, თვალებმოჭუტულმა, გაპარჭყულ თითებს შორის გავიხედე და გარემო მოვათვალიერე. იქაურობა ძლივს ვიცანი – ჭაობი, ბილიკი და სხვა ყველაფერი. ჩემი ჩამოსვლის შემდეგ ეს ადგილი პირველად გახვეულიყო მზის ოქროსფერ სხივებში. ცას ღია ცისფერი დაჰკრავდა, ნისლი უკვალოდ გამქრალიყო. ცხელოდა, როგორც შუა ზაფხულის ხვატიან დღეებში და არა ისე, როგორც ზაფხულის დასაწყისში იცის ხოლმე. ღმერთო, ამინდი აქ რა სწრაფად იცვლება-მეთქი, გავიფიქრე.

ბილიკს გავუყევი. ვცდილობდი, ტალახისთვის, რომელიც წინდებზე მეგლისებოდა და ჩემში უსიამოვნო შეგრძნებას იწვევდა, ყურადღება არ მიმექცია. ქალაქისკენ გავწიე. რაც უნდა გასაკვირი იყოს, ბილიკი სველი არ ყოფილა – თითქოს რამდენიმე წუთში მზემ გამოაშროო, თუმცა ნაკელით იყო დაფარული და მათთვის თავის ასარიდებლად აქეთ-იქით ხტუნაობა მიწევდა. აქამდე ეს როგორ ვერ შევამჩნიე?

ნაკელიანი ბილიკის შემდეგ მთაგრეხილი გადავიარე და ქალაქის გზას დავადექი. მალევე მივხვდი, ბილიკზე ფეკალური მასები საიდანაც მოხვედრილიყო – ქალაქში, ხრეშში გულმოდგინედ მომუშავე ტრაქტორების ნაცვლად, ურმები დამხვდა, რომლებშიც ჯორები და ცხენები შეებათ. ძრავების გრუხუნის მაგივრად კი მათი ფეხების ბაკაბუკი ისმოდა.

აღარც დიზელზე მომუშავე გენერატორების გუგუნი გამიგია. ნუთუ, კუნძულს ამ რამდენიმე საათში საწვავი სულ გამოელია? ან სად მალავდნენ ამდენ ცხოველს ქალაქის მაცხოვრებლები?

ყველა მე რატომ მომჩერებოდა? ვისაც კი ჩავუარე, გაფართოებული თვალებით მაშტერდებოდა, საქმის კეთებას წყვეტდა და ჩემ შესათვალიერებლად კისერს იგრძელებდა. ტანსაცმელზე დავიხედე და დავინახე, რომ წელქვევით მთლიანად ტალახში ვიყავი ამოგანგლული, ხოლო წელზევით ბათქაშში.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი დავხარე და ბარისკენ სწრაფი ნაბიჯით გავწიე. იქ სიბნელეში მაინც დავიმალებოდი, სანამ მამა წასახემსებლად უკან დაბრუნდებოდა. გადავწყვიტე, მისთვის ჩემი წასვლის სურვილი გამემხილა. კუნძული, რაც შეიძლება, მალე უნდა დაგვეტოვებინა. თუ ორჭოფობას დაიწყებდა, გამოვუტყდებოდი, რომ ჰალუცინაციები დამეწყო და სახლის გზას პირველივე ბორნით დავადგებოდით.

„მღვდლის ორმოში“, რომელსაც უკვე ჩემს მეორე სახლად მივიჩნევდი, ლოთების ჯგრო, მორყეული მაგიდები და ჩაბნელებული გარემო დამხვდა. კიბისკენ რომ გავემართე, უცნობმა ხმამ შემომიღრინა:

– სად მიიპარები?

პირველ საფეხურზე ფეხშედგმული შემოვბრუნდი და ბარმენი დავინახე, რომელიც თავით ფეხამდე მათვალიერებდა, ოღონდ კევი კი არა, ვიღაც სხვა, მოღუშულსახიანი კაცი იყო, რომელიც ვერ ვიცანი. ბარმენის წინსაფარი ეკეთა და ხშირი, გადაბმული წარბები და ხვეული ულვაში ჰქონდა.

მინდოდა, მეთქვა, მეორე სართულზე ბარგის ჩასალაგებლად ავდივარ და მამაჩემი სახლში თუ არ წამიყვანს, კრუნჩხვის შეტევას გავითამაშებ-მეთქი, თუმცა, ამის მაგივრად, მივუგე:

– ჩემს ოთახში, – ჩემი პასუხი ფაქტის ხაზგასმაზე მეტად შეკითხვას ჰგავდა.

– ჰოო? – თქვა მან და ბოკალი, რომელშიც ლუდს ასხამდა, მაგიდაზე დადგა, – შენი აზრით, ეს ადგილი სასტუმროს ჰგავს?

ხის სკამებმა გაიჭრიალა – იქ მსხდომნი ჩემ უკეთ შესათვალიერებლად წამოიწივნენ. მათ სახეებს დავაკვირდი. არც ერთი არ მეცნო. „ფსიქიკური შეტევა მჭირს“, გავიფიქრე, „სწორედ ახლა“. თუმცა თავს არც უჩვეულოდ ვგრძნობდი, არც უცნაური ნათება დამინახავს და არც ხელისგულები გამოფლიანებია. მეგონა, მე კი არა, სამყარო შეიშალა.

ბარმენს მივუგე, რომ რაღაც გაუგებრობა ხდებოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მე და მამაჩემს ზედა სართულზე ოთახები გვაქვს დაქირავებული. აი, ნახეთ, გასაღები თან მაქვს, – ვთქვი და სამხილი, ჯიბიდან ამოღებული გასაღები, წარვუდგინე.

– მანახე ერთი, – მითხრა ბარმენმა, დახლზე გადმოიხარა და გასაღები ხელიდან გამომტაცა.

მერე ზევით ასწია და მკრთალ სინათლეზე ისე შეათვალიერა, როგორც ოქრომჭედელი ათვალიერებს ხოლმე ძვირფას სამკაულს.

– ეს ჩვენი არ არის, – შემომიბღვირა და გასაღები ჯიბეში ჩაიცურა, – ახლა კი გამოტყდი, აქ რას აკეთებ. იცოდე, ამჯერად არ მომატყუო!

ვიგრძენი, რომ სახე ამელეწა. ჩემთვის მატყუარა არასოდეს უწოდებიათ.

– უკვე გითხარით, ოთახები ვიქირავეთ! თუ ჩემი არ გჯერათ, კევს ჰკითხეთ.

– არანაირ კევს არ ვიცნობ და საერთოდ, ძალიან არ მომწონს, მაგ ზღაპრებს რომ მიყვები, – მომიგო მშვიდად, – აქ ოთახები არ ქირავდება და ზედა სართულზეც მარტო მე ვცხოვრობ!

ირგვლივ მიმოვიხედე იმ იმედით, რომ რომელიმე შეზარხოშებული გამიღიმებდა და ეს ყველაფერი ხუმრობა აღმოჩნდებოდა, მაგრამ წარბი არავის შეუხრია.

– ამერიკელია, – შენიშნა უშველებელწვერიანმა ტიპმა, – ალბათ, არმიაშია.

– სისულელეა! – გამოსცრა მეორემ, – ძალიან ახალგაზრდაა.

– ამას უყურე, – თქვა ისევ წვერიანმა და ჩემი ქურთუკის სახელოს წაეტანა, – ასეთს მაღაზიაში ნამდვილად ვერ ნახავ. ეს ბიჭი არმიაში უნდა იყოს.

– მისმინეთ, – ვიყვირე შეშფოთებულმა, – არც არმიაში ვარ და არც ხრიკებს გიმზადებთ, გეფიცებით! უბრალოდ, მამაჩემის პოვნა მინდა. ჩავალაგებთ და აქედან...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ამერიკელი არა ის! – დაიღრიალა მსუქანმა კაცმა, რომელმაც შეამჩნია, რომ გასასვლელისკენ მივდიოდი. თავისი ქონიანი სხეული სკამიდან ასწია და ჩემსა და კარს შორის ჩადგა, – დააკვირდით, როგორი აქცენტით ლაპარაკობს! თავი მომაჭერით, თუ გერმანელი ჯაშუში არ იყოს!

– ჯაშუში არ ვარ, – უკან დავიხიე, – უბრალოდ, დავიკარგე.

– აჰა, – განაგრძო ღიმილით, – დროა, სიმართლე ძველებური მეთოდით დავტყუოთ – ჩამოვახრჩოთ!

მთვრალი კაცები დაეთანხმნენ. ვერ გამეგო, სერიოზულად ამბობდნენ თუ მეხუმრებოდნენ, მაგრამ ნამდვილად არ ვაპირებდი ამის გასარკვევად იქ დარჩენას. ამღვრეულ ტვინში ერთადერთი აზრი მიტრიალებდა: გაიქეცი. ალბათ, გაქცევა შეზარხოშებულ ბიძებს, რომლებიც ლინჩის წესით გასამართლებას მიპირებდნენ, ჩემს დანაშაულში კიდევ უფრო დაარწმუნებდა, მაგრამ ეს უკვე სულერთი იყო.

შევეცადე, მსუქან კაცს როგორმე ხელიდან გავსხლტომოდი.

ჩემკენ გამოიწია, მაგრამ მთვრალი ადამიანი, თავისი შენელებული მოძრაობებით, სწრაფ, ლამის ჩაფსმამდე შეშინებულ ბიჭს ტოლს ვერ დაუდებდა. თავი მოვაჩვენე, თითქოს წასვლას მარცხნივ ვაპირებდი, ამასობაში კი მარჯვნიდან შემოვუარე. კაცმა გაშმაგებით იღრიალა. დანარჩენმა ლოთებმაც წამოდგომა დაიწყეს, მაგრამ მათ ხელიდან დავუსხლტი, კარისკენ გავიქეცი და მზის შუქზე აღმოვჩნდი.

* * *

ქუჩას სირბილით გავუყევი. ბრაზიანი ხმები უკან მოვიტოვე და პირველივე შესახვევში შევვარდი. მოხვევისას ფეხი დამიცდა, მაგრამ არ გავჩერებულვარ. ტალახიანი ეზო გადავჭერი, სადაც ქათმები გზიდან კრიახით მეცლებოდნენ. შემდეგ გაშლილ სივრცეში აღმოვჩნდი და ჭიდან წყლის ამოსაღებად შეკრებილ ქალებს ჩავუქროლე. ყველამ გამომხედა. უცებ გა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მიელვა: „ეე, „მომლოდინე ქალი“ სად გაქრა?“ თუმცა ამაზე ფიქრის დრო არ მქონია. დაბალი მესრისკენ მივრბოდი და თან მასზე გადაძრომის გეგმას ვსახავდი: „ხელი ჩაავლე, მაღლა აიწიე და გადახტი“. საკმაოდ გადატვირთულ ბილიკზე დავეშვი და ლამის ურემმა გადამიარა. მეჯინიბეს ნათქვამი კარგად ვერ გავიგონე, მაგრამ, მგონი, დედას მაგინებდა. ცხენი ფერდით მკერდზე გამეხახუნა და ჩემგან რამდენიმე სანტიმეტრის მოშორებით ფლოქვების ნაკვალევი დატოვა.

ვერ გავრკვეულიყავი, რა ხდებოდა. ცხადი იყო, რომ სიგიჟის ზღვარზე ვიყავი და სასწრაფოდ ხალხს უნდა გავცლოდი, რათა ამაზე ჩემთვის, მშვიდად მეფიქრა. შარაგზისკენ გავიჭერი, კოტეჯების მწკრივების მიღმა. იქ ალბათ ბლომად მოფარებულ ადგილს ვნახავდი. გეზი ქალაქის ბოლოსკენ ავიღე. სირბილს მოვუკელი და ახლა სწრაფი ნაბიჯებით მივდიოდი იმ იმედით, რომ ტალახიანი და ბინძური მოსიარულე ამერიკელი ნაკლებ ყურადღებას მიიქცევდა, ვიდრე ტალახიანი და ბინძური მორბენალი ამერიკელი.

ჩემს მცდელობას, სხვების თვალში ნორმალური გამოვჩენილიყავი, ის უშლიდა ხელს, რომ ნებისმიერ ოდნავ გაფაჩუნებაზეც კი ვკრთებოდი. უცნობ ქალს, რომელიც სარეცხს ფენდა, ხელი დავუქნიე, მაგრამ, სხვებივით, ისიც გაოცებული მომაშტერდა და ნაბიჯს ავუჩქარე.

ჩემ უკან რაღაცის ხმა გაისმა და მეც იქვე, ბოსელში შევვარდი. დაძაბულმა გრაფიტით დაფარული კედლები მოვათვალიერე. ზედ ეწერა:

„დული ტრაკის მიმცემი ნაბიჭვარია“.

„რა? შაქარი არ არის?“

ბოლოს ძაღლმა გაირბინა, რომელსაც ლეკვები წკავწკავით მისდევდნენ. ამოვისუნთქე. დაძაბულობა ოდნავ მომეხსნა. თავს შევუძახე და ისევ შარაგზისკენ გავემართე.

უცებ ვიღაცამ თმაში ხელი ჩამავლო. სანამ დავიყვირებდი, უკნიდან ხელი შემომხვია და ყელზე ბასრი საგანი მომაბჯინა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– იყვირებ და ყელს გამოგჭრი, – გამაფრთხილა.

ყელიდან დანის მოუშორებლად ბოსლის კედელთან მიმაყენა და წინ გადამიდგა. ჩემდა გასაკვირად, ბარის რომელიმე კლიენტი კი არა, დილით ნანახი გოგონა აღმოჩნდა. სადა, თეთრი კაბითა და მკაცრი გამომეტყველებით იდგა და საოცრად ლამაზი იყო.

– ვინ ჯანდაბა ხარ? – წაისისინა.

– მე... მე... ამერიკელი ვარ, – ვუპასუხე პაუზებით. კარგად ვერ მივხვდი, რისი გაგება სურდა, – ჯეიკობი მქვია.

აკანკალებული ხელით ყელზე დანა კიდევ უფრო ძლიერად მომაჭირა. შეშინებული იყო, ესე იგი, საშიშიც.

– იმ სახლში რა გინდოდა? – მკითხა მბრძანებლური ტონით, – და რატომ გამომეკიდე?

– შენთან დალაპარაკება მსურდა! ნუ მომკლავ!

შეჭმუხნული მზერით შემათვალიერა.

– მაინც რაზე?

– სახლზე და იმ ადამიანებზე, ვინც იქ ცხოვრობდა.

– აქ ვინ გამოგგზავნა?

– ბაბუაჩემმა. აბრაამ პორტმანი ერქვა.

გოგონამ პირი დააღო.

– იტყუები! – დაასკვნა ბოლოს. თვალები უელავდა, – შენი აზრით, არ ვიცი, რა არსება ხარ? გუშინ კი არ დავბადებულვარ! გაახილე თვალები! დამანახე შენი თვალები!

– გახელილი მაქვს! აი! – თვალები ისე ფართოდ დავაჭყიტე, როგორც შემეძლო. ფეხის წვერებზე აიწია და ჩამაშტერდა. შემდეგ ფეხები დააბაკუნა და მიყვირა:

– არა, შენი ნამდვილი თვალები! ვერ გამაცურებ. ეგ თვალები ისევე ყალბია, როგორც შენი მონაჩმახი ეიბზე!

– არ ვტყუი, ნამდვილად ჩემი თვალებია! – ყელზე დანის წვერს ისე ძლიერად მაჭერდა, ძლივს ვსუნთქავდი. კიდევ კარგი, დანას პირი დაბლაგვებოდა, თორემ ნამდვილად დამჭრიდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მისმინე, ვინც გგონივარ, ის არ ვარ. დაგიმტკიცებ!

ხელი ოდნავ მოადუნა.

– თუ არ დამიმტკიცებ, ამ ბალახს შენი სისხლით მოვრწყავ!

– აი, აქ მაქვს დამამტკიცებელი საბუთი, – ვთქვი და ქურთუკის ჯიბეში ხელის ჩაყოფა დავაპირე.

უკან გადახტა და მიყვირა, შეჩერდიო. აკანკალებული ხელებით დანა ზევით აეწია და თვალებს შუა მიმიზნებდა.

– უბრალოდ, წერილია! დაწყნარდი!

დანა ჩამოსწია, მე კი ნელი მოძრაობით ჯიბიდან მის პერეგრინის წერილი და ფოტო ამოვიღე. ზევით ავწიე, რომ კარგად დაენახა.

– ეს წერილი ჩემი აქ ყოფნის ერთ-ერთი მიზეზია. ბაბუაჩემმა გადმომცა. ფრინველისგანაა. ხომ ასე ეძახით ბავშვთა სახლის დირექტორს?

– ეგ არაფერსაც არ ამტკიცებს! – თქვა მან ისე, რომ წერილისთვის არც შეუხედავს, – ჩვენ შესახებ ამდენი საიდან იცი?

– ხომ გითხარი, ბაბუაჩემი...

წერილი ხელიდან გამომტაცა.

– მაგაზე ერთი სიტყვაც აღარ გამაგონო!

აშკარად ნერვები მოვუშალე. ცოტა ხანს გაყუჩდა. სახე უთრთოდა. თითქოს თავისთვის მსჯელობდა იმაზე, თუ მუქარის აღსრულების შემდეგ ჩემი გვამისთვის რა მოეხერხებინა, მაგრამ სანამ რამეს მოიფიქრებდა, შარაგზის მეორე ბოლოდან ყვირილი გაისმა. მივტრიალდით და ბარის კლიენტები დავინახეთ, რომლებიც, სხვადასხვანაირი იარაღით ხელში, ჩვენკენ მორბოდნენ.

– ეს რა არის? რა ჩაიდინე?

– ერთადერთი ადამიანი არა ხარ, ვისაც ჩემი მოკვლა სურს!

ყელიდან დანა მომაშორა, ფერდზე მომაჭირა და ხელი საყელოზე მტაცა.

– ახლა ჩემი ტყვე ხარ. ისე მოიქეცი, როგორც მე გეტყვი, თორემ ინანებ!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

არ შევწინააღმდეგებივარ. ზუსტად არ ვიცოდი, ვისთან მქონდა გადარჩენის მეტი შანსი, ამ დარტყმულ გოგოსთან თუ გამტყვრალი ლოთების ბრბოსთან, მაგრამ მივხვდი, რომ ჩემს კითხვებზე პასუხები გოგონას ექნებოდა.

ხელით წინ მიბიძგა და ცენტრალური გზისკენ გავიქეცით. ცოტა ხნის შემდეგ გვერდზე გახტა და მეც თან წამათრია. თავდახრილები გაფენილი თეთრეულის ქვეშ გავძვერით და პატარა კოტეჯის ეზოში ქათმების ცოცხალ ღობეს გადავახტით.

– აქეთ, – დაიჩურჩულა და სასუქის სუნით აყროლებული, პატარა ფაცხის კარში შემაგდო.

შიგნით არავინ იყო, მძინარე ბებერი ძაღლის გარდა, რომელმაც ცალი თვალი გაახილა, შემოგვხედა და ისევ ძილს მისცა თავი. იმ ფანჯრის ქვეშ გავცოცდით, რომელიც ქუჩას გადმოჰყურებდა და მის გასწვრივ კედელს გავეკარით. გაუნძრევლად ვიდექით და ვაყურადებდით. გოგონას ერთი ხელი ჩემთვის ჩაევლო, მეორეთი კი დანა ფერდზე მოებჯინა.

ერთი-ორი წუთის შემდეგ კაცების ხმა მიჩუმდა და შემდეგ ისევ გაისმა. ძნელი სათქმელი იყო, სად იყვნენ. იქაურობას თვალი მოვავლე. ქეირნჰოლმისთვისაც კი ზედმეტად სოფლური გახლდათ. კუთხეში ხელით დაწნული კალათები აეხორხლათ. ნაჭერგადაკრული სკამი გაჭვარტლული რკინის ქურის წინ მოეთავსებინათ. კედელზე კალენდარი ეკიდა და იმის მიუხედავად, რომ ძალიან ბნელოდა და ვერაფერი გავარჩიე, მისი დანახვისას თავში უცნაურმა აზრმა გამკრა.

– რომელი წელია? – ჩურჩულით ვკითხე გოგონას.

– მოკეტე! – მომიგო მკაცრად.

– სერიოზულად მაინტერესებს, – არ მოვეშვი.

ცოტა ხანს უცნაურად მაკვირდებოდა.

– არ ვიცი, რა თამაშს თამაშობ, მაგრამ თუ მართლა გაინტერესებს, მიდი და თვითონ ნახე, – მითხრა და კალენდრისკენ მიბიძგა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კალენდრის ზედა ნაწილი ტროპიკული პეიზაჟის შავ-თეთრ ფოტოს ეკავა. საცურაო კოსტიუმებში გამოპრანჭული გოგონები ნაპირზე იდგნენ და იღიმოდნენ. ზევით ეწერა: 1940 წელი. 3 სექტემბერი. თვის პირველი და მეორე რიცხვები გადაეხაზათ.

გამაცია. ამ დილით მომხდარი ყველა უცნაური ამბავი გამახსენდა: ამინდის უეცარი ცვლილება, კუნძული, რომელიც თითქოს გარდაისახა და ახლა უცნობი ადამიანებით გახლდათ დასახლებული. ჩემ გარშემო ძველებური სტილის ნივთები იყო, მაგრამ ახლებს ჰგავდა. ეს ყველაფერი კალენდრით აიხსნებოდა.

1940 წლის 3 სექტემბერი? მაგრამ როგორ?!

შემდეგ ბაბუას უკანასკნელი სიტყვები გამახსენდა:

„მოხუცის საფლავის გადაღმა“.

ეს მინიშნება ვერ ამოვხსენი. მეგონა, რომ მოჩვენებებს გულისხმობდა – დაღუპული ბავშვების ლანდების საპოვნელად გაღმა ნაპირზე უნდა გავსულიყავი. ზედმეტად პოეტურად ჟღერდა. ბაბუაჩემი კი პირდაპირი კაცი იყო და მეტაფორასა და ქარაგმებს არ გამოიყენებდა. მან გარკვეული ინსტრუქცია მომცა, უბრალოდ, მის ასახსნელად დრო არ ჰქონია: „მოხუცი კაცი“ – ასე ხომ ჭაობში ნაპოვნ ბიჭს უწოდებდნენ აქაურები. მისი საფლავი კი აკლდამა გახლდათ. დღეს დილას აკლდამაში შევედი და სადღაც სხვაგან გამოვედი, სხვა დროში – 1940 წლის 3 სექტემბერს.

ეს ყველაფერი გავაცნობიერე და ოთახი თითქოს ამოყირავდა. მუხლები მომეკვეთა და იქაურობა უკუნეთში გაუჩინარდა.

* * *

იატაკზე გამომეღვიძა. ხელები ქურაზე მქონდა მიბმული. გოგონა ნერვიულად ბოლთას სცემდა და თავის თავს ელაპარაკებოდა. თვალები დავხუჭე და ჩუმად ვუსმენდი.

– ალბათ ერთ-ერთი იმათგანია, – ამბობდა ის, – აბა, რატომ უნდა დასჭირვებოდა სახლში ძრომიალი?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– წარმოდგენაც არ მაქვს, – უპასუხა ვილაცამ, – იქნებ არ იცოდა, რომ თავი მარყუჟში ამოყო?

ესე იგი, აქ კიდევ სხვაც იყო. ისეთ ადგილას ვიწექი, რომ ბიჭს, რომელიც მას პასუხობდა, ვერ ვხედავდი.

– აი, თავად დაფიქრდი, – თქვა გოგონამ და ჩემზე მიუთითა, – წარმოგიდგენია, ეიბის ნათესავი არაფრის აზრზე არ იყოს?

თავი სულ ოდნავ მოვატრიალე და ოთახი მოვათვალიერე, მაგრამ ბიჭი მაინც ვერ დავინახე.

– თუ, რა თქმა უნდა, თავს არ იკატუნებს, – დააბოლოვა ეჭვიანი მზერით.

ძაღლს გაღვიძებოდა. ჩემთან მოძუნძულდა და სახის ლოკვა დამიწყო. თვალები დავხუჭე, შევეცადე, მისთვის ყურადღება არ მიმექცია, მაგრამ სველი და საზიზღარი ენით სულ დამდორბლა. წამოვდექი, რომ გავრიდებოდი.

– ნახეთ, ვის გაულვიძია! – თქვა გოგონამ და ტაში დამიკრა, – დღეს შენი როლი საკმაოდ დამაჯერებლად ითამაშე. განსაკუთრებით გულის წასვლის ეპიზოდი მომეწონა. დარწმუნებული ვარ, თეატრმა შენი სახით შესანიშნავი მსახიობი დაკარგა, როდესაც სცენაზე თამაშის ნაცვლად მკვლელობა და კანიბალიზმი აირჩიე.

ჩემი უდანაშაულობის დასამტკიცებლად პირი გავაღე, მაგრამ ჰაერში მოლივლივე, ჩემკენ მომავალი ფინჯნის დანახვაზე გავჩერდი.

– წყალი დალიე, – შემომესმა ბიჭის ხმა, – სიკვდილის უფლებას იქამდე ვერ მოგცემთ, ვიდრე დირექტორთან არ მიგიყვანთ.

ხმა ჰაერიდან მოდიოდა. ფინჯანს დავწვდი. ნეკა თითით უჩინარ ხელს შევეხე და ჭიქა კინაღამ ხელიდან გამივარდა.

– საკმაოდ მოუხერხებელი ვინმე ჩანს, – თქვა უჩინარმა ბიჭმა.

– უჩინარი ხარ! – შევძახე იდიოტივით.

– ნამდვილად. მილარდ ნალინგსი გესაუბრებათ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– შენს სახელს რატომ ეუბნები? – აღმოხდა გოგონას.

– ეს ემაა, – გააგრძელა ბიჭმა, – ცოტა არ იყოს, პარანოიდული შიშებითაა შეპყრობილი, თუმცა, ამას შენ თვითონაც შეამჩნევდი.

ემამ ბიჭს გახედა, უფრო სწორად, სივრცეს, სადაც, სავარაუდოდ, ბიჭი იმყოფებოდა, მაგრამ არაფერი უთქვამს. ხელი ამიკანკალდა. ვცადე, თავი მემართლებინა, მაგრამ ფანჯრიდან შემოსულმა ბრაზიანმა ხმებმა გამაწყვეტინა.

– ჩუმად! – შემომიბღვირა ემამ. ნაბიჯების ხმით მივხვდი, რომ მილარდი ფანჯრისკენ დაიძრა. ფარდა ოდნავ გადაიწია.

– რა ხდება? – იკითხა ემამ.

– სახლებს ჩხრეკენ. აქ დიდი ხნით ვერ გავჩერდებით.

– გარეთაც ვერ გავალთ!

– ვფიქრობ, გასვლა შეგვიძლია, – უპასუხა ბიჭმა, – უბრალოდ, დარწმუნებული რომ ვიყოთ, ჩემს დღიურში ჩავიხედავ. ფარდა დაიხურა და პატარა, ტყავის გარეკანიანი რვეული დავინახე, მაგიდიდან ზევით რომ აფრინდა და ჰაერში გადაიშალა. მილარდი თან ფურცლებს შლიდა, თან ღიღინებდა. ცოტა ხნის შემდეგ დღიური დაიხურა.

– ასეც ვიცოდი! დაახლოებით ერთ წუთს უნდა დავიცადოთ და მერე წინა კარიდან გავიდეთ.

– ხომ არ შეიშალე? – გოგონამ უკან დაიხია, – ყველა კეტიანი გადარეული უკან აგვედევნება.

– არა, თუ რაც ახლა მოხდება, მაგ მოვლენით ჩვენ არ დავინტერესდებით. გარწმუნებ, ეს გასაქცევად ყველაზე ხელსაყრელი დროა.

ქურაზე მიბმული ხელები გამიხსნეს და კარისკენ გამიძღვნენ. ჩაცუცქულები რაღაცას ველოდით. უცებ ძრავების ღმუილი გაისმა და ემამ შესძახა:

– ოჰ, მილარდ, გენიოსი ხარ!

– შენ კიდევ ამბობდი, რომ ჩემი კვლევა დროის უაზრო კარგვა იყო, – თქვა ბიჭმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ემამ ხელი საკეტს მოკიდა და მომიტრიალდა.

– ხელი ჩამჭიდე. არ გაიქცე. ისე მოიქეცი, თითქოს არაფერი მომხდარა.

დანა მომაშორა, მაგრამ მითხრა, რომ თუ გაქცევას დავაპირებდი, მომკლავდა.

– საიდან უნდა ვიცოდე, რომ თუ არ გავიქცევი, მაგ შემთხვევაშიც არ მომკლავ?

– დანამდვილებით ვერ გეცოდინება, – თქვა და კარი გამოაღო.

* * *

გარეთ, ქუჩაში, ხალხი გამოფენილიყო. არა მარტო ის კაცები, ბარიდან რომ გამომეკიდნენ (ისინი ერთი კვარტლის დაშორებით შეკრებილიყვნენ), არამედ – ქალებიც, მაღაზიების გამყიდველები და ურმების დამტარებლები, რომლებსაც თავიანთი საქმიანობა შეეწყვიტათ, შუა გზაზე იდგნენ და თვალები ცისკენ აღეპყროთ. იქ ნაცისტების საბრძოლო თვითმფრინავები ღმუოდნენ. მარტინის მუზეუმში ამის ამსახველი ფოტოები ნანახი მქონდა, სათაურით: „ქეირნჰოლმი გერმანელების საბრძოლო თვითმფრინავების შეტევისას“. რა უცნაურია, ერთი შეხედვით ჩვეულებრივ დღეს აღმოჩნდე მტრის მომაკვდინებელი იარაღის ქვეშ, რომელსაც შეუძლია, თვალის დახამხამებაში ცეცხლი გაგიხსნას და გაგანადგუროს.

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ქუჩა გადავკვეთეთ. ვცდილობდით, შეძლებისდაგვარად შეუმჩნევლად გვევლო. ემას ჩემთვის ხელი ღონივრად ჩაეჭიდა. თითქმის უკვე შარაგზასთან ვიყავით, როცა ვიღაცამ შეგვნიშნა. შეძახილი გავიგონეთ, შემოვტრიალდით და ჩვენკენ გამოქცეული კაცები დავინახეთ.

გავიქეცით. გზა ვიწრო იყო და სირბილი მიჭირდა. ცოტა ხნის შემდეგ მილარდის ხმა შემოგვესმა:

– მე ჩამოგრჩებით და ვეცდები, ისინი რამენაირად შევაჩერო! ბარში ზუსტად ხუთნახევარ წუთში შემხვდით!

მისი ნაბიჯების ხმა ზურგსუკან მიყუჩდა. გზის ბოლოს რომ მივაღწიეთ, ემამ შემაჩერა. უკან გავიხედეთ. დახვეული თოკი უეცრად ჰაერში მთელ სიგრძეზე გაიჭიმა ზუსტად მაშინ, როდესაც ბრბო მას მიუახლოვდა. კაცები თოკს წამოედნენ და ტალახში ჩაცვივდნენ. ემამ ტაში შემოჰკრა. თითქმის დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ მილარდის სიცილი გავიგონე.

სირბილი გავაგრძელეთ. ვერ გამერკვია, ემა მილარდს „მღვდლის ორმოში“ შეხვედრაზე რატომ შეუთანხმდა – ბარი პორტთან ახლოს და ბავშვთა სახლიდან ძალიან შორს იყო. თუმცა ისიც ვერ გამეგო, მილარდმა თვითმფრინავების გადაფრენის ზუსტი დრო როგორ გამოიცნო. ამიტომ აღარაფერი მიკითხავს. კიდევ უფრო დავიბენი, როდესაც, უკანა შესასვლელის ძებნის ნაცვლად, ემა პირდაპირ ღია კარში შემიძღვა. ამ დროს დაიმსხვრა ჩემი ყველა იმედი, რომ ვერავინ შეგვამჩნევდა.

შიგნით, ბარმენის გარდა, არავინ დაგვხვედრია. მისგან ზურგით დავდექი და სახე დავმალე.

– ეი, ბარმენო! – თქვა ემამ, – ერთი ონკანი მოუშვი. ისე მწყურია, როგორც დაწყევლილ ქალთევზას!

ბარმენს გაეცინა.

– პატარა გოგოებს არ ვემსახურებით.

– შენ მაგაზე ნუ იღელვებ! – იყვირა ემამ და დახლს ხელები დაუშინა, – საუკეთესო ვისკი დამისხი, ის წყალგარეული ფსელი კი არა, სხვებს რომ ასმევ!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვიფიქრე, ემა რაღაც ხრიკს ამზადებს ან ხუმრობს-მეთქი. ალბათ, სურდა, მილარდისთვის ეჯობნა. ბარმენი დახლზე გადმოიხარა.

– ესე იგი, ძლიერი სასმელი გინდა, არა? – მაცდურად გაიღიმა, – ოღონდ შენს დედიკოს და მამიკოს არ გააგებინო, თორემ მღვდელს და კონსტებლს გადავიმტერებ.

შუშის ბოთლი გადმოიღო და საეჭვო შესახედაობის მუქი ფერის სითხე ჭიქაში ჩაასხა.

– და შენს მეგობარს? თუ უკვე დრაკონივით გალეშილია?

თავი მოვაჩვენე, ვითომ ბუხრის შესწავლით ვიყავი დაკავებული.

– მორცხვი ჩანს, არა? – თქვა ბარმენმა, – სადაურია?

– ამბობს, მომავლიდანო, – მიუგო ემამ, – მგონი, შერყეულია.

თვალი ბარმენისკენ გავაპარე. გამომეტყველება შეეცვალა.

– რაო? სადაურიაო? – იკითხა.

შემდეგ ალბათ მიცნო, რადგან წამოიყვირა, ვისკის ბოთლი დახლზე დაახეთქა და ჩემკენ წამოვიდა.

გაქცევა დავაპირე, მაგრამ სანამ ბარმენი დახლს გარს შემოუვლიდა, ემამ ჭიქას ხელი ჰკრა და ვისკი დაღვარა. შემდეგ კი საოცრების მომსწრე გავხდი. ხელისგული ალკოჰოლით გაჟღენთილ დახლთან მიიტანა და იქიდან წამში ცეცხლის ალის კედელი აღიმართა. ბარმენმა დაიღრიალა და დაფაცურდა, რომ ცეცხლი ჩაექრო.

– აქეთ, ჩემო ტყვევ! – შესძახა ემამ, ხელი მკლავში წამავლო და ბუხრისკენ წამიყვანა, – ხელი მომეცი. ხელი მომეცი და ასწიე.

ორივემ თითები ჩავყავით იატაკის ჭრილში და ფიცარი ერთობლივად ავწიეთ. მხრების სიგანეზე ოდნავ უფრო ფართო ღრმული დავინახე – მღვდლის ორმო. ოთახი კვამლით ივსებოდა, ბარმენი ცეცხლის ჩაქრობას ცდილობდა, ჩვენ კი ერ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თმანეთის მიყოლებით დაბლა ჩავძვერით და ოთახიდან გავუ-ჩინარდით.

დაახლოებით მეტრ-ნახევარი სიმაღლის მღვდლის ორმო მაღაროზე ცოტათი დიდი იქნებოდა. ბნელოდა, თუმცა მალე უკუნეთში სუსტი ნათება გამოჩნდა და ემას გავხედე. გოგონას ხელებში სფეროს ფორმის ნათელი ლივლივებდა. გავარ-ვარებულ სფეროს მივაშტერდი და ყველაფერი გადამავიწყდა.

– გაინძერი! – შემომიღრინა ემამ, – იქ გასასვლელია.

წინ გავხოხდით და კედელს მივადექით. მერე ემა მოტრი-ალდა, დაჯდა და კედელს ფეხები დაუშინა. ისიც მაშინვე ჩა-მოიშალა და გარედან დღის შუქი შემოიჭრა.

– აი, სად ყოფილხართ! – როგორც კი გადავძვერით, მი-ლარდის ხმა გავიგონე, – სანახაობის მოწყობა ძალიან გიყ-ვარს, არა?

– არ მესმის, რას გულისხმობ, – მიუგო ემამ, თუმცა ვხე-დავდი, საკუთარი თავით ნასიამოვნები ჩანდა.

მილარდი ცხენშებმული ურმისკენ წაგვიძღვა, რომელიც, მგონი, ჩვენ გვიცდიდა. ზედ ავბობღდით და ნაჭრის გადასა-ფარებლის ქვეშ ჩავძვერით. მალე მეჯინიბე მოგვიახლოვდა, ცხენს შემოახტა და ჯაყჯაყით დავიძარით.

ერთხანს ჩუმად მივდიოდით. ჩვენ გარშემო ხმების ცვალე-ბადობით ვხვდებოდი, რომ ქალაქს ვტოვებდით.

ძალა მოვიკრიბე და ვიკითხე:

– ურმის შესახებ საიდან იცოდი? ან თვითმფრინავების? ნათელმხილველი ხარ?

ემას გაეცინა.

– არც მთლად ეგრეა...

– ეს ყველაფერ̌ი გუშინაც მოხდა, გუშინწინაც და იმის წი-ნაც. შენს მარყუჟში ასე არ ხდება?

– ჩემს რაში?

– მარყუჟიდან არ არის, – თქვა ემამ ძალიან ჩუმად, – მთე-ლი დღეა, გეუბნები, რომ ერთ-ერთი იმათგანია, დაწყევლილი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მგონი, უაითი ნებას არ მოგცემდა, ცოცხალი შეგეპყრო.

– ხედავ? – დავიჩურჩულე, – არ ვარ... ის, რაც შენ თქვი. ჯეიკობი ვარ.

– მაგასაც ვნახავთ. ახლა კი მოკეტე.

შემდეგ ემა წაიხარა და გადასაფარებელი გადასწია. ლურჯი ცის ნაგლეჯი გამოჩნდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ოდესაც უკანასკნელი კოტეჯებიც გაუჩინარდა, ურმიდან ჩუმად ამოვცოცდით, მთაგრეხილი ფეხით გადავკვეთეთ და ტყისკენ გავემართეთ. გვერდზე გასუსული და ჩაფიქრებული ემა მომყვებოდა და მკლავზე ხელს არ მიშვებდა. მეორე მხარეს კი მილარდი მოაბიჯებდა, თავისთვის ღიღინებდა და კენჭებს ფეხს ურტყამდა. აღელვებული და დაბნეული ვიყავი. ვგრძნობდი, რომ მალე რაღაც მნიშვნელოვანი მოხდებოდა. თან მეშინოდა, რომ წუთი-წუთზე გამომეღვიძებოდა და „სმარტ ეიდის“ თანამშრომლების ოთახის მაგიდაზე საკუთარ დორბლში ამოგანგლული გამოვფხიზლდებოდი. ვიტყოდი: „რა უცნაური სიზმარი იყო!“ და ისევ იმ მომაბეზრებელ რუტინას დავუბრუნდებოდი, რასაც ჯეიკობის ცხოვრება ერქვა.

თუმცა არ გამღვიძებია და დავრწმუნდი, რომ რეალობაში მივაბიჯებდით გზაზე – გოგონა, რომელსაც ცეცხლის გაჩენა შიშველი ხელებით შეეძლო, უჩინმაჩინი ბიჭი და მე. ტყეში შევედით. საცალფეხო ბილიკი ისეთივე ფართო და გაკრიალებული იყო, როგორიც ეროვნული პარკების ბილიკებია ხოლმე. შემდეგ ლამაზი ბაღებითა და აყვავებული ყვავილებით სავსე ადგილი გამოჩნდა. სახლს მივადექით.

გაოცებული ვაკვირდებოდი. ამჯერად სახლი საზარელი შესახედაობისა კი არა, მშვენიერზე მშვენიერი და დიდებული გახლდათ. არც ერთი ფანჯარა ჩატეხილი არ იყო. მორყეული და დუნედ ჩამოკიდებული საკვამურები და კოშკურები ცისკენ ამაყად იმზირებოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ემა და მილარდი ქვის ფილებით მოპირკეთებულ ბილიკზე გამიძღვნენ და ახლადშეღებილი კიბით ტერასაზე გავედით. ემას ეტყობოდა, ჩემი აღარ ეშინოდა, მაგრამ სანამ სახლში შევიდოდით, ხელები ზურგსუკან დამიბა. მგონი, უბრალოდ, სანახაობისთვის – სახლში დაბრუნებული მონადირის როლს ასრულებდა და მე მის ნადავლს წარმოვადგენდი. ჩემი შიგნით შეყვანა რომ დააპირა, მილარდმა შეაჩერა.

– მის ფეხსაცმელს ტონა ტალახი აქვს აკრული. ჭუჭყიანი ფეხებით სახლში შებოტების უფლებას ვერ მივცემთ. ფრინველს გულის შეტევა დაემართება.

ასე რომ, ფეხსაცმელი და ჭუჭყიანი წინდები გავიხადე. შემდეგ მილარდმა მთხოვა, ჯინსის ტოტები ამეკეცა, რომ ხალიჩაზე არ მომთრეოდა. ეს თხოვნაც რომ შევასრულე, მოთმინებადაკარგულმა ემამ ხელი მტაცა და კარში შემაგდო.

დერეფანს გავუყევით და კიბეს გავცდით, რომელიც ახლა სისუფთავისგან ბზინავდა. მოაჯირიდან ცნობისმოყვარე სახეები შემომცქეროდნენ. სასადილოში შევედით. იქ ჩამოცვენილი ბათქაშის ნაცვლად ხის დიდი მაგიდა დამხვდა, გარშემო შემოწყობილი სკამებით. ეს სწორედ ის სახლი იყო, მე რომ დავათვალიერე, ოღონდ განახლებული და აღდგენილი. სადაც ხავსით დაფარული კედლები მახსოვდა, იქ შპალერს, ხის პანელებსა და საღებავის ფერად ტონალობებს ვხედავდი. ლარნაკებში ყვავილები ჩაეწყოთ. დამპალი ხისა და გახრწნილი ქსოვილების გროვები ახლა ოდნავ ფერგადასულ სავარძლებად და დივნებად ქცეულიყო. ფანჯრებიდან მზის შუქი იღვრებოდა.

ბოლოს ერთ პატარა ოთახში შევედით, რომლის ფანჯრებიც უკანა ეზოს გადაჰყურებდა.

– თვალი გეჭიროს ამაზე, სანამ ყველაფერს დირექტორს მოვახსენებ, – უთხრა ემამ მილარდს და ჩემი თავი უჩინარ ბიჭს გადაულოცა. მილარდმა ხელი ღონივრად ჩამჭიდა, თუმცა, ემა გავიდა თუ არა, თითები მოადუნა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არ გეშინია, რომ ტვინს ამოგგლეჯ და შევსანსლავ ან რამე ეგეთს ჩავიდენ? – ვკითხე.

– დიდად არა.

ფანჯრისკენ შევბრუნდი და გარეთ გავიხედე. ეზო ბავშვებით იყო სავსე. გაყვითლებულ ფოტოებზე თითქმის ყველა მათგანი ნანახი მყავდა. ზოგიერთი ხეების ჩრდილში უსაქმურობდა, ზოგი ბურთით თამაშობდა, დანარჩენები კი ყვავილებიან გაზონებში ერთმანეთს დასდევდნენ. ზუსტად ის სამოთხე იყო, ბაბუა რომ მიყვებოდა ხოლმე – მოჯადოებული კუნძული ჯადოსნური ბავშვებით. თუ ეს ყველაფერი მესიზმრებოდა, გამოღვიძება ნამდვილად არ მსურდა, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც.

დაბალი ბალახით დაფარულ მოედანზე ბურთს ვიღაცამ ისე ძლიერად დაარტყა, რომ მაღლა აფრინდა და ტოტებში გაიჭედა. სხვადასხვა ცხოველის ფორმის კოხტად გაკრეჭილი ბუჩქები რამდენიმე რიგად ჩამწკრივებულიყო. ეს ფანტასტიკური მწვანე არსებები თითქოს სახლს ტყისგან იცავდნენ. მათ შორის იყვნენ: ფრთიანი ფასკუნჯი, ზურგშექცეული კენტავრი და ქალთევზა. დაკარგული ბურთის მაძიებელი ორი მოზარდი ბიჭი და მათ დადევნებული პატარა გოგონა ბუჩქებს მიუახლოვდნენ. გოგო მაშინვე ვიცანი – ბაბუას ფოტოზე ჰაერში რომ ირწეოდა. ახლა არ დაფრინავდა, მაგრამ ძალიან ნელა მოძრაობდა, თითოეულ ნაბიჯს დიდი ძალისხმევით ადგამდა, თითქოს მიწაზე მოჭარბებული გრავიტაციით იყო მიბმული.

ბიჭებს რომ მიუახლოვდა, ხელები ზევით ასწია. მათ წელზე თოკი შემოახვიეს. გოგონა ფეხსაცმელიდან ნაზად ამოცურდა და ჰაერში გაბერილი ბუშტივით აფრინდა. საოცარი სანახავი იყო. მაღლა მიიწევდა, სანამ მის წელზე შემოხვეული თოკი არ დაიჭიმა, რომლის ბოლოებიც ბიჭებს ეჭირათ.

გოგონამ რაღაც თქვა, ბიჭებმა თავი დაუქნიეს და თოკი ნელ-ნელა მოუშვეს. როცა გოგონა კენტავრის ფორმის ბუჩ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ქში იმ ადგილს გაუსწორდა, სადაც ბურთი გაჩხერილიყო, ტოტებში ქექვა დაიწყო, თუმცა ვერაფერი გააწყო. მერე დაბლა ჩაიხედა, თავი გააქნია და ბიჭებმაც თოკი ქვემოთ დაქაჩეს. ძირს დაშვების შემდეგ გოგონა თავის მძიმე ფეხსაცმელში ჩაეშვა და თოკი მოიხსნა.

– მოგწონს წარმოდგენა? – მკითხა მილარდმა. უხმოდ დავუქნიე თავი, – ბურთის გამოხსნის უფრო მარტივი გზებიც არსებობს, მაგრამ იციან, რომ მაყურებელი ჰყავთ.

კენტავრის ფორმის ბუჩქს მეორე გოგონა უახლოვდებოდა. თითქმის ზრდასრული იყო და ველური შესახედაობა ჰქონდა – თავზე თმა ჩიტის ბუდესავით ედო. დაიხარა, ფიგურის გრძელი, ფოთლებისგან გაკეთებული კუდი აიღო და ხელზე დაიხვია. შემდეგ კი თვალები დახუჭა. ცოტა ხანში დავინახე, რომ კენტავრის ხელი ამოძრავდა. ფანჯრიდან მწვანე ბუჩქებს გაშტერებული ვაკვირდებოდი. ვიფიქრე, რომ ტოტები ნიავმა შეარხია, თუმცა მალევე ფიგურამ თითები დაჭიმა – თითქოს სული ჩაბერესო. გაოგნებული ვუყურებდი, როგორ მოიხარა კენტავრის მკლავი, მკერდში ხელი ჩაიყო, იქიდან ბურთი გამოაძვრინა და ბავშვებს გადაუგდო. თამაში გაგრძელდა. ველურმა გოგონამ კენტავრის კუდს ხელი უშვა და ისიც ძველებურად გაშეშდა.

მილარდის სუნთქვამ მინა დაორთქლა. მას აღტაცებულმა გავხედე.

– არ მინდა, უზრდელობაში ჩამომართვა, მაგრამ რას წარმოადგენთ?

– უჩვეულო ბავშვები ვართ, – მომიგო დაბნეულმა, – შენ არა?

– არ ვიცი. არა მგონია.

– სამწუხაროა.

– ხელი რატომ გაუშვი? – იკითხა მბრძანებლურმა ხმამ ჩვენ ზურგსუკან.

შემოვტრიალდი და კარში მდგომი ემა დავინახე.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– კარგი, – თქვა და თოკით შეკრულ ხელებზე ჩამეჭიდა, – წამოდი, დირექტორი გელოდება.

* * *

სახლი ხელმეორედ მოვიარეთ. ოდნავ შეღებული კარიდან და სავარძლების საზურგეებიდან კიდევ უფრო მეტი ცნობისმოყვარე თვალი გვიმზერდა. მისაღებ ოთახს მივაშურეთ, სადაც ორნამენტებიან სპარსულ ფარდაგზე მაღალზურგიანი სავარძელი იდგა და შიგ გამორჩეული გარეგნობის ქალი იჯდა, რომელიც ქსოვდა. თავიდან ფეხებამდე შავით მოსილიყო, თმა კეფაზე იდეალური ფორმის მარყუჟად გამოენასკვა. მოქარგული ხელთათმანი და მაღალსაყელოიანი ბლუზა ეცვა, რომელიც ყელზე მჭიდროდ შემოტმასნოდა. ისიც ამ სახლივით კოპწია იყო. სურათი რომც არ მენახა, მის ვინაობას მაინც მაშინვე მივხვდებოდი – მის პერეგრინი გახლდათ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ემა სავარძლისკენ გამიძღვა და ყელი ჩაიწმინდა. პასუხად მის პერეგრინის საქსოვი ჩხირების რიტმული მოძრაობის ხმა შეწყდა.

– შუადღე მშვიდობისა, – ამომხედა ქალმა, – თქვენ, ალბათ, ჯეიკობი ხართ.

ემა შეკრთა.

– როგორ მიხვდით?

– მე დირექტორი მის პერეგრინი ვარ, – თქვა და ემას გასაჩუმებლად თითი ასწია, – თუმცა, რადგან ამჟამად თქვენზე მზრუნველობა არ მაკისრია, შეგიძლიათ, უბრალოდ, მის პერეგრინი დამიძახოთ. სასიამოვნოა, ბოლოს და ბოლოს, თქვენი გაცნობა.

მის პერეგრინმა ჩემი მიმართულებით ხელთათმანიანი ხელი გამოიშვირა და საპასუხოდ ხელი რომ არ გავუწოდე, ჩემს მკლავებზე გამონასკვული თოკი შენიშნა.

– მის ბლუმ! – დასჭექა ქალმა, – ეს რას ნიშნავს? სტუმრის მიღების რანაირი წესია? ახლავე გაათავისუფლეთ!

– მაგრამ ის ჯაშუშია, მატყუარა და კიდევ... – ემამ დაუნდობელი მზერა მტყორცნა და მის პერეგრინს ყურში რაღაც ჩასჩურჩულა.

– რაო, მის ბლუმ? – გაეცინა მის პერეგრინს, – ეს ბიჭი ერთ-ერთი იმათგანი რომ იყოს, ახლა მის ქვაბში ასო-ასოდ აკუწული უნდა იხარშებოდეთ. რა თქმა უნდა, ის აბრაამ პორტმანის შვილიშვილია. უბრალოდ, კარგად დააკვირდით!

შვებით ამოვისუნთქე. შეიძლება თავის დაცვა აღარც დამჭირვებოდა. აშკარა იყო, რომ ქალი მელოდა.

ემამ ნათქვამის გაპროტესტება დააპირა, მაგრამ მის პერეგრინმა ის მწველი მზერით გააჩუმა.

– კარგი. მე გაგაფრთხილეთ, – ამოიოხრა ემამ და რამდენიმე მსუბუქი მოძრაობით თოკი შემხსნა.

– თუ შეიძლება, მის ბლუმს მიუტევეთ, – მომმართა მის პერეგრინმა, სანამ მე დაბუჟებულ მაჯებს ვისრესდი, – გაზვიადება ძალიან უყვარს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ეგ მეც შევნიშნე.

ემას სახე შეეჭმუხნა.

– თუ ის ნამდვილად ეიბის შვილიშვილია, მაშინ მარყუჟების შესახებ წარმოდგენა რატომ არ ჰქონდა? ან რატომ არ იცოდა, რომელი წელია?! მიდით, ჰკითხეთ!

მის პერეგრინმა ემას მკაცრად გადახედა.

– ერთადერთი ადამიანი, რომელიც უნდა დაიკითხოს, თქვენ ბრძანდებით! ახლა კი ნება მიბოძეთ და მისტერ პორტმანთან სასაუბროდ მარტო დამტოვეთ.

ემა მიხვდა, რომ კამათს აზრი არ ჰქონდა, ამოიოხრა და კარისკენ წავიდა. ოღონდ გასვლამდე კიდევ ერთხელ შემობრუნდა და დაეჭვებულმა შემათვალიერა.

– თქვენც უნდა დაგვტოვოთ, მისტერ ნალინგს! – დაიძახა მის პერეგრინმა, – ზრდილობიანი ადამიანები სხვების საუბარს ყურს არ უგდებენ.

– აქ იმის გამო ვიცდიდი, რომ გამერკვია, ჩაის ხომ არ მიირთმევდით, – თქვა მილარდმა.

შევატყვე, ცოტა არ იყოს, მლიქვნელი ტიპი იყო.

– არა, გმადლობთ, – უპასუხა მის პერეგრინმა.

შიშველი ფეხების იატაკზე ტყაპუნისა და კარის გახურვის ხმა გავიგონე.

– ჩამოჯდომას შემოგთავაზებდით, – მითხრა მის პერეგრინმა და რბილ სკამზე მიმითითა, – მაგრამ ტალახში ხართ ამოგანგლული.

იატაკზე ჩავიმუხლე. თავი ყოვლისმცოდნე ორაკული მეგონა, რომლისგანაც პილიგრიმი საბედისწერო პასუხს ელოდა.

– უკვე რამდენიმე დღეა, კუნძულზე იმყოფებით. რატომ აქამდე არ გვესტუმრეთ?

– არ ვიცოდი, აქ თუ იყავით. და თქვენ საიდანღა იცით ჩემ შესახებ?

– მე გაკვირდებოდით. თქვენც მნახეთ, მაგრამ ალბათ ეს არ გაგიცნობიერებიათ. მე სხვა არსებად გარდავისახე, – ის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დაიხარა და თმიდან მოგრძო, ნაცრისფერი ბუმბული გამოიძრო, – ბევრად უფრო მოსახერხებელია, ადამიანებს, როგორც ჩიტმა, ისე უთვალთვალო.

პირი დავაღე.

– ის ქორი თქვენ იყავით?

– შევარდენი.

– ესე იგი, მართლა ფრინველი ხართ!

– ამ მეტსახელისადმი უარყოფითი დამოკიდებულება არა მაქვს, თუმცა ადამიანებს არ ვაქებ, ასე მომმართონ ხოლმე. ახლა კი ჩემი რიგია, გკითხოთ. დანგრეულ სახლს რისი პოვნის იმედით ჩხრეკდით?

– თქვენი პოვნის იმედით, – ვუპასუხე თვალებგაფართოებულმა, – არ ვიცოდი, თქვენთვის როგორ მომეგნო. მხოლოდ გუშინ გავიგე, რომ თქვენ ყველანი...

შევყოვნდი, რადგან იმ სიტყვების აბსურდულობა გავაცნობიერე, რის თქმასაც ვაპირებდი.

– რომ თქვენ ყველანი დაიხოცეთ.

ქალმა ოდნავ გაიღიმა და კბილები გამოაჩინა.

– ღმერთო ჩემო, ბაბუათქვენს თავის ძველ მეგობრებზე საერთოდ არაფერი მოუყოლია?

– რაღაც-რაღაცებს მიყვებოდა ხოლმე, მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში ეს ყველაფერი მისი მონაჩმახი ზღაპრები მეგონა.

– აჰა.

– იმედია, არ გწყინთ.

– უბრალოდ, მიკვირს, სულ ესაა. თუმცა ჩვენთვის უკეთესია, ასე ეგონოთ. ამით არასასურველ სტუმრებს ავირიდებთ თავიდან. დღესდღეობით ძალიან ცოტა ადამიანს სჯერა ფერიების, გობლინებისა და მსგავსი არსებების და ამიტომაც ჩვეულებრივი ადამიანები ჩვენს პოვნას აღარ ცდილობენ, რაც ცხოვრებას გვიმარტივებს. ამბები აჩრდილებსა და მოჩვენებების სახლზე ძალიან წაგვადგა, მაგრამ, როგორც ჩანს,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თქვენ ამ ამბებმაც ვერ დაგაბრკოლათ. ლომის გული ნამდვილად მემკვიდრეობით გადმოგცემიათ!

– ჰო, ალბათ, – ვთქვი და ნერვიულად გავიცინე. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ცოტაც და გული წამივიდოდა.

– რაც შეეხება ამ ადგილს, – მის პერეგრინმა ხელები განზე ფართოდ გაშალა, – ბავშვობაში გეგონათ, რომ ბაბუათქვენი ამ ყველაფერს იგონებდა, არა? გეგონათ, ტყუილების გუდას მოხსნიდა ხოლმე პირს.

– ტყუილების არა, მაგრამ...

– შეთხზული ისტორიების, მოგონილი ამბების, რა ტერმინიც გსურთ, ის გამოიყენეთ. როდის მიხვდით, რომ აბრაამი სიმართლეს ამბობდა?

– როგორ გითხრათ, – ხალიჩაზე გამოსახულ გადახლართული ორნამენტების ლაბირინთს დავაშტერდი, – ამას, ალბათ, ახლაღა ვაცნობიერებ.

მის პერეგრინი ოდნავ მოიღუშა.

– აჰ, გასაგებია.

შემდეგ შეიჭმუხნა, თითქოს წინასწარ იგრძნო, რომ ცუდი ამბის მომტანი ვიყავი. თუმცა მე ჯერ კიდევ ვერ მომეფიქრებინა, მისთვის სიმართლე როგორ უნდა გამემხილა.

– მგონი, სურდა, ჩემთვის რაღაც აეხსნა, მაგრამ ძალიან დიდხანს იცდიდა. აქ იმისთვის გამომგზავნა, რომ ყველაფერი საკუთარი თვალით მენახა, – ქურთუკიდან დაჭმუჭნილი წერილი ამოვიღე, – ეს თქვენი უნდა იყოს. აქ ამ წერილმა მომიყვანა.

ქალმა ფურცელი ფრთხილად გაშალა და თვალებთან მიიტანა. კითხვისას ტუჩებს აყოლებდა.

– რა სირცხვილია! – შესძახა კითხვის დასრულებისთანავე, – ფაქტობრივად, ვემუდარები, საპასუხო წერილი მომწეროს, – თავი გაიქნია, – ჩვენ ყოველთვის ძალიან გვაინტერესებდა ეიბის ცხოვრებაში მომხდარი სიახლეები. ერთხელ ვუთხარი კიდეც, გინდა, ისე მანერვიულო, მოვკვდე-მეთქი? რადგან მარყუჟის გარეთ მოისურვა ცხოვრება. საშინლად ჯიუტი იყო!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

წერილი ფრთხილად დაკეცა, რომ კონვერტში ჩაედო და უცებ გამომეტყველება შეეცვალა.

– ის აღარ არის, – თქვა და გაფითრებულმა შემომხედა.

თავი დავუქნიე. მერე კი ზედაპირულად ვუამბე მომხდარი, უფრო სწორად, ის ვერსია გავაცანი, რომელზეც პოლიციელები შეჯერდნენ და რომელიც, ხანგრძლივი ბჭობის შემდეგ, თავადაც დავიჯერე – ის, რომ იგი თითქმის დაუსახლებელ გარეუბანში ცხოვრობდა; რომ ტყე სავსე იყო დამშეული, საზარელი ცხოველებით და რომ იგი ცუდ დროს ცუდ ადგილას აღმოჩნდა.

– მარტოს არ უნდა ეცხოვრა, – ვუხსნიდი ქალს, – მაგრამ, როგორც თქვენ ბრძანეთ, ძალიან ჯიუტი ადამიანი იყო.

– სწორედ ამის მეშინოდა. ვაფრთხილებდი, აქედან არ წასულიყო, – კალთაში ჩადებულ საქსოვ ჩხირებს მუშტები მოუჭირა, თითქოს ვერ გადაეწყვიტა, ვისთვის ჩაეცა, – მერე კი თავისი საბრალო შვილიშვილი აიძულა, ჩვენთვის ეს საზარელი ამბავი ეცნობებინა.

მისი გაბრაზების მიზეზი გასაგები გახლდათ. მეც განმეცადა იგივე. ვეცადე, მისთვის მდგომარეობა რამენაირად შემემსუბუქებინა და იმ ნახევარ სიმართლეს ვუმეორებდი, რომელსაც გასული შემოდგომის ყველაზე მძიმე დღეებში ჩემი მშობლები და ექიმი გოლანი ჩამჩიჩინებდნენ: მისი სიკვდილის დრო უკვე მოახლოვებული იყოო. მარტო ცხოვრობდა. ბებიაჩემი დიდი ხნის წინ გარდაცვლილიყო და ბაბუას გონება ებინდებოდა, ფაქტები ავიწყდებოდა, მოვლენები ერთმანეთში ერეოდა. ზუსტად ამიტომ იმყოფებოდა იმ დროს ტყეში.

მის პერეგრინმა მწუხარე გამომეტყველებით თავი დამიქნია.

– თავს დაბერების უფლება მისცა.

– თავისებურად გაუმართლა კიდეც. დიდხანს არ უტანჯია და, აპარატზე მიერთებულს, საავადმყოფოში თვეები არ გაუტარებია.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რასაკვირველია, ეს მონაჩმახი იყო, მაგრამ ამ სიტყვების შემდეგ ორივემ ოდნავ უკეთ ვიგრძენით თავი.

ქალმა საქსოვი ჩხირები გვერდზე გადადო, სკამიდან წამოდგა და ფანჯარას ბორძიკით მიუახლოვდა. უცნაურად დადიოდა, თითქოს ცალი ფეხი მეორეზე მოკლე ჰქონდა. ეზოში გაიხედა და მოთამაშე ბავშვებს დააკვირდა.

– ბავშვებმა ეს არ უნდა გაიგონ, – თქვა მან, – ყოველ შემთხვევაში, ჯერ არა. ძალიან ინერვიულებენ.

– როგორც იტყვით, – მივუგე მე.

ცოტა ხანს ფანჯარასთან ჩუმად იდგა და მხრები უთრთოდა, მერე კი ჩემკენ შემოტრიალდა და საქმიანი ტონით მითხრა:

– აბა, მისტერ პორტმან, ალბათ, თქვენც გაქვთ შეკითხვები.

– ალბათ, მხოლოდ ასიოდე, – გაღიმება გავბედე.

ჯიბიდან საათი ამოაძვრინა და დახედა.

– ვახშამამდე ცოტა დრო გვაქვს. იმედია, თქვენ გასანათლებლად ეს საკმარისი იქნება.

უეცრად მის პერეგრინმა ლაპარაკი შეწყვიტა, მისაღები ოთახის კარისკენ სწრაფად წავიდა და სახელური ჩამოსწია. კარსუკან მოკუნტული, სახეაწითლებული და ნამტირალევი ემა იდგა, რომელმაც, სავარაუდოდ, ყველაფერი გაიგონა.

– მის ბლუმ! ყურს გვიგდებდით?

ემა ფეხზე წამოიჭრა და გულამოსკვნილი აქვითინდა.

– ზრდილობიანი ადამიანები სხვების საუბარს ყურს არ...

თუმცა ემა უკვე დერეფნის ბოლოსკენ გარბოდა. მის პერეგრინმა ამოიოხრა.

– რა სამწუხაროა! ის ძალიან განიცდის ყველაფერს, რაც ბაბუათქვენს ეხება.

– შევამჩნიე. რატომ? ისინი ხომ არ...

– როდესაც აბრაამი ომში წავიდა, მან თან ჩვენი გულები წაიყოლა, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც მის ბლუმის. დიახ, ისინი ხვდებოდნენ, შეყვარებულები იყვნენ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ახლა ნათელი გახდა, ემა ჩემს ნათქვამს რატომ არ იჯერებდა. ეიბის შვილიშვილის აქ მოსვლა ხომ ცუდი ამბის მომასწავებელი იქნებოდა.

– მომხდარს ვეღარაფერს ვუშველით, – თქვა მის პერეგრინმა და ოთახიდან გავიდა. უკან მივყევი.

კიბისკენ გავემართეთ. მის პერეგრინმა მტკიცედ დადგა ფეხი კიბეზე. მოაჯირს ორივე ხელით ეჭიდებოდა და კიბის საფეხურებზე ტანის აზიდვას ცდილობდა. საფეხურები ისე აიარა, ჩემ მიერ შეთავაზებული დახმარება არ დასჭირვებია. როდესაც ზევით ავედით, დერეფნის ბოლოს – ბიბლიოთეკისკენ – გამიძღვა. ახლა ის ნამდვილ საკლასო ოთახს დამსგავსებოდა. მერხები ერთ რიგად გაემწკრივებინათ. კუთხეში დაფა ეკიდა. თაროებზე განლაგებულ წიგნებს მტვრის თხელი ფენა დასდებოდა. მის პერეგრინმა მერხზე მიმითითა.

– დაჯექით, – მითხრა მან.

სკამსა და მაგიდას შორის ძლივს ჩავეჭეჭყე. ქალმა საკლასო ოთახის წინა ნაწილში თავისი ადგილი დაიკავა და შემომხედა.

– მოდით, ჯერ შესავალს გავაკეთებ და ამით, სავარაუდოდ, თქვენი შეკითხვების უმეტესობას პასუხი გაეცემა.

თავი დავუქნიე.

– ადამიანთა მოდგმა უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე ეს უმეტესობას ჰგონია, – დაიწყო მან, – ჰომო საპიენსის ნამდვილი ბუნება მხოლოდ რამდენიმესთვისაა ცნობილი და მალე ერთ-ერთი მათგანი შენც იქნები. არსებობენ *კორალფოლკები* – ნორმალური, ჩვეულებრივი ადამიანები, რომლებიც თითქმის სრულ უმრავლესობას წარმოადგენენ და არსებობს საიდუმლო განშტოება – ეგრეთ წოდებული „კრიპტო საპიენსები“, რომლებსაც *სინდრიგასტები* ჰქვიათ; ჩვენი წინაპრების უბრალო ენით რომ ვთქვათ – უჩვეულო სულები. თქვენ ალბათ ეჭვიც არ გეპარებათ, რომ ამ სახლის თითოეული მცხოვრები სინდრიგასტებს მიეკუთვნება.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თითქოს ყველაფერი ნათელი იყო, მაგრამ გააზრება მაინც მიჭირდა. მინდოდა, უფრო დაწვრილებით აეხსნა და ამიტომაც ჩავეძიე.

– და სხვებმა ამის შესახებ რატომ არ იციან? მხოლოდ ამ სახლის ბინადრები არიან მეორე განშტოების წარმომადგენლები?

– უჩვეულო ადამიანები მთელ სამყაროში არსებობენ, თუმცა მათი რიცხვი მკვეთრად შემცირდა. ვინც ჯერ კიდევ ცოცხალია, ისევე იმალება, როგორც ჩვენ, – ქალს ხმაში სინანული დაეტყო, – იყო დრო, როდესაც ჩვეულებრივ ადამიანებში გარევა თავისუფლად შეგვეძლო. სამყაროს ზოგიერთ კუთხეში შამანებისა და მისტიკოსების სახელით გვიცნობდნენ და გასაჭირში მოგვმართავდნენ ხოლმე. მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელმა კულტურებმა შეინარჩუნეს ეს ჰარმონიული ურთიერთობა ჩვენს ხალხთან ისეთ ადგილებში, სადაც ვერც თანამედროვეობამ და ვერც დიდმა რელიგიებმა ფეხი ვერ მოიკიდა; მაგალითად, ამბრიმში, შავი მაგიის კუნძულზე, ნიუ ჰებრიდში. სამწუხაროდ, სამყაროს უმეტესი ნაწილი დიდი ხნის წინ ჩვენ წინააღმდეგ განეწყო. მუსლიმები თავიანთი მიწებიდან გვასახლებდნენ, ქრისტიანები ალქაჯობას გვწამებდნენ და კოცონზე გვწვავდნენ. უელსსა და ირლანდიაში მცხოვრებმა პაგანებმაც კი აჩრდილებად და ბოროტ სულებად მიგვიჩნიეს.

– მაშინ საკუთარი ქვეყანა რატომ არ შექმენით? წახვიდოდით და თქვენთვის, თავისუფლად იცხოვრებდით.

– ასეთი მარტივი რომ იყოს... საქმე ისაა, რომ გამორჩეულობის ნიშნები შესაძლოა მეორე ან მეათე თაობაშიც კი არ გამოვლინდეს. უჩვეულო ბავშვები თითქმის არასდროს უჩნდებათ უჩვეულო მშობლებს და უჩვეულო მშობლები თითქმის არასდროს აჩენენ უჩვეულო შვილებს. შეგიძლიათ ერთი წამით წარმოიდგინოთ, იმ სამყაროში, სადაც ასე აშინებთ ყველაფერი უცხო, რა საფრთხე შეიძლებოდა შექმნოდა უჩვეულო ადამიანს?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მართალია. ალბათ, ჩვეულებრივი მშობლები ჭკუიდან შეიშლებოდნენ, მათ შვილს შიშველი ხელებით ცეცხლის გამოტყორცნა რომ დაეწყო.

– სწორედ ეგრეა, მისტერ პორტმან. ნორმალური მშობლების უცნაური შვილები ხშირად ხდებიან ძალადობის მსხვერპლნი და მათ საკმაოდ სასტიკი მეთოდებით უსწორდებიან. საუკუნეების წინ მშობლებმა გადაწყვიტეს, რომ მათი "ნამდვილი" შვილები მოიტაცეს და ისინი ელფებით ჩაანაცვლეს – ბოროტი, გრძნეული, მათი შვილების მსგავსი გამოგონილი არსებებით, რაც, ბუნებრივია, ფანტაზიის ნაყოფი გახლდათ. ამ დროს მათ უფლება ჰქონდათ, საბრალო ბავშვები მიეტოვებინათ ან დაეხოცათ.

– რა საშინელებაა!

– ნამდვილად. მათ რომ დავხმარებოდით, მე და ჩემმა თანამოაზრეებმა ისეთი ადგილები შევქმენით, სადაც პატარა, უჩვეულო ბავშვებს ჩვეულებრივებისგან განცალკევებით ცხოვრება შეეძლებოდათ – როგორც ფიზიკურად, ისე დროით იზოლირებულ სივრცეში. ამით ძალიან ვამაყობ.

– თქვენ და თქვენნაირებმა?

– ჩვენ, უცნაურებს, გვაქვს თვისებები, რომლებიც ჩვეულებრივ ადამიანებს არ გააჩნიათ. თუმცა, ისინი ძალიან მრავალფეროვანია და სხვადასხვა კომბინაციის სახით გვხვდება. ზოგიერთი თვისება სხვებზე მეტადაა გავრცელებული, მაგალითად, აზრების წაკითხვის უნარი და ზოგიერთი – სხვებზე იშვიათად, მაგალითად, დროით მანიპულირება, როგორც ეს მე შემიძლია.

– დრო? მეგონა, თქვენ ჩიტად ქცევა შეგეძლოთ.

– ასეა და სწორედ ამიტომ მაქვს დროით მანიპულირების უნარიც. მხოლოდ ჩიტებს შესწევთ ამის ძალა და, შესაბამისად, ყველა, ვისაც დროით მანიპულირება შეუძლია, ჩიტად ქცევასაც ახერხებს.

მან ეს სერიოზული სახით, სასხვათაშორისოდ თქვა. მე კი ამის გასააზრებლად დრო დამჭირდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჩიტები... დროში მოგზაურობენ? – ვკითხე ბოლოს სახეგაბადრულმა.

მის პერეგრინმა თავი დამიქნია.

– დიახ, უმეტესობა. თუმცა, ისინი დროში შემთხვევითობის წყალობით ინაცვლებენ, ისიც, იშვიათად. ჩვენ კი, ვისაც ცნობიერად შეგვიძლია დროის ველებით მანიპულირება, *იმბრინების* სახელით გვიცნობენ. ჩვენ დროის მონაკვეთებს – მარყუჟებს ვქმნით, სადაც უცნაური ადამიანები სამუდამოდ განცალკევებით ცხოვრობენ.

– მარყუჟი, – გავიმეორე. ბაბუაჩემის ნათქვამი გამახსენდა – *მარყუჟში ფრინველი იპოვე,* – ესეც მარყუჟია?

– დიახ, თუმცა თქვენ მას 1940 წლის 3 სექტემბრის სახელით იცნობთ.

მერხს ხელები ჩავჭიდე და მის პერეგრინისკენ გადავიხარე.

– რისი თქმა გინდათ? ყოველთვის ერთი და იგივე დღეა? და ის მუდმივად თავიდან მეორდება?

– მეორდება და მეორდება, თუმცა ჩვენი გამოცდილება განგრძობითია. წინააღმდეგ შემთხვევაში წინა დღის გახსენების შესაძლებლობა არ გვექნებოდა. მთელი 70 წელია ასე ხდება.

– განსაცვიფრებელია!

– რა თქმა უნდა. წლების განმავლობაში კუნძულის უნიკალური ლანდშაფტის წყალობით, 1940 წლის 3 სექტემბრამდე ფიზიკურად იზოლირებულად ვცხოვრობდით, მაგრამ ამ დღის შემდეგ დროისმიერი იზოლაციაც დაგვჭირდა.

– რატომ?

– რადგან სხვანაირად დავიღუპებოდით.

– ჩამოვარდნილი ბომბის გამო.

– ნამდვილად.

მერხის ზედაპირს დავაჩერდი. ახლა ყველაფერი მეტ-ნაკლებად თავის ადგილზე დგებოდა.

– ამის გარდა, სხვა მარყუჟებიც არსებობს?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მრავალი და თითქმის ყველა იმბრინი, რომელიც მათ მფარველობს, ჩემი მეგობარია. მაგალითად, ირლანდიაში მის გენეტი – 1770 წლის ივნისის ერთ დღეს, სუანსიში მის ნაითჯარი – 1901 წლის 3 აპრილს, დერბიშირში მის ავასეტი და მის ბანთინგი – 1867 წლის წმინდა დღეს. კიდევ მის თრიქრიფერი, ოღონდ მისი ადგილმდებარეობა აღარ მახსოვს და, რა თქმა უნდა, მის პინჩი. სადღაც მისი ფოტოსურათიც უნდა მქონდეს.

მის პერეგრინმა თაროდან ფოტოების ალბომი ჩამოიღო და წინ დამიდო. მერე გვერდით ამომიდგა და ალბომი გადაშალა. ზოგიერთ სურათზე ყოვნდებოდა და მის ხმას ნოსტალგია ეპარებოდა. ფოტოებში გატეხილ ზანდუკსა და ბაბუას სიგარების ყუთში ნაპოვნი სურათები შევიცანი. ყველა მათგანი მის პერეგრინს შეეგროვებინა. წარმოვიდგინე, რომ წლების წინ, როდესაც ბაბუა ჩემი ასაკის იყო, მასაც იგივე სურათები უჩვენეს, შესაძლოა, ამავე ოთახში, ამავე მერხთან მჯდომს. მეგონა, ბაბუას წარსულში შევაბიჯე.

როგორც იქნა, სასურველ ფოტოსაც მივაგენით – დახვეწილი გარეგნობის ქალს ხელზე პატარა ჩიტი დაესკუპებინა.

– ეს მის პინჩია და მამიდამისი, მის პინჩი.

სურათზე ქალი და ჩიტი თითქოს საუბრობდნენ.

– ერთმანეთისგან როგორ არჩევთ?

– უფროს მის პინჩს მუდმივად ჩიტად ყოფნა ერჩია. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან ლაპარაკი არ უყვარდა.

მის პერეგრინმა კიდევ რამდენიმე გვერდი გადაფურცლა და ამჯერად ქალალდის მთვარის გარშემო შემოკრებილი ქალებისა და ბავშვების პორტრეტზე შეჩერდა.

– ოჰ, ეს ფოტო კინაღამ დამავიწყდა, – ალბომიდან ფოტო გამოაცურა და მოწიწებით მაღლა ასწია.

– ეს ქალი, ყველაზე წინ რომ დგას, მის ავასეტია, ძალიან ღირსეული პიროვნება. 50 წლის განმავლობაში ცდილობდნენ, საბჭოს თავმჯდომარეობაზე დაეთანხმებინათ, მაგრამ ამბობდა, რომ მის ბანთინგთან ერთად დაარსებულ აკადემიაში

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სწავლებას თავს არასოდეს გაანებებდა. ყველა იმბრინი, რომელსაც რაღაცისთვის მიულწევია, ერთ დროს მისი მოსწავლე გახლდათ, ჩემი ჩათვლით. მეტიც, თუ კარგად დააკვირდებით, შეიძლება პატარა, სათვალიანი გოგონა გეცნოთ.

თვალები მოვჭუტე. სახე, რომელზეც მიმითითა, გადღაბნილიყო.

– ეს თქვენ ხართ?

– მე ყველაზე უმცროსი ვიყავი იმ ბავშვებს შორის, რომლებიც კი მის ავასეტს ოდესმე შეუფარებია, – განაცხადა ამაყად.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– და ფოტოზე გამოსახული ბიჭები? ისინი თქვენზე უმცროსები ჩანან.

მის პერეგრინს სახეზე ნაცრისფერმა გადაჰკრა.

– ჩემს გზააბნეულ ძმებზე მეკითხებით? ჩვენ არ დავუშორებივართ და აკადემიაში ისინიც გამომყვნენ. პატარა უფლისწულებივით ანებივრებდნენ და სწორედ ასეთი გათამამებით დაღუპეს.

– იმბრინები არ იყვნენ?

– ო, არა, – შეიცხადა მის პერეგრინმა, – მადლობა ღმერთს, იმბრინებად მხოლოდ ქალები იბადებიან! მამაკაცებს სერიოზულობა აკლიათ და ვერც ამხელა პასუხისმგებლობას აიღებენ საკუთარ თავზე. ჩვენ, იმბრინებმა, უჩვეულო ბავშვებისთვის ქალაქგარეთ ხელსაყრელი ადგილი უნდა შევარჩიოთ, ავისმოსურნეებისგან თავი შორს დავიჭიროთ, ჩვენი მეურვეობის ქვეშ მყოფი ბავშვები ჩაცმულ-დახურულები და საიმედოდ გადამალულები ვიყოლიოთ და, რაც მთავარია, დავრწმუნდეთ, რომ მარყუჟები საათივით აწყობილი იქნება.

– და რა მოხდება თუ ასე არ მოიქცევით?

აკანკალებული ხელი წარბთან მიიტანა და სწრაფადვე უკან გამოწია.

– საშინელება, კატასტროფა, უბედურება! ამაზე ფიქრიც კი არ მინდა. თუმცა, ჩვენდა სასიკეთოდ, მარყუჟის გადატვირთვის მექანიზმი საკმაოდ იოლია: ამისთვის ერთ-ერთმა ჩვენგანმა დროდადრო გასასვლელში უნდა გაიაროს. ეს მარყუჟს უფრო მართვადს ხდის. გადატვირთვის წერტილი ახალმოზელილ ცომში გაჩენილი ნასვრეტივითაა; თუ მასში ხელს ხშირად არ ჩაყოფ, გაქრება.

მის პერეგრინმა ხელით ისეთი მოძრაობა გააკეთა, თითქოს სადღაც ფოიერვერკი აფეთქდაო.

– მარყუჟი არასტაბილური ხდება.

ალბომისკენ დაიხარა და ფურცვლა დაიწყო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– სხვათა შორის, შეიძლება მე მისი სურათი... კი, აი, აქ არ-ის. მარყუჟში შესვლის წერტილი... – ალბომიდან ფოტო ამო-იღო და გამომიწოდა, – ესენი მის ფინჩი[1] და მისი მეურვეობის ქვეშ მყოფი ერთ-ერთი ბავშვი არიან. მის ფინჩის მარყუჟის შესასვლელთან – მიწისქვეშ, ლონდონის გაუქმებული მეტ-როს სადგურში. როდესაც მარყუჟი იტვირთება, გვირაბი სა-ოცარი სინათლით ივსება. ჩვენი შესასვლელი მასთან შედარე-ბით ძალიან მოკრძალებულია, – მის ნათქვამში ცოტაოდენი შური შევნიშნე.

[1] Finch – (ინგლ.) ნიბლია.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– თუ სწორად ვხვდები, დღეს 1940 წლის 3 სექტემბერია. ხვალაც... 1940 წლის 3 სექტემბერი იქნება?

– მარყუჟში რამდენიმე საათით 2 სექტემბერია, დანარჩენ დროს – 3 სექტემბერი.

– გამოდის, რომ 4 სექტემბერი არასოდეს დგება.

– გარკვეულწილად, ასეც არის.

შორს ტკაცუნის ხმა გაისმა, რომელიც შემდეგ ექოდ განმეორდა და ფანჯარა შეაზანზარა. მის პერეგრინმა თავი ასწია და ჯიბის საათი ამოიღო.

– ვშიშობ, მეტი დრო აღარ გვაქვს, მაგრამ ვიმედოვნებ, სავახშმოდ დარჩებით.

ვუთხარი, რომ დავრჩებოდი. იმაზე არ მიფიქრია, რომ მამაჩემი ჩემზე იდარდებდა. მერხს მიტყუპული სკამიდან გამოვბობღდი და ქალს კარისკენ დავედევნე. უცებ კიდევ ერთი შეკითხვა გამიჩნდა, რომელზეც მანამდე არ დავფიქრებულვარ.

– ბაბუაჩემი აქ ნაცისტებს ემალებოდა?

– კი. ის და რამდენიმე სხვა ბავშვი ჩვენთან იმ საშინელ წლებში მოვიდნენ, ომს რომ უძღოდა წინ. მაშინ მსოფლიოში ბევრი რამ იცვლებოდა, – ქალი გულნატკენი ჩანდა, თითქოს მისთვის ეს ახალთახალი მოგონება ყოფილიყოს, – აბრაამი ცენტრალურ კუნძულზე, დევნილებისთვის განკუთვნილ ბანაკში აღმოვაჩინე. საბრალო, გაწამებული ბიჭი იყო, მაგრამ ძალიან ძლიერი. მაშინვე მივხვდი, რომ მისი ადგილი ჩვენ გვერდით იყო.

შვებით ამოვისუნთქე, მისი ცხოვრების ამ მხარეზე მაინც სწორი წარმოდგენა მქონია. ერთი რამ კიდევ მაინტერესებდა, მაგრამ არ ვიცოდი, როგორ ჩამომეყალიბებინა.

– ბაბუაჩემი თუ იყო... – ლულლული დავიწყე, – თუ იყო...

– ჩვენნაირი?

თავი დავუქნიე.

უცნაურად გაეღიმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ის თქვენნაირი იყო, ჯეიკობ, – თქვა მის პერეგრინმა, შებრუნდა და კიბისკენ კოჭლობით გაემართა.

* * *

მის პერეგრინმა მაიძულა, ვახშამდე ტალახი ჩამომებანა და ემას სთხოვა, აბაზანა გაემზადებინა. მგონი, იმედი ჰქონდა, რომ, თუ დამელაპარაკებოდა, ემა თავს ოდნავ უკეთ იგრძნობდა, მაგრამ მას ჩემთვის არც კი შემოუხედავს. ვაკვირდებოდი, ცივ წყალს რომ უშვებდა, შემდეგ საკუთარი შიშველი ხელებით ათბობდა. ხელებს წრიულად ამოძრავებდა, სანამ წყალს ორთქლი არ აუვიდა.

– საოცრებაა! – ვთქვი მე, მაგრამ ემა სიტყვის უთქმელად გავიდა.

წყალი ჩემს ტანზე მიმხმარი ტალახის წყალობით გაყავისფრდა. პირსახოცი შემოვიხვიე. გამოსაცვლელი ტანსაცმელი კარის მეორე მხარეს, საკიდზე დავინახე – ჩაჩაჩული შალის შარვალი, ღილებიანი ზედა და ერთი წყვილი აჭიმი, რომელიც ძალიან მოკლე აღმოჩნდა და ვერაფრით მივხვდი, როგორ დამეგრძელებინა. არჩევანის წინაშე დავდექი: შარვალი ან წვივებამდე ჩაჩაჩული უნდა მეტარებინა, ან ჭიპამდე აქაჩული. ჩავთვალე, რომ ორი ბოროტებიდან ეს უკანასკნელი ნაკლები ბოროტება გახლდათ და ჩემს ცხოვრებაში ყველაზე უცნაური ვახშმის მისართმევად იმ ტაკიმასხარასავით მორთულ-მოკაზმული ჩავედი ქვედა სართულზე, რომელსაც სახეზე ვარდისფერი რუჟის წასმა დავიწყებოდა.

ვახშამმა თავბრუ დამახვია. ბავშვების ნაწილი ფოტოებიდან მეცნობოდა, ზოგიერთის ვინაობას კი ბაბუაჩემის მონაყოლიდან მივხვდი. როდესაც სასადილო ოთახში შევედი, გრძელ მაგიდასთან შემოკრებილი ბავშვები გაქვავდნენ და მომაშტერდნენ. აშკარა იყო, რომ სტუმრებს აქ ხშირად არ ეპატიჟებოდნენ. მის პერეგრინი, რომელიც მაგიდის თავში იჯდა, წამოდგა და უეცრად გამეფებული სიჩუმე ჩემს წარსადგენად გამოიყენა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მათთვის, ვინც ჯერ არ შეხვედრიხართ, – გამოაცხადა მან, – ეს აბრაამის შვილიშვილია, ჯეიკობი. ის ჩვენი პატივსაცემი სტუმარია. აქამდე ძალიან გრძელი გზა გამოიარა და იმედი მაქვს, კარგად მოეპყრობით.

შემდეგ თითოეული ბავშვისკენ ხელი გაიშვირა და მათი სახელები ჩამომითვალა. სახელების უმეტესობა მაშინვე დამავიწყდა (როგორც ეს ნერვიულობისას მემართება ხოლმე). წარდგენას კითხვების მთელი კორიანტელი მოჰყვა, რომელსაც მის პერეგრინი შეძლებისდაგვარად მშვიდად იგერიებდა.

– ჯეიკობი ჩვენთან რჩება?

– როგორც ჩემთვის ცნობილია, არა.

– ეიბი სად არის?

– ეიბი ამერიკაშია და ძალიან დაკავებულია.

– ჯეიკობს ვიქტორის შარვალი რატომ აცვია?

– ვიქტორს ის აღარ სჭირდება, მისტერ პორტმანის ტანისამოსი კი ჯერ კიდევ შრება.

– ეიბი ამერიკაში რას აკეთებს?

უცებ მკაცრი გამომეტყველებით მომზირალი ემა დავინახე, რომელიც ამ კითხვის გაგონებაზე სკამიდან წამოდგა და ოთახიდან გავიდა. ვინც მის ცვალებად ხასიათს მიჩვეული იყო, ყურადღება არ მიუქცევიათ.

– თქვენ მაგაზე ნუ იდარდებთ, – წამიერად გაბრაზდა მის პერეგრინი.

– როდის დაბრუნდება?

– ნურც მაგაზე. ახლა კი დროა, ვივახშმოთ!

ყველამ თავისი ადგილი დაიკავა. მეგონა, ცარიელ სკამს მივადექი, დასაჯდომად დავიხარე და ბარძაყზე ჩანგლის პირი ვიგრძენი.

– უკაცრავად, – იყვირა მილარდმა, მაგრამ მის პერეგრინმა მას ადგილი დაათმობინა და ტანსაცმლის ჩასაცმელად გაგზავნა.

– რამდენჯერ უნდა გითხრა, – მიაძახა, – ზრდილობიანი ადამიანები ვახშამს შიშვლები არ მიირთმევენ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბავშვები, რომლებსაც იმ დღეს სამზარეულოს საქმე ებარ-ათ, ლანგრებით ხელში შემოლაგდნენ. ყველა კერძს თავსახუ-რი ეფარა, ამიტომ არაფერი ჩანდა და ყველა ცდილობდა, გა-მოეცნო, რა მოემზადებინათ ვახშმად.

– წავის ჩექმები, – იყვირა ერთმა ბიჭმა.

– დამარილებული კატის კნუტი და თირკმელი! – დაიძახა მეორემ, რასაც ხმამაღალი სიცილი მოჰყვა. თუმცა, თავსა-ხურები რომ აჰხადეს, მართლაც მეფური ვახშამი დაუხვდათ: დაბრაწული იხვი, რომლის კანიც იდეალურად შეყავისფრე-ბულიყო, კალმახი და ვირთევზა ლიმონით, კამითა და ზედ დამდნარი კარაქით, ორთქლში გამოყვანილი მოლუსკები, გამომცხვარი ბოსტნეული, ღუმელიდან ახლადგამოღებული პური და საწებელი, რომელიც არ მეცნო, თუმცა საოცრად გემრიელი ჩანდა. ლამპის შუქზე ყველაფერი მადისაღმძვრე-ლად გამოიყურებოდა იმ გაურკვეველი კერძებისგან განსხვა-ვებით, რომლებსაც „მღვდლის ორმოში“ გემოს გაუსინჯავად ვყლაპავდი. საუზმის შემდეგ პირში ლუკმაც არ ჩამედო და საჭმელს ხარბად შევექეცი.

ვივარაუდე, რომ უცნაურ ბავშვებს ჭამის უჩვეულო მა-ნერები ექნებოდათ და წამდაუწუმ აქეთ-იქით ვიყურებოდი. ოლივი, ჰაერში მოლივლივე გოგონა, იატაკზე მილურსმულ სკამზე მიაბეს, რომ ჭერში არ აფრენილიყო. ჰიუ, რომლის მუ-ცელშიც ფუტკრები ცხოვრობდნენ, სხვები რომ არ შეეწუხებ-ინა, კუთხეში მიდგმულ ერთკაციან მაგიდასთან მწერებისგან დამცავი ბადის ქვეშ ჭამდა. კლერი, თოჯინის სახიანი გოგონა ოქროსფერი დალალებით, მის პერეგრინის გვერდით იჯდა და პირს არაფერს აკარებდა.

– შენ არ გშია? – ვკითხე ინტერესით.

– კლერი ჩვენთან ერთად არასდროს ჭამს, – მომიგო ჰიუმ. მისი პირიდან ფუტკარი გამოფრინდა, – რცხვენია.

– არ მრცხვენია, – გაეპასუხა გოგონა და ჰიუს გახედა.

– ჰოო? მაშინ დაამტკიცე!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– აქ თავისი ნიჭის არავის რცხვენია, – თქვა მის პერეგრინმა, – უბრალოდ, მის დენსმორი მარტო სადილობას ამჯობინებს. ასე არ არის, მის დენსმორ?

გოგონა მის წინ მდგომ ცარიელ სკამს მიაშტერდა. აშკარად სურდა, ყურადღება სხვა რამეზე გადაგვეტანა.

– კლერს პირი კეფაზეც აქვს, – ამიხსნა მილარდმა, რომელიც ახლა ჩემ გვერდით, სმოკინგში გამოწკეპილი იჯდა (დიახ, სმოკინგში!).

– რაა?

– მიდი, აჩვენე! – თქვა ვიღაცამ.

მალე ყველა ბავშვი კლერს გამწარებული ემუდარებოდა, რამე ეჭამა და, ბოლოს და ბოლოს, მათ გასაჩუმებლად კლერიც დასთანხმდა.

მის წინ ბატის ბარკალი იდო. კლერი სკამზე მოტრიალდა, სახელურებს მოეჭიდა, უკან გადმოიწია და კეფით თეფშისკენ დაიხარა. ხრამუნი გავიგონე და, კლერმა თავი რომ ასწია, ბატის ჩაკბეჩილი ბარკალი გამოჩნდა. ოქროსფერი, კულულებიანი თმის ქვეშ ბასრკბილებიანი ყბა ჰქონდა. უცებ კლერის უცნაური ფოტო გამახსენდა, რომელიც მის პერეგრინის ალბომში მენახა. ფოტოგრაფს მისთვის ორი სურათი გადაეღო: ერთზე მისი ლამაზი სახე იყო გამოსახული, მეორეზე – კულულები, რომლითაც მოხერხებულად მალავდა პირს კეფაზე.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კლერი შემობრუნდა და ხელები გადაიჯვარედინა. გაბრაზებული გახლდათ, რომ ასეთ დამამცირებელ სანახაობაზე დაითანხმეს. სანამ სხვები კითხვებს მაყრიდნენ, ჩუმად იჯდა. მის პერეგრინმა ბაბუაჩემის შესახებ შეკითხვები კვლავ მოხერხებულად აირიდა თავიდან და ბავშვები სხვა თემებითაც დაინტერესდნენ. ყველაზე მეტად ის აინტერესებდათ, როგორი იყო 21-ე საუკუნეში ცხოვრება.

– რა და რა სახის მფრინავი მანქანები გყავთ? – იკითხა გარდატეხის ასაკს მიღწეულმა ბიჭმა, სახელად ჰორასმა, რომელიც მუქი ფერის კოსტიუმში გამოწკეპილიყო.

– არანაირი... ჯერჯერობით.

– მთვარეზე უკვე გააშენეს ქალაქები? – ახლა სხვა ბიჭი ჩამეძია.

– მთვარეზე 60-იანებში ნაგავი და ამერიკის დროშა დავტოვეთ. სულ ესაა.

– ბრიტანეთი ისევ მართავს მსოფლიოს?

– ჰმ... მთლად ასეც ვერ ვიტყოდი.

გული დასწყდათ. მის პერეგრინმა დრო იხელთა და თქვა:

– ხედავთ, ბავშვებო, მომავალი არც ისეთი დიადია, როგორიც თქვენ გგონიათ. აწმყოც მშვენიერია.

მივხვდი, რომ მსგავსი საუბრებით ბავშვების დამშვიდებას ხშირად ცდილობდა, თუმცა უშედეგოდ. ამან იმაზე დამაფიქრა, რა დრო დაჰყვეს „აწმყოში“.

– შეიძლება გკითხოთ, რამდენი წლის ხართ? – ვიკითხე დაეჭვებულმა.

– 83, – მომიგო ჰორასმა.

ოლივმა ხელი ცქმუტუნით ასწია.

– მე შემდეგ კვირას 75-ნახევრის გავხდები!

თუ ყოველთვის ერთი და იგივე დღე იყო, ნეტავი, როგორ ახერხებდნენ, წლებისა და თვეების სათვალავი არ არეოდათ?

– მე ან 117-ის, ან 118-ის, – მომიგო ბიჭმა, სახელად ენოქმა, რომელსაც ბუდეებში ღრმად ჩამსხდარი თვალები ჰქონ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და და 13 წელზე მეტს ვერ მისცემდი, – აქამდე სხვა მარყუჟში ვცხოვრობდი.

– მე თითქმის 87 წლის ვარ, – განაცხადა მილარდმა, რომელიც ბატის ხორცით ილუკმებოდა და საუბრისას უჩინარი ყბებიდან ნახევრად დაღეჭილი მასა გამოუჩნდა. ბავშვებმა შეჰკივლეს. ზოგმა ხელები თვალებზე აიფარა, ზოგმა გვერდზე გაიხედა.

შემდეგ ჩემი ჯერი დადგა. 16 წლის ვარ-მეთქი, ვუთხარი. შევნიშნე, თვალები როგორ გაუფართოვდათ. ოლივმა გადაიკისკისა. მათთვის ძალიან უცნაური იყო, რომ ასეთი პატარა ვიყავი. ჩემთვის კი ის იყო უცნაური, რომ ასე გამოიყურებოდნენ. ფლორიდაში ბევრ 80 წლის ადამიანს ვიცნობდი და ეს ბავშვები მათნაირად საერთოდ არ ცხოვრობდნენ. მათი ყოფა უცვლელი და ერთფეროვანი იყო. ამ მარადიულ ზაფხულსა და ახალგაზრდობას მათი გონებაც ისევე დაეპყრო, როგორც სხეულები – პიტერ პენისა და დაკარგული ბიჭების მსგავსად ბავშვობას მიჯაჭვოდნენ.

მოულოდნელად გარეთ ჭახუნი გაისმა, იმ საღამოს უკვე მეორედ. თუმცა, უწინდელისგან განსხვავებით, უფრო დიდი ხმა ჰქონდა და უფრო ახლოდან ისმოდა. ვერცხლის დანა-ჩანგალი და თეფშები აწკარუნდა.

– იჩქარეთ. სწრაფად მორჩით ვახშამს! – იყვირა მის პერეგრინმა. სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ სახლი შეირყა და ჩემ ზურგსუკან კედლიდან სურათი ჩამოვარდა.

– ეს რა იყო? – შევშფოთდი.

– ის დაწყევლილი გერმანელები! – ამოიოხრა ოლივმა და თავისი პაწაწინა მუშტი მაგიდას დასცხო. ამ ჟესტით აშკარად მოთმინებადაკარგულ ზრდასრულს ჰბაძავდა.

შემდეგ შორიდან მომავალი საყვირის ხმა გავიგონე და მივხვდი, რაც ხდებოდა. ეს 1940 წლის 3 სექტემბრის ღამე იყო. მალე ციდან ბომბი ჩამოვარდებოდა და სახლის სახურავზე დიდ ხვრელს წარმოქმნიდა. ყურისწამღები საყვირის ხმა კი მთაგ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რეხილთან დამონტაჟებული, საჰაერო თავდასხმის მანიშნებელი სირენა გახლდათ.

– აქაურობას უნდა მოვშორდეთ! – აღმომხდა. ჩემს ხმაში პანიკა იგრძნობოდა, – უნდა გავაღწიოთ, სანამ ბომბი ჩამოვარდნილა!

– ამან არ იცის, – ჩაიხითხითა ოლივმა, – ჰგონია, დავიღუპებით.

– ეს გადატვირთვისთვის დამახასიათებელი ხმაურია, – თქვა მილარდმა და სმოკინგის მხრები აქაჩა, – ნუ ღელავ.

– ყოველ ღამეს ასე ხდება?

მის პერეგრინმა თავი დამიქნია. მაინც ვერ დავმშვიდდი.

– შეიძლება გარეთ გავიდეთ, რომ ჯეიკობს ვაჩვენოთ? – იკითხა ჰიუმ.

– გაგვიშვით, რაა! – შეეხვეწა კლერიც. 20 წუთიანი ბუტიაობის შემდეგ პირველად იღიმოდა, – გადატვირთვა ძალიან ლამაზია.

მის პერეგრინი შეყოყმანდა, მაგრამ ბავშვები ისე ემუდარებოდნენ, რომ ბოლოს დანებდა.

– კარგი, თუ დამპირდებით, რომ ნიღბებს გაიკეთებთ.

ბავშვები ადგილებიდან წამოხტნენ და ოთახიდან გაცვივდნენ. საბრალო ოლივი დაავიწყდათ. თუმცა მალე ერთ-ერთი უკან მობრუნდა და გოგონა სკამიდან ახსნა. მათ გავეკიდეხით მოპირკეთებული ფოიეს გავლით, კართან მდგარი კარადიდან თითოეულმა რაღაც ნივთი აიღო. მის პერეგრინმა ერთი ცალი მეც მომაწოდა. ამოვატრიალე. შავ რეზინზე აღბეჭდილ ჩამოწელილ სახეს ჰგავდა. შუშის წრეები შოკისგან გაყინული თვალების ასოციაციას იწვევდა. ჩამოგრძელებული ხორთუმი კი პატარა ბალონით ბოლოვდებოდა.

– მიდი, – მითხრა მის პერეგრინმა, – თავზე მოირგე.

გასაგები გახდა, ეს ნივთი რასაც წარმოადგენდა – გაზისგან დამცავ ნიღაბს.

თავზე ჩამოვიმხე და ქალს გაზონებისკენ გავყევი. იქ ბავშვები ჭადრაკის ფიგურებივით გაბნეულიყვნენ. ნიღბების გა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მო მათი ცნობა შეუძლებელი გახლდათ. უყურებდნენ, როგორ აიზიდა შავი კვამლი ცაში. ცეცხლში გახვეულ ხის კენწეროებს ბუნდოვნად ვხედავდი. საშინელი ხმაური იყო. მეგონა, ყოველი მხრიდან თვითმფრინავები გვიახლოვდებოდა.

დროდადრო ქარი ძლიერად მიბერავდა და სიმხურვალე მოჰქონდა. ისეთი განცდა მქონდა, თითქოს ჩემ წინ ღუმელს აღებდნენ და მალევე კეტავდნენ. თითოეული რყევის დროს თავს ქვევით ვხრიდი, ბავშვებს კი ნერვიც არ შესტოკებიათ. მალე სიმღერა შემოსძახეს. თან ბომბის ჩამოვარდნის ხმას რიტმს აყოლებდნენ.

შორს გაიქეცი, ბაჭია, შორს,
ხედავ, ფერმერი გიმიზნებს თოფს,
ბაჭიის ღვეზელის გარეშეც გაძლებს,
შორს გაიქეცი, ბაჭია, შორს!

სიმღერის დამთავრებისთანავე აფეთქებამ ცა გაანათა. ბავშვებმა ტაში შემოჰკრეს, თითქოს ფოიერვორკს უყურებდნენ. მათ ნიღბებზე ცეცხლის ნაპერწკლების შუქი ირეკლებოდა. ჩემთვის ღამეული კოშმარი მათი ცხოვრების იმდენად ჩვეულებრივი მოვლენა გამხდარიყო, რომ საშინელებად აღარ მიიჩნევდნენ. მეტიც, მის პერეგრინის ალბომში ამ მოვლენის ამსახველ ფოტოს *„ჩვენი ულამაზესი სანახაობა“* ეწერა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/



ჩვენი ოლიმპიური სანახაობა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ციდან ცეცხლის წვიმა წამოვიდა. მფრინავი ლითონი თითქოს ღრუბლებს ხვრეტდა. რყევები გაიშვიათდა – ალბათ შეტევა მთავრდებოდა. ბავშვები ეზოს ტოვებდნენ. მეგონა, სახლში შევიდოდით, მაგრამ ისინი შესასვლელს გასცდნენ და ეზოს მეორე მხარეს გადაინაცვლეს.

– სად მივდივართ? – ვკითხე ორ ნიღბიან ბავშვს.

არაფერი უთქვამთ, მაგრამ დაბნეულობა რომ შემატყვეს, ხელები ნაზად ჩამჭიდეს და დანარჩენებს მივყევით. ყველანი უზარმაზარ, ბუჩქებისგან გაკეთებულ ფიგურასთან შეკრებილიყვნენ – ბალახზე წამოწოლილი კაცი ცალ ხელს დაყრდნობოდა, მეორე კი ცისკენ გაეშვირა. ცოტა ხანში გავიაზრე, რომ იგი სიქსტეს კაპელაზე მიქელანჯელოს მიერ შექმნილი ადამის ფრესკის იმიტაციას წარმოადგენდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბუჩქებისგან შეეკონწიწებინათ, საკმაოდ შთამბეჭდავად გამოიყურებოდა. იდუმალი სახე ჰქონდა. ორი გაფურჩქნული გარდენია კი მისი თვალების ფუნქციას ასრულებდა.

იქვე გოგონა იდგა უცნაური ვარცხნილობით; მას ყვავილებიანი, დაკემსილი კაბა ეცვა. მივუახლოვდი და ადამზე ვანიშნე:

– ეს შენ გააკეთე?

გოგონამ თავი დამიქნია.

– როგორ?

დაიხარა და ხელისგული ბალახთან ახლოს დაიჭირა. რამდენიმე წამში ბალახი გაიზარდა და მის ხელს შეეხო.

– რა სიგიჟეა! – შევძახე გაოგნებულმა.

ვიღაცამ გამაჩუმა. ბავშვები გასუსულები იდგნენ, კისრები წაეგრძელებინათ და ხელებს ცისკენ იშვერდნენ. ზევით ავიხედე, მაგრამ კვამლის მეტი არაფერი დამინახავს.

შემდეგ თვითმფრინავის ხმა გავიგონე, რომელიც უფრო და უფრო გვიახლოვდებოდა. პანიკამ მომიცვა: „ამ ღამით დაიხოცნენ. აი, ზუსტად ამ წამს“.

რაღაც ნაცრისფერმა საგანმა ღრუბლები გააპო და ჩვენკენ დიდი სიჩქარით გამოექანა. „ლოდია“, გავიფიქრე, თუმცა ლოდების ცვენისას სტვენის ხმა არ ისმის ხოლმე.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

„შორს გაიქეცი, ბაჭია, შორს!“ გავიქცეოდი, მაგრამ ამის დრო აღარ მქონდა. მიწაზე ყვირილით დავენარცხე და ხელები თავზე წავიფარე. თვალები დავხუჭე და სუნთქვა შევიკავე, თუმცა, აფეთქების ძლიერი ხმის მაგივრად, სრული სიჩუმე გამეფდა. აღარც მოზუზუნე ძრავებისა თუ შორიდან მომავალი გასროლის ხმები ისმოდა და აღარც ბომბების გრუხუნი. მეგონა, ვიღაცამ სამყაროს ხმას ჩაუწია.

ნუთუ მოვკვდი?

ხელები ჩამოვუშვი და უკან გავიხედე. ქარისგან გადაქცეული ხეები გაშეშებულიყო. ცა ფოტოზე აღბეჭდილს ჰგავდა – ცეცხლის ალი ღრუბლების გალოკვას ცდილობდა, წვიმის წვეთები კი გაყინულიყო. ბავშვების მიერ შეკრული წრის შუაგულში, ჰაერში, გაქვავებული ბომბი ადამის გაშვერილ თითზე წონასწორობას იცავდა. შემდეგ პროექტორში დამწვარი ფირის მსგავსად, გარშემო ყველაფერი სითეთრემ მოიცვა.

* * *

თავიდან სიცილი მომესმა. შემდეგ სითეთრე ნელ-ნელა გაიფანტა; ბავშვები უწინდებურად ადამის ფიგურას გარშემორტყმოდნენ. ბომბი გამქრალიყო. მშვიდი ღამე იდგა. უღრუბლო ცაზე სავსე მთვარე ანათებდა. მის პერეგრინი თავზე წამომადგა და ხელი გამომიწოდა. ზედ დავეყრდენი და დაბნეული ფეხზე წამოვდექი.

– გთხოვთ, მაპატიოთ, – მითხრა მან, – უკეთ უნდა შემემზადებინეთ.

თუმცა ღიმილს ვერ იკავებდა და ბავშვებსაც, რომლებიც ნიღბებს იხსნიდნენ, სახეზე ღიმილი დასთამაშებდათ. ვიფიქრე, რომ სპეციალურად არ მითხრეს არაფერი.

თავი მიბჟუოდა და ყურადღების მოკრება მიჭირდა.

– მგონი, ჩემი სახლში წასვლის დროა, – ვუთხარი მის პერეგრინს, – მამაჩემი ინერვიულებს, – მერე შეშფოთებულმა სწრაფად დავძინე, სახლში წასვლა ხომ შემიძლია-მეთქი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რა თქმა უნდა, – მომიგო და ხმამაღლა იკითხა, ვის სურდა, გავეცილებინე. ჩემდა გასაკვირად, სურვილი ემამ გამოთქვა. მის პერეგრინს სახეზე კმაყოფილება ეტყობოდა.

– რას ამბობთ, – გადავუჩურჩულე ქალს, – რამდენიმე საათის წინ ჩემთვის ყელის გამოღადვრას აპირებდა.

– მის ბლუმს ფეთქებადი ხასიათი აქვს, თუმცა ჩემი აღსაზრდელებიდან ერთ-ერთი ყველაზე სანდო პიროვნებაა. ამას გარდა, თქვენ ორს, ცნობისმოყვარეთაგან მოშორებით სალაპარაკო უნდა გქონდეთ.

ხუთი წუთის შემდეგ გზას დავადექით. ამჯერად ხელები დაბმული არ მქონია და არც ხერხემალში დაუმიზნებია დანა ვინმეს. სანამ ეზო არ გავიარეთ, რამდენიმე პატარა ბავშვი უკან მოგვდევდა. აინტერესებდათ, მეორე დღეს თუ დავბრუნდებოდი. მათ დასარწმუნებლად გაურკვევლად წავილულლუღე, მოვალ-მეთქი, მაგრამ ჩემს გონებას ჯერ ახლახან მომხდარიც ვერ გადაეხარშა და მომავალში რა იქნებოდა, ამაზე ფიქრის თავი ნამდვილად არ მქონდა.

ულრან ტყეში მხოლოდ ჩვენ ორნი შევედით. როდესაც სახლი უკან მოვიტოვეთ, ემამ ხელისგული ამოატრიალა და მაჯის ქნევა დაიწყო. თითებიდან პაწაწინა ცეცხლოვანი სფერო ამოიზარდა. ხელი წინ ისე გაიშვირა, თითქოს ლანგარი ეჭირა. ბილიკი განათდა და ჩვენი ტყუპი ჩრდილები ზურგსუკან მოექცა.

– რა მაგარია! – დუმილის დარღვევა ვცადე, რადგან სიჩუმე თანდათან უფრო აუტანელი ხდებოდა.

– სულაც არაა მაგარი, – მომიგო ემამ და ალით მომანათა. ცეცხლის სიმხურვალე შევიგრძენი. გავერიდე და უკან ჩამოვრჩი.

– არა, სფეროს არ ვგულისხმობ, რასაც აკეთებ, ეგაა მაგარი.

– სწორად რომ მეტყველებდე, გავიგებდი, რისი თქმაც გსურს, – ნერვიულად მომიგო და გაჩერდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ერთმანეთის პირისპირ ვიდექით, თუმცა ჩვენ შორის დიდი მანძილი იყო.

– ნუ გეშინია ჩემი, – თქვა ემამ.

გვერდზე გავიხედე.

– რა ვიცი. იქნებ ისევ ბოროტი სული გგონივარ და ჩემი მოკვლის გეგმას აწყობ.

– რა სისულელეა. პირველად რომ გნახე, შენი ვინაობა არ გითქვამს. ჩემთვის უცხო ადამიანი იყავი, რომელიც გიჟივით გამომეკიდა. რა უნდა მეფიქრა?

– გასაგებია, – ვუთხარი, თუმცა არაფერიც არ იყო გასაგები.

თვალები დახარა და რეზინის ჩექმის წვერით მიწის ჩიჩქნა დაიწყო. ცეცხლის სფერომ ფერი იცვალა და ფორთოხლისფრიდან ღია ცისფრად გადაიქცა.

– არა... სიმართლეს არ გეუბნები... – შემომხედა, – მას ძალიან ჰგავხარ!

– ჰო, სხვებსაც უთქვამთ.

– ბოდიშს გიხდი იმ საზიზღრობებისთვის, რაც გითხარი. არ მინდოდა, შენი ნათქვამი დამეჯერებინა, რადგან ვიცოდი, ეს რისი მომასწავებელიც იქნებოდა.

– არა უშავს, – მივუგე, – პატარა რომ ვიყავი, თქვენთან შეხვედრაზე ვოცნებობდი. ახლა კი ოცნება ამისრულდა... სამწუხაროა, რომ ჩვენი შეხვედრის მიზეზი ასეთი ტრაგიკული აღმოჩნდა.

უეცრად ემა ჩემკენ გამოექანა და კისერზე ხელები შემომაჭდო. ცეცხლის სფერო იქამდე ჩაქრა, სანამ შემეხებოდა; ძალიან ცხელი ხელისგულები ჰქონდა. ასე ვიდექით სიბნელეში მე და ახალგაზრდობის ტყვეობაში მყოფი მოხუცი – ლამაზი გოგონა, რომელსაც ბაბუაჩემი მაშინ უყვარდა, როცა ის ჩემი ტოლი გახლდათ. სხვა გზა აღარ დამრჩენოდა, ხელები მეც შემოვხვიე. ცოტა ხანში მივხვდი, რომ ვტიროდი.

ემამ ღრმად ჩაისუნთქა და მომშორდა. ცეცხლის სფერო კვლავ აენთო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მაპატიე. როგორც წესი, მე...

– მაგაზე ნუ იდარდებ.

– უნდა ვიჩქაროთ.

– წინ გამიძეხი.

ტყეში სიჩუმე სუფევდა. როდესაც ჭაობს მივუახლოვდით, ემამ გამაფრთხილა, ფეხი მხოლოდ იქ დამედგა, სადაც თვითონ დააბიჯებდა. ასეც მოვიქეცი. ჭაობიდან ამოხეთქილი წყალი ჰორიზონტზე მწვანედ იფრქვეოდა, თითქოს ცეცხლს ეხმიანებოდა.

აკლდამას მივუახლოვდით და შიგ თავდახრილები შევედით. ჯერ აკლდამის ბოლოსკენ გავწიეთ, შემდეგ კი შემოვბრუნდით და კვლავ გასასვლელთან დავბრუნდით. გარეთ სამყაროს ნისლის ფარდა ჩამოეფარებინა. გოგონა ბილიკისკენ გამიძღვა და როდესაც გზაზე გავედით, ხელი ღონივრად მომიჭირა. ცოტა ხანს ხმის ამოუღებლად ვიდექით. მერე ემა გატრიალდა და წავიდა. ნისლმა ისე სწრაფად ჩაყლაპა, რომ წამით ვიფიქრე, ყველაფერი მომეჩვენა-მეთქი.

* * *

ქალაქში დაბრუნებულს მეგონა, ქუჩაში ცხენებშებმული ეტლები დამხვდებოდა, თუმცა ამის ნაცვლად გენერატორების ღმუილი და კოტეჯების ფანჯრებიდან მოციმციმე ტელევიზორების ნათება შემომეგება.

კევი ბარში გახლდათ და, როგორც კი შევედი, სასმლით სავსე ჭიქა ჩემკენ გამოიშვირა. არც ერთ სტუმარს ჩემი ლინჩის წესით გასამართლება არ მონდომებია. სამყაროში ყველაფერი წესრიგში იყო.

ზედა სართულზე ავედი და პატარა მაგიდასთან, ლეპტოპის წინ ჩაძინებული მამა დავინახე. კარის დაკეტვის ხმაზე თვალები გაახილა.

– ეი! გარეთ გვიანობამდე იყავი? თუ ადრეა ჯერ? რომელი საათია?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არ ვიცი, – მივუგე, – ცხრა არ იქნება. გენერატორები ჯერ კიდევ ჩართულია.

მამა გაიზმორა და თვალები მოისრისა.

– დღეს რას აკეთებდი? მეგონა, სადილისთვის დაბრუნდებოდი.

– უბრალოდ, ძველი სახლი უკეთ შევისწავლე.

– მიაგენი რამე საინტერესოს?

– რა ვიცი... მგონი, არა, – აქ მივხვდი, რომ სიმართლის დასაფარად რაიმე ტყუილი წინასწარ უნდა შემეთხზა.

უცნაურად შემომხედა.

– ესენი სადღა იპოვე?

– რაზე მეუბნები?

– ტანსაცმელზე.

ტანზე დავიხედე. შალის შარვალი და აჭიმები საერთოდ აღარ მახსოვდა.

– იმ სახლში ვნახე, – ვთქვი, რადგან უკეთესი პასუხის მოსაფიქრებლად დრო არ მქონია, – მაგარია, არა?

მამას სახე შეეცვალა.

– ის ტანსაცმელი ჩაიცვი, რომელიც იქ იპოვე? ჯეიკობ, ეს ძალიან არაჰიგიენურია. შენს ჯინსსა და მაისურს რაღა მოუვიდა?

თემის შეცვლა ვცადე.

– ძალიან დამესვარა, ამიტომ... – შემდეგ თავი მოვაჩვენე, თითქოს გონება კომპიუტერის ეკრანზე ახლადშექმნილმა დოკუმენტმა გამიფანტა, – ეს შენი ახალი წიგნია? როგორ მიდის საქმე?

მამამ ლეპტოპი ხმაურით დახურა.

– ახლა ჩემს წიგნზე არ ვლაპარაკობთ. აქ იმიტომ ვართ, რომ კუნძულზე სტუმრობა შენთვის კარგი თერაპია იყოს. არა მგონია, ექიმ გოლანს იმ ძველისძველ სახლში დღეების მარტოდმარტო გატარება ეგულისხმა, როდესაც მოგზაურობის ნება მოგცა.

– ეს ახალი რეკორდია.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რა რეკორდი?

არარსებულ მაჯის საათს დავხედე.

– 4 დღე, 5 საათი და 26 წუთია, რაც ექიმი გოლანი არ გიხსენებია, – ამოვიოხრე, – ეჰ, ის დრო მენატრება!

– ეგ კაცი ძალიან დაგეხმარა, – თქვა მამამ, – გოლანი რომ არა, ღმერთმა უწყის, ახლა რა მდგომარეობაში იქნებოდი.

– მართალი ხარ, მამა. ნამდვილად დამეხმარა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მან ჩემი ცხოვრება მთლიანად უნდა აკონტროლოს. მე მგონი, შენ და დედა მალე სამაჯურს მიყიდით, რომელზეც ეწერება: „რას იზამდა ექიმი გოლანი?“ აი, მერე ნებისმიერი ქმედების წინ მასზე ვიფიქრებ. კუჭში გასვლამდე იმაზე ვიმსჯელებ, რა რჩევას მომცემდა ექიმი გოლანი, უნიტაზზე გვერდულად დავმჯდარიყავი თუ ჩვეულებრივად? რომელი იქნებოდა ჩემთვის ფსიქოლოგიურად უკეთესი?

მამას რამდენიმე წამის განმავლობაში არაფერი უთქვამს, მაგრამ როდესაც საუბარი დაიწყო, მის მშვიდ ხმაში სიმკაცრე ვიგრძენი. მითხრა, რომ მეორე დღეს ჩიტების დასათვალიერებლად გავყვებოდი, მომწონდა ეს თუ არა. მივუგე, მწარედ ცდები-მეთქი. ის კი ადგა და ქვემოთ, ბარში ჩავიდა. მეგონა, დალევას აპირებდა, ამიტომ ჩემს ოთახში შევედი და ტანსაცმლის გახდა დავიწყე, მაგრამ ცოტა ხანში საძინებლის კარზე მომიკაკუნა და მაცნობა, ტელეფონზე გეძახიანო.

დედა მეგონა და კიბეზე ჩასვლისას კბილებს ვაკრაჭუნებდი. კუთხეში მდგარი ტელეფონის კაბინისკენ წავედი. მამამ ყურმილი მომაწოდა და თვითონ მაგიდასთან დაჯდა. ჯიხურის კარი დავხურე.

– გისმენთ.

– ახლახან მამაშენს ველაპარაკე, – მითხრა კაცის ხმამ, – აღელვებულია.

ექიმი გოლანი იყო.

მინდოდა, მეთქვა, შენც და მამაჩემსაც შეგიძლიათ თქვენი ეჭვები ერთ ადგილას გაიკვეხოთ-მეთქი, მაგრამ ვიცოდი,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სიტუაცია ჩემგან დიპლომატიურ მიდგომას მოითხოვდა. გოლანს თუ გავაღიზიანებდი, ეს ჩემი მოგზაურობის დასასრული იქნებოდა. მე კი ქეირნჰოლმის დატოვება არ მსურდა, სანამ უცნაურ ბავშვებზე მეტს არ შევიტყობდი. ამიტომ ყველაფერი ვუამბე, რასაც ვაკეთებდი (რა თქმა უნდა, მის პერეგრინისა და დროის მარყუჟის გარდა) და ვეცადე, დამერწმუნებინა, თანდათან მეც იმ დასკვნამდე მივდიოდი, რომ არც კუნძული და არც ბაბუაჩემი არაფრით გამოირჩეოდნენ. მოკლედ, ტელეფონით მინისეანსი გამოგვივიდა.

– იმედია, სპეციალურად იმას არ მეუბნები, რისი მოსმენაც მსურს, – მითხრა მან. ამ ფრაზას უკვე მეასედ იმეორებდა, – იქნებ მანდ ჩამოვსულიყავი, რომ შენი მდგომარეობა შემემოწმებინა. დასვენება ნამდვილად მჭირდება. აბა, რას იტყვი?

„ნეტავი, ხუმრობდეს!“ შევევედრე ღმერთს.

– თავს კარგად ვგრძნობ.

– რა იყო, ჯეიკობ, ვხუმრობ. თუმცა ოფისიდან გასვლა მართლა მჭირდება. სიმართლე გითხრა, შენი მჯერა. ხმაზე გეტყობა, რომ უკეთ ხარ. მეტიც, წელან მამაშენს ვუთხარი, რომ უმჯობესი იქნება, თავი დაგანებოს და ნება დაგრთოს, რაღაცებში თავად გაერკვე.

– მართლა?

– მე და შენს მშობლებს მარწუხებში დიდხანს გვყავდი მოქცეული. გარკვეული პერიოდის შემდეგ კი ეს მეთოდი არაპროდუქტიული ხდება.

– გმადლობთ, დიდად მადლიერი ვარ.

კიდევ რაღაც მითხრა, მაგრამ ხმაურის გამო წესიერად ვერ გავიგონე.

– კარგად არ მესმის თქვენი. სავაჭრო ცენტრში ხართ?

– აეროპორტში, – მომიგო მან, – ჩემს დას ველოდები. შენ კი კარგად გაერთე, ყველაფერი გამოიკვლიე და არაფერზე იდარდო. მალე განახავ.

– დიდი მადლობა, ექიმო გოლან.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

როგორც კი ყურმილი დავკიდე, შემრცხვა, რომ მასზე ვბრაზობდი. მშობლებთან უკვე მეორედ დამიცვა.

მამაჩემმა ლუდის ბოკალი ბარის ერთი ბოლოდან მეორეში ფრთხილად მიიტანა. ზევით ასვლამდე მის მაგიდასთან გავჩერდი.

– ხვალ... – დავიწყე.

– ის ქენი, რაც შენ გინდა.

– დარწმუნებული ხარ?

მხრები აიჩეჩა.

– ექიმის ბრძანებაა.

– სადილისთვის დავბრუნდები. გპირდები.

თავი დამიქნია. მამა ბარში დავტოვე და დასაძინებლად წავედი. ჩემი ფიქრები უცნაურ ბავშვებს დასტრიალებდა. პირველი შეკითხვა გამახსენდა, რომელიც მის პერეგრინს ჩემი წარდგენის შემდეგ დაუსვეს: „ჯეიკობი ჩვენთან რჩება?“ იმ მომენტში გავიფიქრე, რომ ეს არავითარ შემთხვევაში არ მოხდებოდა, მაგრამ ახლა უკვე ეჭვი მეპარებოდა. რატომაც არა? რას დავკარგავდი, თუ სახლში აღარასოდეს დავბრუნდებოდი? ჩემი ცივი, უზარმაზარი სახლი წარმოვიდგინე, ჩემი ქალაქი, რომელიც უამრავ ცუდ მოგონებას აღმიძრავდა და რომელთანაც არც ერთი მეგობარი არ მაკავშირებდა. არაფრით გამორჩეული ცხოვრება. აქამდე აზრადაც არ მომსვლია, რომ ამ ყველაფერზე უარის თქმა შემეძლო.

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლილით ნისლიანი და წვიმიანი დარი დამხვდა. ამინდის წყალობით კინაღამ დავიჯერე, რომ წინა დღე მხოლოდ ლამაზი და უცნაური სიზმარი იყო. საუზმე გამგელებულმა გადავსანსლე და მამაჩემს ვაცნობე, რომ გარეთ გასვლას ვაპირებდი. ისე შემომხედა, თითქოს ჭკუიდან გადავმცდარიყავი.

– ამ ამინდში? და რას აპირებ?

– აი, ბავშვებთან ერთად... – წამოვიწყე დაუფიქრებლად და მაშინვე, ყურადღების გასაფანტად, თავი მოვაჩვენე, თითქოს ლუკმა გადამცდა. უკვე გვიანი იყო – ყველაფერი გაიგო.

– ვისთან ერთად? იმედია, იმ რეპერ ხულიგნებს არ გულისხმობ.

თავის დასაძვრენად ერთადერთი გზა დამრჩენოდა – უფრო ღრმად უნდა დამეწყო ტყუილის ორმოს გათხრა.

– არა, ისინი აღარ მინახავს. ესენი კუნძულის მეორე... კუნძულის მეორე ნაპირას ცხოვრობენ და...

– ჰოო? მეგონა, ის ადგილები დაუსახლებელი იყო.

– სულ რამდენიმე ადამიანია, მწყემსები. კარგი ხალხია. სანამ მათთან ვიქნები, მიდარაჯებენ.

მეგობრები და უსაფრთხოება – მამაჩემი ამაზე ვერაფრის დიდებით ვერ შემეწინააღმდეგებოდა.

– მათი გაცნობა მინდა, – მითხრა და შეეცადა, სერიოზული გამომეტყველება მიეღო. ასეთ გამომეტყველებას მაშინ იღებდა, როცა სურდა, მგრძნობიარე, გამგები მამის როლი ეთამაშა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– აბა რა! ოღონდ დღეისთვის შევპირდი, იქვე შეგხვდებით-მეთქი და სხვა დროს იყოს.

თავი დამიქნია და ტოსტი მოკბიჩა.

– სადილისთვის შინ იყავი.

– არის, სერ.

ჭაობისკენ თითქმის სირბილით მივდიოდი. მერე კი გზის გაკვლევას ტალახში გაჭირვებით ვცდილობდი. იმ ადგილების პოვნა მინდოდა, სადაც ემა აბიჯებდა. ვდარდობდი, რომ გაღმა ისევ წვიმა და დანგრეული სახლი დამხვდებოდა, ამიტომ როდესაც აკლდამიდან გამოვედი და 1940 წლის 3 სექტემბერი ვიხილე, შვებით ამოვისუნთქე. ყველაფერი ზუსტად ისე გამოიყურებოდა, როგორც ჩემი წასვლისას: თბილი, მზიანი დღე და კამკამა ლურჯი ცა. ემა შორიახლოს, ქვაზე იჯდა და მელოდა.

– როგორც იქნა, – იყვირა და ადგილიდან წამოხტა, – წამოდი, ყველა შენ გელოდება.

– მართლა?

– ჰოო, ჰოო, – თვალები მოთმინებადაკარგულმა გადაატრიალა. ხელი ჩამავლო და წამათრია. გული ამიჩქარდა არა მარტო იმიტომ, რომ ემა შემეხო, არამედ უსაზღვრო შესაძლებლობებით აღსავსე დღის მოლოდინის გამოც. მართალია, ბევრი რამით ის წინა დღეს დაემსგავსებოდა – იგივე სიო დაუბერავდა, ხეებს იგივე ტოტები ჩამოტყდებოდა, მაგრამ ამ დროის ჩემეული განცდა ახლებური იქნებოდა. თანაც, უჩვეულო ბავშვებს ვნახავდი, რომლებიც პაწაწინა სამოთხის ღმერთები იყვნენ, მე კი მათი სტუმარი.

ჭაობი სწრაფად გადავჭერით და ტყე სირბილით გადავკვეთეთ, თითქოს წინასწარ დათქმულ შეხვედრაზე გვაგვიანდებოდა. სახლს რომ მივუახლოვდით, ემა უკანა ეზოსკენ გამიძღვა, სადაც ხის სცენა აეწყოთ. ბავშვები სახლის კარში გადი-გამოდიოდნენ, დეკორაციებს დაატარებდნენ, გამოსასვლელი კოსტიუმების ღილებსა და თვლებით გაწყობილი კაბების შესაკრავებს იკრავდნენ. წარმოდგენას პატარა ორკესტრი ხსნიდა, რო-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მელიც აკორდეონის, გაქუცული ტრომბონისა და მუსიკალური ხერხისგან შედგებოდა; მასზე ჰორასი ხემით უკრავდა.

– ეს რა არის? – ვკითხე ემას, – სპექტაკლს ამზადებთ?

– ნახავ, – მომიგო ღიმილით.

– ვინ მონაწილეობს?

– ნახავ.

– და რაზეა?

მიჩქმიტა.

სასტვენს ჩაბერეს და ადგილის დასაკავებლად ყველა ასაკეცი სკამებისკენ გაიქცა, სცენის პირდაპირ რომ მოეთავსებინათ. როცა მე და ემა ვსხდებოდით, ფარდა აიხადა. ჭყეტელა წითელი და თეთრზოლებიანი ფრაკის თავზე მოტივტივე მენავის ჩალის ქუდი დავინახე. ხმა რომ ამოიღო, მივხვდი, მილარდი იყო.

– ქალბატონებოოოოო და ბაატონებო! – დასჭექა, – დიდი პატივით მინდა წარმოგიდგინოთ სანახაობა, რომელიც ისტორიას არ ახსოვს! არნახული წარმოდგენა იმდენად ჯადოსნურია, რომ საკუთარ თვალებს არ დაუჯერებთ. ჩემო ძვირფასო თანამოქალაქენო, გთხოვთ, შეეგებოთ მის პერეგრინსა და მის უცნაურ ბავშვებს!

მაყურებელმა ის გამაყრუებელი აპლოდისმენტით დააჯილდოვა. მილარდმა საპასუხოდ ქუდი ოდნავ ასწია.

– პირველ ილუზიონისტურ ნომერს წარმოგიდგენთ თავად მის პერეგრინი!

მილარდი გავიდა და მალე ისევ სცენაზე დაბრუნდა. ცალ მკლავზე ზეწარი დაუდევრად გადაეკიდა, ხოლო მეორეზე შევარდენი ეჯდა. ორკესტრს თავი დაუქნია და მათაც საკარნავალო მუსიკის დაკვრა დაიწყეს.

ემამ იდაყვი გამკრა.

– ახლა ნახე!

მილარდმა შევარდენი ძირს დასვა, ზეწარი ისე დაიჭირა, რომ ფრინველი აუდიტორიისგან დაემალა და თვლას შეუდგა:

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– სამი, ორი, ერთი!

ფრთების შეფრთხიალების ხმა გავიგონე და მალე ზეწრიდან თავი მის პერეგრინმა ამოყო. ამას კიდევ უფრო მქუხარე ტაში მოჰყვა. ქალს თმა ჟელეთი გადაეგლისა. ზეწრიდან კი მხოლოდ მხრები და თავი მოუჩანდა. მგონი, სრულიად შიშველი იყო. როგორც ჩანს, ჩიტად ქცევისას ტანსაცმელზე ჯადოქრობა არ ჭრიდა. ქალმა ზეწრის კიდეებს ხელი მოჰკიდა და შემოიხვია.

– მისტერ პორტმან! – თქვა ხმამაღლა და სცენიდან ჩამომხედა, – მიხარია, რომ დაბრუნდით. ამ სანახაობას, მშვიდ და ბედნიერ ხანაში, კონტინენტზე მოგზაურობისას მაყურებლის წინაშე ვმართავდით. ვიფიქრე, რომ მისი ნახვა თქვენთვის სასარგებლო იქნებოდა.

თვალის დახამხამებაში კულისებში გაუჩინარდა და სახლს მიაშურა – სავარაუდოდ, ტანსაცმლის ჩასაცმელად.

უცნაურმა ბავშვებმა ერთმანეთის მიყოლებით სცენაზე გამოსვლა დაიწყეს. თითოეულს საკუთარი ნომერი მოემზადებინა. მილარდმა ფრაკი გაიხადა, რომ მთლიანად გაუჩინარებულიყო და ბოთლებით ჟონგლიორობა დაიწყო. ოლივი მძიმე ფეხსაცმელიდან ამოცურდა და ორ ერთმანეთის პარალელურ ძელზე ისეთი სატანვარჯიშო ილეთები გვიჩვენა, თითქოს მასზე დედამიწის მიზიდულობა გავლენას ვერ ახდენდა. ემამ ცეცხლი გააჩინა, გადაყლაპა და შემდეგ ისევ პირიდან გადმოაფრქვია. ტაშს იმდენ ხანს ვუკრავდი, ხელები სულ გადამეტყავა.

ემა თავის ადგილს რომ დაუბრუნდა, მივუტრიალდი:

– ერთი რამ არ მესმის. ამ წარმოდგენას ხალხს უჩვენებდით?

– რა თქმა უნდა, – მომიგო ღიმილით.

– ჩვეულებრივ ადამიანებს?

– ჰო. აბა, უჩვეულოები იმის სანახავად ხომ არ გადაიხდიდნენ ფულს, რისი გაკეთებაც თვითონაც შეუძლიათ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მერე, გამოაშკარავების არ გეშინოდათ?

ემამ გადაიკისკისა.

– არავის არაფერი უეჭვია. ხალხი წარმოდგენებზე ტრიუკ-ებისა და ილუზიონისტური ნომრების სანახავად დადიოდა და სჯეროდა, რომ ასეც ხდებოდა.

– ესე იგი, სპეციალურად სააშკარაოზე გამოგქონდათ ის, რისი დამალვაც გსურდათ.

– უცნაურების უმეტესობა ამგვარად ირჩენდა თავს.

– და არავის არასდროს ეჭვი არ გასჩენია?

– ხანდახან კულისებში ერთი-ორი აბეზარი შეკითხვებს თუ დაგვაყრიდა, მაგრამ მათ მოსაგერიებლად მკლავმაგარი არ-სება გვყავდა. აი, ისიც!

კულისებიდან მამაკაცური შესახედაობის გოგონა გამოვი-და, რომელიც ლოდს ეზიდებოდა.

– მართალია, ჩვენ შორის ყველაზე გამჭრიახი არაა, – წაიჩ-ურჩულა ემამ, – მაგრამ დიდი გული აქვს და მეგობრებისთვის სიცოცხლესაც კი გაწირავს. მე და ბრონუინი განუყრელი მე-გობრები ვართ.

ვიღაცამ ბარათები გადმომაწოდა, რომლითაც წარმოდგე-ნას ოდესღაც პოპულარიზაციას უწევდნენ. პირველ ბარათზე ბრონუინის სურათი გამოესახათ. ფეხშიშველი იდგა და ცივი მზერით იყურებოდა. ბარათის უკანა მხარეს ეწერა: „საოც-რად ღონიერი გოგონა ქალაქ სუანსიდან“.

– თუ ლოდებს სწევს, მაშინ სურათზეც იმავეს რატომ არ აკეთებს?

– საშინელ ხასიათზე იყო, რადგან ფრინველმა ფოტოს გა-დასაღებად გოგონასავით ჩაცმა აიძულა და, ლოდი კი არა, ხელში პატარა კოლოფიც კი აღარ დაიჭირა.

– როგორც ჩანს, ფეხსაცმელიც ვერ ჩააცვეს.

– ჰო, ფეხსაცმელზეც ხშირად ამბობს უარს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბრონუინს ლოდი შუა სცენაზე გამოეთრია. ცოტა ხნით მაყურებელს უხერხულად მოგვაშტერდა, თითქოს ვიღაცას მისთვის ერჩია, დაძაბულობის გასამძაფრებლად ნომრის წარმოდგენამდე რამდენიმე წუთს შეჩერებულიყო. შემდეგ დაიხარა, ლოდს ხელები ჩასჭიდა და თავზემოთ ასწია. ტაშის ხმა და შეძახილები გაისმა. ბავშვები დიდი ენთუზიაზმით ამხნევებდნენ იმის მიუხედავად, რომ ეს ილეთი ათასჯერ მაინც ექნებოდათ ნანახი. სკოლებს შორის მატჩების წინ გამართული გამამხნევებელი შეკრებები მომაგონდა. ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს უცხო სკოლაში ვიყავი და შეკრებას ვესწრებოდი.

ბრონუინმა დაამთქნარა, ლოდი ამოიღლიავა და კულისებში გავიდა. შემდეგ სცენაზე გაჩეჩილთმიანი გოგონა გამოჩნდა. ფიონა ჰქვიაო, მითხრა ემამ. ის მაყურებლისკენ სახით დადგა, წინ მიწით სავსე მცენარეების ქოთანი მოითავსა და ხელები დირიჟორივით მაღლა ასწია. ორკესტრმა (შეძლებისდაგვარად) „ბზიკების მარში“ დასცხო. ფიონას დაძაბულობისგან სახე დაეჭიმა. კრეშჩენდოსთან ერთად მიწიდან გვირილების მთელი წყება ამოიზარდა. მეგონა, ყვავილებს ნიადაგიდან უხილავი ძაფებით ექაჩებოდა. ბავშვებს ნომერი უზომოდ მოეწონათ და ტაშის დასაკრავად სკამებიდან წამოხტნენ.

ემამ ბარათების დასტა გაქექა და ფიონას ფოტო იპოვა.

– ეს ჩემი საყვარელი სურათია. მის კოსტიუმზე რამდენიმე დღეს ვმუშაობდით.

სურათს შევხედე, რომელზეც მათხოვარი გოგოსავით გამოწყობილი ფიონა იდგა და ხელში ქათამი ეჭირა.

– ვის განასახიერებს? უსახლკარო გლეხს?

ემამ მიჩქმიტა.

– გვინდოდა, ველური და ბუნებრივი შესახედაობა ჰქონოდა, როგორც გოგონას ჯუნგლებიდან. ასეც ვეძახით.

– მართლა ჯუნგლებიდანაა?

– ირლანდიიდან.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჯუნგლებში ბევრი ქათამია?

ემამ კვლავ მიჩქმიტა. სანამ ვჩურჩულებდით, ფიონას სცენაზე ჰიუ შეუერთდა. პირდაღებული იდგა და ფუტკრებს უშვებდა, რომლებიც ფიონას მიერ აყვავებულ ყვავილებს მტვერავდნენ. მეგონა, უცნაური, მაგიური რიტუალის მომსწრე ვიყავი.

– ბუჩქებისა და ყვავილების აყვავების გარდა, ფიონას კიდევ რა შეუძლია?

– აი, ეზოში რაც კი ბოსტნეულია, მისი გაზრდილია, – ემამ ეზოსკენ გამახედა, – ხანდახან ხეებსაც ზრდის ხოლმე.

– მართლა?

ემამ ისევ ბარათებში ქექვა დაიწყო.

– ზოგჯერ რომელიმე ჩვენგანი ტყის განაპირას მდებარე პატარა ყლორტს დაეჭიდება. ფიონა კი ცდილობს, სანამ ჩვენ ტოტზე ვსხედვართ, რაც შეიძლება მეტად გაზარდოს იგი, – იმ ფოტოს მიაგნო, რომელსაც ეძებდა და გამომიწოდა. აი, ესაა მისი რეკორდი, – თქვა ამაყად, – 20 მეტრი.

– როგორც ჩანს, აქ ბევრი გასართობი არ გაქვთ.

ჩემკენ გამოიწია, რომ კიდევ ერთხელ ეჩქმიტა, მაგრამ ხელი შევუშალე. გოგონებთან ურთიერთობის ექსპერტი ნამდვილად არ ვარ, მაგრამ როდესაც ვინმე შენს ჩქმეტას ოთხჯერ შეეცდება, დარწმუნებული ვარ, ეს ფლირტის ნიშანია.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ფიონასა და ჰიუს გამოსვლას კიდევ რამდენიმე ნომერი მოჰყვა, თუმცა, ცოტა ხნის შემდეგ ბავშვებს მოუსვენრობა დაეტყოთ და დავიშალეთ. ზაფხულის იდეალური დილა მზის გულზე ლიმონათის წრუპვაში გავატარეთ, კრიკეტი ვითამაშეთ, ბაღში მცენარეები მოვრწყეთ და ლანჩისთვის სხვადასხვა კერძის ვარიანტები განვიხილეთ. მინდოდა, მის პერეგრინისთვის ბაბუაჩემზე მეკითხა (ემასთან ამ თემაზე საუბარს გავურბოდი, რადგან ბაბუას სახელის ხსენებაზეც კი ნერვები ეშლებოდა), მაგრამ დირექტორი პატარებს გაკვეთილს უტარებდა. ვიფიქრე, ამის დრო მერეც მექნება-მეთქი. თან განუწყვეტელმა სირბილმა და შუადღის ხვატმა სურვილი დამიკარგა, უმიზნო ხეტიალის გარდა, რამე მეკეთებინა.

იხვის ხორცის სენდვიჩებისა და შოკოლადის პუდინგის მდიდრული ლანჩის შემდეგ ემა შეეცადა, უფროსი ბავშვები დაერწმუნებინა, საცურაოდ წავსულიყავით.

– არაფრის დიდებით! – აღმოხდა მილარდს, რომელსაც შარვლის პირველი ღილი შეეხსნა, – საშობაო ინდაურივით ვარ გატიკნილი.

მისაღებ ოთახში ხავერდის სკამებზე ვისხედით. ბრონუინი მოკუნტული იწვა და თავი ორ ბალიშს შორის მოეთავსებინა.

– წყალში მაშინვე ჩავიძირები, – გავიგონე მისი ყრუ ხმა.

ემა არ ნებდებოდა. ათწუთიანი არგუმენტირებული მსჯელობის შემდეგ ჰიუ, ფიონა და ჰორასი ბურანიდან გამოიყვანა და ახლა ცურვის შეჯიბრში ბრონუინს იწვევდა, რომელსაც, როგორც ჩანდა, ასეთ გამოწვევებზე უარის თქმა არ შეეძლო.

როცა მილარდმა წასასვლელად გამზადებულები დაგვინახა, გაბრაზდა, მე რატომ არ მელოდებითო.

საუკეთესო საცურაო ადგილი ყურესთან ეგულებოდათ, მაგრამ იქ მისასვლელად მთელი ქალაქის გავლა დაგვჭირდებოდა.

– იმ შეშლილ ლოთებს რა მოვუხერხო, გერმანელი ჯაშუში რომ ვგონივარ? – დავეჭვდი მე, – საერთოდ არ მაქვს სურვილი, კეტებით შეიარაღებულები გამომეკიდონ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჩერჩეტო, ეგ ხომ გუშინ იყო, – დამამშვიდა ემამ, – დღეს აღარაფერი ემახსოვრებათ.

– პირსახოცი შემოიხვიე, რომ შენი... "მომავლის ტანსაცმელი" არ დაინახონ, – თქვა ჰორასმა.

ჯინსი და მაისური მეცვა, ჩემი ყოველდღიური ტანისამოსი, ჰორასს კი მკერავთან შეკერილი შავი ფრაკი. როგორც ჩანს, მის პერეგრინს ჰბაძავდა, რომელიც მიიჩნევდა, რომ სადაც წახვალ, ყველგან სერიოზულად უნდა გამოიყურებოდე. ჰორასის სურათი დამტვრეულ სკივრში მენახა. ცილინდრი ეხურა, ხელში კი ჯოხი და მონოკლი ეჭირა – ჩაცმისას გვარიანად გადაემლაშებინა.

– მართალი ხარ, – მივუგე და წარბი ავუწიე, – არ მინდა, ვინმემ იფიქროს, რომ უცნაურად გამოვიყურები.

– თუ ჩემს ჟილეტს გულისხმობ, – მომიგო ქედმაღლურად, – მაშინ ნამდვილად ვაღიარებ, რომ მოდის პირველი მერცხალი ვარ, – სხვებმა ჩაიხითხითეს, – მიდით, დასცინეთ ბებერ ჰორასს! თუ გსურთ, „პენწიანიც" დამიძახეთ, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ხვალ სოფლელებს თქვენი სამოსი არ ემახსოვრებათ. მომთაბარეებს არ უნდა ჰგავდეთ! – ეს თქვა და საყელო გაისწორა, რაზეც ბავშვებს კიდევ უფრო ხმამაღალი სიცილი აუტყდათ.

მოთმინებადაკარგულმა თითი ჩემკენ გამოიშვირა.

– რაც შეეხება ამ ვაჟბატონს, ღმერთო, გვიშველე, თუ ჩვენს ტანსაცმელს მომავალში მსგავსი რამ ელის.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

როგორც კი სიცილი შეწყდა, ემა გვერდზე გავიყვანე და ვკითხე:

– ჰორასის უცნაურობა რაში მდგომარეობს? ტანსაცმელს რომ თავი გავანებოთ, რასაკვირველია.

– წინასწარმეტყველური სიზმრები აქვს. დროდადრო კოშმარებს ხედავს, რომლებიც, სამწუხაროდ, როგორც წესი, ახდება ხოლმე.

– რამდენად ხშირად?

– შენ თვითონ ჰკითხე.

ჰორასი იმ განწყობაზე არ ყოფილა, ჩემი კითხვებისთვის სიხარულით ეპასუხა, ამიტომ დაკითხვა სხვა დროისთვის გადავდე.

ქალაქში შესვლამდე ერთი პირსახოცი წელზე შემოვიხვიე, მეორე – მხრებზე მოვიგდე. მართალია, მთლად წინასწარმეტყველება არ ეთქმოდა, მაგრამ ჰორასი მართალი აღმოჩნდა – ვერავინ მიცნო. გზაზე ერთი-ორი დაეჭვებით მომზირალი სახე შემოგვეგება, თუმცა არავის შევუწუხებივართ. იმ მსუქან კაცსაც კი ჩავუარეთ, ბარში მთელი ამბავი რომ დამაწია. თამბაქოს მაღაზიის წინ ჩიბუხს ტენიდა და ვიღაც ქალს პოლიტიკის შესახებ ელაქლაქებოდა. ქალი არ უსმენდა. მსუქან კაცს მივაშტერდი. თვითონაც მომაშტერდა, თუმცა აშკარად ვერ მიცნო.

თითქოს ვიღაცას ჯადოსნური ღილაკით მთელი ქალაქი „გადაეტვირთა“. რაღაცები გუშინდელივით განმეორდა – გზაზე იმავე ურემმა ჩაიქროლა, ჭასთან იგივე ქალები იკრიბებოდნენ; ერთი კაცი ნავის ძირს ღებავდა და საქმე წინ სულაც ვერ წაეგდო. არ გამიკვირდებოდა, ქალაქში ბრბოდადევნებულ ჩემს ორეულს რომ ჩაექროლა, თუმცა ასე არ მომხდარა.

– თქვენ ალბათ კარგად იცით, ქალაქში რაც ხდება, – ვთქვი მე, – აი, გუშინ თვითმფრინავსა და ურემზე ხომ მაშინვე მიხვდით.

– ეს მილარდია ყოვლისმცოდნე, – თქვა ჰიუმ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მართალია, – განაცხადა მილარდმა, – მე მსოფლიოში პირველ კვლევას ვწერ, რომელიც ზუსტად აღწერს ქალაქის ცხოვრებას ერთი დღის განმავლობაში. ნებისმიერი ქმედება, ნებისმიერი დიალოგი, თითოეული ბგერა, რომელიც ქალაქში მცხოვრებ 159 ადამიანსა და 332 ცხოველს გამოუცია, წუთებში მაქვს გაწერილი მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე.

– გასაოცარია!

– ნამდვილად. უკვე 27 წელია, ვაკვირდები და ადამიანთა და ცხოველთა უმეტესობა შევისწავლე.

პირი ღია დამრჩა.

– 27 წელი?

– მხოლოდ ღორების შესწავლას 3 წელი მოუნდა! – კვლავ ჩაერთო ჰიუ, – 3 წლის განმავლობაში, ყოველდღიურად, ღორების ქმედებებს ინიშნავდა. შეგიძლია ამის წარმოდგენა? „ამ ღორმა საჯდომით ნამცხვარი გამოაცხო!“ “იმან დაიჭყვიტინა და შემდეგ ტლაპოში გაწვა დასაძინებლად!“

– კვლევისთვის ბლოკნოტში ჩანიშვნა აუცილებელია, – ამიხსნა მილარდმა მშვიდად და ჰიუს მიუბრუნდა, – მესმის შენი შურიანობის მიზეზი, ჰიუ. ეს ხომ კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არნახული პროექტია.

– ოჰ, ნუ გიყვარს თავის გამოდება, – შეხედა ემამ, – ეს ყველაზე მოსაწყენი რამეების ისტორიაშიც ჯერ არნახული პროექტია.

მილარდმა ემას ყურადღება არ მიაქცია და იმის ჩამოთვლა დაიწყო, რაც მომდევნო წუთებში მოხდებოდა.

– მისის ჰიგინსი ხველით ლამის დაიხრჩობა, – იტყოდა და უცებ ქუჩაში მიმავალი ქალი დაახველებდა და იქამდე არ გაჩერდებოდა, ვიდრე სახე არ გაუწითლდებოდა. ან კიდევ:

– მეთევზე ომიანობის გამო გაძნელებულ ვაჭრობაზე იწუწუნებს, – და უცებ თევზებით სავსე ბადესთან დახრილი კაცი მეორეს მიუტრიალდებოდა:

– როგორ გაგვირთულეს საქმე ამ წყალქვეშა ნავებმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ამან ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და მილარდს ვუთხარი კიდეც.

– მიხარია, რომ ჩემს შრომას ვიღაც მაინც აფასებს, – მომიგო ღიმილით.

ხალხმრავალ პორტში გზა გავიკვლიეთ. ბოლო გემიც უკან რომ მოვიტოვეთ, კლდოვან სანაპიროს გავუყევით და პატარა, ქვიშიანი ყურისკენ გავწიეთ. ბიჭებმა ყველაფერი გავიხადეთ და საცვლების ამარა დავრჩით (ჰორასის გარდა, რომელმაც მხოლოდ ფეხსაცმელი გაიძრო და ჰალსტუხი მოიხსნა), გოგონები კი ცოტა ხნით გაუჩინარდნენ, რათა მოკრძალებული, ძველებური საცურაო კოსტიუმები ჩაეცვათ. ზღვაში შევცურეთ. სანამ წყალში ვდგაფუნობდით, ემა და ბრონუინი ერთმანეთს ცურვაში ეჯიბრებოდნენ. მერე დაქანცულები ქვიშაზე ამოვბობღდით და ცოტა ხანს ჩაგვთვლიმა. მზემ ძალიან დაგვაცხუნა და ისევ წყალში შევცვივდით. როდესაც ცივ წყალში ავცახცახდით, კვლავ ზევით ამოვედით. ასე მეორდებოდა, სანამ ყურეს გაყოლებით ჩვენმა ჩრდილებმა წაგრძელებული ფორმა არ მიიღო.

საუბარს შევყევით. ათასი რამ აინტერესებდათ და კითხვებს მაყრიდნენ. მეც პასუხის გაცემა, მის პერეგრინისგან მოშორებით, უფრო გულახდილად შემეძლო. როგორი იყო სამყარო? ადამიანები რას ჭამდნენ? რას სვამდნენ? რა ეცვათ? მეცნიერებმა შეძლეს თუ არა ავადმყოფობისა და სიკვდილის დამარცხება? ისინი სამოთხეში ცხოვრობდნენ, მაგრამ ახალ ადამიანებთან შეხვედრა და ახალი ამბები ენატრებოდათ. ყველაფერი მოვუყევი, რისი მოყოლაც შემეძლო. ტვინს ვიჭყლეტდი, რომ მისტერ ჯონსონის მიერ ჩატარებული მე-20 საუკუნის ისტორიის გაკვეთილები გამეხსენებინა – მთვარეზე გაფრენა! ბერლინის კედელი! ვიეტნამი! თუმცა, რაღაცების გაგება ძალიან უჭირდათ.

ყველაზე მეტად მაინც ახალმა ტექნოლოგიებმა და ცხოვრების დონემ გააოცა – გათბობისა და კონდიცირების სისტე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მამ, ტელევიზორებმა. ამ უკანასკნელზე კი სმენოდათ, მაგრამ არასოდეს ენახათ და ვერ წარმოედგინათ, როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო მოლაპარაკე ყუთი გამოსახულებით, რომელიც ჩემი სახლის თითქმის ყველა ოთახში იდგა. თვითმფრინავით მგზავრობა ისეთივე ხშირი და ხელმისაწვდომი გამხდარიყო, როგორც მატარებლით, ჩვენი არმია საბრძოლო თვითმფრინავებს ავტოპილოტით აკონტროლებდა, ტელეფონ-კომპიუტერებს კი ჯიბით თავისუფლად დავატარებდით. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მობილური არ იჭერდა, მაინც ამოვიღე, რომ მათთვის მისი სრიალა, სარკესავით ზედაპირი მეჩვენებინა.

მზე უკვე ჩადიოდა, როცა გამოვბრუნდით. ემა არ მშორდებოდა, თითქოს ვიღაცას ერთმანეთზე მივეწებებინეთ. სიარულისას მისი ხელი ჩემსას ეხებოდა. ქალაქის გარეუბანში ვაშლის ხეს რომ ჩავუარეთ, ნაყოფის მოსაწყვეტად შეჩერდა. ცერებზე აიწია, მაგრამ ვაშლს ვერ მისწვდა და მეც გადავწყვიტე, ისე მოვქცეულიყავი, როგორც ნამდვილ ჯენტლმენს შეეფერებოდა. ემას ხელები წელზე შემოვხვიე და შევეცადე, მისი აწევისას ოხვრა და ვიშვიში არ აღმომხდენოდა. ხელი მთელ სიგრძეზე გაიწვდინა. სველი თმა მზის ჩამავალ სხივებზე უბზინავდა. როცა ჩამოვსვი, ლოყაზე ნაზად მეამბორა და ვაშლი გამომიწოდა.

– ნამდვილად დაიმსახურე.

– ვაშლი თუ კოცნა?

გაეცინა და გაიქცა, სხვებს რომ დასწეოდა. არ ვიცოდი, რა სახელი დამერქმია იმისთვის, რაც ჩვენ შორის ხდებოდა, მაგრამ, რაც გინდა ყოფილიყო, ძალიან მსიამოვნებდა. კარგი და მსუბუქი გრძნობა იყო. ვაშლი ჯიბეში ჩავიდე და ემას მივყევი.

ჭაობს რომ გავუსწორდით, ვუთხარი, რომ ჩემი სახლში დაბრუნების დრო იყო. ემამ ხუმრობით ტუჩები მოპრუწა:

– იმის უფლება მაინც მომეცი, რომ გაგაცილო.

სხვებს დამშვიდობების ნიშნად ხელი დავუქნიეთ და აკლდამისკენ გავემართეთ. მონდომებით შევეცადე, მისი ნაკ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვალევი კარგად დამემახსოვრებინა. აკლდამასთან მისვლისას ვთხოვე:

– ერთი წუთით იქით მხარეს გამოდი.

– ვერა. უკან თუ არ დავბრუნდი, ფრინველი რამეს იეჭვებს.

– რას იეჭვებს?

– რამეს...

– რამეს.

– ყოველთვის ცდილობს, ყველაფერი გაარკვიოს, – გაეცინა ემას.

მერე ტაქტიკა შევცვალე.

– მაშინ ხვალ შენ მოდი ჩემ სანახავად.

– შენ სანახავად? გაღმა მხარეს?

– ჰო, რატომაც არა? მის პერეგრინი იქ არ იქნება და ვერ დაგვაკვირდება. მამაჩემსაც გაგაცნობ, თუმცა, რა თქმა უნდა, არ ვეტყვით, ვინ ხარ. შეიძლება გულზე ოდნავ მაინც მოეშვას და ჩემზე აღარ იდარდოს. ჩემი მეგობრობა ძალიან მაგარ გოგოსთან, მგონი, მამაჩემის სანუკვარი ოცნებაა.

მეგონა, გაეღიმებოდა, „მაგარი გოგო“ რომ ვახსენე, მაგრამ ამის მაგივრად დასერიოზულდა.

– ფრინველი ნებას გვაძლევს მეორე მხარეს მხოლოდ რამდენიმე წუთით გადავიდეთ. ისიც იმისთვის, რომ მარყუჟი მუდმივად ღია იყოს. ხომ ხვდები?

– ჰოდა უთხარი, რომ ამისთვის მოდიხარ!

ამოიოხრა.

– წამოსვლა ძალიან მინდა, მაგრამ ეს ცუდი იდეაა.

– მგონი, ჯაჭვით ჰყავხართ დაბმული.

– შენ თვითონაც არ იცი, რას ლაპარაკობ, – სახე მოექუფრა, – და გმადლობთ, ძაღლს რომ შემადარე. მშვენივრად მოგიფიქრებია.

ვერ მივხვდი, ასე მოკლე დროში ფლირტიდან კამათამდე როგორ მივედით.

– ეგ არ მიგულისხმია.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ძალიან მინდა, – შემომხედა ემამ, – უბრალოდ, არ შემიძლია.

– კარგი, მაშინ გარიგებას გთავაზობ. დაივიწყე ჩემთან მთელი დღით მოსვლა და ზუსტად ერთი წუთით წამოდი. აი, ახლავე.

– ერთი წუთით? ერთ წუთში რა უნდა მოვასწროთ?

გამეღიმა.

– გაგიკვირდება და საკმაოდ ბევრი...

– მითხარი! – შესძახა და ხელი მკრა.

– სურათს გადაგიღებ.

სახიდან ღიმილი გაუქრა.

– დღეს მაინცდამაინც კარგად არ გამოვიყურები, – თქვა დაეჭვებულმა.

– არა, ძალიან ლამაზი ხარ. მართლა.

– მხოლოდ ერთი წუთით? მპირდები?

აკლდამაში პირველი ის შევუშვი. როდესაც იქიდან გამოვედით, ცივი, ნისლში გახვეული სამყარო შემოგვეგება, მაგრამ, მადლობა ღმერთს, წვიმას გადაეღო. ჯიბიდან ტელეფონი ამოვიღე და გამიხარდა, როდესაც ჩემი თეორიის მართებულობაში დავრწმუნდი – მარყუჟის მეორე მხარეს ელექტრონული მოწყობილობები ჩვეულებრივად მუშაობდა.

– აბა, სად არის შენი კამერა? – მკითხა აკანკალებულმა, – სწრაფად გადაიღე.

მობილური ავწიე და სურათი გადავუღე. თავი გააქნია, თითქოს ჩემს უცნაურ სამყაროში აღარაფერი იყო გასაკვირი. მერე გაიქცა და მისი აკლდამის გარშემო დევნა მომიწია, თან ორივე სიცილით ვკვდებოდით. ემა მხედველობის არედან ქრებოდა და ისევ ჩნდებოდა. ერთი წუთის განმავლობაში იმდენი ფოტო გადავუღე, რომ ტელეფონის მეხსიერება გადაივსო.

ემა აკლდამის შესასვლელისკენ გაიქცა და ჰაეროვანი კოცნა გამომიგზავნა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ხვალ გნახავ, მომავლის ბიჭუნავ!

ხელი დავუქნიე. ემამ კი თავი დახარა და გვირაბში გაუჩინარდა.

* * *

ქალაქისკენ გაყინული და გაწუწული წავედი. თან იდიოტივით მელიმებოდა. „მღვდლის ორმომდე“ რამდენიმე კვარტალი დამრჩენოდა, როდესაც გენერატორების ზუზუნის ფონზე ხმა შემომესმა – ვიღაც ჩემს სახელს ყვიროდა. ხმას მივყევი და ქუჩაში მდგარი, გალუმპული მამაჩემი დავინახე. მასთან აქოშინებულმა მივირბინე.

– ჯეიკობ! შენ გეძებდი!

– ხომ გითხარი, სადილისთვის დავბრუნდები-მეთქი. ჰოდა აქ ვარ!

– დაივიწყე სადილი. წამომყევი.

მამაჩემი სადილს არასოდეს აცდენდა. ნამდვილად რაღაცაში იყო საქმე.

– რა ხდება?

– გზაში აგიხსნი, – მითხრა და ბარისკენ გამიძღვა. შემდეგ კარგად დამაკვირდა, – სულ სველი ხარ! – შეიცხადა, – ღმერთო, მეორე ქურთუკიც დაკარგე?

– მე...

– და რატომ ხარ აწითლებული? მზეზე დაიწვი?

ჯანდაბა. მთელი დღე დამცავი კრემის გარეშე მზის გულზე გავატარე.

– უბრალოდ, ვირბინე და დამცხა, – ვთქვი, თუმცა მკლავებზე სიცივისგან ხორკლები გამჩენოდა, – რა ხდება? ვინმე მოკვდა?

– არა, არა, არა, – თქვა მან, – დაახლოებით... ცხვარი...

– და ჩვენ რა შუაში ვართ?

– ჰგონიათ, რომ ბავშვებმა ჩაიდინეს. ვანდალიზმიაო.

– ვის ჰგონია, ცხვრის პოლიციას?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ფერმერებს. ყველა დაკითხეს, ვინც 20 წელზე ნაკლებისაა. რა თქმა უნდა, აინტერესებთ, დილით სად იყავი.

გულ-მუცელი ამომიტრიალდა. სანამ „მღვდლის ორმოს“ მივაღწევდით, სასწრაფოდ დამაჯერებელი ტყუილი უნდა მომეფიქრებინა.

ბართან აღელვებული ფერმერების ჯგრო დამხვდა, რომელთა გარშემო ხალხი შეკრებილიყო. ერთ-ერთი კომბინეზონიანი ფერმერი სამკაპა ჯოხს მუქარით სავსე მზერით ეყრდნობოდა. მეორეს ხელით ჭია დაეთრია. ჭიას ჭყეტელა სპორტული შარვალი და მაისური ეცვა წარწერით: „მიყვარს, როდესაც მამიკოს მეძახიან“. ტიროდა. ტუჩებთან წვინტლი ჩამოსვლოდა.

მესამე ფერმერმა, თხელი აღნაგობის კაცმა, რომელსაც ნაქსოვი კეპი ეხურა, ჩვენი მიახლოებისას ხელი ჩემკენ გამოიშვირა.

– აი, ისიც! – იყვირა, – შვილო, შენ სადღა იყავი?

მამამ ხელი ზურგზე დამიტყაპუნა.

– მოუყევი, – თქვა თავდაჯერებით.

არ მინდოდა, ხმაზე დამტყობოდა, რომ რამეს ვმალავდი.

– კუნძულის მეორე მხარეს ვათვალიერებდი. აი, იმ დიდ სახლს.

კეპიანს დაბნეულობა დაეტყო.

– რომელ დიდ სახლს?

– დანგრეულს, ტყეში რომ დგას, – მიუგო სამკაპამ, – მხოლოდ ნამდვილი იდიოტი თუ წავა მაგ სახლის დასათვალიერებლად. დაწყევლილი და სახიფათო ადგილია.

კეპიანმა მიყვირა:

– იმ სახლში ვისთან ერთად იყავი?

– მარტო, – ვუპასუხე და დავინახე, მამამ როგორ გამომხედა.

– ტყუის! მგონი, ამ ვაჟბატონთან ერთად ბრძანდებოდა, – თქვა იმ კაცმა, რომელსაც ჭია საყელოთი ჰყავდა დათრეული.

– არანაირი ცხვარი მე არ მომიკლავს! – ამოიგმინა ჭიამ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– გაჩუმდი! – ულრიალა კაცმა.

– ჯეიკ! – მითხრა მამამ, – შენს მეგობრებზე რატომ არ უყვები?

– ოო, ჯანდაბა.

კეპიანი მომიტრიალდა და გადააპურჭყა.

– ოჰ, შე პატარა გაიძვერავ, ღირსი არ ხარ, ღმერთისა და ამ ხალხის წინაშე ქამრით გაგროზგო?!

– ხელი არ ახლოთ! – შესძახა მამამ ისეთი ხმით, მკაცრ მამებს რომ სჩვევიათ.

კეპიანმა შეიკურთხა და მამაჩემისკენ ნაბიჯი გადმოდგა. ის და მამა ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ, მაგრამ სანამ რომელიმე მუშტებს დაუშენდა მეორეს, ნაცნობი ხმა შემომესმა:

– მოიცა, დენის, ყველაფერს გავარკვევთ, – ბრბოს მარტინი გამოეყო და კაცებს შორის ჩადგა, – აბა, გვითხარით, რა გიამბოთ თქვენმა შვილმა, – მიმართა მამაჩემს.

მამამ გამომხედა.

– მითხრა, რომ კუნძულის მეორე ბოლოში მეგობრების ნახვას აპირებდა.

– რომელი მეგობრების? – დაინტერესდა სამკაპა.

მივხვდი, რომ თუ რაიმე დრამატულს არ ვიტყოდი, სიტუაცია კიდევ უფრო დამძიმდებოდა. ბუნებრივია, მათ უცნაურ ბავშვებზე ვერ მოვუყვებოდი (რომც მომეყოლა, არ დამიჯერებდნენ), ამიტომ წინასწარ გათვლილ რისკზე წავედი და თვალები ვითომ სირცხვილის ნიშნად დავხარე:

– გამოგონილი მეგობრების.

– რაო? რა თქვა?

– თქვა, ჩემი მეგობრები გამოგონილები არიანო, – უპასუხა მამამ დაღონებული ხმით.

ფერმერებმა ერთმანეთს დაბნეული მზერით გადახედეს.

– ხედავთ? – შესძახა ჭიამ და მის ხმაში იმედის ნაპერწკალმა გაიელვა, – ეს ტიპი შეშლილია! ცხვრები ნამდვილად მან დახოცა!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ამერიკელი არ იქნებოდა, – თქვა კაცმა, რომელსაც ჭია საყელოთი ეჭირა და ექაჩებოდა, – აი, ამას კი ვანდალიზმი წარსულშიც ჩაუდენია. რამდენიმე წლის წინ დავინახე, როგორ უთავაზა წიხლი ბატკანს და კლდიდან მოისროლა. არ დავიჯერებდი, საკუთარი თვალით რომ არ მენახა. როცა ვკითხე, ასე რატომ მოიქეცი-მეთქი, მითხრა, მინდოდა, მენახა, თუ გაფრინდებოდაო. მგონი, ცოტა ვერაა.

ხალხი ახმაურდა. ჭიამ თავი უხერხულად იგრძნო, თუმცა ნაამბობი არ უარუყვია.

– მაგისი თევზით მოვაჭრე ძმაკაცი სადღაა? – ჩაერთო სამკაპა, – თუ ამან დახოცა, ნაძლევს დავდებ, ამ ამბავში ისიც იქნება გარეული.

– მგელი ან გარეული ძაღლი ხომ არ იყო? – გამოთქვა ვარაუდი მამამ, – მამაჩემი გარეულმა ძაღლებმა დაგლიჯეს.

– ქეირნჰოლმში მხოლოდ ცხვრის დარაჯი ნაგაზები გვყავს, – მიუგო კეპიანმა.

ვნატრობდი, მამაჩემი დანებებულიყო და, სანამ დრო იყო, იქაურობას მოვშორებოდით, მაგრამ ისპერი მენსონივით გაჯიუტებულიყო.

– ზუსტად რამდენ ცხვარზეა ლაპარაკი? – იკითხა მან.

– ხუთზე, – უპასუხა მეოთხე ფერმერმა, დაბალმა, უჟმური გამომეტყველების მქონე კაცმა, რომელსაც მანამდე ხმა არ ამოუღია, – ყველა ჩემი იყო. სადგომშივე დახოცეს, საწყლებს გაქცევის საშუალებაც არ ჰქონიათ.

– ხუთი ცხვარი. და თქვენი აზრით, ხუთ ცხვარს რამდენი სისხლი აქვს?

– აბაზანას გაავსებს. ზუსტად ვიცი, – გამოეხმაურა სამკაპა.

– ესე იგი, ვინც ეს ჩაიდინა, მთლიანად სისხლში უნდა იყოს მოთხვრილი.

ფერმერებმა ერთმანეთს გადახედეს, შემდეგ მე შემომხედეს, მერე – ჭიას. მერე მხრები აიჩეჩეს და თავი მოიფხანეს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– შეიძლება მელიები იყვნენ, – თქვა კეპიანმა.

– ალბათ მელიების მთელი ხროვა, – დაეჭვებული გამოეხმაურა სამკაპა.

– თუ არის ამ კუნძულზე მაგდენი.

– ჩემი აზრით, ჭრილობები ძალიან სუფთაა, – თქვა კაცმა, რომელსაც ჭია საყელოთი ეჭირა, – იარები დანით უნდა იყოს მიყენებული.

– არა მგონია, – მიუგო მამამ.

– მაშინ მოდი და შენი თვალით ნახე, – შეხედა კეპიანმა.

როდესაც ბრბომ დაშლა დაიწყო, მას რამდენიმე კაცი გამოვეყავით და ფერმერებს დანაშაულის ადგილზე გავყევით. აღმართს ნელა შევუდექით, ველი გადავჭერით და პატარა, ყავისფერ ფაცხასთან მივედით, რომელსაც წინ მართკუთხედის ფორმის ღია სადგომი ჰქონდა მიშენებული. ფრთხილად მივუახლოვდით და ღრიჭოებიდან შევიხედეთ.

სურათი იმდენად შემზარავი იყო, რომ თავი ფილმში მეგონა. შეშლილი იმპრესიონისტის ნამუშევარს ჰგავდა, რომელიც მხოლოდ წითელი საღებავით ხატავდა. ბალახი სისხლით იყო მორწყული, ისევე, როგორც ცხოველების სადგომი და თვითონ ცხვრების თეთრი სხეულები, რომელთაც სახეზე აგონია აღბეჭდვოდათ. ერთ-ერთს ღობეზე გადმოცოცება ეცადა და პატარა ფეხებით ფიცრებს შორის გაჭედილიყო. მისი სხეული – ყელი და მუცელი მთლიანად შუაზე გადაეხსნათ, თითქოს ელვა შესაკრავით შეხსნესო.

იძულებული გავხდი, სანახაობისთვის ზურგი შემექცია. სხვებმა თავის ქნევა დაიწყეს. ვიღაცამ დაბალ რეგისტრში დაუსტვინა. ჭიას გული აერია და ტირილი დაიწყო, რაც დამნაშავის სინდისის ქენჯნად მიიჩნიეს – დამნაშავე ჩადენილ დანაშაულს თვალს ვეღარ უსწორებდა. ჭია მარტინის მუზეუმში გამოსაკეტად წაიყვანეს. ის, რაც ადრე მღვდლის მოსასვენებელი ოთახი გახლდათ, ახლა კუნძულის დროებითი ციხის ფუნქციას ასრულებდა, სანამ დამნაშავეს ცენტრალური კუნძულის პოლიციას გადასცემდნენ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ფერმერი იქვე დავტოვეთ, დახოცილი ცხვრები რომ გამოეგლოვა და ქალაქისკენ ნელი ნაბიჯით გავემართეთ. დანამულ მთაზე რომ გადავდიოდით, ბინდდებოდა. ოთახში შესვლისას უკვე ვიცოდი, რომ მამაჩემთან სერიოზული საუბარი მელოდა, ამიტომ ვეცადე, სანამ რამეს მეტყოდა, მისთვის გული მომელბო.

– მამა, მოგატყუე, ბოდიში.

– ხოო? – მითხრა სარკაზმით და სველი სვიტერი გაიხადა, – რომელ ერთ ტყუილს გულისხმობ? უკვე სათვალავი ამერია.

– მეგობრებს. კუნძულზე სხვა ბავშვები არ არიან. მე მოვიგონე, რადგან არ მინდოდა, გენერვიულა.

– შენი ექიმიც მეუბნება, არ იდარდოო, მაგრამ მე მაინც ვნერვიულობ.

– ვიცი.

– ეს გამოგონილი მეგობრები... გოლანმა იცის ამის შესახებ?

თავი გავაქნიე.

– ეგეც ტყუილი იყო. მინდოდა, ის ტიპები თავიდან მომეშორებინა.

მამამ ხელები გადაიჯვარედინა.

– ჰოო?

– ჯობია იფიქრონ, რომ ოდნავ ექსცენტრული ვარ, ვიდრე ცხვრების მფატრავი, ასე არ არის?

მაგიდასთან ჩამოვჯექი. მამა ცოტა ხანს ზევიდან დამჩერებოდა. ჯერ ვერ ვხვდებოდი, მენდობოდა თუ არა. შემდეგ ნიჟარასთან მივიდა და წყალი შეისხა. როდესაც პირსახოცით სახე შეიმშრალა და შემობრუნდა, შევატყვე, რომ ჩემი ნათქვამი დაეჯერებინა.

– დარწმუნებული ხარ, რომ არ გინდა ექიმ გოლანს კიდევ ერთხელ დაურეკო და დაელაპარაკო?

– შენ თუ გინდა, იმ შემთხვევაში. ისე, მშვენივრად ვარ.

– ზუსტად ამიტომ არ მინდოდა, რომ მაგ რეპერ ტიპებთან გემეგობრა, – თქვა მან. მამაშვილური დიალოგი აუცილებლად მზრუნველი მშობლის რჩევით უნდა დაესრულებინა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მართალი იყავი, მამა, – მივუგე, თუმცა გულის სიღრმეში არ მჯეროდა, რომ რომელიმე მათგანს მსგავსი სისასტიკის ჩადენა შეეძლო. დილანი და ჭია ბაქიბუქობდნენ, მაგრამ არაფრის გამკეთებლები არ იყვნენ.

მამა ჩემ პირდაპირ ჩამოჯდა. ძალიან დაღლილი ჩანდა.

– მე ის მაინტერესებს, ამ ამინდში მზით დამწვრობა როგორ მიიღე.

ა, ჰო! მზით დამწვრობა.

– როგორც ჩანს, მგრძნობიარე ვარ.

– როგორც ჩანს, – თქვა მშრალად.

თავი გამანება. სააბაზანოში შევედი და წყალი გადავივლე. ემაზე ვფიქრობდი. მერე კბილები გავიხეხე და ისევ ემაზე ვფიქრობდი. პირიც დავიბანე და კიდევ ემაზე ვფიქრობდი. შემდეგ ოთახში დავბრუნდი, მისი მოცემული ვაშლი ჯიბიდან ამოვიღე და ტუმბოზე დავდე. იმაში დასარწმუნებლად, რომ გოგონა ნამდვილად არსებობდა, ტელეფონი გავხსენი და შუადღისას მისთვის გადაღებული ფოტოები დავათვალიერე. მათ მივჩერებოდი, როდესაც მამა მეორე ოთახში დასაძინებლად შევიდა. მალე გენერატორები მიჩუმდა და ჩემი ნათურაც ჩაქრა. სრულ სიბნელეში მხოლოდ მობილურის ეკრანზე გამოსახული ემას სახე ანათებდა. ვიწექი და მის სურათებს აღელვებით ვაკვირდებოდი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ოთელო

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვიდევ ერთი ლექციის თავიდან არიდების მიზნით ადრე ავდექი და სანამ მამაჩემი გაიღვიძებდა, აკლდამისკენ გავეშურე. წასვლამდე მისი კარის ქვეშ წერილი შევაცურე და ემას ნაჩუქარი ვაშლის ასაღებად ოთახში შევბრუნდი, მაგრამ ის ტუმბოზე აღარ დამხვდა. იატაკი საფუძვლიანად დავათვალიერე, თუმცა იქ მხოლოდ მტვრის გროვა და გოლფის ბურთის ზომის ნივთი აღმოვაჩინე. ის-ის იყო ვიფიქრე, ალბათ, ვიღაცამ აიღო-მეთქი, რომ მივხვდი – ეს ნივთი ვაშლი იყო. ღამით ლპობა შეჰპარვოდა და ისე დამჭკნარიყო, თითქოს მთელი წლის განმავლობაში საშრობში გდებულიყო. როგორც კი მისი ხელში აღება ვცადე, დაიფშვნა.

გაოცებულმა ნაფშვენები ხელიდან დავიფერთხე და გარეთ გავედი. კოკისპირულად წვიმდა. მალე ნაცრისფერი ცა უკან მოვიტოვე და მარყუჟის კაშკაშა მზის ქვეშ აღმოვჩნდი. ამჯერად აკლდამის მეორე მხარეს არავინ მელოდა. შევეცადე, იმედგაცრუება არ დამტყობოდა, თუმცა ცოტათი გულდაწყვეტილი ვიყავი.

როგორც კი სახლში შევედი, ემას მოძებნა დავაპირე, მაგრამ ჯერ დერეფანსაც არ გავცდენოდი, რომ მის პერეგრინს შევეჩეხე.

– მისტერ პორტმან, თქვენთან სალაპარაკო მაქვს, – მომმართა ცივად.

სამზარეულოში შემიყვანა, სადაც ჯერ კიდევ საუზმის დიდებული სურნელი ტრიალებდა. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს სკოლის დირექტორის კაბინეტში დამიბარეს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მის პერეგრინი უზარმაზარ ქურას მიეყუდა.

– ჩვენთან ერთად კარგად ერთობით? – მკითხა ღიმილით.

ვუთხარი, რომ ძალიან, ძალიან კარგად ვერთობოდი.

– ეგ კარგია, – მომიგო და უცებ სახეზე ღიმილი გაუქრა.

– როგორც ვხვდები, გუშინაც მშვენივრად გაერთეთ ჩემს რამდენიმე აღსაზრდელთან ერთად. ხანგრძლივადაც გისაუბრიათ.

– არაჩვეულებრივი იყო. ყველა მათგანი საოცრად თავაზიანია, – მინდოდა, ლაღი ტონი შემენარჩუნებინა, თუმცა ვხვდებოდი, სერიოზულ ლაპარაკს ვერ ავცდებოდი.

– მაინც რაზე ისაუბრეთ?

დიალოგის გახსენებას შევეცადე.

– არ ვიცი... რამდენიმე საკითხს შევეხეთ. აქაურობაზე მიამბობდნენ; მე კი ვუამბე, როგორია ცხოვრება იქ, საიდანაც მე ვარ.

– საიდანაც თქვენ ხართ.

– ს-სწორედ, სწორედ.

– და მიგაჩნიათ, რომ წარსულში მცხოვრებ ბავშვებთან მომავლის განხილვა ჭკვიანური აზრია?

– ბავშვებთან? მათ ისე უყურებთ, როგორც ბავშვებს? – ეს სიტყვები წარმოთქმისთანავე ვინანე.

– საკუთარი თავი თვითონაც ბავშვებად მიაჩნიათ, – თქვა გაღიზიანებულმა, – თქვენ თვითონ მათ რას დაუძახებდით?

მის პერეგრინის უგუნებობის გათვალისწინებით, მასთან საკამათოდ სათანადოდ მომზადებული არ ვიყავი.

– ბავშვებს... ალბათ.

– სწორედაც რომ. ახლა კი კითხვას გაგიმეორებთ, – განაგრძო ქალმა, თან ქურაზე თითებს აკაკუნებდა, – თვლით, რომ წარსულში მცხოვრებ ბავშვებთან მომავლის განხილვა ჭკვიანური აზრია?

ვეცადე, გულუბრყვილოს როლი მეთამაშა.

– არა?!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– როგორც ჩანს, სხვანაირად ფიქრობთ! წუხელ ჰიუმ გვიამბო, თუ რა საოცარია 21-ე საუკუნის კომუნიკაცია და ტექნოლოგიები, – ქალის ხმაში სარკაზმი იგრძნობოდა, – თურმე 21-ე საუკუნეში წერილს რომ გზავნი, მის ადრესატამდე მისვლას წამები სჭირდება.

– მგონი, იმეილზე საუბრობთ.

– ჰიუმ ამის შესახებ ყველაფერი იცოდა.

– არ მესმის. მერე ეს პრობლემაა?

ქალი ქურას მოშორდა და ჩემკენ მძიმე ნაბიჯით, კოჭლობით წამოვიდა. იმის მიუხედავად, რომ ჩემზე 30 სანტიმეტრით დაბალი მაინც იქნებოდა, თავი ძალიან უხერხულად მაგრძნობინა.

– ჩემი, როგორც იმბრინის მოვალეობაა, ბავშვების უსაფრთხოებაზე და, რაც ყველაზე მთავარია, იმაზე ვიზრუნო, რომ ისინი ამ კუნძულზე, მარყუჟში დარჩნენ.

– გასაგებია.

– ისინი ვერასოდეს გახდებიან თქვენი სამყაროს ნაწილი, მისტერ პორტმან. ამიტომ რა საჭიროა, ტვინი მომავლის შესახებ ეგზოტიკური საოცრებების მოყოლით გამოუჭედოთ? ახლა ბავშვების ერთი ნაწილი ამერიკაში თვითმფრინავით გამგზავრებას ითხოვს, მეორე ნაწილი კი იმ დროზე ოცნებობს, როდესაც თქვენსავით ტელეფონ-კომპიუტერის პატრონი იქნება.

– ბოდიშს ვიხდი. ამაზე არ მიფიქრია.

– ესაა მათი სახლი. ვეცადე, ის იდეალურად მომეწყო და ფაქტია, რომ ბავშვები მას ვერასოდეს დატოვებენ. ამიტომ ძალიან გამახარებთ, თუ მათ ამის სურვილს არ გაუჩენთ.

– რატომ ვერ დატოვებენ?

თვალები მოჭუტა და თავი გაიქნია.

– მომიტევეთ, თქვენს უმეცრებას სათანადოდ ვერ ვაცნობიერებდი.

მის პერეგრინმა, რომელსაც, ჩემი რწმენით, უსაქმოდ გაჩერება არ შეეძლო, ღუმელიდან სოუსის ქვაბი აიღო და ფო-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლადის სახეხით მის რეცხვას შეუდგა. ვერ მივხვდი, ჩემს შეკითხვას უგულებელყოფდა თუ იმაზე ფიქრობდა, ჩემი ჩერჩეტი ტვინისთვის პასუხი როგორ გაემარტივებინა.

ქვაბი რომ გაასუფთავა, ღუმელზე დააბრუნა და თქვა:

– თქვენს სამყაროში ვერ გაძლებენ, მისტერ პორტმან, რადგან ძალიან მოკლე დროში დაბერდებიან და დაიღუპებიან.

– როგორ თუ დაიღუპებიან?

– ვერ ვხვდები, სხვა სიტყვებით როგორ აგიხსნათ. ისინი დაიხოცებიან, ჯეიკობ, – მოკლე ფრაზებით საუბრობდა, თითქოს ცდილობდა, საუბარი, რაც შეიძლება, მალე მოემთავრებინა, – ალბათ, ფიქრობთ, რომ სიკვდილის დამარცხების საშუალებას მივაგენით, მაგრამ ეს მხოლოდ ილუზიაა. თუ ბავშვები მარყუჟის მეორე მხარეს დიდხანს გაჩერდებიან, მათ რამდენიმე საათში ის წლები მოეწევათ, რომლებიც მარყუჟში გაატარეს.

ტუმბოზე დადებული ვაშლივით დაჭმუჭნული და შეკუმშული ადამიანი წარმოვიდგინე, რომელიც სადაცაა მტვრად იქცეოდა.

– რა საშინელებაა! – აღმომხდა და გამაჟრიალა.

– საუბედუროდ, ასეთი შემთხვევის მომსწრე რამდენჯერმე გავხდი და ისინი ჩემი ცხოვრების ყველაზე შემზარავი მოგონებების სიაშია. არადა, საკმაოდ ასაკოვანი ვარ და ბევრი საშინელებაც მინახავს.

– ესე იგი, ეს აქამდეც მომხდარა?

– სამწუხაროდ. რამდენიმე წლის წინ, უფრო ზუსტად 1986 წელს, პირველად და უკანასკნელად ვიყავი სტუმრად ჩემს იმბრინ დებთან. ამით ერთ-ერთმა გოგონამ, შარლოტამ ისარგებლა და მოახერხა, უფროსებს, რომლებსაც მასზე მზრუნველობა ჰქონდათ დაკისრებული, დასხლტომოდა და მარყუჟიდან გასულიყო. შარლოტა უმიზნოდ დაყიალობდა სოფელში, როდესაც კონსტებლმა აღმოაჩინა. მან ვერ ახსნა, ვინ იყო ან

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

საიდან მოვიდა და უკმაყოფილო კონსტებლმა ის ცენტრალურ კუნძულზე მდებარე უდედმამო ბავშვთა სახლში გაგზავნა. მასთან მიღწევა მხოლოდ ორი დღის შემდეგ მოვახერხე. ამ დროში კი შარლოტას 35 წელი მოემატა.

– მგონი, მისი სურათი ნანახი მაქვს. ზრდასრული ქალი ბავშვის ტანსაცმელში.

მის პერეგრინმა თავი მძიმედ დააქნია.

– ამის შემდეგ ბოლომდე ვერ გამოჯანმრთელდა. ტვინში ყველაფერი აერია.

– რა მოუვიდა?

– ახლა მის ნაითჯართან ცხოვრობს. მის ნაითჯარი და მის თრაში ყველაზე რთულ შემთხვევებს უმკლავდებიან.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– კუნძულზე ხომ არ არიან მიჯაჭვულები? – ვკითხე მე, – არ შეუძლიათ, რომ ცხოვრება 1940 წლიდან გააგრძელონ?

– კი და დაბერებას ჩვეულებრივად დაიწყებენ, მაგრამ მერე? რისთვის? საშინელ ომს რომ მოესწრონ? იმ ადამიანებს რომ შეხვდნენ, რომლებსაც მათი ეშინიათ და მათი არ ესმით? კიდევ სხვა საშიშროებებიც არსებობს. ამიტომ, უმჯობესია, აქ დარჩნენ.

– რა სხვა საშიშროებები?

ქალს სახე მოეღუშა, თითქოს ნანობდა, რომ ეს ახსენა.

– თქვენ შეგიძლიათ, ამაზე არ იდარდოთ. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც.

თქვა და გარეთ მიმაბრძანა. კიდევ ერთხელ ვკითხე, „სხვა საშიშროებებში“ რას გულისხმობდა, მაგრამ სამზარეულოს კარი გამოიხურა.

– მშვიდობიან დღეს გისურვებთ, – მომაძახა და თავი აიძულა, გაეღიმა, – წადით, მის ბლუმი იპოვეთ. დარწმუნებული ვარ, კვდება, ისე უნდა თქვენი ნახვა, – და დერეფანში გაუჩინარდა.

ეზოში გავბოდიალდი. ვცდილობდი, დამჭკნარ ვაშლზე ფიქრი თავიდან ამომეგდო. ემას ძებნას შევუდექი. ჰიუსგან შევიტყვე, რომ სოფელში პროდუქტის საყიდლად წასულიყო. ხის ქვეშ მოვკალათდი და ველოდი. ცოტა ხნის შემდეგ ბალახზე გავწექი და ნახევრად მთვლემარე მდგომარეობაში ვფიქრობდი, ლანჩზე რა კერძი გვექნებოდა. აქაურობა ჩემზე ნარკოტიკივით მოქმედებდა. მეგონა, თუ მარყუჟში დიდ დროს დავყოფდი, მისი დატოვება აღარასდროს მომინდებოდა.

თუ ეს მართლა ასეა, ამით ბევრი რამ აიხსნება; მაგალითად: როგორ შეუძლია ხალხს ათწლეულების განმავლობაში ერთი და იმავე დღით იცხოვროს და არ გაგიჟდეს. დიახ, ძალიან ლამაზი ადგილი იყო, საოცარი ცხოვრება ჰქონდათ, მაგრამ ყოველი დღე წინანდელს იმეორებდა და თუ ბავშვებს მარყუჟიდან გასვლა არ შეეძლოთ (როგორც ეს მის პერეგრინ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მა თქვა), მაშინ ეს ადგილი მხოლოდ სამოთხე კი არა, ციხეც გამოდიოდა. უბრალოდ, სასიამოვნო გარემოს წყალობით, ადამიანები ამას წლობით ვერ აცნობიერებდნენ, შემდეგ კი უკვე გვიანი იყო – აქაურობის დატოვება საშიში ხდებოდა. ალბათ, ძალიან დიდი ხნის მერე იწყებდნენ იმაზე ფიქრს, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, იქ რომ არ დარჩენილიყვნენ.

* * *

ჩამძინებია. დაახლოებით ათი საათისთვის ფეხზე შეხებამ გამომაღვიძა. ცალი თვალი გავახილე და პატარა, ჰუმანოიდის მსგავსი არსება დავინახე, რომელიც ჩემს ფეხსაცმელში ჩაძრომას ცდილობდა, მაგრამ თასმებში გაბლანდულიყო. გაშეშებული კიდურები ჰქონდა და სიმაღლით, დაახლოებით, მანქანის დისკის ნახევარი იქნებოდა. საბრძოლო ტანსაცმელში აღკაზმულიყო. ვუყურებდი, როგორ ცდილობდა, თავი გაეთავისუფლებინა, მერე კი გაქვავდა და ეს მისი უკანასკნელი მოძრაობა აღმოჩნდა. თასმა შევიხსენი, რომ გამეთავისუფლებინა. ამოვატრიალე და დასაქოქი გასაღების ძებნა დავიწყე, თუმცა ვერ ვიპოვე. ყურადღებით დავაკვირდი და დავასკვენი, რომ უცნაური ფორმის სათამაშო იყო, რომელსაც თავის ნაცვლად თიხის ბურთულა ჰქონდა, სახის მაგივრად კი თითის გადღაბნილი ანაბეჭდი.

– აქ მოიტანე! – მიყვირა ვიღაცამ ეზოს ბოლოდან. იქითკენ გავიხედე. ხის მორზე ბიჭი იჯდა და ხელს მიქნევდა.

თიხის ჯარისკაცს ხელი დავავლე და მისკენ გავეშურე. ბიჭის გარშემო კაცუნების მთელი არმია დამხვდა. დაზიანებული რობოტებივით დაბარბაცებდნენ. როცა მივუახლოვდი, ჩემს ხელში მყოფი სათამაშო ისევ გაცოცხლდა და ისე აფართხალდა, თითქოს გაქცევას აპირებდა. დავიხარე და დანარჩენებს გვერდით მივუსვი.

– მე ენოქი ვარ, – მითხრა ბიჭმა, – შენ ის ხარ.

– ალბათ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მაპატიე, თუ შეგაწუხა, ხანდახან უცნაური იდეები უჩნდებათ. ჯერ კარგად გაწვრთნილები არ არიან, წინა კვირას გავაკეთე, – ლონდონის მკვიდრისთვის დამახასიათებელი აქცენტით საუბრობდა. ჩაშავებული უპეები თვალებს წრეებად შემოვლებოდა და ამის გამო ენოტს დამსგავსებოდა. მისი კომბინეზონი, რომელიც ჩემ მიერ ნანახ სურათზეც ეცვა, მტვრითა და თიხით დაფარულიყო. მსუქანი ლოყები რომ არ ჰქონოდა, ვიფიქრებდი, ბუხრის მწმენდავია „ოლივერ ტვისტიდან“[1]-მეთქი.

– ესენი შენ გააკეთე? – გავიოცე, – როგორ?

– ჰომანკულუსები არიან, – მომიგო, – ზოგჯერ თოჯინის თავს ვამაგრებ ხოლმე, მაგრამ ამჯერად მაგის დრო არ მქონდა.

– ჰომანკულუსები რა არის?

– ერთზე მეტი ჰომანკულუსი, – ისეთი ტონით მითხრა, თითქოს ეს იდიოტსაც კი უნდა სცოდნოდა, – ზოგიერთს ჰგონია, რომ „კომანკულუსებია“ სწორი, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს სახელი სულელურად ჟღერს. შენ როგორ ფიქრობ?

– გეთანხმები.

[1] „ოლივერ ტვისტი“ – ჩარლზ დიკენსის ნაწარმოები.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ის თიხის ჯარისკაცი, მე რომ ფეხსაცმელში მიძვრებოდა, ჯგუფს კვლავ ჩამოშორდა. ენოქმა ხელი მოკიდა და დანარჩენებისკენ უბიძგა. ჯარისკაცები შეშლილებს ჰგავდნენ, ერთმანეთს დამუხტული ატომებივით ეხეთქებოდნენ.

– იბრძოლეთ, თქვე ქვეშაფსიებო! – უბრძანა უცებ ბიჭმა და მივხვდი, რომ ისინი ერთმანეთს უბრალოდ კი არ ეჯახებოდნენ, არამედ მუშტებსა და პანჩურებს უშენდნენ. თუმცა ჩემი მოხეტიალე კაცუნა ბრძოლით დიდად დაინტერესებული არ ჩანდა და კიდევ ერთხელ დააპირა, ჯგუფს ჩამოშორებოდა. ენოქმა მას ხელი სტაცა და ფეხები მოამტვრია.

– აი, რა მოსდით არმიაში დეზერტირებს! – იყვირა და დახეიბრებული სათამაშო ბალახებში მოისროლა. დანარჩენები მას თავზე დააცხრნენ.

– შენს ყველა სათამაშოს ასე ექცევი?

– რატომ მეკითხები? ხომ არ გეცოდებიან?

– არ ვიცი, უნდა მეცოდებოდნენ?

– არა, მე რომ არ ვყოფილიყავი, ცოცხლები არც იქნებოდნენ.

გამეცინა. ენოქს სახე შეეჭმუხნა.

– რა გაცინებს?

– ხომ იხუმრე?

– მთლად ნათელი გონება არ გაქვს, არა? აი, ნახე, – ერთერთი ჯარისკაცი აიღო, ტანსაცმელი გახადა და შუაზე გადატეხა, რომ მისი წებოვანი სხეულიდან პატარა, მფეთქავი გული ამოეღო. ჯარისკაცი მაშინვე გაშეშდა. ენოქმა გული ცერა და საჩვენებელ თითებს შორის მოიქცია, რომ მე კარგად დამენახა.

– თაგვისაა, – განმიმარტა სერიოზული სახით, – აი, ამაში მდგომარეობს ჩემი ნიჭი – ერთ არსებას სიცოცხლეს ვართმევ და მეორეს ვანიჭებ, თიხა იქნება ეს თუ ცოცხალი სხეული, – გული კომბინეზონის ჯიბეში ჩაიდო, – როცა მეცოდინება, ისინი როგორ გავწვრთნა, მთელი არმია მეყოლება, ოღონდ, ვეებერთელა, – ხელი ზევით ასწია, უკეთ რომ ეჩვენებინა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– შენ რისი ნიჭი გაქვს? – მკითხა მერე ინტერესით.

– მეე? არაფრის. უფრო სწორად, არაფერი განსაკუთრებულის.

– სამწუხაროა. ჩვენთან საცხოვრებლად მაინც დარჩები?

შევატყვე, ჩემი დარჩენა დიდად არ გაუხარდებოდა, მაგრამ დაინტერესებული ნამდვილად ჩანდა.

– არ ვიცი, – მხრები ავიჩეჩე, – ამაზე არ მიფიქრია, – რა თქმა უნდა, ვტყუოდი. ამაზე კი მეფიქრა, მაგრამ ეს უფრო ოცნება გახლდათ და არა გეგმა.

ყურადღებით შემათვალიერა.

– მაგრამ აქ დარჩენა გინდა?

– ჯერ არ ვიცი.

თვალები მოჭუტა და თავი მძიმედ დამიქნია, თითქოს ყველაფერს მიხვდა. შემდეგ წინ გადმოიხარა და ჩამჩურჩულა:

– ემამ სოფლის დარბევის შესახებ უკვე გითხრა?

– რა დარბევის?

გვერდზე გაიხედა.

– აა, არაფერი. ეგეთი თამაშია.

ისეთი შეგრძნება დამეუფლა, რომ რაღაცას ხლართავდა.

– ჩემთვის არაფერი უთქვამს, – დავაზუსტე.

ენოქი კუნძზე ჩემკენ მოჩოჩდა.

– რა თქმა უნდა, არ უთქვამს. დაგენიძლავები, არ უნდა, რაღაც-რაღაცები იცოდე.

– ჰოო? რატომ?

– იმიტომ, რომ აღარ დარჩები. მიხვდები, რომ აქაურობა არც ისე საოცარია, როგორც სხვებს უნდათ, რომ გაფიქრებინონ.

– რას გულისხმობ?

– ვერ გეტყვი, – მითხრა და ეშმაკურად გაიღიმა, – დამსჯიან.

– კარგი. ისე კი, ამ თემაზე ლაპარაკი შენ თვითონ წამოიწყე.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ავდექი, რომ იქაურობა დამეტოვებინა, მაგრამ ენოქი სახელოზე წამეტანა.

– მოიცადე. დარჩი.

– რისთვის დავრჩე, თუ არაფერს მეუბნები?

ნიკაპზე ხელი მოისვა და ჩაფიქრებული სახე მიიღო.

– მართალია, არაფრის თქმის უფლება არ მაქვს, მაგრამ, მგონი, ზედა სართულზე ასვლასა და დერეფნის ბოლოს ოთახში შეხედვას ვერ დაგიშლი.

– რისთვის ავიდე? რა არის იქ?

– იქ ჩემი მეგობარი ვიქტორია, რომელსაც შენი გაცნობა უნდა. ადი და დაელაპარაკე.

– კარგი.

სახლისკენ გავეშურე. ენოქმა დაუსტვინა. შევტრიალდი. ჟესტებით მაჩვენა, კარის ზედა ნაწილი მომესინჯა. „გასაღები“ – მანიშნა ტუჩებით.

– გასაღები რაში მჭირდება, თუ ოთახში ვილაც არის?

მაგრამ ისევ მიტრიალდა, თითქოს არაფერი გაუგონია.

* * *

სახლში შევედი. კიბე ავიარე, თითქოს ზევით რაღაც საქმე მქონდა და დიდად არ მაღელვებდა, ვინმე თუ დამინახავდა. მეორე სართულზე ისე ავაღწიე, არავის შევუმჩნევივარ. დერეფნის ბოლოს ოთახთან მივიპარე და კარის სახელური მოვსინჯე. ჩაკეტილი დამხვდა. დავაკაკუნე, მაგრამ არავინ მიპასუხა. უკან გავიხედე, რომ დავრწმუნებულიყავი, არავინ მიყურებდა და ხელი კარის ჩარჩოს შემოვატარე. გასაღებს ადვილად მივაგენი.

კარი გავაღე და შიგნით შევიპარე. ეს ოთახიც სხვებს ჰგავდა: კარადა, კომოდი და ყვავილებიანი ლარნაკი ტუმბოზე. შუადღის მზე ჩამოშვებულ, მდოგვისფერ ფარდებში აჭყიტებდა. მთელ ოთახს ყვითელი შუქი მოჰფენოდა და იქაურობა ქარვისფერში გახვეულიყო. მალევე საწოლზე მწოლიარე ბიჭი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შევნიშნე, რომელსაც თვალები დაეხუჭა და პირი ოდნავ დაელო.

ადგილზე გავქვავდი. შემეშინდა, არ გამეღვიძებინა. მის პერეგრინის ალბომიდან მეცნო, თუმცა არც სადილობისას მენახა და არც სახლში მომეკრა თვალი. სურათზეც ეძინა, როგორც ახლა. კარანტინში ხომ არ იმყოფებოდა? რამე ინფექციით ხომ არ იყო დაავადებული, რაც მუდმივ ძილს იწვევდა? იქნებ ენოქი ცდილობდა, მეც დავეინფიცირებინე?

– გამარჯობა, – დავიჩურჩულე, – გღვიძავს?

ბიჭი არ განძრეულა. ხელი მკლავზე მოვკიდე და ნაზად შევარხიე. თავი ცალ მხარეს გადაუვარდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უცებ გონებაში საშინელმა აზრმა გამიელვა. ჩემს თეორიაში დასარწმუნებლად ხელი დაღებულ პირთან მივუტანე. არ სუნთქავდა. შემთხვევით თითი მის ტუჩზე მომიხვდა. ყინულივით ცივი იყო. შეშფოთებულმა ხელი სასწრაფოდ უკან გამოვწიე.

შემდეგ ნაბიჯების ხმა გავიგონე, შემოვბრუნდი და ბრონუინი დავინახე.

– შენი აქ ყოფნა არ შეიძლება! – წაისისინა.

– მკვდარია, – ვთქვი მე.

ბრონუინმა თვალები ბიჭს მიაპყრო და სახე შეეჭმუხნა.

– ეს ვიქტორია.

უცებ გამახსენდა, რომ მისი სახე ბაბუაჩემის ფოტოებზეც მენახა. ვიქტორი ლოდატაცებული ბიჭი იყო, ბრონუინის ძმა. დანამდვილებით ვერ იტყოდი, რამდენი ხნის მკვდარი იქნებოდა. იქნებ 50 წლისაც, თუმცა, მარყუჟის წყალობით, ერთი დღის მკვდარს ჰგავდა.

– რა მოუვიდა?

– იქნებ ძველი ვიქტორი გავაცოცხლო, – მოისმა ხმა ჩვენ ზურგსუკან, – და თვითონ ჰკითხე, – ენოქი აღმოჩნდა. ოთახში შემოვიდა და კარი მიიხურა.

ბრონუინმა მას ცრემლიანი თვალებით გახედა.

– გააცოცხლებ? გეხვეწები, ენოქ!

– ეს არ იქნება სწორი საქციელი. გულები აღარ მაქვს. ადამიანის ერთი წუთით გასაღვიძებლადაც კი რამდენიმე ცალია საჭირო.

ბრონუინი მკვდარ ბიჭს მიუახლოვდა და თითებით თმაზე მიეფერა.

– გთხოვ, – შეევედრა ენოქს, – მასთან ბოლო საუბრის შემდეგ იმდენი ხანი გავიდა....

– სარდაფში რამდენიმე ძროხის გულს ვამარინადებ, – თქვა ბიჭმა ისეთი ტონით, თითქოს ორჭოფობდა, – მაგრამ ძველი ინგრედიენტების გამოყენება მეზიზღება. ყოველთვის ახალი ჯობს!

ბრონუინი მწარედ ატირდა. ერთი ცრემლი ბიჭის ქურთუკს დაეცა და გოგომ ის ნაჩქარევად მოწმინდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ტირილით თავს ნუ მოიკლავ, – შეუბღვირა ენოქმა, – ხომ იცი, როგორ მძულს? ეგეც არ იყოს, ვიქტორის გამოღვიძება სისასტიკეა. მოსწონს, სადაც არის.

– და სად არის? – ვიკითხე მე.

– ვინ იცის! მაგრამ საუბრისას მუდამ უკან დაბრუნება ეჩქარება.

– ბოროტებაა, რომ ბრონუინს ასე ექცევი და ისიც, მე რომ მომატყუე. თუ ვიქტორი მართლა მკვდარია, რატომ არ მარხავთ?

ბრონუინმა დამცინავად შემომხედა.

– თუ დავმარხეთ, ველარასოდეს ვიხილავთ.

– გულს მტკენ, ძმაო, – შემომხედა ენოქმა, – აქ ამოსვლა იმიტომ გირჩიე, რომ მინდოდა, სანამ რამეს გადაწყვეტდი, ყველაფერი გცოდნოდა, თორემ მე შენკენ ვარ.

– ჰოო? რა ყველაფერი? მითხარით, როგორ მოკვდა ვიქტორი?

– მოკლეს... – თქვა ბრონუინმა და მაშინვე იწივლა, რადგან ენოქმა მკლავზე უჩქმიტა.

– ჩუ! – უყვირა გოგოს, – მისთვის ამის თქმის უფლება არ გაქვს!

– არა, ეს უკვე სასაცილოა! – გავბრაზდი მე, – თუ არ მეტყვით, წავალ და მის პერეგრინს ვკითხავ.

თვალებგაფართოებული ენოქი ჩემკენ სწრაფი ნაბიჯით წამოვიდა.

– ოღონდ ეგ არა. ეგ არ გააკეთო.

– ჰოო? და რატომ არა?

– ფრინველს არ მოსწონს, როდესაც ვიქტორზე ვლაპარაკობთ. ხომ იცი, მის გამო აცვია შავები. მოკლედ, არ უნდა გაიგოს, რომ აქ ვიყავით, თორემ ფეხებით დაგვკიდებს!

თითქოს ყურს გვიგდებდაო, ზუსტად ამ დროს კიბიდან მის პერეგრინის მძიმე ნაბიჯის ხმა შემოგვესმა. ბრონუინი გაფითრდა, წინ ჩამიქროლა და კარში გავარდა. ენოქს კი დავასწარი და გასასვლელი ჩავუკეტე.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– გაიწიე! – დაიჩურჩულა გაბრაზებულმა.

– მითხარი, რა მოუვიდა ვიქტორს!

– არ შემიძლია.

– მაშინ სოფლის დარბევის შესახებ მითხარი.

– არც მაგაზე შემიძლია ლაპარაკი! – შეეცადა, ხელი ეკრა და გაქცეულიყო, მაგრამ როდესაც დარწმუნდა, რომ ეს მის ძალებს აღემატებოდა, დამნებდა.

– კარგი, დაკეტე კარი და ჩუმად გეტყვი!

კარი სწორედ მაშინ მივხურე, როდესაც მის პერეგრინი ბოლო საფეხურებზე ამოდიოდა. ცოტა ხანს კარზე ყურმიდებულები ვიდექით, რომ გაგვეგო, შეგვნიშნა თუ ვერა. დირექტორი ჩვენკენ მოდიოდა, მაგრამ შუა გზაზე შეჩერდა. მერე რომელიღაც სხვა კარმა გაიჭრიალა და დაიკეტა.

– თავის ოთახში შევიდა, – დაიჩურჩულა ენოქმა.

– აბა, სოფლის დარბევაზე ვსაუბრობდით.

ენოქმა ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს ნანობდა, ეს რომ ახსენა. მანიშნა, კარს მოშორდიო. მივყევი და ახლოს დავუდექი, რომ არაფერი გამომპარვოდა.

– ამ თამაშს ჩვენ ვთამაშობთ. სწორედ ისაა, რასაც სახელი გეუბნება.

– ესე იგი, სოფელს მართლა არბევთ?

– ნივთებს ვამტვრევთ, ხალხს დავდევთ, სახლებს ვწვავთ. კარგად ვერთობით ხოლმე.

– რა საშინელებაა!

– ჩვენს ნიჭს გავარჯიშება სჭირდება. თუ ოდესმე თავდაცვა დაგვჭირდება, ფორმაში ხომ უნდა ვიყოთ. თან წესები გვაქვს. მაგალითად, არ შეგვიძლია, ვინმე მოვკლათ. მხოლოდ ვაშინებთ ხოლმე და თუ ვინმე მართლა დაშავდა, მეორე დღესვე გამოკეთდება, თითქოს არაფერი მოსვლიაო და არც არაფერი ემახსოვრება.

– ემაც თამაშობს ხოლმე?

– არა. ისიც შენსავით ფიქრობს. ამბობს, სისასტიკეაო.

– ნამდვილად ასეა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დაეჭვებულმა შემომხედა.

– თქვენ ორნი ერთმანეთს ნამდვილად შეეფერებით.

– რას გულისხმობ?

ტანი აზიდა და ისევ თავისი, ასე, მეტრი და 60 სანტიმეტრი სიმაღლისა შეიქნა. თითი მკერდზე მატაკა.

– იმას, რომ არაა საჭირო ჩემთან ჭკვიანის როლის თამაში. ათასში ერთხელ სოფელს რომ არ ვარბევდეთ, დიდი ხნის დახოცილები ვიქნებოდით, – კარისკენ წავიდა, ხელი მრგვალ სახელურს დაადო და ჩემკენ შემოტრიალდა.

– თუ ფიქრობ, რომ ცოდვილები ვართ, დაიცადე, სანამ მათ შეხვდები.

– მათ? ვისზე მელაპარაკები?

ცალი თითი მაღლა ასწია, რომ გავეჩუმებინე და გარეთ გავიდა.

ისევ მარტო დავრჩი. ჩემი მზერა საწოლზე მწოლიარე ბიჭს დაუბრუნდა. „რა დაგემართა, ვიქტორ?“

იქნებ გაგიჟდა და თავი მოიკლა. ისე დაიღალა ამ ერთფეროვანი და მოსაწყენი მარადიულობით, რომ ვირთხის წამალი დალია ან კლდიდან გადაეშვა. ან იქნებ მათი ბრალი იყო, „სხვა საშიშროებების“, მის პერეგრინმა გაკვრით რომ ახსენა.

დერეფანში გავედი და კიბისკენ მივემართებოდი, როდესაც ნახევრად ღია კარიდან მის პერეგრინის ხმა მომესმა. თავი უახლოეს ოთახს შევაფარე და იქ ვიმალებოდი, სანამ არ გავიგონე, კოჭლობით როგორ გაიარა დერეფანი და შემდეგ კიბეზე დაეშვა. ოთახი მოვათვალიერე და იდეალურად გასწორებული საწოლის გვერდით რეზინის ბოტები შევნიშნე – ემას ბოტები. მის საძინებელში ვიყავი.

ერთ კედელთან სარკიანი კომოდი იდგა, მეორესთან – საწერი მაგიდა მჭიდროდ მიდგმული სკამით. ეტყობოდა, რომ ოთახში კოპწია გოგო ცხოვრობდა, რომელსაც არაფერი ჰქონდა დასამალი. უფრო სწორად, ასე მეგონა, სანამ კარადაში ქუდის შესანახი კოლოფი არ აღმოვაჩინე. ბაწრით შეეკრათ და ზედ ფანქრით წაეწერათ:

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ეს ხარისთვის წითელი ნაჭრის აფრიალების ტოლფასი იყო. დავჯექი, ყუთი კალთაში ჩავიდე და ზონარი შევხსენი. შიგ ასამდე წერილი იდო – ყველა ბაბუაჩემისგან.

გული ამიჩქარდა. იმ ოქროს საბადოს მივაგენი, რომლის პოვნასაც ძველ, დანგრეულ სახლში გამეტებით ვცდილობდი. რასაკვირველია, სინდისი მქენჯნიდა, სხვის ნივთებში რომ ვიქექებოდი, მაგრამ თუ ადამიანებს ჩემთვის საიდუმლოს გამხელა არ სურდათ, ყველაფერი მე თვითონ უნდა გამერკვია.

მინდოდა, წერილები თავიდან ბოლომდე ყურადღებით წამეკითხა, მაგრამ მეშინოდა, რომ ვინმე კარს შემომიღებდა და გამომიჭერდა, ამიტომ სწრაფად გადავავლე თვალი, რომ მათ შინაარსზე გარკვეული შთაბეჭდილება შემქმნოდა. უმეტესობა 1940-იანი წლების დასაწყისით თარიღდებოდა, როცა ბაბუა არმიაში მსახურობდა. საკმაოდ გრძელი და სენტიმენტალური წერილები იყო, დამტვრეული ინგლისურით ნაწერი („ლამაზი ხარ, როგორც ყვავილი. ასევე, სუნი კარგი გაქვს. შეიძლება, მოგწყვიტო?"). ერთ-ერთი წერილისთვის ზედ თავისი ფოტოც დაერთო, რომელზეც ყუმბარაზე მჯდომი და პირში სიგარეტგაჩრილი იყო გამოსახული.

დროთა განმავლობაში წერილები უფრო და უფრო დამოკლდა და გაიშვიათდა. 1950-იან წლებში წელიწადში მხოლოდ თითო წერილი თუ ექნებოდა მოწერილი.

უკანასკნელი მათგანი 1963 წლის აპრილით თარიღდებოდა. კონვერტში წერილი არ ყოფილა, მხოლოდ რამდენიმე ფოტო იდო. ორი ემას ეკუთვნოდა. როგორც ჩანს, ადრე ბაბუასთვის გაეგზავნა და მას უკან დაებრუნებინა. პირველ, საკმაოდ ძველ სურათზე, ემა კარტოფილს თლიდა და ვითომ მის პერეგრინის ჩიბუხს ეწეოდა.

მეორე ფოტო უფრო ნაღვლიანი გახლდათ. ალბათ მაშინ გაგზავნა, როდესაც ბაბუამ პასუხი დაუგვიანა. სულ ბოლო ფოტოზე (უკანასკნელი რამ, რაც ბაბუას ემასთვის გამოეგზავნა) ბაბუა დაახლოებით 40 წლისა იყო, ხელში პატარა გოგონა აეყვანა და ეხუტებოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ეარცოთვილ ვთვი და ვოცნებობ, რომ სახლში მაქვ დაბრუნდე.
სიყვარულით, ემა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უშენოდ თავი ცყვლობაში მგონია.
რაცომ არ მწერ? ძაღიან ვდარდობ.

გიოცნი, ქმა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

Ешмес ис.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გარკვეული დრო დამჭირდა, რომ სურათზე გამოსახული პატარა გოგონა მეცნო. ეს მამიდა სიუზი იყო, დაახლოებით 4 წლის. ამის შემდეგ ბაბუას აღარ მოუწერია. ნეტავი, კიდევ რამდენ ხანს წერდა ემა წერილებს? ან ბაბუამ სად წაიღო მისი წერილები? გადაყარა? სადმე შეჩურთა? ნამდვილად ერთ-ერთი მათგანი იპოვეს მაშინ მამამ და მამიდამ და იფიქრეს, რომ ბაბუა მატყუარა და მოღალატე კაცი იყო. რა მწარედ ცდებოდნენ!

ჩემ ზურგსუკან ვიღაცამ ჩაახველა. სწრაფად შევტრიალდი და კარში მდგომი ემა დავინახე. სახეაწითლებული დავფაცურდი წერილების მოსაქუჩებლად, მაგრამ ძალიან გვიანი იყო. გამომიჭირეს.

– ბოდიში, წესით, აქ არ უნდა ვიყო.

– ეგ მშვენივრად მომეხსენება, – თქვა ემამ, – მგონი, კითხვაში ხელი შეგიშალე, – კომოდს ფეხების ბაკუნით მიუახლოვდა, უჯრა გამოგლიჯა და იატაკზე მოისროლა.

– რადგან ასეთი დაინტერესებული ხარ, აჰა, ბარემ ჩემი საცვლებიც გაჩხრიკე!

– ძალიან, ძალიან ვწუხვარ! – უკან დავიხიე, – მსგავსი რამ არასდროს გამიკეთებია.

– ალბათ, ფანჯრიდან გოგოების თვალთვალი გსიამოვნებს! – თავზე წამომადგა, სიბრაზისგან კანკალებდა. მე წერილების ყუთში ჩატენვას ვცდილობდი.

– თავი გაანებე! მომეცი. ყველაფერს აურევ! – დაჯდა და გვერდზე გამწია. კოლოფი იატაკზე დაცალა და წერილების კატეგორიებად დაყოფა დაიწყო. საფოსტო განყოფილების თანამშრომელივით სწრაფად მუშაობდა. ვიფიქრე, აჯობებდა, მომეკეტა და მის მუშაობას ჩუმად დავკვირვებოდი.

როდესაც ცოტა დაწყნარდა, მითხრა:

– ჩემზე და ეიბზე გსურდა გაგეგო, ხომ? შეგეძლო, უბრალოდ გეკითხა.

– არ მინდოდა, თქვენს საქმეში ცხვირი ჩამეყო.

– ამ სიტუაციაში მაგის განცხადება ცოტა საკამათოა, არა?

– ალბათ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– აბა, რის გაგება გინდა?

დავფიქრდი. არ ვიცოდი, საიდან დამეწყო.

– უბრალოდ მაინტერესებს... რა მოხდა?

– მაშინ ბევრ რამეს გამოვტოვებ და გეტყვი, როგორ დამთავრდა ყველაფერი. ის წავიდა. მითხრა, რომ ვუყვარდი და ერთ დღესაც დაბრუნდებოდა, მაგრამ ასე არ მოქცეულა.

– მაგრამ მისი წასვლა აუცილებელი იყო. უნდა ეომა.

– აუცილებელი? არ ვიცი. თქვა, რომ მშვიდად ვერ იცხოვრებდა, თუ თვითონ გულხელდაკრეფილი იჯდებოდა, მის ხალხს კი დახოცავდნენ, რომ ეს მის მოვალეობას წარმოადგენდა. მოვალეობის გრძნობა მისთვის ჩემზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. მე კიდევ ველოდი. ველოდი და ვდარდობდი. ომის წლებში ვფიქრობდი, რომ შეიძლებოდა ნებისმიერ წამს მისი სიკვდილის ცნობა მიმეღო. მაგრამ ომი დამთავრდა და მომწერა, რომ აქ ველარ დაბრუნდებოდა, ომში საკუთარი თავის დაცვა ისწავლა და ფრინველის სახით ძიძა-მომვლელი აღარ სჭირდებოდა. ამერიკაში წავიდა, რომ ჩვენთვის სახლი მოეწყო და მეც თავისთან წავეყვანე, მაგრამ... მე იმდენ ხანს ველოდე, თავიდანვე მას რომ გავყოლოდი, უკვე 40 წელი შემისრულდებოდა. თუმცა რა?! ეიბმა ცოლად ჩვეულებრივი ქალი მოიყვანა და, როგორც იტყვიან, ეს იყო და ეს.

– ვწუხვარ. არ ვიცოდი.

– ეს ძველი ამბავია. ახლა ამაზე აღარ ვდარდობ.

– მას აბრალებ, აქ რომ ჩარჩი?

მკაცრად შემომხედა.

– ვინ ამბობს, რომ აქ ვარ ჩარჩენილი? – შემდეგ ამოიოხრა, – არა, ამაში არ ვადანაშაულებ, უბრალოდ, მენატრება.

– ისევ?

– ყოველდღე. წერილების დალაგება დაასრულა.

– აი, ესაა, – თქვა და ყუთს თავსახური დააფარა, – მთელი ჩემი სიყვარულის ისტორია კარადაში გამოკეტილ მტვრიან კოლოფშია, – ღრმად ჩაისუნთქა და თვალები დახუჭა. ერთი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

წამით თითქოს მისი ახალგაზრდა ნაკვთების უკან დამალული მოხუცი ქალი დავინახე. ბაბუაჩემმა გული ისე გაუტეხა, რომ ჭრილობა ამდენი წლის შემდეგაც კი არ შეხორცებოდა.

მისთვის ხელის გადახვევას ვაპირებდი, მაგრამ რაღაცამ შემაჩერა. თუ მანამდე ვფიქრობდი, რომ ამ ლამაზ და სასაცილო გოგონას, რაღაც ჯადოსნობის წყალობით, მოვწონდი, ახლა ვხვდებოდი, რომ ასე სულაც არ იყო. მე უბრალოდ ბაბუაჩემის მაგივრობას ვუწევდი. ეს კი ნებისმიერი ადამიანისთვის უკან დასახევად საკმარისი მიზეზი იყო. თანაც, ბიჭებს ვიცნობდი, რომლებსაც იმაზე ფიქრიც კი გულს ურევდათ, რომ მეგობრის ყოფილ შეყვარებულთან პაემანზე წასულიყვნენ. ამ ლოგიკით კი მე ბაბუაჩემის ყოფილ შეყვარებულს ვხვდებოდი, რაც საშინელება იყო.

ემამ ხელზე ხელი შემახო და მხარზე თავი დამადო. ნელნელა სახე ახლოს მოჰქონდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ კოცნა სურდა. არჩევანის წინაშე დავდექი: ან მის ტუჩებს დავწაფებოდი, ან გავწეულიყავი და მეწყენინებინა. არადა, ერთხელ უკვე გავაბრაზე. საქმე ის კი არ იყო, რომ მისი კოცნა არ მინდოდა – ეს ყველაფერზე მეტად მსურდა, უბრალოდ, ბაბუას მოწერილი წლობით ნაგროვები წერილების ყუთი ჩვენგან ერთ მეტრში იდო, რაც მბოჭავდა და მაღელვებდა.

შემდეგ მისი ლოყა ჩემსას შეეხო და მივხვდი, რომ ან ახლა უნდა მემოქმედა, ან არასდროს. მეც, ყველაფრის გასაფუჭებლად, ის ვთქვი, რაც პირველად მომივიდა თავში.

– შენსა და ენოქს შორის რამე ხდება?

ემა იმწამსვე მომშორდა და ისე შემომხედა, თითქოს ლეკვების დაკვლა, მოხარშვა და მათი ხორცით სადილობა შემეთავაზებინოს.

– რაა? არა! ეგ ავადმყოფური აზრი სად ჯანდაბიდან მოგივიდა?

– მისი ბრალია. შენზე საუბრისას ძალიან გულდაწყვეტილი ჩანს და აშკარად ვხვდები, რომ ჩემი აქ ყოფნა არ სიამოვნებს, თითქოს შენთან ურთიერთობაში ხელს ვუშლიდე.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თვალები გაუფართოვდა.

– ჩვენ შორის არაფერი ხდება. ამას დანამდვილებით გეუბნები. ის ერთი ეჭვიანი, სულელი და მატყუარა ბიჭია.

– მართლა ასეთია?

– როგორი?

– მატყუარა.

თვალები მოჭუტა.

– რატომ დაინტერესდი? რამ შთაგაგონა?

– ემა, ვიქტორს რა მოუვიდა?

ემას ელდა ეცა. შემდეგ თავი გააქნია და ამოილუღლუღა:

– ღმერთმა დასწყევლოს ეგ ეგოისტი ბიჭი!

– არსებობს რაღაც, რასაც არც ერთი თქვენგანი არ მეუბნებით. მე კიდევ მინდა, გავიგო, რაშია საქმე.

– არ შემიძლია.

– ყველა ასე მპასუხობს! მომავალზე ვერ დაგელაპარაკებით. წარსულზე ვერ ვისაუბრებ. მის პერეგრინმა ყველა გზა მომიჭრა. ბაბუაჩემის უკანასკნელი სურვილი იყო, აქ მოვსულიყავი და სიმართლე გამეგო. ნუთუ ეს შენთვის არაფერს ნიშნავს?

ჩემი ხელი აიღო, კალთაში ჩაიდო და დააშტერდა. როგორც ჩანს, შესაფერის სიტყვებს ეძებდა.

– მართალი ხარ, – თქვა ბოლოს, – არის რაღაც, რაც არ გვითქვამს.

– ჰოდა მითხარი.

– ახლა არა, – დაიჩურჩულა, – ამაღამ.

შევთანხმდით, რომ ერთმანეთს მოგვიანებით შევხვდებოდით, როცა მამა და მის პერეგრინი დაიძინებდნენ. ემამ დაიჟინა, რომ ეს ერთადერთი გზა იყო, რადგან კედლებსაც კი ყურები ჰქონდათ და შეუმჩნევლად ვერსად გავიპარებოდით. თითქოს არაფერს ვმალავდით, მთელი დღე ეზოში, სხვების თვალწინ გავატარეთ და როდესაც მზემ ჩასვლა დაიწყო, ჭაობისკენ მარტო გავეშურე.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

* * *

21-ე საუკუნეში კიდევ ერთი წვიმიანი საღამო დამხვდა. მამაჩემი ბარში, ერთ-ერთ მაგიდასთან მარტო ვიპოვე. ლუდის კათხას ყარაულობდა. სკამზე ჩამოვჯექი და მთელი დღის განმავლობაში გადამხდარი გამოგონილი ისტორიები მოვუყევი (აღმოვაჩინე, რომ რაც უფრო მეტს ვცრუობდი, ტყუილის თქმა მით უფრო მიადვილდებოდა), თან სახეს ხელსახოცით ვიწმენდდი.

მამა უგულისყუროდ მისმენდა. ხანდახან თუ იტყოდა: „აჰა“ ან „რა საინტერესოა“, შემდეგ კი თვალი გაუშტერდებოდა და ლუდს მოსვამდა.

– რა გჭირს? – ვკითხე ბოლოს, – ჯერ კიდევ ბრაზობ ჩემზე?

– არა, არა, – ჩემთვის რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ხელი ჩაიქნია, – არაფერი... რაღაც სისულელეა.

– მამა, კარგი რა.

– უბრალოდ... ერთი-ორი დღის წინ ვიღაც ტიპი გამოჩნდა... ჩიტების მკვლევარი.

– ვინმე შენი ნაცნობი?

თავი გააქნია.

– აქამდე არასდროს მინახავს. თავიდან მეგონა, რომ ენთუზიაზმით სავსე მოყვარული იყო, მაგრამ ის არჩეულ ადგილებზე ბრუნდება, ნაცნობ ბუდეებს აკვირდება და რაღაცებს ინიშნავს. ნამდვილად იცის, რასაც აკეთებს. ჰოდა დღეს გალიითა და „პრედატორით“[1] დავინახე და მივხვდი, რომ ამ საქმის სპეციალისტია.

– „პრედატორი“?

– ბინოკულარული. მაგარი ხარისხის შუშა აქვს, – გადასაფარებლის კუთხე გაკეცა და მერე სწორება დაუწყო. ასეთი რამ ჩვევად ჰქონდა ნერვიულობისას, – უბრალოდ, მეგონა,

[1] „პრედატორი“ – ბინოკლის მოდელი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

აქაურ ჩიტებზე დიდ ინფორმაციას მოვაგროვებდი. ხვდები? მინდოდა, წიგნი განსაკუთრებული გამოსულიყო.

– შემდეგ ეგ ნაბიჭვარი გამოჩნდა და...

– ჯეიკობ!

– შემდეგ ეგ ცუდი კაცი გამოჩნდა და...

მამას გაეცინა.

– გმადლობთ, შვილო.

– იქნება კიდეც განსაკუთრებული, – ვთქვი მის დასარწმუნებლად.

მხრები აიჩეჩა.

– არ ვიცი, იმედია, – მის ხმას თავდაჯერება აკლდა.

ზუსტად ვიცოდი, რაც მოხდებოდა. მამას ხომ ასე სჩვეოდა: ეს იყო ნაწილი იმ პათეტიკური ციკლისა, რომლისთვისაც მამაჩემს თავი ვერ დაეღწია. ჯერ რაღაც პროექტს აიჩემებდა, თვეების განმავლობაში გამუდმებით მასზე ილაპარაკებდა, შემდეგ კი აუცილებლად რაღაც პატარა პრობლემა გამოხტებოდა, რომელიც მასზე საოცრად დამთრგუნველ ზემოქმედებას მოახდენდა. იმის მაგივრად, რომ პრობლემას გამკლავებოდა, დარდი ძალას აცლიდა. პროექტს შეეშვებოდა, რამე სხვას წამოიწყებდა და ასე დაუსრულებლად. ძალიან იოლად ნებდებოდა. ეს იყო მიზეზი იმისა, თუ რატომ ჩაეკეტა უჯრაში ათზე მეტი ხელნაწერი და რატომ ვერ გაეხსნა ჩიტების მაღაზია, რომლის გახსნასაც მამიდა სიუზისთან ერთად აპირებდა. სწორედ ამიტომ ჰქონდა აზიური ენების ბაკალავრის დიპლომი და არასოდეს ყოფილა აზიაში. 46 წლის ასაკში ჯერ კიდევ საკუთარი თავის პოვნას ცდილობდა და უნდოდა, დაემტკიცებინა, რომ დედაჩემის ფული არ სჭირდებოდა.

გასამხნევებლად ვინმე აუცილებლად უნდა დალაპარაკებოდა, მაგრამ ჩემი თავი დიდად გამოცდილ კაცად არ მიმაჩნდა და თემის შეცვლა ვცადე.

– ის ტიპი ღამით სად რჩება? მეგონა, ქალაქში ოთახები მხოლოდ ჩვენთან ქირავდებოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ალბათ კარავში დაბანაკდა, – მომიგო მამამ.

– ამ ამინდში? – გავიოცე.

– მგონი, შეშლილი ორნითოლოგია. ეგეთები რაც უფრო რთულ პირობებში მუშაობენ, მით უფრო უკეთ ერკვევიან შესასწავლ ობიექტებში როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქოლოგიურად. არახელსაყრელი გარემო პირობები მიზნის მიღწევაში ეხმარებათ.

გამეცინა.

– მაშინ შენ რატომ არ გძინავს გარეთ? – ვთქვი და მაშინვე ვინანე.

– ამას იგივე მიზეზი აქვს, რაც იმას, თუ რატომ არ გამომდის წიგნის დაწერა – ყოველთვის არსებობს ვიღაც, ვინც ჩემზე უფრო მონდომებულია.

სკამზე უხერხულად ავწრიალდი.

– ეგ არ მიგულისხმია. იმას ვამბობდი...

– სუ! – გახევდა მამა და კარისკენ თვალი გააპარა.

– მიდი, სწრაფად გაიხედე, ოღონდ არაფერი შეიმჩნიო. ამ წუთას ბარში შემოვიდა.

სახეზე მენიუ ავიფარე და ჩუმად გავიჭყიტე. კარში ბინძური შესახედაობის წვერიანი კაცი იდგა და ჩექმებიდან წყალს იფერთხავდა. წვიმისგან თავდასაცავად ქუდი ეხურა და მუქი სათვალე ეკეთა. ეტყობოდა, ერთმანეთზე რამდენიმე სვიტერი გადაეცვა, რაც ერთდროულად ასუქებდა კიდეც და მაწანწალას იერსაც ანიჭებდა.

– მისი უსახლკარო სანტა კლაუსის სტილი ძალიან მომწონს, – ხუმრობა ვცადე, – მოდას აშკარად წინ უსწრებს.

მამას ჩემთვის ყურადღება არ მოუქცევია. კაცი ბარს მიუახლოვდა. უცნობის დანახვაზე მაგიდებთან საუბარი შეწყდა. კევმა ჰკითხა, რას ინებებთო. კაცმა რაღაც ჩაიბურტყუნა და კევი სამზარეულოში გაუჩინარდა. ერთ წუთის შემდეგ კი მუქი პაკეტით ხელში დაბრუნდა. კაცმა პაკეტს ხელი დაავლო, კუპიურები ბარზე დაყარა და კარისკენ გასწია. გას-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვლამდე ოთახის მოსათვალიერებლად გამოტრიალდა, ცოტა ხანს შეყოვნდა და წავიდა.

– რა შეუკვეთა? – იყვირა მამამ, როგორც კი კარი დაიკეტა.

– ორი სტეიკი, – გამოსძახა კევმა, – მითხრა, სულერთია, როგორ იქნება მომზადებულიო და მეც უმი მივეცი. არ უსაყვედურია.

ხალხმა ბუტბუტი და ვარაუდების გამოთქმა დაიწყო.

– უმი სტეიკი, – მივუბრუნდი მამას, – უნდა ვაღიარო, რომ ეს შეშლილი ორნითოლოგისთვისაც კი მეტისმეტია.

– შეიძლება მხოლოდ უმ საჭმელს ჭამს, – მომიგო მამამ.

– ან ბატკნის სისხლის სმა მობეზრდა.

მამამ დაეჭვებული მზერა მომაპყრო.

– კარავში სპეციალური ქურა ექნება. ალბათ ურჩევნია, კერძი თვითონ მოიმზადოს.

– წვიმაში? და საერთოდ, რატომ იცავ? მეგონა, შენი დაუძინებელი მტერი იყო.

– შენგან თანადგომას არ ველი, მაგრამ კარგი იქნება, თუ მასხრად მაინც არ ამიგდებ, – თქვა და ფეხზე წამოდგა.

* * *

რამდენიმე საათის შემდეგ მამაჩემი ბორძიკით აუყვა კიბეს. ალკოჰოლის სუნით ყარდა. საწოლზე დაენარცხა და მაშინვე ჩაეძინა, თან მხეცივით ხვრინავდა. მე ქურთუკს დავავლე ხელი და ემასთან შესახვედრად გავეშურე. გაპარვა არ დამჭირვებია.

უკაცრიელ ქუჩაზე სიჩუმე იდგა. ცაზე ღრუბლების თხელი ფენა გადაჭიმულიყო და გზის გასაკვლევად მთვარის შუქიც მყოფნიდა. მთაგრეხილზე რომ ავედი, ჟრუანტელმა დამიარა. გავიხედ-გამოვიხედე და შევნიშნე, რომ შორიდან ვილაც მიყურებდა. ხელები სახესთან მიეტანა და იდაყვები განზე გაეწია, თითქოს ხელში ბინოკლი ეჭირა. გავიფიქრე: „ჯანდაბა. გამომიჭირეს!“ მეგონა, ფერმერი სათვალთვალოდ გამოსული-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ყო. მაგრამ თუ ეს ასე იყო, რატომ არ მოდიოდა და ბრალს არ მდებდა? ამის მაგივრად უბრალოდ იდგა და მაკვირდებოდა. მეც დავაკვირდი.

გადავწყვიტე, თუ დამიჭერენ, დამიჭირონ-მეთქი. უკან გავბრუნდებოდი თუ გზას გავაგრძელებდი, ჩემი შუალამის ექსკურსიის ამბავი მამაჩემის ყურამდე მაინც მიაღწევდა. ამიტომ კაცს შუა თითი ავუწიე და სუსხიან ბურუსში გავუჩინარდი.

აკლდამიდან გამოსვლისას ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს ცას ღრუბლები შემოაფცქვნეს და მთვარე მანათობელი კაშკაშა ყვითელი ბუშტივით გაბერეს. ცოტა ხანში ემაც გამოჩნდა. სწრაფად ლაპარაკობდა და მიბოდიშებდა.

– მაპატიე, რომ დავაგვიანე. დასაძინებლად არ წვებოდნენ! მერე კი, გარეთ რომ გამოვედი, ჰიუს და ფიონას წავაწყდი. ბაღში კოცნაობდნენ. არ იდარდო. შემპირდნენ, რომ თუ ხმას არ ამოვიღებ, არაფერს იტყვიან.

ხელები კისერზე შემომხვია.

– მომენატრე. დღევანდელის გამო ვწუხვარ.

– მეც, – ვთქვი და ზურგზე ხელი უხერხულად მოვუთათუნე, – კარგი, მოდი, დავილაპარაკოთ.

გამეცალა.

– არა, აქ არა. უკეთესი ადგილი მეგულება. განსაკუთრებული ადგილი.

– რა ვიცი...

ხელი ჩამკიდა.

– ნუ ხარ ეგრე. მოგეწონება, დამიჯერე. თან იქ მისვლამდე ყველაფერს მოგიყვები.

თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ იქ საკოცნელად მივყავდი. უფრო კეთილგონიერი ან გამოცდილი რომ ვყოფილიყავი და ლამაზ გოგოებთან უფრო ხშირი ურთიერთობა მქონოდა, შეიძლება ემოციები და ჰორმონალური სიმტკიცე შემენარჩუნებინა და მომეთხოვა, იქვე გვესაუბრა. თუმცა ასე არ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იყო. თანაც ემამ მთელი გულით გამილიმა და მისმა გაუბედავმა მოძრაობამ, რომლითაც თმა უკან გადაიწია, მომანდომა, ყველგან გავყოლოდი, დავხმარებოდი და მისი ნებისმიერი სურვილი ამესრულებინა. მოკლედ, მაჯობა.

წავყვები, მაგრამ არ ვაკოცებ-მეთქი, ვუთხარი ჩემს თავს. ჭაობის გავლისას ამ სიტყვებს შელოცვასავით ვიმეორებდი. „არ აკოცო! არ აკოცო!“ ქალაქისკენ გავემართეთ. შემდეგ ქვიანი სანაპიროსკენ შევუხვიეთ და ციცაბო ბილიკზე, ქვიშისკენ დავეშვით.

წყალს რომ მივუახლოვდით, მთხოვა, დამეცადა და რაღაცის მოსატანად წავიდა. ვიდექი და შუქურას მივშტერებოდი, რომლის შუქიც იქაურობას ეფინებოდა – კლდის ღრმულებში მძინარე ზღვის ფრინველებს, უზარმაზარ ლოდებს, ქვიშაში ჩაფლულ ლპობაშეპარულ ნავს. როდესაც ემა უკან დაბრუნდა, დავინახე, რომ საცურაო კოსტიუმი ჩაეცვა და წყალქვეშ სასუნთქი ნიღბები მოჰქონდა.

– ო, არა, – აღმომხდა, – არ არსებობს!

– უმჯობესია, გაიხადო, – ჩემი ქურთუკი და ჯინსი დაეჭვებულმა შეათვალიერა, – ასე ჩაცმული ვერ გაცურავ.

– ცურვას არ ვაპირებ! დაგთანხმდი, რომ სახლიდან გამოვიპარებოდი და შუაღამისას შეგხვდებოდი, მაგრამ მე მინდოდა, რომ გველაპარაკა და არა...

– დავილაპარაკებთ, – დაიჟინა.

– წყლის ფსკერზე? საცვლებით?

ქვიშა შემომაფრქვია და წავიდა, თუმცა მალევე დაბრუნდა.

– შენზე ძალადობას არ ვაპირებ, თუ ამას გულისხმობ. თავში ნუ აგივარდება.

– არ ამივარდება.

– მაშინ ყოყმანი შეწყვიტე და შენი სასაცილო შარვალი გაიხადე! – ჩემკენ გამოიქცა, ჭიდაობა დამიწყო და მიწაზე დამანარცხა. ერთი ხელით სახეზე ქვიშას მაზელდა, მეორეთი კი ცდილობდა, ქამარი გაეხსნა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– უთანასწორო ბრძოლაა! – ვუყვირე და ქვიშა გადმოვაფურთხე. სხვა არჩევანი არ მქონდა – სამაგიერო უნდა გადამეხადა.

მალე ერთმანეთს ქვიშას ვაყრიდით და ძირს ვგორავდით. თამაშს რომ მოვრჩით, სიცილი აგვიტყდა და გაჭირვებით შევეცადეთ, თმიდან ქვიშა ჩამოგვეფერთხა.

– ახლა კი ბანაობა ნამდვილად გჭირდება, – შემომხედა ემამ.

– მართალი ხარ, – მივუგე და ზღვისკენ წავედი.

თავიდან წყალი საშინლად ცივი მომეჩვენა, თანაც, საცვლის ამარა ვცურავდი, მაგრამ მალე შევეჩვიე და ცურვით იმ კლდეს გავცდით, რომლის სიახლოვესაც სიღრმის მაჩვენებელი ნიშანი ტივტივებდა. კანოე დავინახეთ. მივუახლოვდით და შიგ ჩავძვერით. ემამ ნიჩაბი მომაწოდა. ნიჩბები მოვუსვით და შუქურისკენ გავემართეთ. თბილი ღამე იყო, ზღვა კი მშვიდი. რამდენიმე წუთით ნიჩბების წყალთან შეხების რიტმულ ხმაში ჩავიკარგე. შუქურას ასიოდე იარდით რომ ვიყავით დაშორებული, ემამ ნიჩბების მოსმა შეწყვიტა და კანოედან გადმოვიდა. ჩემდა გასაკვირად, ღრმა ტალღებში კი არ ჩახტა, მუხლამდე წყალში გამართული იდგა.

– არ არის ღრმა? – ვკითხე.

– არა, – კანოეზე გადმოეკიდა, პატარა ღუზას დასწვდა და წყალში ჩააგდო. ღუზა დაახლოებით ორი მეტრის სიღრმეში ჩავარდა, ლითონის ხმით გაიჟღარუნა და გაჩერდა. სულ მალე შუქურის ნათელი გადაგვევლო და ჩვენ თვალწინ გემის კარკასი გადაიჭიმა.

– გემის ნამსხვრევები! – შევძახე აღელვებულმა.

– წამოდი და ნიღაბიც წამოიღე. თითქმის უკვე მივედით, – მითხრა ემამ და გემის კარკასზე სიარული განაგრძო.

კანოედან ფრთხილად გადმოვაბიჯე და გავყევი. ნაპირიდან ვინმეს რომ დავენახეთ, ეგონებოდა, წყალზე დადიანო.

– მაინც რამხელაა?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– უზარმაზარი. ჩვენი მომხრე გემი იყო. მიწისქვეშა ღრმულს დაეტაკა და ჩაიძირა.

ემა შეჩერდა.

– ერთი წუთით შუქურას მზერა მოაშორე და თვალები სიბნელეს შეაჩვიე.

პირით ნაპირისკენ ვიდექით და ვიცდიდით. ტალღები ფეხებზე გვეხეთქებოდა.

– კარგი. ახლა მომყევი და ღრმად ჩაისუნთქე, – ემა გემის კარკასის ჩამუქებულ ხვრელთან მივიდა, რომელიც, ერთი შეხედვით, კარს ჰგავდა. მერე კიდეზე ჩამოჯდა და შიგ ჩახტა.

"რა სიგიჟეა!" გავიფიქრე, მისი მოცემული ნიღაბი მოვირგე და მეც ღრმულში ჩავხტი.

ქვევით გამეფებულ უკუნეთში ემა კიბის საფეხურებს ეჭიდებოდა და კიდევ უფრო ღრმად ჩადიოდა. მეც მას მივბაძე და პირველ საფეხურს ჩავეჭიდე. საფეხურებს რიგრიგობით ვეჭიდეოდი, სანამ ლითონის იატაკამდე არ ჩავაღწიე. იქ ემა მელოდებოდა. მგონი, გემის სატვირთო განყოფილებაში ვიყავით. ძალიან ბნელოდა და დაზუსტებით ვერაფერს ვიტყოდი.

ემას მკლავზე ხელი წავავლე და ვანიშნე, ჟანგბადი მჭირდება-მეთქი. იქვე დაკიდებულ პლასტმასის მილს დასწვდა. ის მილსადენს იყო მიერთებული, რომელიც წყლის ზედაპირამდე ადიოდა. ემამ მილი პირში ჩაიდო და სული ჩაბერა. შემდეგ ჩაისუნთქა და მილი გადმომაწოდა. სუფთა ჰაერს დავხარბდი. წყლის ქვეშ ვიყავით, ძველი გემის ნამსხვრევებში და ვსუნთქავდით.

ემამ ჩემ წინ გამავალ ბნელ დერეფანზე მიმითითა. უარის ნიშნად თავი გავაქნიე, მაგრამ ხელი ჩამჭიდა და იქითკენ წამიყვანა. მილიც თან წაიღო.

დერეფანში სრული უკუნეთი სუფევდა. ცოტა ხანს შევყოვნდით, სასუნთქ მილს ერთმანეთს ვაწოდებდით. მხოლოდ ჟანგბადის ბუშტებისა და უხილავი რაკუნის ხმა ისმოდა, რომელიც გემის სიღრმიდან მოდიოდა – მომძვრალი ნამსხვრევები

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჯერ კიდევ მთელ კარკასს ეხლებოდა. ისე ბნელოდა, თვალები რომ დამეხუჭა, განსხვავებას ვერ შევამჩნევდი. კოსმონავტებს ვგავდით, რომლებიც უვარსკვლავო სამყაროში მოგზაურობდნენ.

უეცრად საოცარი რამ მოხდა – ერთმანეთის მიყოლებით მწვანე ვარსკვლავები გამოჩნდნენ – აქა-იქ რომ ბჟუტავდნენ და ჩვენს სხეულებს დაჰნათოდნენ. მეგონა, ჰალუცინაცია იყო, მაგრამ თანდათან უფრო და უფრო მეტი ვარსკვლავი აციმციმდა. ჩვენმა ნიღბებმა ისინი აირეკლა. ემამ ხელი გაიქნია, მაგრამ, ნაცვლად იმისა, რომ ცეცხლის სფერო გაეჩინა, მისი ხელი ლურჯ ნათებად აელვარდა. მწვანე ვარსკვლავები მას შემოეხვივნენ. ციმციმებდნენ, ტრიალებდნენ და ემას მოძრაობებს იმეორებდნენ. მივხვდი, რომ თევზები ყოფილან.

ნანახით გაოგნებულმა და აღფრთოვანებულმა დროის აღქმის უნარი დავკარგე. მეგონა, იქ რამდენიმე საათი დავყავით, არადა, სულ რამდენიმე წუთი იქნებოდა გასული. შემდეგ ემა იდაყვზე ნაზად შემეხო და კიბის საფეხურებს ავუყევით. როდესაც წყლიდან ამოვყვინთეთ, ირმის ნახტომის სქელი ზოლი დავინახე, რომელიც ზეცას გადავლებოდა. თევზები და ვარსკვლავები ერთობლივ სისტემას ქმნიდნენ, თითქოს არქაული, მისტიკური მთლიანობის ნაწილებს წარმოადგენდნენ.

გემის კარკასზე ავძვერით და ნიღბები მოვიხსენით. ცოტა ხანს ასე, დამუნჯებულები და ნახევრად წყალში ჩაძირულები ვისხედით. ჩვენი ფეხები ერთმანეთს ეხებოდა.

– ეს რა იყო? – ვთქვი ბოლოს.

– მათ მანათობელ თევზებს ვეძახით.

– აქამდე არ მინახავს.

– ადამიანების უმეტესობა მათ ვერასოდეს ნახულობს. კარგად იმალებიან.

– ლამაზები არიან.

– ძალიან.

– და უცნაურებიც.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ემას გაეღიმა.

– ნამდვილად, – ხელი მუხლზე დამადო. არ გავაწევინე. თბილი იყო და გრილ წყალში მსიამოვნებდა. შინაგან ხმას მივაყურადე, რომ ჩემთვის ეთქვა, არ აკოცოო, მაგრამ ხმა გაჩუმებულიყო.

შემდეგ ერთმანეთს ვაკოცეთ. ჩემი ტუჩები მის ტუჩებს ნაზად ეხებოდა. ენებს ერთმანეთს ვაჭერდით. ყველაფერი გადამავიწყდა – ყველა ის მიზეზი, თუ ემას აქ რატომ არ უნდა გამოვყოლოდი. ერთმანეთს ვკოცნიდით და ვკოცნიდით, სანამ არ მომშორდა. მე მისკენ გავიქაჩე, მაგრამ მკერდზე ხელი მტკიცედ დამადო და შემაჩერა.

– სულელო, ჩასუნთქვა მჭირდება.

გამეცინა.

– კარგი.

ხელები დამიჭირა და შემომხედა. მეც მივაშტერდი. მგონი, ეს მზერა უფრო მწველი იყო, ვიდრე კოცნა.

– უნდა დარჩე, – მითხრა მერე.

– დავრჩე... – გავიმეორე.

– აქ, ჩვენთან.

ამ სიტყვების რეალურობამ სხეულში დამიარა და ჩვენი კოცნა გააფერმკრთალა.

– მინდა, მაგრამ, მგონი, არ შემიძლია.

– რატომ არა?

დავფიქრდი. მზე, გემრიელი კერძები, მეგობრები... და ერთფეროვნება, ერთნაირი დღეები. ყველაფერი ყელში ამომივიდოდა, როგორც დედაჩემს ბეზრდებოდა ფუფუნების საგნები.

მაგრამ ემა. არსებობდა ემა. იქნებ ცოტა ხნით დავრჩენილიყავი, მყვარებოდა და შინ მერე დავბრუნებულიყავი. თუმცა, არა. როდესაც წასვლას დავაპირებდი, უკვე ძალიან დაგვიანებული იქნებოდა. ის სირინოზი იყო და ამიტომ ძალა უნდა მომეკრიბა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– შენ მასთან გინდა ყოფნა და არა ჩემთან. მე მას ვერ შეგიცვლი, – ვთქვი ჩუმად.

ემამ გვერდზე გაიხედა. გულგატეხილი ჩანდა.

– მაგიტომ კი არ უნდა დარჩე, არამედ იმიტომ, რომ შენი ადგილი აქ არის.

– არა. მე თქვენნაირი არ ვარ.

– როგორ არ ხარ!

– მე ჩვეულებრივი ვარ, ბაბუაჩემივით.

ემამ თავი გააქნია.

– მართლა ასე ფიქრობ?

– რამე არაჩვეულებრივის გაკეთება რომ შემძლებოდა, შენი აზრით, აქამდე ვერ შევამჩნევდი?

– ამის გამხელის უფლება არ მაქვს, – შემომხედა ემამ, – მაგრამ ჩვეულებრივ ადამიანებს მარყუჟში შემოღწევა არ შეუძლიათ.

ცოტა ხნით ჩავფიქრდი, მაგრამ მისი ნათქვამი მაინც ვერ დავიჯერე.

– ჩემში უცნაური არაფერია. მე ყველაზე ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, ვისაც კი ოდესმე შეხვდები.

– მაგაში ეჭვი მეპარება, – მომიგო, – ეიბს ძალიან იშვიათი და არაჩვეულებრივი ნიჭი ჰქონდა. ის შეეძლო, რაც თითქმის არავის შეუძლია.

მისი თვალები ჩემსას შეხვდა.

– ის ურჩხულებს ხედავდა.

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მაკი ვეცხრე

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ეს რომ თქვა, ყველა ის საშინელება, რომლებიც, მეგონა, წარსულს გავატანე, ნიაღვარივით კვლავ თავს დამატყდა. ესე იგი, ურჩხულები მართლა არსებობდნენ და ბაბუაჩემი მათ მოკლეს.

– ურჩხულებს მეც ვხედავ, – დავიჩურჩულე, თითქოს ეს ყველაზე სამარცხვინო აღიარება ყოფილიყოს.

დაძაბულმა შემომხედა.

– ასეც ვიცოდი, რომ გამორჩეული იყავი. ამას კომპლიმენტად გეუბნები.

თუ მე მართლა გამორჩეული გახლდით და იმის დანახვა შემეძლო, რასაც სხვები ვერ ხედავდნენ, მაშინ გასაგები ხდებოდა, რატომ ვერ შეამჩნია რიკიმ ის არსება ტყეში იმ ღამით, ბაბუა რომ დაიღუპა. ეს იმას ადასტურებდა, რომ არც გიჟი ვიყავი, არც არაფერი მელანდებოდა და არც ნერვული აშლილობა მქონდა. უბრალოდ, მათი დანახვის ნიჭი მოემადლებინა ჩემთვის განგებას.

– და თქვენ მათი დანახვა საერთოდ არ შეგიძლიათ? – ვკითხე ემას.

– მარტო მათი ჩრდილების. ამიტომ სანადიროდ მხოლოდ ღამით გამოდიან.

– ახლა რატომ არ ნადირობენ თქვენზე? – ვთქვი და მაშინვე შევასწორე, – ჩვენზე, ყველაზე.

ემა დასერიოზულდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არ იციან, როგორ გვიპოვონ და არც მარყუჟში შემოღწევა შეუძლიათ. ასე რომ, კუნძულზე უსაფრთხოდ ვართ, მაგრამ აქედან ვერსად წავალთ.

– ვიქტორი ხომ წავიდა.

ემამ თავი სევდიანად დააქნია.

– ჰო, თქვა, რომ აქ მეტს ველარ გაძლებდა, გაგიჟდებოდა. საწყალი ბრონუინი. ჩემი ეიბიც წავიდა, მაგრამ, კიდევ კარგი, ის მათ არ მოუკლავთ.

თავი ვაიძულე, მისთვის შემეხედა.

– ვწუხვარ, რომ ამის თქმა მიწევს, მაგრამ...

– რისი? ო... ოლონდ ეგ არა!

– დამაჯერეს, რომ გარეული ცხოველების ნამოქმედარი იყო, მაგრამ თუ შენი მონაყოლი სიმართლეა, ბაბუაც მათ მოკლეს. პირველად და უკანასკნელად ურჩხული მისი სიკვდილის ღამეს ვნახე.

ემამ ხელები მუხლებზე შემოიხვია, მკერდთან მიიზიდა და თვალები დახუჭა. მხარზე მოვეხვიე. თავი მომაყრდნო.

– ვიცოდი, რომ ოდესმე მასაც მიაგნებდნენ, – დაიჩურჩულა, – დამპირდა, ამერიკაში უსაფრთხოდ ვიქნები, ჩემი თავის დაცვა შემიძლიაო, მაგრამ ჩვენ უსაფრთხოდ არასოდეს ვართ. არც ერთი ჩვენგანი.

ასე ვისხედით, სანამ მთვარე არ ჩავიდა. მერე წყლის დონემ იმატა და ემა აცახცახდა. ერთმანეთს ხელი ჩავჭიდეთ და კანოესკენ გავცურეთ. ნაპირისკენ მიმავალთ ყვირილი შემოგვესმა. ვიღაც ჩვენს სახელებს ყვიროდა. კლდეს შემოვუარეთ და ნაპირზე ჰიუ და ფიონა დავინახეთ, ხელს გვიქნევდნენ. შორიდანვე მივხვდით, რომ რაღაც რიგზე ვერ იყო.

კანოე მივაბით და მათ შესახვედრად გავიქეცით. ჰიუ სირბილისგან ძლივს სუნთქავდა. მის გარშემო აღელვებული ფუტკრები ირეოდნენ.

– ჩვენთან ერთად უნდა წამოხვიდე! – მაშინვე დაუძახა ემას.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ემამ ტანსაცმელი პირდაპირ საცურაო კოსტიუმზე გადაიცვა. მე შარვალს დავწვდი, მაგრამ ჰიუმ დაეჭვებით შემომხედა.

– ის ვერ წამოვა. საქმე სერიოზულადაა.

– არა, ჰიუ, – მიუგო ემამ, – ფრინველი მართალი იყო. ის ერთ-ერთი ჩვენგანია.

ჰიუ ჯერ ემას მიაშტერდა, მერე – მე.

– უთხარი?!

– უკვე თვითონაც ხვდებოდა.

ჰიუს გასააზრებლად ცოტა ხანი დასჭირდა. შემდეგ კი ხელი ჩამომართვა.

– მაშინ კეთილი იყოს შენი ფეხი ჩვენს ოჯახში.

არ ვიცოდი, რა მეპასუხა და მხოლოდ მადლობა გადავუხადე.

სახლისკენ მიმავალ გზაზე, ლაპარაკის ნაცვლად, მეტწილად სირბილით მივექანებოდით. მარტო ტყესთან შევჩერდით, სული რომ მოგვებრუნებინა და ჰიუმ თქვა:

– ფრინველის ერთ-ერთი იმბრინი მეგობარი დაახლოებით ერთი საათის წინ ჭყივილ-ჭყივილით მოფრინდა და ყველანი საწოლებიდან წამოგვყარა. სანამ მოსვლის მიზეზს გაგვაგებინებდა, გული წაუვიდა და მკვდარივით ძირს დაეცა, – ჰიუ შესაბრალისად გამოიყურებოდა.

– ვგრძნობ, რაღაც საშინელება მოხდა, – დააბოლოვა ფიონამ.

– იმედია, ცდები, – თქვა ემამ და შემდეგ ისევ გავიქეცით.

* * *

დერეფანში, მისაღები ოთახის დაკეტილ კართან, ღამის პერანგებში გახვეული ბავშვები ირეოდნენ და შეშფოთებულები ათასნაირ ვარაუდს გამოთქვამდნენ იმის თობაზე, თუ რა შეიძლებოდა მომხდარიყო.

– იქნებ მარყუჟის გადატვირთვა დაავიწყდათ, – განაცხადა კლერმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– დაგენიძლავებით, უსულოები იყვნენ, – ივარაუდა ენოქმა, – ალბათ, ბევრი ბავშვი ჩექმებიანად გადასანსლეს!

კლერმა და ოლივმა შეჰკივლეს და სახეები თავიანთ პაწაწინა ხელებში ჩარგეს. ჰორასმა მათ გვერდით ჩაიმუხლა და ომახიანი ხმით დაიწყო:

– ნუ აძლევთ ენოქს იმის საშუალებას, რომ ტვინი იდიოტობებით გამოგიჭედოთ. ყველამ იცის, რომ მათ ყველაზე პატარები უყვართ. ამიტომაც გამოუშვეს უვნებლად მის პერეგრინის მეგობარი – მას ხომ ძველი ყავის მარცვლების გემო ექნება!

ოლივმა თითებ შორის ცალი თვალით გამოიჭვრიტა.

– და პატარებს რისი გემო აქვთ?

– კენკრის, – მიუგო ჰორასმა და გოგონებმა ხელმეორედ შეჰკივლეს.

– თავი დაანებე! – უყვირა ჰიუმ და ფუტკრების გუნდი აყვირებულ ჰორასს დერეფანში გამოეკიდა.

– აბა, მანდ რა ხდება? – დაიძახა მის პერეგრინმა სასტუმრო ოთახიდან, – მის აპისტონის ხმა ხომ არ მომესმა? მის ბლუმი და მისტერ პორტმანი სად არიან?

ემას სახე შეეჭმუხნა და ჰიუს ანერვიულებულმა გახედა:

– იცის?

– როდესაც გაიგო, რომ აქ არ იყავი, კინაღამ გაგიჟდა. ეგონა, რომ მათ მოგიტაცეს. ბოდიში, ემა, მაგრამ უნდა მეთქვა.

ემამ თავი გააქნია. ისღა დაგვრჩენოდა, შიგნით შევსულიყავით და საყვედურები მოგვესმინა. ფიონამ, თითქოს თანაგრძნობის გამოსახატად, თავი დაგვიკრა და კარი შევაღეთ.

მისაღებ ოთახში ცეცხლის შუქს ჩრდილები კედელზე მოექცია. ბრონუინი მოხუც ქალს თავს დასტრიალებდა. ქალს საბანი შემოეხვია და სკამზე გაფითრებული იჯდა. მის პერეგრინი მას მუქი ფერის სითხეს ასმევდა.

როდესაც ემამ მოხუცის სახე დაინახა, ადგილზე გაქვავდა.

– ო, ღმერთო, – დაიჩურჩულა, – ეს ხომ მის ავასეტია!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ქალს მეც შევხედე და ვიცანი. მის პერეგრინის ფოტოზე მენახა, რომელზეც ის ახალგაზრდობაში იყო გამოსახული. მის ავასეტს მაშინ შეუდრეკელი გამომეტყველება ჰქონდა, ახლა კი სუსტი და უსუსური ჩანდა.

ვიდექით და ვუყურებდით. მის პერეგრინმა მას ტუჩებთან ვერცხლისფერი მათარა მიუტანა და გადააყლურწა. მოხუცი იმბრინი რამდენიმე წამით გამოცოცხლდა, თვალები აენთო, წამოიწია, მაგრამ შემდეგ ისევ უკან, სკამზე მიესვენა.

– მის ბრანტლი, – მიმართა მის პერეგრინმა ბრონუინს, – მის ავასეტისთვის დივანი მოამზადეთ და ერთი ბოთლი ღვინო კოკაინით და კონიაკის მათარა წამოიყოლეთ.

ბრონუინმა მას თავი დაუკრა და გარეთ გავიდა. მის პერეგრინი კი მაშინვე ჩვენ მოგვიტრიალდა.

– ძალიან გამიცრუეთ იმედი, მის ბლუმ, – მკაცრად შეხედა ემას, – ძალიან. თან მაინცდამაინც ამაღამ გადაწყვიტეთ გაპარვა.

– ბოდიში, მის, მაგრამ საიდან უნდა მცოდნოდა, რომ უბედურება მოხდებოდა?

– წესით, უნდა გსჯიდეთ, თუმცა, გარემოების გათვალისწინებით, ამას აზრი არ აქვს, – ქალმა ხელი ასწია და აღმზრდელს თეთრ თმაზე გადაუსვა, – მის ავასეტი თავის აღსაზრდელებს არაფრის დიდებით არ დატოვებდა, საშინელება რომ არ მომხდარიყო.

აგიზგიზებული ცეცხლის სიმხურვალის გამო შუბლზე ოფლის წვეთები გამომივიდა, სკამზე მჯდარი მის ავასეტი კი კანკალებდა. ნუთუ, კვდებოდა? ნუთუ ის ტრაგიკული სცენა, რომელიც ჩემსა და ბაბუას შორის გათამაშდა, ამჯერად მის პერეგრინსა და მის მასწავლებელს ელოდათ? გამახსენდა, როგორ მეჭირა დაბნეულს ბაბუას სხეული და თავში აზრადაც არ მომდიოდა, სინამდვილეში ვინ ვიყავით. რაც ახლა ხდებოდა, არაფერი ჰქონდა საერთო იმასთან, რაც მე დამემართა. მის პერეგრინმა ყოველთვის იცოდა, ვინც იყო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სიბრაზემ მძლია.

– მის პერეგრინ! – წამოვიწყე, – როდის აპირებდით, ჩემთვის გეთქვათ?

ქალს ჯერ სურდა, ეკითხა, რაზე მელაპარაკებიო, მაგრამ შემდეგ ემას შეხედა და პასუხი მის სახეზე ამოიკითხა. გაღიზიანება დაეტყო, მაგრამ გაბრაზება შემამჩნია და თავი მოთოკა.

– მალე, – მომიგო მშვიდად, – გთხოვთ, გამიგოთ. ჩვენი პირველი შეხვედრისას სიმართლე რომ მეთქვა, შოკისმომგვრელი ამბავი იქნებოდა. თქვენი ქცევა არაპროგნოზირებადი იყო. შეიძლებოდა, გაქცეულიყავით და უკან აღარასდროს დაბრუნებულიყავით, ამიტომ ვერ გავრისკავდი.

– და ამის მაგივრად, გადაწყვიტეთ, გემრიელი კერძებითა და გოგონებით გეცდუნებინეთ და ყველა საშინელება საიდუმლოდ შეგენახათ?

ემას სული შეეხუთა.

– გაცდუნე? ძალიან გთხოვ, ასე ნუ იფიქრებ, ჯეიკობ. ამას ვერ გადავიტან.

– მგონი, ჩვენზე არასწორი წარმოდგენა გაქვთ, – მომიგო მის პერეგრინმა, – რაც შეეხება ცდუნებას, ეს თქვენ მიერ ნანახი ჩვენი ყოველდღიურობაა. არ გვითვალთმაქცია, უბრალოდ, რამდენიმე ფაქტი არ გაგიმხილეთ.

– აი, ფაქტი. ერთ-ერთმა ასეთმა არსებამ ბაბუაჩემი მოკლა.

მის პერეგრინი ცეცხლს მიაშტერდა.

– ძალიან ვწუხვარ.

– საკუთარი თვალით ვნახე და როდესაც ამის შესახებ სხვებს მოვუყევი, მარწმუნებდნენ, რომ ჭკუიდან შევიშალე. მაგრამ არ გავგიჟებულვარ, არც მე და არც ბაბუაჩემი. ის მთელი ცხოვრების განმავლობაში სიმართლეს მეუბნებოდა, მე კიდევ არ ვუჯერებდი, – სირცხვილის გრძნობამ შემიპყრო, – რომ დამეჯერებინა, იქნებ ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილიყო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მის პერეგრინმა შეამჩნია, რომ ფერი წამივიდა და ის სკამი შემომთავაზა, რომელიც მის ავასეტის პირდაპირ იდგა. ულონოდ ჩავესვენე. ემამ ჩემს ფეხებთან ჩაიმუხლა.

– მგონი, ეიბმა იცოდა, რომ უცნაური ხარ, – მითხრა მან, – და ალბათ რაღაც მიზეზიც ჰქონდა, რომ ამას არ გიმხელდა.

– ნამდვილად იცოდა, – გამოეხმაურა მის პერეგრინი, – წერილებში ახსენებდა.

– მაშინ არ მესმის... თუ ეს სიმართლეა, მაშინ ამ ყველაფერს სიცოცხლის ბოლო წუთამდე საიდუმლოდ რატომ ინახავდა?

მის პერეგრინმა მის ავასეტს კიდევ ერთი კოვზი კონიაკი გადააყლაპა. ქალმა ამოიგმინა, წამოიწია და ისევ უკან, სკამზე მიესვენა.

– ჩემი აზრით, თქვენი დაცვა სურდა. მთელი ჩვენი ცხოვრება გამოცდა და დანაკარგთან შეგუებაა. მით უმეტეს, ეიბის შემთხვევაში. ის ხომ ებრაელი იყო! ორჯერ გამოსცადა გენოციდი – ნაცისტების მიერ ებრაელებისა და უსულოთა მიერ გამორჩეულთა განადგურება. მას შეუძლებლად მიაჩნდა, დამალულიყო, როცა მის ხალხს – ებრაელებსაც და გამორჩეულებსაც – უმოწყალოდ ხოცავდნენ.

– ამბობდა ხოლმე, ომში ურჩხულებთან საბრძოლველად წავედიო, – ვთქვი მე.

– ნამდვილად, – მომიგო ემამ.

– ომმა ნაცისტების ბატონობას ბოლო მოუღო, მაგრამ უსულონი კიდევ უფრო გაძლიერდნენ, – განაგრძო მის პერეგრინმა, – ამიტომ, სხვა უჩვეულოთა მსგავსად, ჩვენც დამალვა გადავწყვიტეთ. ბაბუაშენი ომიდან შეცვლილი დაბრუნდა. ის მებრძოლი გახდა და გადაწყვიტა, ცხოვრება მარყუჟის გარეთ მოეწყო და დამალვაზე უარი განაცხადა.

– ვემუდარებოდი, ამერიკაში არ წასულიყო, – ჩაერთო ემა, – ყველანი ვემუდარებოდით.

– ამერიკა რატომ აირჩია? – დავინტერესდი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– იმ დროს იქ ცოტა უსულო ცხოვრობდა, – მიპასუხა მის პერეგრინმა, – ომის შემდეგ ამერიკაში უცნაურების მცირე ნაკადის მიგრაცია დაიწყო. რაღაც პერიოდის განმავლობაში ბევრმა მოახერხა თავი ჩვეულებრივ ადამიანად მოეჩვენებინა. მათ შორის იყო ბაბუათქვენიც. მის ყველაზე დიდ ოცნებას ნორმალურად ცხოვრება წარმოადგენდა. ამას თავის წერილებში ხშირად ახსენებდა. დარწმუნებული ვარ, სიმართლეს ამიტომ გიმალავდათ. უნდოდა, ის გქონოდათ, რაც თვითონ არასდროს ჰქონია.

– სურდა, ჩვეულებრივი ვყოფილიყავი, – ვთქვი მე.

მის პერეგრინმა თავი დამიქნია.

– მაგრამ ამ ყველაფრისგან თავის დაღწევა ვერ შეძლო. იშვიათი უნარის, ომში მებრძოლად ჩამოყალიბებისა და უსულოებზე ნადირობის გამო ის ძალიან მნიშვნელოვანი ადამიანი გახდა და ხშირად აიძულებდნენ უსულოთა ძნელად მისადგომი ბუნაგების განადგურებაში დახმარებას. მისი ხასიათის პატრონი კი უარს არასოდეს ამბობდა.

ბაბუა პორტმანის ნადირობანი გამახსენდა. ერთ-ერთი ასეთი ნადირობიდან ოჯახს მისი სურათი შემოგვრჩა, თუმცა არ ვიცოდით, ვინ ან როდის გადაიღო, რადგან ყოველთვის მარტო მგზავრობდა. ბავშვობაში ძალიან სასაცილოდ მეჩვენებოდა ის ფაქტი, რომ ფოტოზე ბაბუას შარვალ-კოსტიუმი ეცვა. აბა, ვის მიაქვს კოსტიუმი თან, როდესაც სანადიროდ მიდის?

ახლა პასუხი ვიცოდი: მას, ვინც ცხოველებზე კი არა, სულ სხვა არსებებზე ნადირობს!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იმ აზრმა, რომ ბაბუაჩემი იარაღზე გადარეული კოლექციონერი, მოღალატე ან ოჯახს მოწყვეტილი კაცი კი არა, მოხეტიალე რაინდი ყოფილა, რომელიც სხვებისთვის წირავდა თავს, ძალიან გამიტაცა. ალბათ, მანქანაში ან იაფ მოტელებში იძინებდა და აჩრდილებს უთვალთვალებდა. სახლში კი დაიარებული ბრუნდებოდა, რასაც ვერაფრით ხსნიდა და ვერც საკუთარ კოშმარებზე ესაუბრებოდა ოჯახის წევრებს. რეალურად, ბაბუა უდიდეს მსხვერპლს იღებდა, თუმცა საყვარელ ადამიანებში მხოლოდ ეჭვს იწვევდა. ვფიქრობ, სწორედ ამიტომ წერდა ამდენ წერილს ემასა და მის პერეგრინს – მათ მისი ესმოდათ.

ბრონუინი ერთი ჭიქა კოკაინიანი ღვინითა და კონიაკის მათარით ხელში დაბრუნდა. მის პერეგრინმა ის კვლავ გაუშვა ოთახიდან, თვითონ კი ჩამოჯდა და ეს ორი სითხე ჩაის ჭიქაში ერთმანეთს შეურია. შემდეგ მის ავასეტს ლურჯი სისხლძარღვებით დაქსელილ ლოყაზე მიეფერა.

– ესმერალდა, – მიმართა ნაღვლიანად, – ესმერალდა, თავს უნდა მოერიო და ჩემი მომზადებული ტონიკი დალიო.

მის პერეგრინმა მის ავასეტს ჩაის ჭიქა ტუჩებთან მიუტანა. მოხუცმა ქალმა რამდენიმე ყლუპი მოსვა და, იმის მიუხედავად, რომ დაახველა და გადმოაფურთხა, მოიასამნისფრო სითხე, მეტწილად, საყლაპავ მილში გადაუშვა. ცოტა ხანს გაშტერებული იჯდა, თითქოს კვლავ უგონო მდგომარეობაში ჩაძირვა ემუქრებოდა, მაგრამ შემდეგ წამოიწია და სახე გაუნათდა.

– ო, ღმერთო, – შესძახა წკრიალა ხმით, – ნუთუ, ჩამეძინა? რა უხამსი საქციელია ჩემი მხრიდან! – ოდნავ გაკვირვებულმა შემოგვხედა, თითქოს იქ მოულოდნელად გავჩნდით, – ელმა, ეს შენ ხარ?

მის პერეგრინი მოხუცის გაძვალტყავებული ხელების დაზელას შეუდგა.

– ესმერალდა, დიდი გზა გამოგივლია, ამ შუაღამისას რომ გენახეთ. ძალიან დაგვაფეთე.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მართლა? – ამოიკვნესა და მოპირდაპირე კედელს მიაშტერდა, რომელზეც მოციმციმე ჩრდილები გაცოცხლებულიყვნენ. უეცრად სახეზე საზარელი გამომეტყველება აღებეჭდა.

– დიახ, – თქვა მან, – შენ გასაფრთხილებლად მოვედი, ელმა. თავი უნდა დაიცვათ. არ დაუშვა, რომ ეს ყველაფერი თქვენთვისაც ისეთივე მოულოდნელი იყოს, როგორც ჩემთვის აღმოჩნდა.

მის პერეგრინმა საქმიანობა შეწყვიტა და გაკვირვებულმა შეხედა.

– რას გულისხმობ?

– ეს მხოლოდ მათი ნამოქმედარი თუ იქნებოდა. ორი მათგანი ღამით საბჭოს წევრებად გადაცმული გვესტუმრა. რა თქმა უნდა, საბჭოში მამაკაცები არ არიან, მაგრამ ჩემი ნამძინარევი აღსაზრდელები გააბრიყვეს, გაკოჭეს და თან წაიყვანეს.

მის პერეგრინს სუნთქვა შეეკრა.

– რას ამბობ, ესმერალდა!

– მე და მის ბანთინგი განწირულმა კივილმა გამოგვაღვიძა, მაგრამ სახლის კარი ჩაკეტილი დაგვიხვდა. მის გასაღებად დრო დაგვჭირდა და, როდესაც იქიდან გამოღწევა მოვახერხეთ, გამოვეკიდეთ და მარყუჟიდან გამოვედით. იქ თურმე ჩასაფრებული უსულონი გვიცდიდნენ. თავს ღმუილით დაგვესხნენ, – ქალი გაჩერდა და შეეცადა, ცრემლები შეეკავებინა.

– და ბავშვები?

მის ავასეტმა თავი გააქნია.

– ყველა ბავშვი ადვილად მიიტყუეს.

ემამ ხელი ჩამჭიდა და მაგრად მომიჭირა. ბუხრის სინათლეზე დავინახე, მის პერეგრინს ლოყები როგორ შეეფაკლა.

– მათ მის ბანთინგი და მე ვჭირდებოდით. მე გაქცევა მოვახერხე, თუმცა, მის ბანთინგი ასეთი იღბლიანი არ აღმოჩნდა.

– მოკლეს?

– არა, გაიტაცეს. ისევე, როგორც მის ვრენი და მის თრიქრიფერი. მათ იმბრინები მიჰყავთ, ელმა. აშკარად შეთანხმე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბულად მოქმედებენ. იმის წარმოდგენაც კი მზარავს, ეს ყველაფერი რა მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს.

– მაშინ ჩვენთანაც მოვლენ, – თქვა მშვიდი ხმით მის პერეგრინმა.

– თუ მოგაგნებენ, – მიუგო მის ავასეტმა, – თქვენ ბევრად უკეთესი სამალავი ადგილი გაქვთ, ვიდრე დანარჩენებს, მაგრამ მზად უნდა იყო, ელმა.

მის პერეგრინმა თავი დაუქნია. მის ავასეტი უიმედოდ დააშტერდა საკუთარ ხელებს, კალთაში რომ ეწყო და ფრთამოტეხილი ჩიტივით უცახცახებდა. ხმა აუთრთოლდა:

– ჩემი ძვირფასი ბავშვები. ილოცეთ მათთვის. ახლა სრულიად მარტონი არიან, – შემდეგ გატრიალდა და ხმამაღლა ატირდა.

მის პერეგრინმა მოხუც ქალს მხრებზე საბანი მოახურა და სკამიდან წამოდგა. ჩვენც მას გავყევით და მგლოვიარე მის ავასეტი მარტო დავტოვეთ.

* * *

ბავშვები მისაღები ოთახის კართან შეჯგუფულიყვნენ. თუ მის ავასეტის ნაამბობი მთლიანად არ გაუგონიათ, ძირითადი ნაწილი ნამდვილად მოისმინეს – ეს მათ შეშფოთებულ სახეებზე იკითხებოდა.

– საბრალო მის ავასეტი, – თქვა კლერმა. ქვედა ტუჩი უცახცახებდა.

– საბრალო ბავშვები, – ჩაიჩურჩულა ოლივმა.

– ახლა ჩვენზე ნადირობასაც აპირებენ? – იკითხა ჰორასმა.

– იარაღი დაგვჭირდება! – განაცხადა მილარდმა.

– საბრძოლო ნაჯახები! – დააზუსტა ენოქმა.

– ყუმბარები! – განაგრძო ჰიუმ.

– ახლავე შეწყვიტეთ! – დაიყვირა მის პერეგრინმა და მათ გასაჩუმებლად ხელი ასწია, – ახლა საჭიროა, ყველამ სიმშვიდე შევინარჩუნოთ. დიახ, ტრაგედიაა, რაც მის ავასეტს დაემართა,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მაგრამ იგივე ჩვენთან არ უნდა განმეორდეს! გაფრთხილებთ, რომ სახლს მხოლოდ ჩემთან შეთანხმების შემდეგ დატოვებთ და, ისიც, წყვილად. თუ უცნობ ადამიანს დაინახავთ, უცნაურსაც რომ ჰგავდეს, მაშინვე ჩემთან მოხვალთ და მომახსენებთ. ამაზე და დანარჩენ საჭირო ზომებზე დილით დავილაპარაკებთ. მანამდე კი – ყველანი საწოლში! ახლა შეკრების დრო არ არის.

– მაგრამ მის... – წამოიწყო ენოქმა.

– დასაძინებლად!

ბავშვები თავიანთ ოთახებში გაიკრიფნენ.

– რაც შეგეხებათ თქვენ, მისტერ პორტმან, – მომიტრიალდა მის პერეგრინი, – თქვენი მარტო გამგზავრების იდეა დიდად არ მომწონს. იქნებ, სანამ მოვლენები ცოტა ჩაწყნარდება, ჩვენთან დარჩენილიყავით.

– ასე უბრალოდ ვერ გავუჩინარდები. მამაჩემი გაგიჟდება.

მის პერეგრინი შეკრთა.

– მაშინ ამაღამ მაინც დარჩით. ამას დაჟინებით მოვითხოვ.

– დავრჩები, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, თუ იმ არსებებზე, რომლებმაც ბაბუა მოკლეს, ყველაფერს მომიყვებით.

მის პერეგრინმა თავი დახარა და დამცინავი გამომეტყველებით დამაკვირდა.

– კარგი, მისტერ პორტმან, არ შეგეწინააღმდეგებით. მიდით, დივანზე მოთავსდით და ხვალ, გაღვიძებისთანავე, ამაზე ვისაუბრებთ.

– არა, ახლავე უნდა დავილაპარაკოთ, – სიმართლის გასაგებად 10 წელი ვიცადე და ახლა ერთ წუთსაც ველარ დაველოდებოდი, – გთხოვთ.

– ყმაწვილო, – მის პერეგრინმა თვალები მოჭუტა, – ზოგჯერ მომხიბლავ შეუპოვრობასა და აუტანელ სიჯიუტეს შორის არსებულ ვიწრო ზღვარზე იმყოფებით ხოლმე, – შემდეგ ემას მიუტრიალდა, – მის ბლუმ, ჩემს კოკაინითა და ღვინით სავსე მათარას ხომ ვერ მომიტანდით? როგორც ჩანს, ძილი არ მიწერია და, თუ უნდა ვიფხიზლო, თავს მაინც გავინებივრებ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

* * *

კაბინეტი ბავშვების საძინებლებთან საკმაოდ ახლოს იყო და შეიძლებოდა, მათ ჩვენი საუბარი გაეგონათ. ამიტომ მე და დირექტორი პატარა სათბურისკენ გავემართეთ, რომელიც ტყეს ესაზღვრებოდა. მცოცავ ვარდებს შორის ამოტრიალებულ ქოთნებთან ჩამოვსხედით და შუაში ლამპარი დავიდგით. გარიჟრაჟი იყო. მის პერეგრინმა ჯიბიდან ჩიბუხი ამოიღო და დაიხარა, რომ ცეცხლი წაეკიდებინა. ჩიბუხს რამდენჯერმე მოქაჩა, ლურჯი კვამლი გამოუშვა და მოყოლა დაიწყო:

– ძველ დროში ადამიანებს ღმერთები ვეგონეთ, მაგრამ ჩვენ, გამორჩეულები, ისეთივე მოკვდავები ვართ, როგორც ჩვეულებრივი ადამიანები. მარყუჟები მხოლოდ დროებით აკავებს გარდაუვალს და მათი გამოყენების საფასური დიდია – ჩვენ აწმყოს ვშორდებით. უკვე იცით, რომ როცა მარყუჟში დიდი ხნით მცხოვრები აწმყოში ფეხს შეაბიჯებს და იქ გარკვეულ ხანს დარჩება, გაცამტვერდება და მოკვდება. ასე ხდება უხსოვარი დროიდან.

ქალმა კიდევ ერთხელ მოქაჩა ჩიბუხი და განაგრძო:

– წინა საუკუნის დასაწყისში ჩვენს ხალხს პატარა ჯგუფი გამოეყო – საერთო ინტერესების მქონეთა წრე, რომელმაც უცნაურები საშიში იდეებით დააავადა. მათ სჯეროდათ, რომ იმ მეთოდს მიაგნეს, რომლის საშუალებითაც ადამიანს უკვდავად აქცევდნენ. ეს მეთოდი მათ არა მარტო დაბერების შეჩერებაში, არამედ გაახალგაზრდავებაშიც კი დაეხმარებოდა. ისინი მარყუჟის გარეთ ხელმისაწვდომ მარადიულ ახალგაზრდობაზე ლაპარაკობდნენ. ოცნებობდნენ, მომავლიდან წარსულში ემოგზაურათ იმ გვერდითი ეფექტების გარეშე, რომლებიც ასეთ ქმედებას ყოველთვის თან ახლდა – სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დროზე მბრძანებლობა შეძლებოდათ და სიკვდილი დაემარცხებინათ. მთელი ეს იდეები სიგიჟე იყო, სრული მონაჩმახი – იმ ემპირიული კანონების დაუნახაობა, რომლებიც ჩვენს სამყაროს განაგებს!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ქალმა ღრმად ჩაისუნთქა და, თითქოს აზრების მოსაკრებად, წამით შეჩერდა.

– ჩემი ორივე ძმა, ბრწყინვალე ნიჭით დაჯილდოებულები, მაგრამ დაუფიქრებლები, ამ იდეებმა გაიტაცა. ისიც კი გაბედეს, ამ ყველაფრის განსახორციელებლად ჩემთვის დახმარება ეთხოვათ. ვუთხარი, თქვენ გინდათ, ღმერთები გახდეთ, რაც შეუძლებელია და შესაძლებელი რომც იყოს, ეს არ უნდა გააკეთოთ-მეთქი, თუმცა ვერ შევაჩერე. ვინაიდან მის ავასტის იმბრინების სკოლაში აღიზარდნენ, ჩვენს უნიკალურ ხელობაზე მეტი იცოდნენ, ვიდრე სხვა უცნაურმა მამაკაცებმა – მათთვის იმდენი რამ გახდა ცნობილი, რომ ძალიან საშიშნი შეიქნენ. საბჭოდან გამოგზავნილი გაფრთხილებების მიუხედავად, 1908 წლის ზაფხულში მათ, სხვა უცნაურებთან ერთად, რომელთა რიგებშიც ძლევამოსილი, მოღალატე იმბრინებიც იყვნენ, ციმბირის ტუნდრისკენ გასწიეს, რათა საშინელი ექსპერიმენტი ჩაეტარებინათ. იქ ერთი ძველი, უსახელო მარყუჟი აირჩიეს, რომელიც საუკუნეების განმავლობაში გამოუყენებელი იყო. ველოდით, რომ ერთ კვირაში უკან კუდამოძუებულები დაბრუნდებოდნენ – დარწმუნდებოდნენ, რომ ბუნების ძალას ვერ აჯობებდნენ. ამის ნაცვლად, შურისგება ბევრად უფრო დრამატული აღმოჩნდა: ექსპერიმენტით გამოწვეულმა კატასტროფულმა აფეთქებამ აზორშიც კი შეაზანზარა ფანჯრები. ყველამ, ვინც 500 კილომეტრის რადიუსში ცხოვრობდა, ეს მოვლენა სამყაროს აღსასრულად მიიჩნია. ჩვენ კი დავასკვენით, რომ ყველა გამორჩეული მოკვდა და ამ სულის შემძვრელმა აფეთქებამ მათი კოლექტიური სიგიჟის კვალი წაშალა.

– მაგრამ გადარჩნენ? – შევეცადე გამომეცნო.

– გარკვეული თვალსაზრისით, შეიძლება ასეც ითქვას. ზოგი ამ მდგომარეობას არსებობით დასჯას უწოდებს... ორი კვირის შემდეგ უცნაურებს რამდენჯერმე თავს საშინელი არსებები დაესხნენ, რომელთა დანახვაც, თქვენნაირი უცნაურების გარ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და, არავის შეეძლო. ეს იყო ჩვენი პირველი შეჯახება უსულოებთან. საკმარისი დრო დაგვჭირდა იმის გასაცნობიერებლად, რომ ეს საცეცებიანი, საზიზღარი არსებები ჩვენი გზააბნეული ძმები იყვნენ, რომლებიც აფეთქებისას კვამლით დაფარული კრატერიდან ამოცოცდნენ და, ღმერთად ქცევის ნაცვლად, თავიანთი ექსპერიმენტის წყალობით, ეშმაკებად იქცნენ.

– და ასეთი შედეგი რამ გამოიწვია?

– ეს დღემდე საკამათო თემაა. ერთ-ერთი თეორიის მიხედვით, ისინი იმ დროში დაბრუნდნენ, როცა სულები არ არსებობდა. ამიტომაც ვუწოდებთ უსულოებს – მათი გულები, სხეულები ცარიელია. ბედის ირონიით, მათ იმ უკვდავებას მიაღწიეს, რომელსაც ეძებდნენ. გვჯერა, რომ ათასობით წელს ცოცხლობენ, მაგრამ მათი სიცოცხლე ფიზიკური ტანჯვა და დამცირებაა – გზააბნეული ცხოველებით იკვებებიან, იზოლირებულად ცხოვრობენ და ძველი თანამოძმეების ხორცით გაძღომის უშრეტი სურვილი აქვთ, რადგან მათი ხსნის ერთადერთი იმედი ჩვენი სისხლია. თუ უსულო უჩვეულო არსების გარკვეული რაოდენობის სისხლს შთანთქავს, ისიც *იმგვარი არსება* გახდება.

– რას გულისხმობთ? – ვკითხე ინტერესით, – როდესაც პირველად შევხვდით, ემას ეგ ვეგონე.

– მეც შეიძლებოდა იგივე მეფიქრა, მანამდე რომ არ დაგკვირვებოდით. ეს ნიშნავს, რომ თუ უსულოდ ყოფნა ჯოჯოხეთში ცხოვრებაა, *იმგვარობა* განსაწმენდელია. *იმგვარები* ჩვეულებრივებთან ახლოს დგანან. მათ განსხვავებული უნარები არ გააჩნიათ, მაგრამ რადგან ადამიანებს ჰგვანან, თავიანთ თანამოძმე უსულოებს მსახურებად უდგანან. მზვერავებად, ჯაშუშებად და ხორცის მომმარაგებლებად მუშაობენ. ეს იერარქია იქით მიილტვის, რომ ოდესმე ყველა უსულო *იმგვარად* აქციოს, ყველა უცნაური – გვამად.

– მაგრამ მათ რა აჩერებთ? თუ ოდესღაც უცნაურები იყვნენ, თქვენი სამალავი ადგილები არ იციან?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– საბედნიეროდ, წინა ცხოვრებიდან არაფერი ახსოვთ. იმის მიუხედავად, რომ უსულოებივით საშიშნი არ არიან, ისინი, როგორც წესი, დიდ საფრთხეს წარმოადგენენ. უსულოებისგან განსხვავებით, მხოლოდ ინსტინქტებით არ ხელმძღვანელობენ და მოსახლეობაში გარევა შეუძლიათ. მათი გარჩევა ჩვეულებრივი ადამიანებისგან ხშირად ძალიან რთულია, თუმცა არსებობს გარკვეული ნიშნები, რომლებითაც მათი გამოცნობა შეიძლება. მაგალითად, თვალები – *იმგვარებს* თვალის გუგები არ აქვთ.

თმა ყალყზე დამიდგა. „ბრმა“ მეზობელი გამახსენდა, რომელიც კარგა მოზრდილ ბალახს რწყავდა იმ ღამეს, როცა ბაბუაჩემი მოკლეს.

– მგონი, ერთხელ მინახავს კიდეც. უბრალოდ, ბრმა კაცი მეგონა.

– მაშინ, სხვებთან შედარებით, კარგი დაკვირვების უნარი გქონიათ. *იმგვარები* ხშირად შეუმჩნევლად ცხოვრობენ. ისინი ცდილობენ, არაფრით გამორჩეულ ადამიანებს დაემსგავსონ: ნაცრისფერკოსტიუმიან მამაკაცს მატარებელში, ჩამოძონძილ მათხოვარს, რომელიც ხურდებს გთხოვთ. თუმცა ზოგიერთი დიდ რისკზე მიდის და გამოჩენილი ფიგურა ხდება – ექიმი, პოლიტიკოსი, მღვდელი, ხალხის მასებთან რომ ჰქონდეს ურთიერთობა და მათზე გავლენა იქონიოს. ამ გზით ისინი უფრო ადვილად პოულობენ უცნაურებს, რომლებიც, ეიბის მსგავსად, ჩვეულებრივ ადამიანებს შორის იმალებიან.

მის პერეგრინი სახლიდან წამოღებულ ფოტოალბომს დასწვდა და მისი ფურცვლა დაიწყო.

– ამ ფოტოების ასლები გადაიღეს და უცნაურებს დაურიგეს. აი, შეხედეთ, – თქვა მან და იმ სურათზე მიმითითა, რომელზეც ორი გოგონა სათამაშო ირემზე შემომსხდარიყო, შემზარავი შესახედაობის შავთვალა სანტა კლაუსი კი ირმის დატოტვილი რქებიდან იცქირებოდა.

– ეს ერთ-ერთი მათგანია. ამერიკაში, საშობაო დღეებში, სავაჭრო ცენტრში აღმოაჩინეს. იქ მუშაობდა და მოახერხა,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მოკლე დროში უამრავ ბავშვთან ჰქონოდა ურთიერთობა – შეხებოდა, გამოეკითხა, უცნაურებისთვის დამახასიათებელი ნიშნები შეემჩნია.

ქალმა ალბომი გადაშალა, რათა სადისტური შესახედაობის კბილის ექიმის ფოტო ეჩვენებინა.

– ეს კი კბილის ექიმი იყო, ქირურგად მუშაობდა. არ გამიკვირდება, თუ გავიგებ, რომ თავის ქალა, რომელიც ხელში უჭირავს, მის რომელიმე უცნაურ მსხვერპლს ეკუთვნოდეს.

მის პერეგრინმა კიდევ ერთი გვერდი გადაშალა. ამჯერად ფოტოზე ჩრდილთან მოკუნტული პატარა გოგონა იყო გამოსახული.

– ეს მარსიაა. მან 30 წლის წინ დაგვტოვა, რომ სოფელში ჩვეულებრივ ადამიანებთან ერთად ეცხოვრა. ვევედრებოდი, დარჩენილიყო, მაგრამ წასვლა მტკიცედ გადაეწყვიტა. ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც სკოლის ავტობუსს ელოდებოდა, *იმგვარმა* ჩაავლო. დანაშაულის ადგილას ფოტოაპარატი აღმოვაჩინეთ, შიგ გაუმჟღავნებელი სურათი იდო.

– ვინ გადაიღო?

– თვითონ *იმგვარმა*. მათ დრამატულობა უყვართ და ჩვენ დასაცინად სამხილებს ტოვებენ ხოლმე.

ფოტოებს ყურადღებით დავაკვირდი და ძრწოლის ნაცნობი შეგრძნება დამეუფლა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ძალიან დავითრგუნე და ალბომი დავხურე.

– ამ ყველაფერს იმიტომ გეუბნებით, რომ უფლება გაქვთ, იცოდეთ, – თქვა მის პერეგრინმა, – თუმცა, თქვენი დახმარებაც მჭირდება. თქვენ ჩვენ შორის ერთადერთი ხართ, ვისაც მარყუჟიდან გასვლა ისე შეუძლია, ეჭვები არ აღძრას. ამიტომ, სანამ ქეირნჰოლმში იქნებით, გთხოვთ, კუნძულზე ახალჩამოსულებს დააკვირდეთ და მათ შესახებ ინფორმაცია მომაწოდოთ. ჩიტების მკვლევარი გამახსენდა, რომელმაც მამაჩემი წყობილებიდან გამოიყვანა.

– ერთი უკვე შემხვდა, – ვუთხარი მის პერეგრინს.

– მისი თვალები თუ დაინახეთ?

– არა. სიბნელე იყო და თან დიდი ქუდი ეხურა, რომელიც ნახევარ სახეს უფარავდა.

მის პერეგრინმა თითზე იკბინა და წარბები შეჭმუხნა.

– გგონიათ, ერთ-ერთი მათგანი იყო?

– დარწმუნებული ვერ ვიქნებით, სანამ თვალებს არ დავინახავთ, მაგრამ შეიძლებოდა ვინმე გამოგყოლოდათ.

– როგორ? *იმგვარს* გულისხმობთ?

– დიახ, ბაბუათქვენის სიკვდილის ღამეს რომ ნახეთ. თუ ეს ასეა, გასაგებია, რატომ ხართ ჯერჯერობით ცოცხალი – თქვენ მათ უფრო მდიდარ საბადოსთან მოიყვანდით – ჩვენთან.

– მაგრამ საიდან მიხვდებოდნენ, უცნაური რომ ვარ? ეს მეც კი არ ვიცოდი!

– თუ ბაბუაშენზე იცოდნენ, მაშინ შენზეც აუცილებლად ეცოდინებოდათ.

იმ ხელსაყრელ შემთხვევებზე დავფიქრდი, რომლებიც მათ ჩემ მოსაკლავად აქამდე მისცემიათ. ბაბუა პორტმანის სიკვდილის შემდეგ ურჩხულების სიახლოვეს რამდენიმე კვირის განმავლობაში ვგრძნობდი. ნუთუ მაკვირდებოდნენ? ელოდნენ, რომ აქ წამოვიდოდი და წამომყვებოდნენ?

თავი მუხლებში ჩავრგე.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ალბათ, ღვინის დალევის ნებას არ მომცემთ, არა? – ვკითხე მის პერეგრინს.

– რა თქმა უნდა, არა.

გულზე მომიჭირა.

– ოდესმე სადმე უსაფრთხოდ ვიქნები? – ვკითხე მას.

მის პერეგრინი მხარზე შემეხო.

– აქ უსაფრთხოდ ხარ და შეგიძლია, იმდენ ხანს იცხოვრო, რამდენ ხანსაც გაგიხარდება.

ვცადე, ხმა ამომეღო, მაგრამ ენა მებმოდა.

– მაგრამ... მე... მე... ჩემი მშობლები...

– მათ უყვარხარ, – თქვა ქალმა, – მაგრამ ვერასოდეს გაგიგებენ.

* * *

ქალაქში რომ ვბრუნდებოდი, მზე ქუჩებს პირველ სხივებს სტყორცნიდა. ღამენათევი ლოთები ლამპიონებს წრეებს უვლიდნენ და სახლებისკენ უხალისოდ მილასლასებდნენ, ფხიზელი მეთევზეები დიდი ზომის შავი რეზინის ჩექმებში წაყოფილ ფეხებს ნავსადგურისკენ მიათრევდნენ, მამაჩემი კი ღრმა ძილიდან ფხიზლდებოდა. თავისი საწოლიდან რომ გადმოიზლაზნა, მე ჩემს საწოლზე მაშინ ავცოცდი და რამდენიმე წამით ადრე, სანამ შესამოწმებლად ოთახის კარს შემომიღებდა, საბანი სილიან ტანსაცმელზე გადავიფარე.

– როგორ ხარ? – მკითხა ჩურჩულით.

ამოვიგმინე და ზურგი ვაქციე. მამა გავიდა. შუადღე გადასული იყო, როდესაც გამომეღვიძა. მისაღები ოთახის მაგიდაზე თანაგრძნობის გამომხატველი წერილი და გრიპის საწინააღმდეგო აბების მთელი შეკვრა დამხვდა. გამეღიმა და მისი მოტყუების გამო თავი დამნაშავედ ვიგრძენი. მერე იმაზე დავდარდიანდი, კონცხზე რვეულისა და ბინოკლის ამარა რომ დაბოდიალობდა და იმ შეშლილ ტიპს ეფეთებოდა ხოლმე, რომელმაც, სავარაუდოდ, ცხვრები გაჟლიტა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თვალები მოვიფშვნიტე და საწვიმარი გადავიცვი. გარეთ გავედი და მთელი ქალაქი შემოვიარე. კლდეებთანაც კი ჩავიარე იმ იმედით, რომ ან მამაჩემს, ან უცნაურ ორნითოლოგს ვნახავდი (მინდოდა, მისთვის თვალებში ჩამეხედა), მაგრამ ვერც ერთი ვერ ვიპოვე. უკვე ბინდდებოდა, როცა დავნებდი და „მღვდლის ორმოში" დავბრუნდი, სადაც ბართან მჯდომი მამაჩემი აღმოვაჩინე. ლუდს რამდენიმე მუდმივ მუშტართან ერთად სვამდა. მათ გარშემო დახვავებული ბოთლებით თუ ვიმსჯელებდით, უკვე კარგა ხანია აქ იყო.

გვერდით მივუჯექი და ვკითხე, წვერიანი მკვლევარი ხომ არ გინახავს-მეთქი. მითხრა, არაო.

– თუ ნახავ, გთხოვ, გაერიდე, კარგი?

მამამ უცნაურად შემომხედა.

– რატომ?

– რაღაც არ მომწონს ეგ ტიპი. შეშლილი რომ აღმოჩნდეს? იქნებ ცხვრები მაგან დახოცა?

– ეს აკვიატებული აზრები საიდან მოგდის?

მინდოდა, სიმართლე მეთქვა, მას კი ჩემთვის გაეგო და მამობრივი რჩევა მოეცა. მინდოდა, ყველაფერი ძველებურად ყოფილიყო, როგორც ჩვენ ჩამოსვლამდე, სანამ მის პერეგრინის წერილს ვიპოვიდი, სანამ მხოლოდ და მხოლოდ ერთი ჩვეულებრივი, ახირებული მდიდარი ბავშვი ვიყავი გარეუბნიდან. ამის მაგივრად კი, მამაჩემის გვერდით ხმაამოუღებლად ვიჯექი და ოთხი კვირის წინანდელ ცხოვრებაზე ვფიქრობდი. მაინტერესებდა, როგორი იქნებოდა ცხოვრება ოთხი კვირის შემდეგ, მაგრამ ამის წარმოდგენა ვერ შევძელი. ბოლოს ბოდიში მოვიხადე და ზედა სართულზე ავედი, რომ ჩემს თავთან მარტო დავრჩენილიყავი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ПЕРВАЯ ГЛАВА

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ამშაბათ ღამით ის, რაც ჩემ შესახებ მეგონა, რომ ვიცოდი, ტყუილი გამოდგა. კვირა დილით მე და მამას ნივთები უნდა ჩაგველაგებინა და შინ დავბრუნებულიყავით. გადაწყვეტილების მისაღებად რამდენიმე დღე მრჩებოდა. დარჩენა თუ წასვლა – არც ერთი არჩევანი არ მომწონდა. როგორ უნდა დავრჩენილიყავი და ყველაფერზე უარი მეთქვა? მაგრამ სიმართლის გაგების შემდეგ შინ როგორღა დავბრუნებულიყავი?

უბედურება ის გახლდათ, რომ ამაზე ვერავის დაველაპარაკებოდი. მამაჩემთან საუბარი გამორიცხული იყო, ემა კი მთელი შემართებით მსჯელობდა, რატომ უნდა დავრჩენილიყავი და საერთოდ არ ახსენებდა იმ ცხოვრებას, რომელზეც უარის თქმა მიწევდა. არც იმაზე ფიქრობდა, რა დაემართებოდათ ჩემს მშობლებს, როდესაც მათი შვილი უეცრად, ყველანაირი ახსნა-განმარტების გარეშე გაუჩინარდებოდა და არც ის ახსოვდა, თვითონვე რომ აღიარა, მგონი, მარყუჟში ვიხუთებიო. მხოლოდ ამას მეუბნებოდა:

– აქ თუ დარჩები, ყველაფერი უკეთ იქნება.

მის პერეგრინი კიდევ უფრო ნაკლებად მეხმარებოდა. მარტო იმას მეუბნებოდა, ასეთ გადაწყვეტილებას შენ მაგივრად ვერ მივიღებო, თუმცა, ეტყობოდა, რომ ჩემი დარჩენა უნდოდა. ამით ხომ დანარჩენი ბავშვების უსაფრთხოებასაც უზრუნველყოფდა. მე დიდად არ მხიბლავდა ის აზრი, რომ მთელი სიცოცხლე სხვების ყარაულობაში უნდა გამელია (ვვარაუდ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ობდი, რომ ბაბუამაც ამ მიზეზით თქვა უარი ომის დამთავრების შემდეგ უკან დაბრუნებაზე).

უცნაურებთან დარჩენა იმასაც ნიშნავდა, რომ ვერც სკოლას დავამთავრებდი, ვერც უნივერსიტეტში ვისწავლიდი და ვერც ზრდასრულობას მოვესწრებოდი, მაგრამ მე ხომ სხვებივით ჩვეულებრივი არ ვიყავი. უსულონი ჩემზე ნადიროობდნენ და ჩემი ცხოვრება მარყუჟის გარეთ აუცილებლად მალე დასრულდებოდა, დარჩენილ დღეებს კი შიშში გავატარებდი. შემეშინდებოდა უკან მოხედვის, კოშმარების და სულ იმის მოლოდინში ვიქნებოდი, რომ ისინი დაბრუნდებოდნენ და ბოლოს მომიღებდნენ.

შემდეგ მესამე გზის არსებობაზე დავფიქრდი. იქნებ ბაბუა პორტმანს დავმსგავსებოდი? მან ხომ 50 წელიწადი მარყუჟის გარეთ გაატარა, მაგრამ საქმესაც თავს ართმევდა და უსულოებსაც წარმატებით იგერიებდა? თუმცა შინაგანი ხმა დამცინავად მპასუხობდა:

სულელო, ის ჯარში გამოიწვრთნა და ცივსისხლიან მეომრად იქცა. სახლში იარაღით გამოტენილი კარადა ედგა. შენთან შედარებით, რემბო იყო.

მაგრამ შემიძლია, სროლის გაკვეთილებზე და კარატეზე ვიარო, ვივარჯიშო.

ხუმრობ, ხომ? სკოლაშიც კი ვერ იცავდი თავს! ის ტიპი მოქრთამე, რომ შენი მცველი ყოფილიყო. ვინმეს რომ ნამდვილი იარაღი მიუშვირო, ჩაიფსამ კიდეც.

არ ჩავიფსამ.

სუსტი ხარ. ყოველთვის ყველაფერში უიღბლო იყავი. ამიტომაც გიმალავდა ბაბუა სიმართლეს. იცოდა, რომ ამას ვერ გაუმკლავდებოდი.

მოკეტე. მოკეტე.

დღეები გადიოდა, მე კი გულში ვბჭობდი და ვბჭობდი. გადაწყვეტილებას ვერ ვიღებდი, თუმცა გამუდმებით ამაზე ვფიქრობდი. ამასობაში კი მამაჩემს წიგნის წერის განწყობა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დაეკარგა. რაც უფრო ცოტას მუშაობდა, მით უფრო უცრუვდებოდა იმედი და რაც უფრო უცრუვდებოდა იმედი, მით უფრო მეტ დროს ატარებდა ბარში. აქამდე არასოდეს მენახა, ამდენი დაელია – ღამეში ექვს, შვიდ კათხას ცლიდა. მე კი გალეშილთან ყოფნა მაღიზიანებდა. მუდმივად მოღუშული იყო. როდესაც ჩუმად არ იჯდა და არ ნაღვლობდა, ისეთ რაღაცებს მეუბნებოდა, რისი მოსმენაც არ მსურდა.

– ერთ დღესაც დედაშენი ჩემგან წავა, – მითხრა ერთხელ, – თუ მალე რაიმე ღირებულს არ გავაკეთებ, მართლა მიმატოვებს.

ვეცადე, გავრიდებოდი და ბარიდან გამოვიპარე. ვერ შენიშნა. ბოლო ხანებში მისი მოტყუება ძალიან მიადვილდებოდა, რაც, ცოტა არ იყოს, მთრგუნავდა კიდეც.

ამასობაში მის პერეგრინმა უჩვეულო ბავშვების სახლი მთლიანად ჩარაზა და სამხედრო წესრიგი დაამყარა: უმცროსი ბავშვები უფროსის ზედამხედველობის გარეშე ვერსად წავიდოდნენ, უფროსები კი სახლს წყვილებად ტოვებდნენ. მის პერეგრინს ყველა მათგანის ადგილმდებარეობა უნდა სცოდნოდა. გარეთ გასვლაზე თანხმობის მიღება საკმაოდ ძნელი გახლდათ.

დაინიშნენ გუშაგები, რომლებიც შესასვლელსა და უკანა ეზოს მორიგეობით დარაჯობდნენ. გამუდმებით ვამჩნევდი ფანჯრებიდან მოჭვრიტინე ბავშვების მოწყენილ სახეებს. თუ შენიშნავდნენ, რომ სახლს ვინმე უახლოვდებოდა, ჯაჭვს გამოქაჩავდნენ, რომელიც მის პერეგრინის ოთახში ზარს რეკავდა. ამის გამო, იქ მისვლისას დირექტორი ყოველთვის კართან მიცდიდა და შეკითხვებს მაყრიდა – მარყუჟის გარეთ რა ხდებოდა, რამე უცნაური ხომ არ შემემჩნია, დარწმუნებული ვიყავი თუ არა, რომ უკან არავინ ამდევნებია...

გასაკვირი არ იყო, ბავშვებმა ჭირვეულობა რომ დაიწყეს. პატარები ბობოქრობდნენ და წუწუნებდნენ, უფროსები კი დადარდიანებულიყვნენ. ხშირად მესმოდა ჰაერიდან წამოსული ოხვრა, რაც იმაზე მიმანიშნებდა, რომ მილარდი ოთახში შემობორიალებულიყო. ჰიუს ფუტკრები აფუთფუთდებოდ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნენ, ბავშვებს დაკბენდნენ და სახლიდან გაფრინდებოდნენ ხოლმე. მერე კი ჰიუ მთელ დღეს ფანჯარასთან იჯდა და მათ მინის მეორე მხრიდან უთვალთვალებდა.

ოლივი, რომელიც იფიცებოდა, ჩემი მძიმე ფეხსაცმელი დავკარგეო, ჭერზე მწერივით დაცოცავდა და ზევიდან ბრინჯის მარცვლებს თავზე აყრიდა ბავშვებს, სანამ ისინი ზევით არ აიხედავდნენ და არ დაინახავდნენ. გოგონა კი კისკისს იწყებდა. გრავიტაციის ძალას ვერ ძლევდა და, ძირს რომ არ ჩამოვარდნილიყო, იძულებული ხდებოდა, ჭაღს ან ფარდის საკიდს ჩაბღაუჭებოდა. ყველაზე უცნაური მაინც ენოქი იყო, რომელიც სარდაფის ლაბორატორიაში გაუჩინარდებოდა ხოლმე და თავის თიხის ჯარისკაცებს ისეთ ექსპერიმენტულ ოპერაციებს უტარებდა, ფრანკენშტეინსაც კი შეაშფოთებდა: ორ ჯარისკაცს ხელებს აჭრიდა, რათა მესამესგან უცნაური ადამიანი-ობობა გაეკეთებინა, ან ერთდროულად ოთხი ქათმის გულს ტენიდა თიხაში დიდი ზომის კაცუნის შესაქმნელად, რომელიც ენერგიისგან არასოდეს დაიშრიტებოდა. ერთმანეთის მიყოლებით ეცლებოდა ხელიდან პატარა, ნაცრისფერი ჯარისკაცები და სარდაფი სამოქალაქო ომის დროინდელ ლაზარეთს ემსგავსებოდა.

თვითონ მის პერეგრინი ერთ ადგილზე არ ჩერდებოდა: გამუდმებით ჩიბუხს ეწეოდა და ბავშვების შესამოწმებლად ოთახებს კოჭლობით მოივლიდა ხოლმე, თითქოს თუ თავის თვალსაწიერში არ ეყოლებოდა, სადღაც გაუჩინარდებოდნენ. მის ავასეტის მდგომარეობა უცვლელი იყო. დროდადრო აპათიიდან გამოდიოდა, მაგრამ მერე კვლავ მთებისკენ გახეტიალდებოდა თავისი საბრალო, მარტო დარჩენილი აღსაზრდელების სახელების ძახილით, სანამ ვინმეს მკლავებში არ ჩაუვარდებოდა და ისევ საწოლში არ დააბრუნებდნენ. სახლში მის ავასეტის ტრაგიკულ განსაცდელსა და უსულოთა მიერ იმბრინების გატაცების მიზეზებზე ბევრს მსჯელობდნენ. დისკუსიები უცნაურ თეორიებს მოიცავდა (ხომ არ სურდათ ისტორიაში ყველაზე დიდი დროისმიერი მარყუჟის შექმნა,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რომელიც მთელ პლანეტას გადაყლაპავდა?) და ზოგჯერ სასაცილოდ ოპტიმისტურ ვარაუდებსაც (იმბრინებს იმისთვის ხომ არ იტაცებდნენ, რომ მარტოსულ უსულოებს კომპანიონები ჰყოლოდათ. ბოროტ ურჩხულად ყოფნა ხომ ხანდახან ძალიან მომაბეზრებელია?!).

ბოლოს სახლში ავადმყოფური სიჩუმე ჩამოწვა. ორდღიანმა პატიმრობამ ყველას საღათას ძილი მოჰგვარა. მის პერეგრინს სჯეროდა, რომ დეპრესიასთან ბრძოლის საუკეთესო ხერხი ბავშვების ყოველდღიური გაკვეთილებით, კერძების მომზადებითა და სახლის დასუფთავებით დაინტერესება იქნებოდა. მაგრამ ბავშვები, დავალების შესრულებისთანავე, ხან სკამებზე მიესვენებოდნენ, ხან ჩარაზული ფანჯრებიდან გულგრილად იცქირებოდნენ, ხან გაცვეთილ წიგნებს ფურცლავდნენ, რომლებიც ასჯერ მაინც წაეკითხათ და ხანაც ეძინათ.

ერთ საღამოს ყვირილის ხმა შემოგვესმა და სხვენზე ავცვივდით, სადაც ჰორასი სახლის საყარაულოდ ასულიყო. ბიჭი სკამზე იჯდა და, თავზარდაცემული, ხელებს ფარჩხავდა. როგორც ჩანს, კოშმარები ესიზმრა. ჯერ გაუთავებლად ყვიროდა, მერე კი ზღვების ადუღებაზე, ზეციდან წამოსულ ფერფლის წვიმასა და დედამიწის კვამლით დაფარვაზე აბუტბუტდა. ამ აპოკალიფსურმა წინასწარმეტყველებებმა ალბათ ძალიან დაქანცა და რამდენიმე წუთში ისევ ჩაეძინა.

სხვებს ეს ყველაფერი მანამდეც ენახათ, თან იმდენად ხშირად, რომ მის პერეგრინის ალბომში ამ ამბის ამსახველი ფოტოებიც კი ინახებოდა. იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ. დირექტორის მითითებით, მკლავებსა და ფეხებში ხელი წაავლეს და საწოლზე გადაიყვანეს. როდესაც რამდენიმე საათის შემდეგ ჰორასს გაეღვიძა, იფიცებოდა, სიზმარი არ მახსოვს, ხოლო ის სიზმრები, რომლებიც არ მახსოვს, იშვიათად რომ ახდესო. ბავშვებმა ადვილად დაუჯერეს, რადგან ისედაც საკმარისზე მეტი სადარდებელი ჰქონდათ. მე კი მივხვდი, რომ ბიჭი ყველაფერს ბოლომდე არ ამბობდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თუ ქეირნჰოლმის მსგავს პატარა ქალაქში ვინმე იკარგება, ეს შეუმჩნეველი არასოდეს რჩება. ამიტომაც ოთხშაბათს, როდესაც მარტინმა მუზეუმი არ გააღო და არც „მღვდლის ორმოს“ ეწვია ჩვეულ დროს, ყველანი დაინტერესდნენ, ცუდად ხომ არ გახდა. კევის ცოლმა მას სახლში მიაკითხა. შესასვლელი კარი ღია დაუხვდა, სათვალე და საფულე – სამზარეულოს ბარზე შემოწყობილი, თვითონ მარტინს კი ვერსად მიაგნო. მეორე დღესაც რომ არ გამოჩნდა, კაცებისგან შემდგარი ჯგუფი გაგზავნეს, რომ ფარდულები და ნავები შეემოწმებინათ. ამ მარტოხელა კაცს, რომელსაც ვისკის დალევა უყვარდა და ღრეობებზე ხშირად უგონოდ მთვრალი ეგდო ხოლმე, ყველგან დაეძებდნენ, სანამ ტელეფონმა არ დარეკა და აცნობეს, რომ მარტინის სხეული მეთევზეებს ოკეანეში ეპოვათ.

მამაჩემთან ერთად ლუდის ბარში ვიყავი, როდესაც ის კაცი შემოვიდა, ვინც მარტინი აღმოაჩინა. ჯერ შუადღეც არ გადასულიყო, მაგრამ კაცმა ლუდი მოითხოვა და რამდენიმე წუთის შემდეგ თავისი ამბავი გვიამბო:

– განეთ პოინტში ვისროლე ბადე, – დაიწყო მან, – რაღაც მძიმეს წამოედო, რაც ძალიან მეუცნაურა, რადგან ძირითადად პატარა თევზებს ვიჭერ ხოლმე. ვიფიქრე, კიბორჩხალების ბუდეს მივაგენი-მეთქი. ჰოდა, ბარჯი ავიღე და ნავის ქვემოთ ჩავუშვი, – ჩვენ ჩვენი სკამებიანად უფრო ახლოს მივჩოჩდით, თითქოს ბაღში ვიყავით და მასწავლებელი ზღაპარს გვიყვებოდა, – ამოვწიე. ვხედავ, მარტინია, ხალათისამარა. ნამდვილად კლდიდან გადმოხტა და ზვიგენებმა მოკლეს. ღმერთმა იცის, რა საქმე ჰქონდა იმ კლდეზე შუაღამისას.

– მოიცა, ტანსაცმელი არ ეცვა? – გააწყვეტინა კევმა.

– არა, აშკარად დასაძინებლად იყო გამზადებული და არა წვიმიან ღამეში სასეირნოდ, – მიუგო მეთევზემ.

მარტინის სულის მოსახსენიებლად მოკლე ლოცვა წაიკითხეს და შემდეგ ერთმანეთისთვის თეორიების გაზიარებას შეუდგნენ. რამდენიმე წუთში კევის ბარი შეზარხოშებული შერლოკ ჰოლმსების გაკვამლულ ბუნაგს დაემსგავსა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– შეიძლება, მთვრალი იყო, – ვარაუდი გამოთქვა ერთმა ტიპმა.

– ან ცხვრების მკვლელი დაინახა და გამოეკიდა, – შეეხმიანა მეორე.

– და იმ ახალ, დაუდეგარ ჯეელზე რას ფიქრობთ, კარავში რომ ცხოვრობს? – იკითხა უცებ მეთევზემ.

მამაჩემი სკამზე გაიმართა და დაეჭვებულმა თქვა:

– ორი დღის წინ შემხვდა.

გაოგნებული მივუტრიალდი.

– ჩემთვის არ გითქვამს.

მამამ ყურადღება არ მომაქცია და განაგრძო:

– ფარმაცევტთან მივდიოდი. მინდოდა, აფთიაქის დაკეტვამდე მიმესწრო და დავინახე, ის ტიპი საპირისპირო მხრიდან მოდიოდა. აშკარად ქალაქის დატოვება სურდა. ძალიან ჩქარობდა. როცა ჩამიარა, განგებ მხარი გავკარი. გაჩერდა და სახე ახლოს მომიტანა. შეეცადა, დავეშინებინე. მე კი ფეხი არ მოვიცვალე და ვკითხე, მაინტერესებს, აქ რას აკეთებ, რაზე მუშაობ, როგორც წესი, ქეირნჰოლმში ადამიანები საკუთარ თავზე ჰყვებიან-მეთქი.

კევი ბარის დახლზე გადმოიხარა.

– მერე?

– აშკარად ძალიან უნდოდა, ჩემთვის ყბაში მოედო, მაგრამ შეტრიალდა და ისე წავიდა, რომ არაფერი უთქვამს.

მამაჩემის ნაამბობმა კითხვები გააჩინა. რას საქმიანობდა ორნითოლოგი? რატომ ცხოვრობდა კარავში? და სხვა ათასი შეკითხვა, რომლებზეც პასუხი უკვე ვიცოდი. მე მხოლოდ ერთი კითხვა მიტრიალებდა თავში და, ბოლოს და ბოლოს, გავბედე მეკითხა:

– მისთვის რაიმე უცნაური ხომ არ შეგინიშნავს?

მამაჩემი ცოტა ხნით ჩაფიქრდა.

– კი. სხვათა შორის... სათვალე ეკეთა.

– ღამით?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ხომ ძალიან უცნაურია?

გამაცია. მამაჩემს მუშტიკრივზე ბევრად უფრო სერიოზული საფრთხე დამუქრებოდა. ეს ამბავი სასწრაფოდ მის პერეგრინისთვის უნდა მეცნობებინა.

– რა სისულელეა, – განაცხადა კევმა, – ქეირნჰოლმში მკვლელობა ასი წელია, არ მომხდარა. ანდა რისთვის უნდა დასჭირვებოდა ვინმეს მოხუცი მარტინის მოკვლა? არ მესმის. აი, ნახავთ, როცა მარტინის გაკვეთის მონაცემები ხელთ გვექნება. ისეთი გალეშილი იქნებოდა, მომავალ საუკუნემდე ვერ გამოფხიზლდებოდა და, ალბათ, მაგიტომ დაემართა.

– მგონი, მაგის გასაგებად დაცდა მოგვიწევს, – მიუგო მეთევზემ, – სინოპტიკოსმა თქვა, ქარიშხალი გვიახლოვდებაო. ყველაზე საშინელი ქარიშხალი ამ ბოლო წლებში.

– ქარიშხალიო?! – ირონიულად ჩაიცინა კევმა, – მაგ ჩურჩუტს არ ვენდობი. დანამდვილებით იმასაც ვერ გეტყვის, ახლა წვიმს თუ არა.

* * *

პესიმიზმისკენ მიდრეკილ კუნძულის მაცხოვრებლებს ძალიან უყვარდათ შავბნელი ამბების წინასწარმეტყველება იმასთან დაკავშირებით, თუ რას უმზადებდა დედაბუნება ქეირნჰოლმს. ბოლოს და ბოლოს, სტიქიურ ძალებს წინ ხომ ვერ აღუდგებოდნენ! თუმცა, ამჯერად მათი საშინელი შიში გამართლდა. წვიმა და ქარი, რომელიც მთელი კვირის განმავლობაში კუნძულს თავს ატყდებოდა, ერთ ღამეს გრიგალში გადაიზარდა. ცა მოიქუფრა და ზღვას ქაფი მოედო. მარტინის მკვლელობისა და ამინდის გაუარესების გამო ქალაქიც ბავშვთა სახლივით ჩაიკეტა. ხალხი სახლებიდან არ გამოდიოდა. ფანჯრებზე დარაბები ჩამოუშვეს და კარები საგულდაგულოდ ჩარაზეს. ნავები ერთად მოექუჩებინათ და საბელებით დაებათ. ნავსადგურიდან არც ერთი მათგანი არ გასულა. ასეთ რისკზე წასვლა თვითმკვლელობას უდრიდა. ვინაიდან

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ცენტრალური კუნძულის პოლიცია მარტინის ცხედარს გამოდარებამდე ვერ წაიღებდა, ქალაქის მაცხოვრებლები დიდი დილემის წინაშე აღმოჩნდნენ – რა უნდა მოეხერხებინათ ცხედრისთვის?! ბოლოს გადაწყვიტეს, ნეშტი თევზით მოვაჭრისთვის მიებარებინათ, რომელიც მას მაღაზიის უკანა ოთახში, თევზთან ერთად ყინულებში შეინახავდა.

მამაჩემმა მკაცრად გამაფრთხილა, „მღვდლის ორმო“ არ დამეტოვებინა, მაგრამ სხვებმაც ასევე გამაფრთხილეს, რომ მის პერეგრინისთვის ნებისმიერი უცნაური მოვლენა შემეტყობინებინა. მარტინის საეჭვო სიკვდილზე უფრო უცნაური კი რაღა უნდა ყოფილიყო! ასე რომ, გავითამაშე, თითქოს გრიპი შემეყარა და ოთახში ჩავიკეტე. შემდეგ საწვიმარი მოვისხი, ფანჯრიდან გადავძვერი და სადრენაჟო მილით დაბლა ჩავცოცდი. ისეთი იდიოტი არავინ იქნებოდა, იმ დროს გარეთ ყოფილიყო. მთავარი ქუჩისკენ გავიქეცი და სულ არ მადარდებდა, ვინმე თუ დამინახავდა.

როგორც კი ბავშვთა სახლს მივაღწიე და მის პერეგრინმა თვალი მომკრა, მაშინვე მიხვდა, რომ რაღაც მომხდარიყო.

– რა ხდება? – მკითხა აღელვებულმა.

მეც ყველაფერი ვუამბე, ყველა ფაქტი და ჭორი ვამცნე, რომელსაც კი ჩემს ყურამდე მოეღწია. გაფითრდა. ხელი ჩამკიდა და სასტუმრო ოთახში შემიყვანა, სადაც აფორიაქებულმა საჩქაროდ შეკრიბა ყველა ბავშვი, ვისი პოვნაც კი მოახერხა. მერე კი გარეთ დანარჩენი აღსაზრდელების მოსაძებნად გავიდა. დანარჩენებიც ადგილზე იყვნენ, აფორიაქებულნი და შეცბუნებულნი.

ემამ და მილარდმა კუთხეში მიმიმწყვდიეს.

– ფრინველს რა დაემართა? – მკითხა მილარდმა.

მათ მარტინის ამბავი გავანდე. მილარდს სუნთქვა შეეკრა, ემამ კი გულხელი დაიკრიფა. დაღონებული ჩანდა.

– ასე ცუდადაა საქმე? – ვკითხე დაეჭვებულმა, – უსულოები ვერ იქნებოდნენ. მათ ხომ მხოლოდ უცნაურები სჭირდებათ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ემამ ამოიოხრა.

– შენ ეტყვი თუ მე ვუთხრა?

– უსულოები უპირატესობას უცნაურებს ანიჭებენ, – ამიხსნა მილარდმა, – მაგრამ თავის გასატანად ყველაფერს მიირთმევენ, რაც ახალია და ხორციანი.

– ასეთი ფაქტების მეშვეობით გვიადვილდება იმის დადგენა, რომ უსულონი სადღაც აქვე ტრიალებენ, – განაგრძო ემამ, – ცხედარი ცხედარს ემატება. ამიტომაა, რომ ისინი, მეტწილად, მომთაბარე ცხოვრებას ეწევიან. ასე რომ არ იყოს, მათ კვალს ადვილად მივაგნებდით.

– რამდენად ხშირად სჭირდებათ? – ვიკითხე და ვიგრძენი, რომ მთელ ტანზე ბუსუსებმა დამაყარა, – ჭამას ვგულისხმობ.

– საკმაოდ ხშირად, – მომიგო მილარდმა, – *იმგვარები* დროის უმეტეს ნაწილს უსულოთათვის საკვების მოძიებას უთმობენ. თუ შესაძლებლობა აქვთ, უცნაურებს იტაცებენ, სხვა შემთხვევაში კი ჩვეულებრივი საკვები მიაქვთ, ადამიანი იქნება ეს თუ ცხოველი: თან ცდილობენ, თავიანთი სასაკლაო დამალონ, – ბიჭი აკადემიური ტონით საუბრობდა, თითქოს მღრღნელების ერთ-ერთი სახეობის ცხოვრების წესს განიხილავდა.

– და მათ რატომ ვერ იჭერენ? – გავიოცე მე, – თუ ადამიანებს ხოცავენ, მაშინ, მგონი...

– ზოგიერთს იჭერენ კიდეც, – მიპასუხა ემამ, – თუ ახალ ამბებს უსმენ, რამდენიმე გეცოდინება კიდეც. ერთი ტიპი იყო, რომელიც ყინულში ადამიანების თავებს ინახავდა. როდესაც დაიჭირეს, ორგანოებით სავსე ქვაბი დაბალ ცეცხლზე შემოედგა, თითქოს საახალწლო სადილს ამზადებდა. წესით, შენს დროში, ეს არცთუ ისე ძველი ამბავი უნდა იყოს.

ბუნდოვნად მომაგონდა ტელევიზიით მოსმენილი, სენსაციად ქცეული ამბავი მილუოკელ კანიბალზე – სერიულ მკვლელზე, რომელიც დაახლოებით მსგავს სიტუაციაში დაიჭირეს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჯეფრი დამერს გულისხმობ?

– ჰო, მგონი, ეგ სახელი ერქვა, – მომიგო მილარდმა, – რა საოცარია! იმის მიუხედავად, რომ უკვე დიდი ხანია, უსულოთა რიგებს აღარ მიეკუთვნებოდა, ახალი ხორცის სიყვარული არ განელებია.

– მეგონა, მომავლის შესახებ არ უნდა გცოდნოდათ.

ემამ გაიღიმა.

– ფრინველი მომავლიდან მხოლოდ კარგ ამბებს გვიმალავს, მაგრამ დამიჯერე, თუ რამე საშინელება მოხდა, აუცილებლად გვეტყვის.

ამ დროს მის პერეგრინი ოთახში შემობრუნდა, თან ენოქსა და ჰორასს მოათრევდა. ყველანი გაჩუმდნენ და შეშფოთებით მიაცქერდნენ.

– ახალ საფრთხეზე მოგვივიდა ხმები, – გამოაცხადა მან და თავი მოწიწებით დამიკრა, – მარყუჟის გარეთ მამაკაცი საეჭვო ვითარებაში დაიღუპა. მიზეზი ზუსტად არ ვიცით და არც ის ვიცით, ჩვენც გვემუქრება თუ არა საფრთხე, მაგრამ ისე უნდა მოვიქცეთ, თითქოს გვემუქრება. სანამ ნებას არ დაგრთავთ, სახლიდან ვერც ერთი ვერ გახვალთ. ბოსტნეულისა და სხვა პროდუქტის მოტანაც გეკრძალებათ.

ყველამ კოლექტიურად ამოიხვნეშა და მის პერეგრინმა ხმას აუწია:

– საკმაოდ მძიმე დღეები გამოვიარეთ, მაგრამ ძალიან გთხოვთ, კიდევ მოითმინოთ!

ბავშვები ხელს იწევდნენ, მაგრამ ქალმა მათ ყურადღება არ მიაქცია და კარის ჩასაკეტად ოთახიდან გავიდა. დაფეთებული გამოვეკიდე. თუ კუნძულზე მართლაც საშიში არსება დაბოგინობდა, როგორც კი მარყუჟის მეორე მხარეს ამოვყოფდი თავს, შეიძლებოდა მაშინვე მოვეკალი, მაგრამ აქ რომ დავრჩენილიყავი, მამაჩემს დაუცველად დავტოვებდი. თანაც, დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემ გაუჩინარებას გადაჰყვებოდა და ეს კიდე უფრო მაშინებდა.

– უნდა წავიდე, – წამოვეწიე მის პერეგრინს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ცარიელ ოთახში შემიყვანა და კარი მიხურა.

– ხმას დაუწიეთ, – მითხრა მკაცრად, – წესებს თქვენც უნდა დაემორჩილოთ. ჩემი ნათქვამი თქვენც გეხებათ. სახლს ვერავინ დატოვებს.

– მაგრამ...

– აქამდე, თქვენი განსაკუთრებული მდგომარეობის გამო, ნებას გრთავდით, თქვენს ნებაზე წასულიყავით და მოსულიყავით, მაგრამ ახლა შეიძლება უკან გამოგყვნენ და ეს ჩემი აღსაზრდელებისთვის სახიფათო იქნება. არ დავუშვებ, რომ ამიერიდან ისინი ან საკუთარი თავი საფრთხეში ჩააგდოთ.

– არ გესმით? – გავბრაზდი უცებ, – ნავებით ვერსად გადიან. ხალხი ქალაქშია ჩარჩენილი. მამაჩემიც. თუ იქ ნამდვილად ცხოვრობს *იმგვარი* და ისაა, ვინც მე მგონია, მას და მამაჩემს უკვე მოუვიდათ უთანხმოება. ხოლო თუ მას უსულოთათვის ლეშის მიტანა ევალება, როგორ გგონიათ, ვინ იქნება შემდეგი?

ქალს სახეზე ნერვი არ შეტოკებია.

– ქალაქის მაცხოვრებლების ბედი მე არ მეხება. აი, ჩემს ბავშვებს კი საფრთხეში არ ჩავაგდებ. არავის გამო.

– იქ მამაჩემია! გგონიათ, ჩარაზული კარი დამაბრკოლებს?!

– ალბათ, არა, მაგრამ თუ ასე დაჟინებით მოითხოვთ წასვლას, მაშინ, გთხოვთ, უკან აღარასოდეს დაბრუნდეთ.

ისე გავოგნდი, უნებურად გამეცინა.

– მაგრამ მე ხომ თქვენ გჭირდებით! – ესღა მივუგე.

– დიახ, ნამდვილად, – მიპასუხა მის პერეგრინმა, – ძალიან გვჭირდებით.

* * *

ემას ოთახში ავიჭერი. იქ ისეთი სასოწარკვეთილება სუფევდა, რომ ნორმან როკუელისეულ[1] ტილოს, სატუსაღოში

[1] ნორმან როკუელი – მე-20 საუკუნის ამერიკელი მხატვარი და ილუსტრატორი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გამომწვდეული ხალხის მძიმე ყოფას მოგაგონებდათ, ასეთი რამ მართლა რომ ჰქონოდა დახატული. ბრონუინი ფანჯრიდან იყურებოდა, ენოქი იატაკზე იჯდა და თიხას ზელდა, ემა კი თავისი ბლოკნოტიდან ფურცლებს ხევდა და, თითებშორის მოქცეულს, ცეცხლის ალში ხვევდა.

– დაბრუნდი?! – მკითხა ნაღვლიანად, როდესაც კარი შევაღე.

– არც წავსულვარ, – მივუგე, – მის პერეგრინი არ მიშვებს. თუ ახლა წავალ, აქ აღარ შემომიშვებს.

ემას ბლოკნოტი აალდა.

– ამის უფლება არა აქვს! – დაიყვირა. ცეცხლისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

– ყველაფრის უფლება აქვს, – შეეპასუხა ბრონუინი, – ის ხომ ფრინველია.

ემამ თავისი წიგნაკი ძირს დააგდო და ცეცხლიც ჩაქრა.

– უბრალოდ, იმის სათქმელად მოვედი, რომ აქედან მივდივარ. პატიმრობას არ ვაპირებ და არც სირაქლემასავით ჩავრგავ სილაში თავს, სანამ მამაჩემი საფრთხეშია.

– მაშინ მეც შენთან ერთად მოვდივარ, – წამოდგა ემა.

– ხუმრობ? – შეშფოთდა ბრონუინი.

– არა.

– სულელი გოგო ხარ, – უთხრა ენოქმა, – მაშინვე დანაოჭებულ მოხუც ქალად გადაიქცევი და რისთვის? მის გამო?

– არ გადავიქცევი. მარყუჟის გარეთ რამდენიმე საათი მაინც უნდა დაჰყო, დრო რომ დაგეწიოს. ჩვენ კი მანამდე მოვასწრებთ. ხომ ასეა, ჯეიკობ?

– ცუდი აზრია, – ვთქვი მე.

– ნუთუ ვერ ხვდები, რის გამო წირავს თავს? – შემომიბღვირა ენოქმა.

– დირექტორს ეს არ მოეწონება, – აღნიშნა ბრონუინმა, – დაგვხოცავს!

ემა ადგა და კარი დაკეტა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არ დაგვხოცავს. ისინი კი ნამდვილად დაგვხოცავენ. თუ არადა გამოკეტილში ცხოვრება სიკვდილზე უარესია. ფრინველმა ყელში ხელი ისე მაგრად მოგვიჭირა, ველარ ვსუნთქავთ და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ გამბედაობა არ ჰყოფნის, მეორე მხარეს მყოფ არსებებს შეებრძოლოს!

– ან იქნებ ისინი არც არიან მარყუჟის მეორე მხარეს, – თქვა უცებ მილარდმა, რომელიც თურმე ოთახში იმყოფებოდა.

– მაგრამ მას ეს არ მოეწონება, – გაიმეორა ბრონუინმა.

ემამ შეუპოვრად გადადგა ნაბიჯი მეგობრისკენ.

– კიდევ რამდენ ხანს უნდა იყო მაგ ქალის კალთას ამოფარებული?

– უკვე დაგავიწყდა, რა დაემართა მის ავასეტს? – ჩაერთო ისევ მილარდი, – როდესაც მარყუჟი დატოვეს, მისი აღსაზრდელები სწორედ მაშინ დაიღუპნენ და მაშინ მოიტაცეს მის ბანთინგი. რომ არ წასულიყვნენ, არც არაფერი მოხდებოდა.

– არაფერი მოხდებოდა? – ემა იქით შეტრიალდა, საიდანაც ხმა მოდიოდა, – მართალია, უსულოები მარყუჟებში ვერ აღწევენ, მაგრამ *იმგვარებს* აქ შემოღწევა შეუძლიათ. სწორედ ამ გზით მოატყუეს ბავშვები და მარყუჟი დაატოვებინეს. რა, ასე გაუნძრევლად ვისხდეთ, სანამ წინა კარიდან მოგვადგებიან? იქნებ ამჯერად გადაცმულები კი არ მოვიდნენ, არამედ პირდაპირ თოფი დაგვიმიზნონ?

– იცი, მე რას ვიზამდი? – თქვა ენოქმა, – დაველოდებოდი, სანამ ყველა დაიძინებდა. მერე კი სანტა კლაუსივით საკვამურში ჩამოვცოცდებოდი და ბრახ! – თითი გამოჰკრა წარმოსახვითი იარაღის სასხლეტს, რომელსაც ემას ბალიშს უმიზნებდა, – ტვინი კედელზე გაიგლისებოდა.

– დიდი მადლობა აზრის მოწოდებისთვის, – მიუგო მილარდმა და ამოიოხრა.

– თავს უნდა დავესხათ, ოღონდ, სანამ გაიგებენ, რომ მათი ადგილსამყოფელი ვიცით, – განაცხადა ემამ, – ამჟამად ის უპირატესობა მაინც გვაქვს, რომ მათი გაოგნება შეგვიძლია.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მაგრამ რეალურად ხომ არ ვიცით, გარეთ არიან თუ არა! – უთხრა მილარდმა.

– ჰოდა გავიგებთ.

– როგორ გაიგებ? იქამდე იხეტიალებ, ვიდრე უსულოს არ შეხვდები? და მერე რას იზამ? ეტყვი, მომიტევეთ, უბრალოდ მაინტერესებდა, რას გვიპირებთ, უნდა შეგვჭამოთ თუ არაო?

– ჯეიკობი გვყავს, – თქვა ბრონუინმა, – ის მათ ხედავს.

ვიგრძენი, როგორ დამეჭიმა ყელის ძარღვები. მივხვდი, რომ თუ ურჩხულებზე ნადირობა გამოცხადდებოდა, ბავშვების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი მე ვიქნებოდი.

– მარტო ერთი მყავს ნანახი, – თავი დავხარე, – ჩემს თავს ექსპერტს ვერ ვუწოდებ.

– და თუ ვერ დაინახავს? – გაისმა მილარდის ხმა, – ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ ან მართლა არ არიან, ან კიდევ იმალებიან. ჩვენ კი კვლავ არაფერი გვეცოდინება.

ყველამ წარბები შეჭმუხნა. მილარდი მართალი იყო.

– როგორც ჩანს, ლოგიკამ მაინც გაიმარჯვა, – თქვა მან, – ახლა კი წავალ და შვრიის ფაფას მივირთმევ. მეამბოხეებო, რომელიმეს ხომ არ გინდათ შემომიერთდეთ?

წამოდგა და საწოლმაც გაიჭრიალა. მილარდი კარისკენ გაემართა, მაგრამ სანამ გავიდოდა, ენოქი ფეხზე წამოხტა და შესძახა:

– მივხვდი!

მილარდი შეჩერდა.

– რას მიხვდი?

ენოქი მე მომიტრიალდა.

– იცი, სად ინახავენ იმ ტიპის ცხედარს, რომლის შიგნეულობაც, სავარაუდოდ, უსულომ შეჭამა?

– თევზით მოვაჭრესთან.

ხელები მოისრისა.

– ჰოდა ვიცი, როგორ დავადგინოთ.

– როგორ? – გაუკვირდა მილარდს.

– მას უნდა ვკითხოთ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

* * *

საექსპედიციო ჯგუფი შეიქმნა: მე, ემა, რომელმაც მტკიცედ იუარა ჩემი მარტო გაშვება, ბრონუინი, რომელსაც გული უსკდებოდა, მის პერეგრინის გაბრაზება რომ ახსენდებოდა, მაგრამ ირწმუნებოდა, მისი მფარველობა გვჭირდებაო და ენოქი, რომლის გეგმის მიხედვითაც უნდა გვემოქმედა. მილარდის უჩინარობა ნამდვილად ძალიან გამოგვადგებოდა, მაგრამ მან წამოსვლაზე უარი განაცხადა და გვაიძულა, მოგვექრთამა, რომ არ ჩავეშვით.

– თუ ყველანი წავალთ, – მსჯელობდა ემა, – ფრინველი ჯეიკობს არ გააგდებს, რადგან ამ შემთხვევაში ოთხივეს გაგდება მოუწევს.

– არ მინდა, რომ გამაგდოს, – დაიწუწუნა ბრონუინმა.

– ნუ გეშინია, უინ. თუ სახლში დაბრუნებას მოვასწრებთ, სანამ ყველა დაიძინებს, შეიძლება ჩვენი წასვლა ვერც შენიშნოს.

ეჭვები მღრღნიდა, მაგრამ დამარწმუნეს, რომ ღირდა, გაგვერისკა.

ეს ყველაფერი ციხიდან გაქცევას ჰგავდა. სადილის შემდეგ, როდესაც სახლში ქაოსი სუფევდა და მის პერეგრინსაც ბევრი საქმე ჰქონდა, ემამ თავი მოიკატუნა, თითქოს მისაღებ ოთახში მიდიოდა, მე კი კაბინეტისკენ გავემართე. ერთმანეთს რამდენიმე წუთის მერე ზედა სართულის დერეფნის ბოლოში შევხვდით, საიდანაც კიბე მაღლა მიუყვებოდა. ემა ზედ აცოცდა და მეც მივყევი. პაწაწინა, ბნელ სხვენში აღმოვჩნდით, საიდანაც სახურავზე ადიოდი.

საღამოთი ჰაერზე გამოვედით. სხვები უკვე გველოდნენ. ბრონუინი ორივეს ისეთი ძალით ჩაგვეხუტა, კინაღამ გაგვჭყლიტა. მერე კი საწვიმრები გამოგვიწოდა, რომლებიც რაღაც მანქანებით ხელში ჩაეგდო. გაფრთხილებული მყავდა, რომ მარყუჟის გარეთ ქარიშხალი გველოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

პირი გავაღე იმის საკითხავად, დაბლა ჩასვლას როგორ ვა-პირებდით, რომ უცებ ჰაერში მოლივლივე ოლივი დავინახე. სახურავზე ამოსრიალდა.

– აბა, ვის უნდა პარაშუტობანა? – თქვა და სახე გაებად-რა. ფეხშიშველი იყო და წელზე თოკი შემოეხვია. სახურავი-დან გადავიხედე და ფანჯრიდან გადმოყუდებული ფიონა შევ-ნიშნე, რომელსაც თოკი ეჭირა. გაღიმებულმა ხელი დამიქნია. როგორც ჩანს, თანამზრახველები გამოგვიჩნდნენ.

– ჯერ შენ, – შემომიღრინა ენოქმა.

– მე? – ვიკითხე და სახურავის კიდიდან უკან დავიხიე.

– ოლივს მოეჭიდე და გადახტი, – თქვა ემამ.

– რაღაც არ მახსოვს, რომ, ჩვენს გეგმაში მენჯის ძვლის მოტეხა შედიოდა.

– არაფერს მოიტეხ, ჩურჩუტო, თუ ოლივს კარგად მოეჭ-იდები. ეს ძალიან სახალისოა. ხშირად ვაკეთებთ ხოლმე, – მე-რე ცოტა ხნით დაფიქრდა, – უფრო სწორად, ერთხელ გაგვი-კეთებია.

სხვა არჩევანი არ მქონდა. ამიტომ ღრმად ჩავისუნთქე და სახურავის კიდეს მივუახლოვდი.

– ნუ გეშინია, – მითხრა ოლივმა.

– შენთვის მაგის თქმა ადვილია. ძირს არ ჩავარდები.

ხელები გამომიწოდა და ჩამეხუტა. მეც მოვეხვიე.

– კარგი, წავედით.

შეშინებულმა თვალები დავხუჭე, თუმცა, ნაცვლად იმისა, რომ ჩავვარდნილიყავი, ჰელიუმისგან დაცლილი ბუშტებივით ნელ-ნელა დავეშვით მიწაზე.

– მშვენიერი იყო, –დაიჩურჩულა ოლივმა, – ახლა კი ხელი გამიშვი!

მოვშორდი და ისიც დიდი სისწრაფით მაღლა აიჭრა. თან იცინოდა. სხვებმა მისი გაჩუმება სცადეს. შემდეგ კი რიგრი-გობით ჩაეხუტნენ და ძირს ჩამოფრინდნენ. როდესაც ოთხივე მოვგროვდით, მთვარით განათებული ტყისკენ გავემართეთ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უკან მოვიტოვეთ ფიონა და ოლივი, რომლებიც კარგა ხანს გვიქნევდნენ ხელს. მეჩვენებოდა, თითქოს ბუჩქებისგან გაკეთებული ფიგურებიც გვემშვიდობებოდნენ, ადამი კი სევდიანად გვილიმოდა.

* * *

ჭაობთან სულის მოსათქმელად რომ შევჩერდით, ენოქმა ლაბადიდან ქსოვილში გახვეული ფუთები გამოაძვრინა და გამოგვიწოდა.

– აჰა, აიღეთ. არ ვაპირებ, ყველაფერი მარტომ ვატარო.

– ეს რა არის? – იკითხა ბრონუინმა და ფუთა გახსნა. ხორცის ნაჭერი გამოჩნდა, რომელშიც პატარა მილები იყო გაჩრილი, – ფუ, ყარს! – იკივლა და გვერდით გასწია.

– დაწყნარდი, ცხვრის გულია, – მიუგო ენოქმა და დაახლოებით იმავე მოცულობის ფუთა შემომაჩეჩა. ფუთას საზიზღარი სუნი ასდიოდა და, იმის მიუხედავად, რომ ქსოვილში გაეხვიათ, მაინც სინოტივის შეგრძნებას ტოვებდა.

– თუ ამის ტარება მომიწევს, ცხოვრებაში საჭმელს ველარ გავეკარები, – თქვა ბრონუინმა.

– კი, როგორ არა, – ჩაიბურტყუნა ენოქმა. შეურაცხყოფილი ჩანდა, – ლაბადაში გაახვიე და გზა განვაგრძოთ.

ჭაობის გაყოლებაზე მყარი მიწის ზოლს გავუყევით. ეს გზა იმდენჯერ მქონდა გავლილი, რომ უკვე დამვიწყებოდა, რაოდენ საშიში გახლდათ ჭაობი და საუკუნეების განმავლობაში რამდენი სიცოცხლე შთაენთქა. აკლდამასთან მიახლოებისას დანარჩენებს ვთხოვე, საწვიმრები შეეკრათ.

– ვინმე რომ შეგვხვდეს? – ანერვიულდა ენოქი.

– ჩვეულებრივად მოიქეცით, – მივუგე, – ვეტყვი, რომ ჩემი ამერიკელი მეგობრები ხართ.

– *იმგვარს* თუ გადავაწყდით? – შეშფოთდა ბრონუინი.

– გაიქეცით.

– და თუ ჯეიკობმა უსულო დაინახა?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მაგ შემთხვევაში, – თქვა ემამ, – ისე გაიქეცით, თითქოს უკან ეშმაკი მოგდევდეთ.

აკლდამაში რიგრიგობით, თავდახრილები შევძვერით და ზაფხულის მშვიდი საღამო უკან მოვიტოვეთ. გვირაბის ბოლოს წნევა შეიცვალა, ტემპერატურამ რამდენიმე გრადუსით დაიწია და ჩვენც ქარიშხლით გამოწვეული ხმაური შემოგვესმა. ერთხანს დაბნეულები ვიდექით და ვუსმენდით, როგორ ღმუოდა და ბობოქრობდა ქარიშხალი აკლდამის მიღმა. დამწყვდეული ნადირის ხმას ჰგავდა, რომლისთვისაც სადილი მხოლოდ შორიდან ეჩვენებინათ. სხვა გზა არ გვქონდა, როგორმე უნდა გავმკლავებოდით.

მუხლებზე დავეცით და შავად მაცქერალი ხვრელისკენ გავფოფხდით. ვარსკვლავები ღრუბლებს ამოფარებოდნენ. თავსხმა წვიმა და სუსხიანი ქარი საწვიმარს შიგნით შემოღწევას ლამობდა, ყოველი გაელვება ჩვენს სახეებს თვალისმომჭრელ სითეთრეში ხვევდა. ემა ცეცხლის გაჩენას შეეცადა, მაგრამ, გაფუჭებული სანთებელასი არ იყოს, ყოველი ნაპერწკალი მანამდე ქრებოდა, სანამ ალი მოედებოდა. ამიტომ ლაბადების საყელოები ავიწიეთ და წახრილებმა მოდიდებული ჭაობიდან გამოვაღწიეთ, რომელიც ჩვენს შთანთქმას ლამობდა. გზა არა იმდენად მხედველობის, რამდენადაც მეხსიერების იმედად განვაგრძეთ.

ქალაქში ყველა კოტეჯის კარსა თუ ფანჯარასთან წვიმას დასარტყამი ინსტრუმენტების კონცერტი გაემართა. ხალხი სახლებში გამოკეტილიყო და ჩვენც დატბორილ ქუჩებში შეუმჩნევლად გავიქეცით. ქარის მიერ ჩამოყრილ, დამსხვრეულ კრამიტს გვერდი ავუარეთ, წვიმისგან დაბრმავებულ და გზააბნეულ ცხვარს ჩავუქროლეთ, ფაცხასაც ჩავურბინეთ და თევზეულობის მაღაზიას მივადექით. კარი ჩაკეტილი დაგვიხვდა, მაგრამ ბრონუინის ორი დარტყმა და კარიც გაიღო. ემამ ქურთუკზე ხელი გაიმშრალა და, ბოლოს და ბოლოს, ცეცხლის გაჩენა მოახერხა. თვალებგაფართოებული ზუთხი მოგვჩე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რებოდა. ყველანი მაღაზიაში შევიყვანე, დახლს შემოვატარე, სადაც დილანი დღის უმეტეს ნაწილს თევზის ფატვრასა და ბუზღუნში ატარებდა და ჟანგმოკიდებული კარისკენ გავწიეთ. შიგნით პატარა ყინულის სასახლე იყო, მტვრითა და ჭუჭყით მოთხვრილი იატაკითა და თუნუქის ჭერით. კედლები უხეშად გამოჭრილი ხის ფიცრებისგან შეეკრათ, რომელთა გაფუჭებული კბილების მსგავსი ღრიჭოებიდან წყალი წვეთავდა. ოთახში ყინულით სავსე, მართკუთხედი ფორმის 12 გობი იდგა.

– რომელშია? – მკითხა ენოქმა.

– არ ვიცი, – მხრები ავიჩეჩე.

ემა იქაურობას გვინათებდა, სანამ ჩვენ გობებს შორის გზას მივიკვლევდით და ვცდილობდით, გამოგვეცნო, რომელ მათგანში ინახებოდა მარტინის ცხედარი. ყველა ერთნაირად გამოიყურებოდა – ეს გახლდათ ყინულის უთავსახურო კუბოები. სხვა გამოსავალი არ იყო – თითოეული უნდა გაგვეჩხრიკა.

– ამას ვერ ვიზამ, – განაცხადა ბრონუინმა, – მკვდრის ნახვა არ შემიძლია.

– არც მე, მაგრამ სხვა გზა არა გვაქვს, – გამოეპასუხა ემა, – აქ ყველანი საერთო საქმისთვის მოვედით.

ოთხივემ თითო გობი ამოვირჩიეთ და ძებნას შევუდექით. ყინულს მუჭებით ვიღებდით და ძირს ვყრიდით. მე ჩემი გობის ნახევარი უკვე დაცარიელებული მქონდა და ხელებში მგრძნობელობა მერთმეოდა, როდესაც ბრონუინმა შეჰკივლა. შემოვტრიალდი და შევამჩნიე, პირზე ხელებაფარებულმა უკან როგორ დაიხია.

ყველანი გარს შემოვეხვიეთ და ყინულიდან გამოშვერილი, გაქვავებული, ბანჯგვლიანი ხელი დავინახეთ.

– მგონი, ვიპოვეთ, – თქვა ენოქმა. სანამ ჩვენ ხელს მივჩერებოდით, მან სხეულს ყინული მოაშორა და ჯერ ერთი მკლავი გამოაჩინა, შემდეგ კი მთლიანად დაფლეთილი სხეული.

საზარელი სანახავი იყო. კიდურები არაბუნებრივად დაჰგრეხოდა. მუცელი გამოეფატრათ და დაეცარიელებინათ. ახ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლა ორგანოების ადგილს ყინული იკავებდა. როდესაც სახე გამოჩნდა, ყველას სუნთქვა შეგვეკრა. ნახევარი სახე იასამნისფრად შეფერილი და დაფლეთილი ჰქონდა, თითქოს დანაკუწებული ნიღაბი ეკეთა, მეორე ნახევარი კი არც ისე დაზიანებულიყო და მისი ვინაობის დადგენაც შესაძლებელი გახლდათ. ყბა წვერით შეღინღვლოდა და მწვანეფერგადაკრული ცალი თვალით სივრცეში იყურებოდა. საცვალი და ნაგლეჯებად ქცეული ხალათი ეცვა. ბუნებრივია, ამგვარად ჩაცმული, ისიც ღამით, არაფრის დიდებით არ წავიდოდა კლდეებისკენ. იქ აშკარად ვიღაცის ან რაღაცის წყალობით აღმოჩნდა.

– მთელი თითქმის არაფერი შერჩენია, – დაეჭვდა ენოქი და მარტინის თვალით ზომვა დაიწყო, როგორც ქირურგებმა იციან ხოლმე, როდესაც უიმედო პაციენტს მიუყვანენ, – შეიძლება, არაფერი გამოგვივიდეს.

– მაინც უნდა ვცადოთ, – მიუგო ბრონუინმა და ჩვენთან ერთად გობისკენ მამაცური ნაბიჯით დაიძრა, – ამხელა გზა გამოვიარეთ და სხვაგვარად ვერ მოვიქცევით.

ენოქმა ლაბადა შეიხსნა და შიდა ჯიბიდან ნაჭერში გახვეული გული ამოიღო, რომელიც ქეჩერის[1] ამოტრიალებულ მუქშინდისფერ ხელთათმანს მოგაგონებდათ.

– თუ გაიღვიძებს, – გადმოგვხედა ენოქმა, – ბედნიერი ნამდვილად არ იქნება. ასე რომ, უკან დაიხიეთ და მერე არ მითხრათ, არ გაგვაფრთხილეო. მოშორებით დავდექით. ენოქი კი გობს მიუახლოვდა და ხელი მარტინის მკერდის ღრუში დაგროვილ ყინულის გროვას დაადო. მაჯას წრიულად ატრიალებდა, თითქოს საყინულეში გაზიანი სასმლის ქილას დაეძებდა. როგორც ჩანს, რამდენიმე წამის შემდეგ იპოვა, რასაც ეძებდა და მეორე ხელი, რომლითაც ცხვრის გული ეჭირა, თავზემოთ ასწია.

---

[1] ქეჩერი – ბეისბოლის მოთამაშე, რომლის ერთ-ერთ მოვალეობასაც ტყავის მასიური ხელთათმანით თანაგუნდელის (პიჩერი) მიერ ჩაწოდებული ბურთის დაჭერა წარმოადგენს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სხეულში კრუნჩხვამ დაუარა, ხოლო ცხვრის გულმა ფეთქვა დაიწყო. სისხლის წვეთები გარეთ ჟონავდა. ენოქმა სწრაფად დაიწყო სუნთქვა. ეტყობოდა, ყურადღების მოკრებას ცდილობდა. მარტინის სხეულს გავხედე, მაგრამ მას სიცოცხლის ნიშან-წყალიც არ ეტყობოდა.

თანდათან ენოქის ხელში მოქცეულმა გულმა ფეთქვა შეანელა, შეიკუმშა და მოშავო-მორუხო ფერი დაედო. ენოქმა ის იატაკზე მოისროლა და ცარიელი ხელი მე გამომიწოდა. ჩემს ჯიბეში მოთავსებული გული მივაწოდე. ენოქმა იგივე გაიმეორა. გული კვლავ ძგერდა და სისხლიც ჟონავდა, მაგრამ მერე ისიც წინას მსგავსად გაჩერდა. ემას მიწოდებული გულის შემთხვევაშიც იგივე განმეორდა.

მხოლოდ ბრონუინის გული დარჩენილიყო – ენოქის უკანასკნელი იმედი. სახე დაეძაბა, როდესაც გული მაღლა ასწია და ხელი ისე მოუჭირა, თითქოს სურდა, შიგ თითები ჩაერჭო. როდესაც გულმა დაქოქილი ძრავასავით ცახცახი დაიწყო, ენოქმა იყვირა:

– აღსდექი, მიცვალებულო, აღსდექი!

მოძრაობა შევნიშნე. ყინულში რაღაც ირხეოდა. კარგა ხანს არაფერი მომხდარა, მაგრამ შემდეგ გვამი მოულოდნელად ისეთი ინერციით წამოიმართა, კაცი იფიქრებდა, სხეულში ათასვოლტიანი დენი გაუტარესო. ემამ შეჰკივლა და ყველანი უკან გავხტით. ხელები სახიდან მოვიშორე, რომ შემეხედა. მარტინი კატარაქტიან თვალს გიჟივით აქეთ-იქით აცეცებდა, სანამ ჩემზე არ შეაჩერა.

– გხედავს! – შესძახა ენოქმა.

წინ გადავიხარე. მიცვალებული საშინლად ყარდა. მისი დაზიანებული და გალურჯებული ხელიდან ყინული ჩამოცვივდა. მერე მაღლა აღმართული ხელი აუცახცახდა და ჩემსაზე დაესვენა. თავს შევებრძოლე, რომ არ მომეშორებინა.

ტუჩები გააპო და დაღებული ყბა უცნაურად ჩამოეკიდა. მის მოსასმენად დავიხარე, მაგრამ ვერაფერი გავიგონე. „რა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თქმა უნდა, ფილტვები ხომ დახეთქილი აქვს!“ – გამიელვა უცებ. თუმცა უეცრად ჩურჩული მომესმა და ყური ლამის მის გათოშილ ტუჩებს მივადე. გამახსენდა, რომ თუ ჩემი სახლის საწვიმარ მილს ყურს მიაჭერდი და ცოტა ხანს დაელოდებოდი, მიწისქვეშეთის ხმაურს გაიგონებდი, რომელიც მაშინ ჩაიმარხა, როდესაც ქალაქი აშენდა; მაგრამ ის მაინც არსებობდა, სამუდამო წყვდიადის სამყაროში გამოკეტილი.

სხვები ჩემ გარშემო შემოიკრიბნენ, მაგრამ მიცვალებულის მარტო მე მესმოდა. მან ჯერ სახელით მომმართა.

– ჯეიკობ.

შიშმა დამიარა.

– დიახ.

– მკვდარი ვიყავი, – თქვა მძიმედ და მაშინვე შეასწორა, – მკვდარი ვარ.

– მითხარით, რა მოხდა, – ვთხოვე მე, – გახსოვთ?

ცოტა ხანს შეჩერდა. მორღვეულ კედლებში ქარის სტვენა ატანდა. მერე რაღაც თქვა, მაგრამ ვერ გავიგონე.

– გაიმეორეთ. გთხოვთ, მარტინ.

– მან მომკლა, – დაიჩურჩულა მიცვალებულმა.

– ვინ?

– ჩემმა მოხუცმა.

– ოგის გულისხმობთ? ბიძათქვენს?

– ჩემს მოხუც კაცს, – გაიმეორა, – გაიზარდა და გაძლიერდა. ისეთი ღონიერი გახდა, რომ...

– ეს ვინ გააკეთა, მარტინ?

თვალები დახუჭა და შემეშინდა, რომ სამუდამოდ გაჩუმდებოდა. ენოქს გავხედე. მან თავი დამიქნია. მის ხელში გული ჯერ კიდევ ფეთქავდა.

მარტინის ჩამოშვებული ქუთუთოს მიღმა თვალი ფეთქავდა. მერე ისევ დაიწყო ლაპარაკი – ნელა, მაგრამ თანმიმდევრულად, თითქოს ციტირებდა:

– დედამიწის საშვილოსნოში

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ემბრიონივით მოკუნტულს ეძინა,
თაობები კი იცვლებოდა.
მისი სხეულით იკვებებოდნენ მცენარის ფესვები,
უკუნეთში ლპებოდა
ზაფხულის დავიწყებული მოსავალი,
სანამ გლეხის ბარმა, ამ მოუხეშავმა ბებიაქალმა,
იგი მიწაზე არ შობა,
როგორც მისთვის ჯერ კიდევ უცნობი ნაყოფი.

მარტინი შეჩერდა, ტუჩები აუთრთოლდა. ამ მცირე პაუზის დროს ემამ შემომხედა და მკითხა:

– რას ამბობს?

– არ ვიცი, – მივუგე, – მაგრამ ლექსს ჰგავს.

მარტინმა განაგრძო. ხმა უკანკალებდა, მაგრამ უკვე საკმაოდ ხმამაღლა ლაპარაკობდა და ყველას ესმოდა.

– აგერ, იხილეთ კუპრისფერი გვამი კაცისა!
მშვიდად განისვენებს;
ჭვარტლისფერია მისი სახე და
სათუთია მისი ნაკვთები.
დამჭკნარი კიდურები
ქვანახშირს მიუგავს,
ტერფები კი ზღვის მიერ
გამორიყულ ნაფოტებს,
რომლებიც ზედ უსიცოცხლოდ ჩამოკიდებია
გამხმარი ყურძნის მარცვლებივით...

როგორც იქნა, მეცნო. ის ლექსი იყო, ჭაობში ნაპოვნ ბიჭზე რომ დაწერა.

– ოჰ, ჯეიკობ, ნეტავი, იცოდე, რა კარგად ვუვლიდი! – შემომჩივლა მიცვალებულმა, – მინას ვუწმენდდი, ნიადაგს ვუცვლიდი, ისე ვზრუნავდი, თითქოს ჩემი ჭირვეული შვილი ყოფილიყოს. ვუვლიდი, მაგრამ... – ლოყაზე ცრემლი ჩამოუგორდა, – მაგრამ მან მე მომკლა.

– ვის გულისხმობთ, ქეირნჰოლმის უძველეს ადამიანს?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– უკან გამგზავნეთ, – შეგვევედრა, – ეს ყველაფერი ძალიან მტკივნეულია, – ხმა თანდათან ილეოდა.

ენოქს შევხედე და ვანიშნე, დამხმარებოდა. გულს კიდევ უფრო მოუჭირა და თავი გააქნია.

– სწრაფად, ძმაო.

უცებ რაღაცას მივხვდი. იმის მიუხედავად, რომ მარტინი ჭაობში ნაპოვნ ბიჭს აღწერდა, ის მას სულაც არ მოუკლავს. *დანარჩენები მათ მხოლოდ მაშინ ვხედავთ, როდესაც ჭამენ,* – მითხრა უფრო ადრე მის პერეგრინმა, – *ანუ მაშინ, როდესაც უკვე ძალიან გვიანია.* მარტინი უსულოს ღამით, წვიმაში გადაეყარა და ის თავისი ძვირფასი ექსპონატი ეგონა.

შიშისგან მუცელი ამიდუღდა. სხვებს მივუტრიალდი:

– ეს უსულომ გააკეთა. ნამდვილად კუნძულზეა.

– ჰკითხე, სადაა, – მითხრა ენოქმა.

– მარტინ, სად შეხვდით? – მივუბრუნდი ისევ მიცვალებულს, – უნდა გავიგო, სად ნახეთ?

– გთხოვ. ძალიან მტკივა.

– სად ნახეთ?

– კარზე მომადგა.

– მოხუცი კაცი?

სუნთქვა შეუგუბდა. ძნელი იყო, მისთვის თვალი გამესწორებინა, მაგრამ თავი ვაიძულე და მის მზერას თვალი გავაყოლე. ჩემ უკან რაღაცას მიშტერებოდა.

– არა, – თქვა მან, – აი, ის!

უცებ თავზე სინათლე გადაგვევლო და ვიღაცამ ბრაზიანად დაიღრინა:

– აქ ვინ არის?

ემამ ხელი მომუჭა და ცეცხლი აალდა. კარში მამაკაცი გამოჩნდა, რომელსაც ცალ ხელში ფარანი, მეორეში კი პისტოლეტი ეჭირა.

ენოქი და ბრონუინი გობის წინ დადგნენ, მარტინს რომ აფარებოდნენ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– აქ შემოპარვა არ გვინდოდა, – თქვა ბრონუინმა, – უკვე წასვლას ვაპირებდით, მართლა!

– ადგილიდან ფეხი არ მოიცვალოთ! – იყვირა მამაკაცმა. უაქცენტოდ ლაპარაკობდა. თვალისმომჭრელი სინათლის გამო მისი სახე ვერ გავარჩიე, მაგრამ ერთმანეთზე გადაცმული ჯემპრები იმაზე მიანიშნებდა, რომ ჩვენ წინ ორნითოლოგი იდგა.

– ბატონო, მთელი დღეა, არაფერი გვიჭამია, – თავი მოისაწყლა ენოქმა, რომელიც პირველად ლაპარაკობდა 12 წლის ბავშვივით, – აქ მხოლოდ ერთი-ორი თევზის წასაღებად მოვედით. გეფიცებით!

– მართლა? როგორც ჩანს, ერთი უკვე აგირჩევიათ. ვნახოთ, აბა, როგორი ამოარჩიეთ, – ფარანს აქეთ-იქით ანათებდა, – გაიწიეთ!

ასეც მოვიქეცით. შუქი მარტინის სხეულს დაეცა.

– ღმერთო, რა უცნაური შესახედაობა აქვს ამ თევზს, არა? – თქვა აუღელვებლად, – ალბათ სულ ახალთახალია. ჯერ კიდევ ფართხალებს! – მარტინმა თვალი ამოატრიალა და ტუჩები აამოძრავა, თუმცა ხმა არ ამოსვლია. ეს მხოლოდ რეფლექსი იყო, რადგან ენოქის მიერ მისთვის მინიჭებული სასიცოცხლო ძალები უკვე ტოვებდა.

– ვინ ხარ? – მოითხოვა პასუხი ბრონუინმა.

– გააჩნია, ვის ეკითხები, – მიუგო კაცმა, – თუმცა ამას მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, რომ მე ვიცი, თქვენ ვინ ხართ, – ფანარი თითოეულს ცალ-ცალკე მოგვანათა. ისე საუბრობდა, თითქოს ჩვენ შესახებ რაღაც საიდუმლო საბუთებს კითხულობდა, – ემა ბლუმი, ნაპერწკლის გამჩენი. როდესაც ის ცირკს ვერ მიჰყიდეს, მშობლებმა მისი მიტოვება გადაწყვიტეს. ბრონუინ ბრანტლი, გამანადგურებელი, სისხლის მოყვარული. თავისი შესაძლებლობების შესახებ არაფერი იცოდა, სანამ ერთ ღამეს მამინაცვალს კისერი არ მოუგრიხა. ენოქ ო'კონორი, მიცვალებულთა გამცოცხლებელი. დაიბადა დამკრძალავი ბიუროს მეპატრონეთა ოჯახში. ოჯახს ვერ გაეგო,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

როგორ ახერხებდნენ მათი კლიენტები საფლავების დატოვებას, – დავინახე, როგორ შეიჭმუხნა თითოეული მათგანი. შემდეგ მამაკაცმა შუქი მე მომანათა, – და ჯეიკობი. ამ ბოლო დროს რა უცნაური ხალხის გარემოცვაში ხარ ხოლმე!

– ჩემი სახელი საიდან იცით?

ჩაახველა და შემდეგ სრულიად შეცვლილი ხმით დაიწყო:

– ასე ადვილად დაგავიწყდი? – თქვა ნიუ ინგლენდისთვის დამახასიათებელი აქცენტით, – თუმცა რა გემახსოვრება! მე ხომ მხოლოდ ავტობუსის საბრალო მძღოლი ვარ.

შეუძლებელი ჩანდა, მაგრამ ეს კაცი მისტერ ბარონს ბაძავდა, რამდენიმე წლის წინ ჩვენი სკოლის ავტობუსის მძღოლად რომ მუშაობდა. ის ისეთი საზიზღარი კაცი იყო, ისეთი აუტანელი ხასიათის, რომ მერვე კლასში, ბოლო დღეს, სკოლის წიგნაკიდან ამოჭრილ მის პორტრეტში სტეპლერის ტყვიები ჩავარჭეთ და საზურგეზე გავუკარით. გამახსენდა, რას მეუბნებოდა ხოლმე ყოველდღე, როდესაც ავტობუსიდან ჩავდიოდი:

– ბოლო გაჩერება, პორტმან!

– მისტერ ბარონ? – ვიკითხე დაეჭვებულმა და შევეცადე, შუქის ციალში მისი სახე გამერჩია.

კაცმა გაიცინა და ჩაახველა. მისი აქცენტი კვლავ შეიცვალა.

– შეიძლება, მებაღე ვარ, – თქვა ახლა უკვე ფლორიდული აქცენტით, – თქვენს ბუჩქებს ხელის შევლება სჭირდება. კარგ ფასად გაგიკრეჭთ! – ეს იმ კაცის ხმა იყო, რომელიც წლების განმავლობაში ჩვენს გაზონს უვლიდა და აუზს წმენდდა.

– ამას როგორ აკეთებთ? – შევშფოთდი, – ამ ხალხს საიდან იცნობთ?

– მე ვარ ეს ხალხი, – თქვა მან ისევ უაქცენტოდ. ირონიულად იცინოდა, მე კი დაბნეული და თავზარდაცემული ვიდექი.

უცებ გამახსენდა, რომ მისტერ ბარონის თვალები არასდროს მენახა. ყოველთვის დიდ, მოხუცი კაცის სათვალეს ატარებდა, რომელიც ნახევარ სახეს უფარავდა. მებაღესაც სათვალე ეკეთა ხოლმე და ფართოფარფლებიანი ქუდი ეხურა. ნეტავი, კიდევ ვისი იერსახე მიეღო ამ ქამელეონს?!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რა ხდება? – იკითხა ემამ, – ეს კაცი ვინაა?

– მოკეტე! – ნერვები მოეშალა კაცს, – შენი დროც მოვა!

– სულ მაკვირდებოდი, – ვთქვი მე, – ის ცხვრებიც შენ დახოცე და მარტინიც შენ მოკალი.

– ვინ, მე?! – შეიცხადა გულუბრყვილოდ, – მე არავინ მომიკლავს.

– *იმგვარი* ხარ!

– ასე ისინი გეუბნებიან.

ვერაფერი გამეგო. მებაღე იმ დღის მერე არ მენახა, რაც დედაჩემმა სამი წლის წინ სხვა მებაღით შეცვალა, მისტერ ბარონი კი ჩემი ცხოვრებიდან ორი წლის წინ აორთქლდა. მაშ ვინღა დამდევდა?! – როგორ მიპოვე?

– რაო, ჯეიკობ? – ხმა კვლავ შეეცვალა, – შენ თვითონ არ მითხარი, სად იქნებოდი?! რასაკვირველია, საიდუმლოდ, – ამჯერად ცენტრალური ამერიკის მკვიდრისთვის დამახასიათებელი მსუბუქი და განათლებული კაცის მანერით ლაპარაკობდა. ფარანი მაღლა მიანათა და სახეზე შუქი მოეფინა.

ახლა უკვე მის ვინაობაში ეჭვი აღარ მეპარებოდა.

– ექიმო გოლან, – დავიჩურჩულე. ჩემი ხმა წვიმის წკარუნმა გადაფარა.

რამდენიმე დღის წინანდელი სატელეფონო საუბარი გამახსენდა. ხმაური რომ შემომესმა, მითხრა, აეროპორტში ვარო. სინამდვილეში კი მე მომყვებოდა.

მარტინის გობისკენ დავიხიე. სხეული მომიდუნდა.

– მეზობელი, – დავიწყე ხმადაბლა, – ის მოხუცი კაციც შენ იყავი, ბაბუაჩემის სიკვდილის დღეს ბაღს რომ რწყავდა!

გაიღიმა.

– მაგრამ შენი თვალები.

– კონტაქტური ლინზები, – ლინზა ცერა თითით ამოიღო და თვალის თეთრი სფერო გამოაჩინა, – დღეს ყველაფრის გაყალბება შეიძლება! მოდი, შეკითხვებზე წინასწარ გიპასუხებ და გეტყვი, რომ დიახ, თერაპევტის ლიცენზია მაქვს. ძალიან

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დიდი ხანია, ჩვეულებრივი ადამიანების გონება ჩემს განცვიფრებას იწვევს და არა, არ მიმაჩნია, რომ რადგან ჩვენი სეანსები ტყუილს ეფუძნებოდა, დროის ფუჭი კარგვა იყო. პირიქით, შემიძლია, შენი დახმარება განვაგრძო. უფრო სწორად, ჩვენ შეგვიძლია, ერთმანეთს დავეხმაროთ.

– გთხოვ, ჯეიკობ, – მომმართა ემამ, – არ მოუსმინო!

– ნუ იდარდებ, ერთხელ უკვე მივენდე. მეორედ ასეთ სისულელეს აღარ ჩავიდენ.

გოლანმა საუბარი ისე განაგრძო, თითქოს ჩემი ნათქვამი არც გაეგონა.

– მე შენ უსაფრთხოებას გთავაზობ. ფულსაც. შემიძლია, ძველი ცხოვრება დაგიბრუნო. შენ მხოლოდ ის გევალება, რომ ჩვენთვის იმუშაო.

– ჩვენთვის?

– ჩემთვის და მალთუსისთვის, – თქვა და უკან შებრუნდა, – მოდი, მიესალმე, მალთუს.

მის ზურგსუკან კარში ჩრდილი გამოჩნდა და ცოტა ხანში საზიზღარი ყროლის სუნი გვეცა. ბრონუინს კინაღამ გული აერია და ხელები პირზე აიფარა. დავინახე, როგორ შეკრა ემამ მუშტები, თითქოს იერიშის მისატანად ემზადებოდა. მხარზე შევეხე და ჩავჩურჩულე:

– მოიცადე.

– აი, რას გთავაზობ, – განაგრძო გოლანმა. ცდილობდა, კეთილგანწყობილი ტონი შეენარჩუნებინა, – შენნაირების პოვნაში დაგვეხმარე და, სამაგიეროდ, მალთუსისა და მისნაირებისგან საფრთხე არ დაგემუქრება. ძველებურად, ოჯახთან ერთად იცხოვრებ, ხოლო თავისუფალ დროს ჩემთან ერთად წამოხვალ, მსოფლიოს ნახავ და მეც კარგად გადაგიხდი. შენს მშობლებს ვეტყვით, რომ კვლევაში მეხმარები, როგორც ასისტენტი.

– თუ დაგთანხმდები, ჩემს მეგობრებს რა მოუვათ?

პისტოლეტი გაიქნია.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მათ უკვე კარგა ხანია, თავიანთი გზა აირჩიეს. ახლა მთავარი ისაა, ჯეიკობ, რომ დიდი ამბავი მზადდება და შენც ამ გეგმის ნაწილი ხარ.

დავფიქრდი? მგონი, ერთ წამს. ექიმი გოლანი იმას მთავაზობდა, რასაც ამდენ ხანს ვეძებდი – მესამე გზას, მომავალს, რომელიც არც სამუდამოდ მარყუჟში დარჩენას მაიძულებდა და არც იმას, რომ იქაურობა დამეტოვებინა და მოვმკვდარიყავი. თუმცა ჩემს მეგობრებს რომ გავხედე, მათმა დაღონებულმა სახეებმა ყველანაირი სურვილი გამიქრო.

– აბა? – მკითხა გოლანმა, – რას ფიქრობ?

– მირჩევნია მოვკვდე, ვიდრე თქვენ დაგეხმაროთ!

– აჰა, მაგრამ შენ უკვე გამიწიე დახმარება, – თქვა და უკან დახევა დაიწყო, – სამწუხაროა, რომ შენთან მეტი სეანსი აღარ მექნება, ჯეიკობ. თუმცა, ეს არც ისე დიდი დანაკლისია. მგონი, თქვენ ოთხნი საკმარისი იქნებით ჩემი ბებერი მალთუსის მდგომარეობიდან გამოსაყვანად.

– ო, არა, – დაიჩურჩულა ენოქმა, – არ მინდა, მისი ლუკმა გავხდე!

– ნუ ტირი, ეს ჩვენი უპატივცემულობაა, – გაბრაზდა ბრონუინი, – უბრალოდ, მისი მოკვლა მოგვიწევს.

– ნეტავი, დარჩენა და ყურება შემეძლოს, – თქვა გოლანმა კარში გასვლისას, – ძალიან მიყვარს, როცა ამას ვუყურებ!

ოთახიდან გავიდა და იმ მყრალ არსებასთან მარტო დაგვტოვა. სუნთქვისას ისეთ ხმებს გამოსცემდა, თითქოს გაფუჭებულ მილში წებოვანი მასა მიედინებოდა. ყველამ თანდათან უკან დავიხიეთ, სანამ კედელს არ გავეკარით. ისე გავჩერდით, როგორც დახვრეტის მოლოდინში მწკრივში მდგარი ტყვეები.

– სინათლე მჭირდება, – ჩავჩურჩულე ემას, რომელიც ისეთ შოკში იყო, თავისი უნარი სრულიად დავიწყებოდა.

ემას ხელი აუგიზგიზდა და მოციმციმე ჩრდილებს შორის მე ის ამოვიცანი – ჩემი კოშმარი, ურჩხული, რომელიც ახლა გობებს შორის ჩასაფრებულიყო. უბეწვო, ნაოჭებიან არსებას

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მოშავო-მონაცრისფრო კანი ნაფლეთებად ჩამოკიდებოდა, თვალების გარშემო დამპალი ხორცი შემოკვროდა, დაბეგვილი ფეხები მოელუნა, ხელებს კი ბრჭყალები აგვირგვინებდა. განსაკუთრებულ ყურადღებას მისი მოზრდილი ყბა იქცევდა, რომლიდანაც მეჩხერი, ბასრი კბილები მოუჩანდა. ტუჩები უკან ჰქონდა გადაქაჩული და ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს შეშლილივით იღიმოდა.

უეცრად საზიზღარი პირი დააფჩინა და იქიდან მაჯის სისქის სამი ენა გადმოაგდო. ენები ოთახს გადმოევლო, ჰაერში გაჩერდა და დაიკლაკნა. მათი სიგრძე სამ მეტრს მაინც უტოლდებოდა. არსება ორი ლპობაშეპარული ხვრელით სუნთქავდა და მოუსვენრად ქშენდა. თითქოს გემრიელ ვახშამდე, გურმანივით, მოლოდინის წუთებს იხანგრძლივებდა. ჩვენი მოკვლა ხომ მისთვის ძალიან ადვილი იყო და აჩქარების არანაირი მიზეზი არ ჰქონდა.

სხვები ვერ ხედავდნენ, მაგრამ კედელზე მის ჩრდილს ადევნებდნენ თვალს. ემამ ხელი დაძაბა და ალი უფრო მკვეთრად აბრიალდა.

– რას აკეთებს? –იკითხა ჩურჩულით, – თავს რატომ არ გვესხმის?

– ჩვენთან თამაში უნდა, – მივუგე, – იცის, რომ ხაფანგში ვართ გამომწყვდეულები.

– არაფერიც, – წაილუღლუღა ბრონუინმა, – ერთს მოვცხებ სიფათში და კბილებს ჩამოვუღებ!

– მე რომ შენს ადგილას ვიყო, მაგ კბილებს ახლოს არ გავეკარებოდი, – ვუპასუხე.

უსულო ჩვენკენ ხმაურით დაიძრა. მისი ენები უფრო და უფრო იშლებოდა და ერთმანეთს სცილდებოდა. ერთი ჩემკენ წამოვიდა, მეორე – ენოქისკენ, მესამე კი ემასკენ.

– თავი დაგვანებე! – უკივლა ემამ და ხელი ძლიერად დაიქნია. ენა მის ცეცხლის ალს გაეცალა და ცოტა ხანს იმ გველივით შედგა, თავდასხმისთვის რომ ემზადება.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– კარისკენ უნდა წავიდეთ! – ვიღრიალე მთელი ძალით, – უსულო მარცხნიდან მესამე გობთანაა, ამიტომ მარჯვენა მხარე დაიჭირეთ!

– ვერ შევძლებთ! – ამოიგმინა ენოქმა. ერთ-ერთი ენა მის ლოყას შეეხო.

– სამ თვლაზე წავალთ, – იყვირა ემამ, – ერთი...

მაგრამ ბრონუინი უცებ არსებისკენ გაექანა, თან იმ აჩრდილივით ღრიალებდა, რომლის გოდებაც სიკვდილს მოასწავებს. არსებამ დაიჭყივლა, წამოიმართა და ჩამოკიდებული კანი დაეჭიმა. სწორედ მაშინ, როდესაც ბრონუინისთვის ენების შემოჭდობას აპირებდა, გოგონა ყინულით სავსე გობს დასწვდა. ეს უზარმაზარი, თევზებითა და მარტინის სხეულით გამოტენილი გობი ჰაერში ასწია და უსულოს საშინელი ხმაურით დაანარცხა. მერე კი ჩვენკენ გამოიქცა.

– გაინძერით!

გვერდზე გავხტი, რომ მისთვის გზა დამეთმო. ბრონუინი კედელს შეასკდა და დამპალი ფიცრები გაამტვრია. ენოქი, ჩვენ შორის ყველაზე პატარა, შიგ პირველი გაძვრა. მას ემა მიჰყვა. ბრონუინი შემობრუნდა და სანამ რამეს ვიტყოდი, წვიმიან ღამეში გარეთ გამიძახა. ტლაპოში პირქვე დავენარცხე. გამაოგნებლად ციოდა, მაგრამ ძალიან ბედნიერი ვიყავი, რომ უსულოს ენა კისერზე არ შემომხვეოდა.

ემამ და ენოქმა ფეხზე წამომახტუნეს და გავიქეცით. ცოტა ხანში გავაცნობიერეთ, რომ ბრონუინი ჩვენთან ერთად არ მორბოდა.

დავუძახეთ, რადგან სიმამაცე არ გვეყო, უკან დავბრუნებულიყავით. ვცდილობდით, სიბნელეში მისი სხეული გაგვერჩია. შემდეგ ენოქმა იყვირა:

– აი, იქაა! –და ხელი გაიშვირა. დავინახეთ, რომ ბრონუინმა შენობის გვერდით ჩაიმუხლა.

– რას აკეთებს?! – დაიბნა ემა, – ბრონუინ! გამოიქეცი!

შორიდან ისე ჩანდა, თითქოს შენობას ჩახუტებოდა. შემდეგ უკან დაიხია და ჩვენკენ სირბილით წამოვიდა. შენობა,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თითქოს ასანთის ღერებით იყო აწყობილი, მყისიერად ჩამოიშალა. მიწას ყინულის ღრუბელი დაეფინა. ხის ნამტვრევებმა ქარის ზუზუნით გაყრუებული ქუჩა უფრო აახმაურა.

ყველანი ვბღაოდით და ბრონუინს ვამხნევებდით, ის კი უცნაური ღიმილით გვიახლოვდებოდა. მერე წვიმაში ვიდექით, გოგონას ვეხვეოდით და ვიცინოდით. თუმცა განწყობა მალევე გაგვიფუჭდა. მომხდარი გავიაზრეთ და ემა უცებ იმ კითხვის დასასმელად მომიტრიალდა, რომელზე პასუხიც ალბათ ყველას ძალიან აინტერესებდა:

– ჯეიკობ, შენ შესახებ ამდენი საიდან იცოდა? ან ჩვენ შესახებ?

– ექიმს ეძახდი, – დაურთო ენოქმა.

– ჩემი ფსიქიატრი იყო, – მივუგე.

– ფსიქიატრი! – გაიმეორა ენოქმა, – რა საოცარია! არა მხოლოდ გვილალატა, გიჟიც არის!

– ახლავე მოუბოდიშე! – დაუყვირა ემამ და ალიყური უთავაზა. ენოქი ხურდის დაბრუნებას აპირებდა, როდესაც მათ შორის ჩავდექი.

– გაჩერდით! – ხელები გავშალე და გავაშველე. მერე კი ენოქს მივუტრიალდი.

– ცდები. გიჟი არ ვარ. ეს მან დამაჯერა, რომ გიჟი ვიყავი. ალბათ, მთელი ამ დროის განმავლობაში ჩემი უცნაურობა მშვენივრად მოეხსენებოდა. ისე, ერთ რამეში მართალი ხარ – ბაბუაჩემის ისტორიები უცნობ კაცს ვუამბე.

– შენი ბრალი არაა, ჯეოკობ, – თქვა ემამ, – საიდან უნდა მიმხვდარიყავი, რომ ბაბუაშენის მონაყოლი სიმართლე იყო?

– შეეძლო, მიმხვდარიყო, – უყვირა ენოქმა, – ეიბმა ხომ მას ჩვენი დაწყევლილი სურათებიც კი აჩვენა!

– გოლანმა ყველაფერი იცოდა იმის გარდა, თქვენთვის როგორ მოეგნო, – თავი დავხარე, – მე მას გზა მოვასწავლე.

– მოგატყუა, – დამამშვიდა ბრონუინმა.

– უბრალოდ, მინდა, იცოდეთ, რომ ვწუხვარ.

ემა ჩამეხუტა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არაუშავს. მთავარია, ცოცხლები ვართ.

– ჯერჯერობით, – თქვა ენოქმა, – მაგრამ ის მანიაკი ჯერ კიდევ აქაა და თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, როგორ იყო მონდომებული, უსულოს შევესანსლეთ, დაგენაძლევებით, ეცოდინება, მარყუჟში როგორ მოხვდეს.

– ო, ღმერთო, მართალი ხარ! – აღმოხდა ემას.

– კარგი, – შევყოვნდი და ბავშვებს თვალი მოვავლე, – მაშინ იქ მისვლა უნდა დავასწროთ.

– მასაც და ამასაც, – დაამატა ბრონუინმა და თავი დანგრეული მაღაზიისკენ გაიქნია. იქით მივტრიალდით და დავინახეთ, რომ ფიცრების ქვეშ რაღაც მოძრაობდა, – ის ალბათ კიდევ ერთხელ დაგვესხმება თავს, მე კი ყინულის საწყობს ვეღარ ვხედავ, თავზე რომ დავაფშვნა.

სასწრაფოდ შევბრუნდით და გიჟებივით გავიქეცით. იმ ერთადერთი ადგილისკენ გავრბოდით, სადაც უსულო ვერ მოგვწვდებოდა – ეს იყო მარყუჟი. ქალაქიდან სრულ წყვდიადში გადავინაცვლეთ და მთაგრეხილს შევუდექით. წყლის ნიაღვარი ფეხებზე მთელი ძალით გვეხეთქებოდა და მოძრაობაში ხელს გვიშლიდა.

ენოქი მოსრიალდა და დაეცა. ფეხზე წამოვახტუნეთ და გზა განვაგრძეთ. მთაგრეხილის გადავლისას ბრონუინსაც უმტყუნა მუხლებმა და, სანამ გაჩერებას მოახერხებდა, ექვსი-შვიდი მეტრი მაინც იხოხიალა. მე და ემა დასახმარებლად მივბრუნდით. თან უკან ვიხედებოდით, ურჩხული რომ დაგვენახა, მაგრამ თავსხმა წვიმაში არაფერი ჩანდა. მხოლოდ მწვერვალზე ასვლისას, როცა ელვამ იქაურობა გაანათა, მოვტრიალდი და დავინახე. კარგა მოშორებით იყო, თუმცა სწრაფად მოდიოდა. მისი მსხვილი ენები ტალახს აპობდა და ობობასავით იკლაკნებოდა.

– ჩქარა! – ვიყვირე და ყველანი ქვევით დავეშვით, დავსხედით და ჩავსრიალდით, სანამ ისეთ ადგილას არ აღმოვჩნდით, კვლავ სირბილი რომ გაგვეგრძელებინა.

კიდევ ერთხელ გაიელვა. არსება ახლა უფრო ახლოს იყო. თუ ამ ტემპით გააგრძელებდა მოძრაობას, მისგან თავს ვე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რანაირად ვერ დავაღწევდით. ერთადერთი გამოსავალი მისი მოტყუება იყო.

– რომ დაგვიჭიროს, ყველას დაგვხოცავს, – გავძახე ბავშვებს, – მაგრამ თუ გავიყოფით, საქმე ასარჩევად გაუხდება. გრძელ გზაზე წავიყვან და ვეცდები, ჭაობში ჩავკარგო. თქვენ მარყუჟისკენ წადით და, რაც შეიძლება, სწრაფად!

– გაგიჟდი? – მიკივლა ემამ, – თუ ვინმე უნდა ჩამორჩეს, ეს მე ვიქნები! მე შემიძლია, ცეცხლით შევებრძოლო!

– ამ წვიმაში – არა! თან შენ მას ვერ დაინახავ!

– უფლებას არ მოგცემ, თავი შეაკლა!

კამათის დრო აღარ იყო, ამიტომ ბრონუინი და ენოქი წინ გაიჭრნენ, მე და ემამ კი გზიდან გადავუხვიეთ იმ იმედით, რომ არსება ჩვენ გამოგვყვებოდა. ასეც მოხდა. იმდენად ახლოს იყო, რომ მისი ადგილმდებარეობის დასადგენად ელვა აღარ მჭირდებოდა.

მე და ემა ხნულებიან და თხრილებიან მიწაზე მხარდამხარ მივრბოდით, ვეცემოდით და ერთმანეთს ვეშველებოდით. ვცდილობდი, ქვები მეპოვა, რომლებსაც იარაღად გამოვიყენებდი, როდესაც სიბნელეში რაღაც შენობის მოხაზულობა გამოიკვეთა – პატარა, ფიცრებისგან შეკრული სახლი ჩამსხვრეული ფანჯრებითა და ჩამოღებული კარით.

– უნდა დავიმალოთ! – ვთქვი და ღრმად ჩავისუნთქე.

ნეტავი, ეს არსება სულელი აღმოჩნდეს, – ვლოცულობდი, სანამ სახლს მივაღწევდით, – *ნეტავი, ნეტავი!*

დიდი წრე დავარტყით იმ იმედით, რომ შიგ შეუმჩნევლად შევიდოდით.

– მოიცადე! – მითხრა ემამ, როდესაც სახლის უკან აღმოვჩნდით. ლაბადიდან ენოქის მოცემული ქსოვილი ამოაძვრინა, ქვას შემოახვია და ხელში მანამ აბურთავებდა, სანამ ცეცხლი არ მოეკიდა. შემდეგ კი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, შორს ისროლა. ქვა გუბეში ჩავარდა და სიბნელეში სუსტი ნათება დაიწყო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– გზას ავურევთ, – ამიხსნა და ხელი ჩამკიდა. სახლს ფრთხილი ნაბიჯით შემოვუარეთ და უკუნეთში გავუჩინარდით.

* * *

ჩარჩოზე ჩამოკონწიალებული კარიდან შევიპარეთ და მძაფრი სუნის მქონე ნაკელის ოკეანეში ჩავაბიჯეთ. ყოველი ნაბიჯის გადადგმისას გულის ამრევი ჭყაპუნი ისმოდა და მივხვდი, სადაც ვიყავით.

– ეს რა არის? – დაიჩურჩულა ემამ და უეცრად ცხოველის სუნთქვის ხმაზე შევხტით. სახლი ცხვრებით იყო გადავსებული. ალბათ, ჩვენსავით, ავდრის გამო, თავი აქ შეეფარებინათ. როდესაც სიბნელეს თვალები შევაჩვიეთ, დავინახეთ, როგორ მოგვშტერებოდნენ.

– ეს ისაა, რაც მე მგონია? – ემამ ცალი ფეხი გაუბედავად ასწია.

– ამაზე არ იფიქრო, – მივუგე, – წამოდი, კარს უნდა მოვშორდეთ.

ხელი ჩავჭიდე და გზა გავიკვლიეთ დამფრთხალი ცხოველების ლაბირინთში, რომლებიც ჩვენ შეხებაზე კრთებოდნენ. ვიწრო დერეფანს გავუყევით და ბოლოს ერთ ოთახს მივადექით. ოთახს დიდი ფანჯარა და ჯერ კიდევ ჩარჩოში ჩასმული კარი ჰქონდა, რომელიც იკეტებოდა. ყველაზე შორეულ კუთხეში მივიყუჟეთ, ჩავიმუხლეთ და მივაყურადეთ. აფორიაქებულ ცხვრებს ამოფარებულები ველოდით, რა მოხდებოდა.

ვცდილობდით, ნაკელისთვის თავი აგვერიდებინა, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა. ცოტა ხნის შემდეგ ოთახში მოხაზულობების გარჩევა დავიწყე. ყუთები და კოლოფები ერთ კუთხეში ელაგა, ჩვენ გასწვრივ კედელზე კი დაჟანგებული ხელსაწყოები დაეკიდათ. ისეთ რამეს ვეძებდი, რაც იარაღის მაგივრობას გამიწევდა. მალე უზარმაზარ მაკრატელს მოვკარი თვალი და მის ასაღებად წამოვდექი.

– ცხვრის გაკრეჭას აპირებ? – დაიბნა ემა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– სულ არაფერს მაინც სჯობს.

სწორედ მაშინ, როდესაც მაკრატელს კედლიდან ვხსნიდი, ფანჯრიდან ხმაური შემომესმა. ცხვრებმა ბღავილი დაიწყეს და შემდეგ გრძელმა, შავმა ენამ უმინო ჭრილში შემოაღწია. ჩუმად დავიხარე. ემამ სუნთქვის შესაკავებლად პირზე ხელი მიიფარა.

ენა ოთახში შემოიჭრა და დაიკლაკნა. თითქოს ჰაერს უსინჯავდა გემოს. ჩვენდა საბედნიეროდ, მთელ კუნძულზე ყველაზე არომატულ ოთახში ვიმყოფებოდით. ცხვრების სუნმა ჩვენი სუნი გადაფარა. ამის დასტურად არსება მალე დანებდა და ფანჯარას მოშორდა.

ემამ პირიდან ხელი მოიშორა და ამოისუნთქა.

– მგონი, სატყუარას წამოეგო, – დაიჩურჩულა.

– მინდა, რაღაც გითხრა, – ვთქვი მე, – თუ აქედან თავს დავაღწევთ, დავრჩები.

ხელი წამავლო.

– მართლა ამბობ?

– ამ ყველაფრის მერე სახლში ვერ წავალ. ვალდებული ვარ, დაგეხმაროთ. სანამ მე აქ მოვიდოდი, თქვენ უსაფრთხოდ ცხოვრობდით.

– თუ აქედან თავს დავაღწევთ, – ჩემკენ გადმოიხარა, – მაშინ საერთოდ არაფერს ვინანებ.

სახე ახლოს მომიტანა და ის იყო, ტუჩები ერთმანეთისთვის უნდა შეგვეწებებინა, რომ უეცრად სიჩუმე შემზარავმა ჭყივილმა შეძრა, რომელიც გვერდითა ოთახიდან მოდიოდა. გარშემოჯარული ცხვარი ამ საზარელმა ხმამ ააფორიაქა. ერთმანეთის გადათელვა დაიწყეს და კედელთან მიგვიმწყვდიეს.

ურჩხული არც ისეთი უტვინო აღმოჩნდა, როგორიც მეგონა.

მესმოდა, როგორ გვიახლოვდებოდა. გაქცევას ვერ მოვასწრებდით, ამიტომ აყროლებულ მიწაზე მოკუნტულები ღმერთს ვევედრებოდით, გვერდით ისე ჩაევლო, რომ ვერ შევენიშნეთ.

შემდეგ მისი საზიზღარი სუნი გვეცა. ოთახში შემოაბიჯა. ცხვრები ერთდროულად გაერიდნენ შემოსასვლელს, თევზე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბის გუნდივით აცუნდრუკდნენ და კედელზე ისე მიგვაჭყლიტეს, რომ სულს ძლივს ვიბრუნებდით. ერთმანეთს ჩაბღაუჭებულებს ხმის ამოღების გვეშინოდა და ერთი დაუჯერებლად დაძაბული წამის განმავლობაში მხოლოდ ცხვრის ბღავილი და ჩლიქების ცემის ხმა გვესმოდა. მერე კვლავ შემზარავი ჭყივილი გაისმა, რომელიც მოულოდნელად ავისმომასწავებლად მიჩუმდა. ძვლების მსხვრევის ხმა გავიგონეთ. მაშინვე მივხვდი, რომ ურჩხული ცხვარს ჭამდა.

ოთახში ქაოსმა დაისადგურა. დაფეთებული ცხოველები ერთმანეთს თელავდნენ და კედელს გვახეთქებდნენ – იმდენჯერ მიგვახეთქეს, რომ თავბრუ დამეხვა. უსულომ გამყინავი ხმით დასჭექა და ცხვრები ყბისკენ გაიქანა. თითოეულ მათგანს კბილს ასობდა და ძირს აგდებდა. ცხოველებს უთავბოლოდ ხოცავდა და ჩვენკენ მომავალ გზაზე ყველაფერს აცამტვერებდა. ტვინარეული შიშისგან ადგილზე გავქვავდი. სწორედ ამიტომ ვერ ამიხსნია, რა მოხდა მერე.

ინსტინქტი მკარნახობდა, დავმალულიყავი, ნაკელში კიდევ უფრო ღრმად ჩავფლულიყავი, მაგრამ უეცრად ერთმა აზრმა გამიელვა – *არ დავუშვებ, რომ ამ განავლით სავსე სახლში დავიხოცოთ!* ემას ხელი ვუბიძგე და ყველაზე დიდი ცხვრის უკან მოვიტყორცნე, თავად კი კარისკენ გავიჭერი.

კარი დაკეტილი იყო, თან მას ექვსი ფუტი მაშორებდა და უამრავი ცხოველი მიღობავდა გზას, მაგრამ ისინი თავდამსხმელებივით მოვიშორე, კარს მხრით დავეტაკე და გავაღე. გარეთ, წვიმაში გავვარდი და ვიყვირე:

– მოდი, აბა, დამიჭირე, შე მახინჯო ნაბიჭვარო!

აშკარაა, მისი ყურადღება მივიქციე, რადგან შემზარავად დაიღრიალა. ცხვრები გარეთ გამოცვივდნენ და ჩამიქროლეს. ფეხი გავშალე და როდესაც დავრწმუნდი, რომ ემას შეეშვა და მე მომდევდა, ჭაობისკენ გავიქეცი.

ვგრძნობდი, როგორ მომყვებოდა უკან. შემდეგ ფეხქვეშ მიწა დარბილდა და მივხვდი, რომ ჭაობს მივადექი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უსულო ორჯერ იმდენად მომიახლოვდა, რომ მისი ენები ზურგზე გამეხახუნა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ახლა ნამდვილად წამიჭერდა კისერში და თავის მარწუხებში მომაქცევდა, მაგრამ ორჯერვე წაბორძიკდა და უკან ჩამომრჩა. ერთადერთი მიზეზი, რის გამოც აკლდამას სრულიად საღსალამათმა მივაღწიე, ის იყო, რომ, ემას წყალობით, კარგად ვიცოდი, ფეხი სად დამებიჯებინა.

აკლდამის ბორცვთან მივცოცდი, შემოვუარე და შესასვლელში გავძვერი. შიგნით ბნელოდა, მაგრამ ამას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. როგორმე ბოლოში უნდა გავსულიყავი, რომ თავი უსაფრთხოდ მეგრძნო. ოთხზე დამდგარი მივხოხავდი, რათა არც ერთი წამი არ დამეკარგა. უკვე ნახევარი გზა გამევლო და გულში გადარჩენის იმედიც შემეპარა, რომ ერთერთი ენა ფეხის კოჭზე წამავლო.

მიწაზე გავიფართხალე, მაგრამ იქ მხოლოდ ქვიშა იყო. მერე ზურგზე გადავბრუნდი და ცარიელი ხელით ქვებს მოვეჭიდე. ვცადე, მისი ენა საკრეჭით დამესერა, მაგრამ ძალზე ხეშეში და დაკუნთული აღმოჩნდა. თვალები დავხუჭე. არ მინდოდა, სიკვდილის წინ მისი დაღებული ყბები დამენახა და საკრეჭი ორივე ხელით წინ გავიშვირე. დრო თითქოს გაიწელა, სწორედ ისე, როგორც ეს თვითმფრინავის ვარდნისას, მატარებლებისა თუ ავტოავარიების დროს ხდება ხოლმე. შემდეგ მახსოვს, რომ, რაც ძალი და ღონე მქონდა, ურჩხულს შევასკდი.

სუნთქვაშეკრულს მისი ჭყივილი მომესმა. გვირაბიდან ერთად გამოვვარდით და აკლდამის ბორცვიდან ჭაობში ჩავგორდით. თვალი რომ გავახილე, დავინახე, ჩემი საკრეჭი ურჩხულს თვალის კაკალში გარჭობოდა. საზარლად ჭყიოდა, მიწაზე გორავდა, წვალობდა და შავი ნაკადულივით ჩამოსდიოდა ბლანტი სითხე, რომელიც საკრეჭის დაჟანგულ სახელურს ეგლისებოდა.

ვგრძნობდი, კვდებოდა, სიცოცხლისგან იცლებოდა. ჩემს კოჭს შემოხვეული ენა თანდათან მოუდუნდა. ცვლილება სა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კუთარ თავსაც შევამჩნიე – მუცელში უსიამოვნო შეგრძნება ნელ-ნელა მიყუჩდებოდა. ბოლოს არსება გაქვავდა და ჭაობში ჩაძირვა დაიწყო. მთელ სხეულზე ლორწოვანი მასა ჩამოსდიოდა, სქელი, მუქი ფერის სისხლი, ერთადერთი ნიშანი იმისა, რომ ოდესღაც ცოცხალი იყო.

ჭაობი მასთან ერთად მეც ქვევით მექაჩებოდა. რაც უფრო ვფართხალებდი, მით უფრო ლამობდა ჩემ ჩაყლაპვას. ვიფიქრე, რა უცნაური იქნება, ათასობით წლის მერე ტორფში ერთად რომ გვიპოვონ-მეთქი.

ვცდილობდი, მყარი ნიადაგისკენ გავბობღებულიყავი, მაგრამ უფრო ღრმად ვეფლობოდი. ტალახი მკლავებსა და მკერდზე მედებოდა და ყულფივით ყელში მიჭერდა.

ვიყვირე, მიშველეთ-მეთქი და, ჩემდა გასაოცრად, დახმარებამაც არ დააყოვნა. თავდაპირველად ციცინათელა მეგონა, რადგან ჩემ წინ ციმციმით ჩაიქროლა. შემდეგ ემას ძახილი შემომესმა და მეც ვუპასუხე.

წყალში ხის ტოტი ჩამოვარდა. მოვეჭიდე და ემამ გასწია. როგორც იქნა, ჭაობიდან ამოვძვერი. ისე ვკანკალებდი, ფეხზე დგომა მიჭირდა. ემას მკლავებში ჩავუვარდი.

„მოვკალი“, გავიფიქრე, „მართლა მოვკალი“. ამდენი ხანი მის შიშში გავატარე და არც კი მიოცნებია, რომ მოვკლავდი!

საოცარი ძალა ვიგრძენი. ახლა უკვე საკუთარი თავის დაცვა შემეძლო. ვიცოდი, ბაბუაჩემივით ძლიერი ვერასოდეს ვიქნებოდი, მაგრამ არც მშიშარა ქვეშაფსია ვიყავი. მე მათი მოკვლა შემეძლო!

ფიქრი ხმამაღლა გავიმეორე:

– მკვდარია. მოვკალი!

გამეცინა. ემა ჩამეხუტა და ლოყა ლოყაზე მომადო.

– ვიცი, რომ ის შენით ძალიან იამაყებდა!

ერთმანეთს ნაზად ვაკოცეთ. წვიმის წყალი ცხვირიდან ტუჩებზე ჩამოგვდიოდა. უცებ ემა მომშორდა და ჩურჩულით მკითხა:

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რაც თქვი, მაგას მართლა აპირებ?

– დავრჩები, – მივუგე, – თუ მის პერეგრინი ნებას დამრთავს.

– დაგრთავს. გპირდები!

– მაგრამ მანამდე ფსიქიატრი უნდა ვიპოვოთ და თოფი წავართვათ.

– ჰო, – თქვა ემამ და მკაცრი გამომეტყველება მიიღო, – დრო არ უნდა დავკარგოთ.

* * *

წვიმა უკან მოვიტოვეთ და აკლდამიდან გაბოლილ და ხმაურიან ადგილას გამოვედით. მარყუჟი ჯერ არ გადატვირთულიყო. ჭაობი ყუმბარებს დაესერა, ცაში თვითმფრინავები ზმუოდნენ და შორეული ხეების თავზე ნარინჯისფერი ალის კედელი აღმართულიყო. ვაპირებდი, მეთქვა, დავიცადოთ, სანამ დღევანდელი დღე გუშინდლად იქცევა და ეს ყველაფერი გაქრება-მეთქი, რომ ვიღაცამ ღონიერი მკლავები შემომხვია.

– ცოცხლები ხართ! – იყვირა ბრონუინმა. ენოქი და ჰიუ მასთან ერთად იყვნენ. როდესაც გოგონა მომშორდა, ჩემკენ დაიძრნენ, ხელი ჩამომართვეს და ყურადღებით შემათვალიერეს.

– მაპატიე, მოღალატე რომ გიწოდე, – მითხრა ენოქმა, – მიხარია შენი გადარჩენა.

– მეც, – მივუგე.

– ყველაფერი რიგზეა? – დამაკვირდა ჰიუ.

– ორი ხელი და ორი ფეხი მაქვს. იმ უსულოზე კი შეგიძლიათ აღარ იდარდოთ. მოვკალით.

– ოჰ, გეყო თავმდაბლობა, – ამაყად განაცხადა ემამ, – შენ მოკალი.

– რა საოცარია! – თქვა ჰიუმ, მაგრამ არც მას და არც დანარჩენებს არ გაუღიმიათ.

– რა მოხდა? – ვიკითხე დაბნეულმა, – მოიცა, სახლში რატომ არ ხართ? მის პერეგრინი სადაა?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– გაუჩინარდა, – ბრონუინს ბაგეები აუცახცახდა, – მის ავასეტიც. მან გაიტაცა.

– ო, ღმერთო, – აღმოხდა ემას, – როგორც ჩანს, დავაგვიანეთ.

– თოფით დაგვადგა თავზე, – განაგრძო ჰიუმ და მიწას ჩაამტერდა, – კლერის წაყვანა უნდოდა მძევლად, მაგრამ მან თავისი უკანა პირით უკბინა და ამიტომ მე ჩამავლო ხელი. შებრძოლება ვცადე, მაგრამ საფეთქელზე თოფი მომადო, – ჰიუმ ხელი ყურზე დაიდო და თითებზე სისხლი ჩამოელვარა, – ყველანი სარდაფში ჩაკეტა და თქვა, რომ თუ დირექტორი და მის ავასეტი ფრინველის ფორმას არ მიიღებდნენ, შუბლს გამიხვრეტდა. ჰოდა ისინიც ჩიტებად იქცნენ და ორივე გალიაში გამოამწყვდია.

– გალია ჰქონდა? – ემამ უკან დაიხია.

ჰიუმ თავი დაუქნია.

– თან საკმაოდ პატარა, რომ ადამიანებად ველარ ქცეულიყვნენ და ვერც გაფრენილიყვნენ. გადარჩენის იმედი აღარ მქონდა, მაგრამ მერე მეც სხვებთან ერთად სარდაფში ჩამკეტა და ჩიტებთან ერთად წავიდა.

– სწორედ იქ ვიპოვეთ, როდესაც დავბრუნდით, – თქვა ენოქმა, – ლაჩრულად იმალებოდნენ.

– არ ვიმალებოდით! – გაბრაზდა ჰიუ, – ჩაგვკეტა! მოგვკლავდა!

– გაჩერდით, – ჩაერია ემა, – საით წავიდა? რატომ არ გამოეკიდეთ?!

– არ ვიცით, – მიუგო ბრონუინმა, – იმედი მქონდა, თქვენ მაინც მოკრავდით თვალს.

– არა, არ დაგვინახავს! – ემამ სამარხის ქვას სიმწრით ჰკრა ფეხი.

ჰიუმ მაისურიდან რაღაც ამოიღო. ფოტო აღმოჩნდა.

– წასვლამდე ეს ჯიბეში ჩამიტენა. თქვა, რომ თუ უკან დავედევნებოდით, სამაგიეროს ასე გადაგვიხდიდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/



УЗО УЗО УЗО

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბრონუინმა ჰიუს ფოტო გამოსტაცა. დახედა და სუნთქვა შეეკრა.

– მის რეივენია?

– მგონი, მის ქროუა, – ჰიუმ შუბლზე ხელი გადაისვა.

– მორჩა, დაიხოცებიან, – ამოიკვნესა ენოქმა, – ვიცოდი, რომ ეს დღეც დადგებოდა!

– სახლი არ უნდა დაგვეტოვებინა, – თქვა ემამ შესაბრალისად, – მილარდი მართალი იყო.

ჭაობის მეორე მხარეს ყუმბარა ჩამოვარდა.

– მოიცადეთ, – ჩავერთე მე, – ჯერ ერთი, არ ვიცით, ეს მის ქროუა თუ მის რეივენი. შეიძლება ჩვეულებრივი ყვავის სურათიც იყოს. თუ გოლანი მის პერეგრინის ან მის ავასეტის მოკვლას აპირებდა, რატომ გაირთულებდა საქმეს და რატომ მოიტაცებდა? მაშინ აქვე დახოცავდა! – ემას მივუბრუნდი, – ჩვენ რომ არ წავსულიყავით, მაშინ დანარჩენებთან ერთად სარდაფში ვიქნებოდით გამოკეტილები, ხოლო უსულო გარეთ იხეტიალებდა!

– ნუ ცდილობ, საქმე უკეთ წარმოაჩინო! – შემომიბღვირა მან, – ყველაფერი შენი ბრალია!

– ათი წუთის წინ მეუბნებოდი, რომ ეს ძალიან გიხაროდა!

– ათი წუთის წინ მის პერეგრინი ჯერ გატაცებული არ ჰყავდათ!

– არ გაჩერდებით? – იყვირა ჰიუმ, – ახლა მთავარია, როგორმე ფრინველი გამოვიხსნათ!

– კარგი, – ვთქვი მე, – მოდით, დავფიქრდეთ. *იმგვარი* რომ ყოფილიყავით, ორ იმბრინს სად წაიყვანდით?

– გააჩნია, რას უპირებს, – მომიგო ენოქმა.

– ჯერ კუნძულიდან გავიყვანდი, – დაფიქრდა ემა, – ამისთვის კი ნავი დამჭირდებოდა.

– რომელი კუნძულიდან? – იკითხა ჰიუმ, – მარყუჟში თუ მარყუჟს გარეთ?

– მარყუჟს გარეთ ისეთი ქარიშხალი მძვინვარებს, ნავით შორს ვერ წახვალ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ესე იგი, მარყუჟშია! – შესძახა ემამ. მის ხმაში იმედის ნაპერწკალი გაკრთა, – რაღას ვუცდით? ნავსადგურში წავიდეთ!

– შეიძლება ნავსადგურშია, – შეაჩერა ენოქმა, – მაგრამ არ დაგავიწყდეს, რომ მას იარაღი აქვს. ჭკუიდან ხომ არ შეიშალეთ? რა გირჩევნიათ, ფრინველი მოიტაცოს თუ ჩვენ თვალწინ მოკლას?

– აბა, რა ვქნათ?! – მიუტრიალდა ჰიუ, – დავნებდეთ და სახლში წავიდეთ, არა? ძილის წინ ცხელი ჩაი დავლიოთ და გავერთოთ, სანამ ფრინველი აქ არ არის! – ბიჭი ტიროდა და, გაბრაზებული, ცრემლს იწმენდდა, – როგორ შეგიძლიათ, იმ ყველაფრის მერე, რაც მან ჩვენთვის გააკეთა, იმის სურვილიც არ გაგიჩნდეთ, რომ როგორმე ვუშველოთ?!

სანამ ენოქი უპასუხებდა, ბილიკის ბოლოდან ვიღაცის ძახილი მოგვესმა. ჰიუ წინ წავიდა, თვალები მოჭუტა და რამდენიმე წამში სახე შეეცვალა.

– ფიონაა, – თქვა ხმამაღლა. აქამდე ფიონას ხმა არც კი გამეგონა. თვითმფრინავებისა და მიწის ბიძგების ხმაურში მისი ნათქვამის გაგება შეუძლებელი იყო, ამიტომ ჭაობი გადავჭერით და მისკენ გავიქეცით.

ბილიკამდე რომ მივაღწიეთ, სულს ძლივს ვიბრუნებდით. ფიონას ყვირილისგან ხმა ჩახლეჩოდა და, მის გიჟურ ვარცხნილობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, თვალებიც გიჟივით უელავდა. გვექაჩებოდა და ქალაქისკენ მიგვათრევდა, თან ირლანდიული აქცენტით ისე აბდაუბდად ლაპარაკობდა, რომ ვერ ვიგებდით, რა უნდოდა. ჰიუმ მხრებზე წაავლო ხელი და სთხოვა, უფრო გარკვევით ელაპარაკა.

ფიონამ ღრმად ამოისუნთქა და ფოთოლივით ათრთოლდა.

– მილარდი უკან გაჰყვა! – თქვა გარკვევით, – იმალებოდა, როდესაც კაცმა სარდაფში ჩაგვკეტა!

– საით წავიდა? – ვკითხე მე.

– ნავი ჰყავდა.

– ხედავთ? – იყვირა ემამ, – ნავსადგურისკენ!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არა, – თავი გააქნია ფიონამ, – შენი ნავი ჰყავდა, ემა. ის ნავი, რომლის არსებობაც, გეგონა, არავინ იცოდა და რომელიც თავთხელზე გიყენია. გალიით ხელში შიგ ჩახტა და გაცურა, მაგრამ შემდეგ, როცა ზღვის მოქცევა დაიწყო, შუქურასთან მიცურდა და ახლაც იქ არის.

თავქუდმოგლეჯილები შუქურისკენ გავიქეცით. როდესაც იმ კლდეებს მივაღწიეთ, რომლებიც შუქურას გადაჰყურებდა, დანარჩენი ბავშვები კლდის პირას, მაღალ ბალახში ჩამალულები ვიპოვეთ.

– დაიხარეთ, – დაისისინა მილარდმა.

მუხლებზე დავდექით და მათკენ გავხოხდით. ერთად შეჯგუფულიყვნენ და ბალახს ამოფარებოდნენ, თან რიგრიგობით უჭვრეტდნენ შუქურას. ეტყობოდათ, რომ ჯერ კიდევ შოკში იყვნენ, განსაკუთრებით, პატარები. მომხდარი ბოლომდე ვერ გაეაზრებინათ.

როცა კლდის კიდეს მივუახლოვდი, ჩუმად გავიხედე. ნავი ლოდებთან მიებათ, სადღაც იქვე, სადაც გემი ჩაძირულიყო. გოლანი და იმბრინები კი არსად ჩანდნენ.

– იქ რას უნდა აკეთებდეს? – ვიკითხე დაეჭვებულმა.

– ვინ იცის, – მომიგო მილარდმა, – შეიძლება ვინმეს ელოდება ან ზღვის დაწყნარებას უცდის, რომ გაცუროს.

– ჩემი პატარა ნავით? – გაოგნდა ემა.

– როგორც ვთქვი, ეგ არავინ იცის.

ზედიზედ სამჯერ გამაყრუებელი ჭახანი მოგვესმა და, თავჩარგულები, სასწრაფოდ მიწას გავეკარით. ცა ნარინჯისფრად განათდა.

– მილარდ, ყუმბარები სადმე შორიახლოს ხომ არ ჩამოვარდება? – შეშფოთდა ემა.

– ჩემი კვლევა მხოლოდ ადამიანებსა და ცხოველებს ეხება და არა ყუმბარებს.

– არადა, ახლა ეგ ინფორმაცია ძალიან საჭიროა, – თქვა ენოქმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– აქ სადმე, შემთხვევით, სხვა ნავიც ხომ არ გადაგიმალავს? – მივუბრუნდი ემას.

– სამწუხაროდ, არა, შუქურასთან მისასვლელად გაცურვა მოგვიწევს.

– და მერე? – ჩაერთო მილარდი, – სათითაოდ დაგვხვრიტოს?

– რამეს მოვიფიქრებთ, – არ შედრკა ემა.

მილარდმა ამოიოხრა.

– რა სასიამოვნო, იმპროვიზებული თვითმკვლელობაა!

ემამ ყურადღება არ მიაქცია და სათითაოდ შეგვათვალიერა.

– ვინმეს უკეთესი იდეა გაქვთ?

– ჩემი ჯარისკაცები რომ მყოლოდა... – წამოიწყო ენოქმა.

– წყალშივე ჩაცხრილავდნენ, – დაასრულა მილარდმა.

ენოქმა თავი გააქნია.

– მაშინ გადაწყვეტილია, – ემამ ნაბიჯი წინ წადგა, – აბა, ვინ მომყვება?

ხელი ავწიე. ბრონუინმაც მომბაძა.

– ისეთი ვინმეც დაგჭირდებათ, ვისაც *იმგვარი* ვერ დაინახავს, – თქვა მილარდმა, – ამიტომ მეც თან წამიყვანეთ.

– ოთხი ადამიანი საკმარისია, – განაცხადა ემამ, – იმედი მაქვს, ყველანი კარგად ცურავთ.

დაფიქრებისა და გამომშვიდობების დრო აღარ გვქონდა. სხვებმა წარმატება გვისურვეს და გზას გავუდექით.

ლაბადები იქვე მივყარეთ. წყვილ-წყვილად მივდიოდით. შემდეგ იმ ბილიკზე გავედით, რომელიც სანაპიროს უერთდებოდა. ძირს დავსხედით და ჩავსრიალდით.

უცებ ჩვენ ზემოთ ისეთი ხმაური გაისმა, თითქოს ორმოცდაათმა ელექტრონულმა ხერხმა ერთდროულად გადაგვიქროლა. მიწას გავეკარით. თვითმფრინავმა გადაიფრინა. ქარმა თმა აგვიწეწა და ქვიშის კორიანტელი დააყენა. კბილი კბილს დავაჭირე. მეგონა, ყუმბარა ჩამოვარდებოდა და გაგვაცამტვერებდა, თუმცა ასე არ მომხდარა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სანაპიროს რომ მივაღწიეთ, ემამ თავი მოგვიყარა.

– შუქურამდე ჩაძირული გემია, – თქვა მან, – მისკენ წაგიძღვებით. წყლიდან თავი არ ამოყოთ. არ დაენახოთ. როცა გემის ნამსხვრევებს მივაღწევთ, ის კაცი მოვძებნოთ და გადავწყვიტოთ, რას ვიზამთ.

– ჩვენი იმბრინები უნდა დავიბრუნოთ, – ხელი მომუჭა ბრონუინმა.

აქაფებული ტალღებისკენ გავხოხდით და ცივ წყალში შევცურეთ. ცურვა თავიდან ადვილი მოგვეჩვენა, მაგრამ რაც უფრო ვშორდებოდით ნაპირს, დინება მით უფრო მძლავრად გვექაჩებოდა უკან. კიდევ ერთმა თვითმფრინავმა გადაგვიქროლა თავზე და წყალი შხაპუნით შემოგვასხა.

გემის ნამსხვრევებს რომ მივაღწიეთ, სულს ძლივს ვიბრუნებდით. მის დაჟანგულ კარკასს ჩავეჭიდეთ და წყლიდან თავი ამოვყავით. შუქურასთან შეშლილი თერაპევტის არსებობის ნიშან-წყალიც არ ჩანდა. ცაზე სავსე მთვარე ამოცურდა, რომელიც შიგადაშიგ კვამლის ღრუბლებს ეფარებოდა და ისე ანათებდა, თითქოს შუქურის აჩრდილი ყოფილიყოს.

კარკასს მოჭიდებულები, გემის ბოლოში გავედით და შუქურას გავხედეთ. მას ორმოცდაათიოდე იარდი[1] თუ გვაშორებდა.

– აი, რას ვფიქრობ, – დაიწყო ემამ, – მან უკვე იცის, რა ღონიერია უინი, ამიტომ ყველაზე მეტად საფრთხე მას ემუქრება. მე და ჯეიკობი გოლანს ვიპოვით. უინი მას უკნიდან მიეპარება და თავში რამეს ჩასცხებს. მილარდი კი შეეცდება, გალია მოიპაროს. ვინმეს აქვს კითხვები?

ამის საპასუხოდ გასროლის ხმა გაისმა. არც ისე შორიდან მოდიოდა. აშკარა იყო, მცირეკალიბრიანი იარაღიდან ისროლეს. სანამ გასროლა მეორედაც არ გავიგონეთ, რასაც წყლის შხეფების ხმა მოჰყვა, ვერ მივხვდით, რომ ეს შეიძლებოდა გოლანი ყოფილიყო.

---

[1] იარდი – ინგლისური და ამერიკული სიგრძის საზომი ერთეული. უდრის 0.9144 მეტრს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– უკან დაიხიეთ! – იყვირა ემამ. გემის კარკასს მივყევით, სანამ ის ჩვენ ფეხქვეშ არ გაუჩინარდა და გაშლილ წყალში ჩავყვინთეთ. რამდენიმე წამში ჯგუფად შევიკარით და ჰაერის ჩასაყლაპად ამოვყვინთეთ.

– ჩვენ კიდევ მისი გამოჭერა გვინდოდა! – თქვა მილარდმა.

გოლანმა სროლა შეწყვიტა, მაგრამ ვხედავდით, როგორ იდგა შუქურასთან გუშაგივით, იარაღით ხელში.

– შტერი ნამდვილად არ არის, – ბრონუინმა თავი გაიქნია, – იცოდა, რომ უკან გამოვყვებოდით.

– ახლა ვეღარაფერს გავხდებით! – ემამ წყალს ხელი დაჰკრა, – მაშინვე ტვინს გაგვასხმევინებს!

მილარდმა გემის ნამსხვრევებზე გადააბიჯა.

– იმას ვერ ესვრის, ვისაც ვერ ხედავს. მე წავალ.

– ოკეანეში უხილავი არ ხარ, ჩურჩუტო, – უთხრა ემამ.

ეს სიმართლე იყო – სადაც მილარდი იდგა, წყალი ჩაზნექილიყო.

– თქვენზე მეტად უხილავი მაინც ვარ, – მიუგო ბიჭმა, – ნახევარი კუნძული ისე გადავკვეთეთ, არ შევუნიშნივარ. მგონი, რამდენიმე ასეული მეტრის გავლასაც მოვახერხებ.

მასთან კამათი ძნელი იყო, რადგან სხვა შემთხვევაში ან უნდა დავნებებულიყავით ან გოლანის მიერ გახსნილი ცეცხლისთვის მკერდი შეგვეშვირა.

– კარგი, – თქვა ემამ, – თუ მართლა გჯერა, რომ კუნძულს მიაღწევ.

– ვიღაცამ ხომ უნდა გამოიჩინოს გმირობა, – მილარდი კარკასზე სიარულს მოჰყვა.

– ყველასთვის ცნობილი უკანასკნელი სიტყვები, – ჩავიბურტყუნე.

ბუნდოვნად გავარჩიე, შუქურის კართან მდგარმა გოლანმა რომ ჩაიმუხლა და გემის კარკასი მიზანში ამოიღო.

– ფრთხილად! – დავიყვირე, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

გასროლის ხმა გაისმა. მილარდმა დაიღრიალა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ყველანი გემისკენ დავიძარით. დარწმუნებული ვიყავი, რომ გოლანი ტყვიებს დაგვიშენდა. წყლის წვეთები, ფეხებზე რომ მეცემოდა, ტყვიები მეგონა, მაგრამ სროლა შეწყვეტილიყო. „ალბათ გადატენა“, გავიფიქრე. ჩვენს განკარგულებაში რამდენიმე წამი იყო.

მილარდს ჩაემუხლა, თავბრუ დახვეოდა და მუცელში ნატყვიარი ეტყობოდა. პირველად ვხედავდი მისი სხეულის ნამდვილ მოხაზულობას, წითლად რომ შეღებილიყო.

ემა მილარდს მხარში ამოუდგა.

– მილარდ, კარგად ხარ? ხმა ამოიღე!

– ბოდიში უნდა მოგიხადოთ! – დაიჩურჩულა, – მგონი, დამჭრეს.

– სისხლდენა უნდა შევაჩეროთ, – შემოგვხედა ემამ, – უკან, ნაპირზე უნდა გადავიყვანოთ!

– რა სისულელეა, – შეიცხადა მილარდმა, – ახლა უკან თუ გავბრუნდებით, მის პერეგრინს სამუდამოდ დავკარგავთ.

კიდევ ერთი გასროლა გაისმა და ტყვიამ ყურთან ჩამიწუილა.

– აქეთ! – იყვირა ემამ, – ჩაყვინთეთ!

თავიდან ვერ მივხვდი, საით მიგვითითებდა, გემის ბოლომდე 30 მეტრი მაინც გვაშორებდა, მაგრამ შემდეგ დავინახე, რომ გეზი კარკასის შუაგულში გამოჭრილი ხვრელისკენ აეღო. იქ კი კარი იყო, რომელსაც საბარგულში შეყავდი.

მე და ბრონუინმა მილარდი ავიყვანეთ და ემას გავეკიდეთ. მეტალის ნამსხვრევები კარკასზე კაკუნობდა.

– სუნთქვა შეიკავე, – გავაფრთხილე მილარდი. ხვრელთან მივედით და შიგ ჩავხტით.

კიბის საფეხურებს ჩავუყევით. ვეცადე, თვალები გამეხილა, მაგრამ ზღვის წყალი ქუთუთოებს მიწვავდა. მილარდის სისხლის გემოს ვგრძნობდი.

ემამ სასუნთქი მილი შემომაჩეჩა. მას რიგრიგობით ვაწოდებდით ერთმანეთს. სირბილისგან გადაქანცული ვიყავი და

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რამდენიმე წამში ერთხელ ერთი ჩასუნთქვა არ მყოფნიდა. ფილტვები მტკიოდა და თავბრუ მეხვეოდა.

ემამ მაისურზე მომქაჩა და მანიშნა, ზევით ამოდიო. მე, მან და ბრონუინმა ზედაპირზე ამოვყვინთეთ, რომ გვესუნთქა და გველაპარაკა. მილარდი კი რამდენიმე ფუტის სიღრმეზე უსაფრთხოდ იყო და სასუნთქ მილს დაპატრონებოდა.

ვჩურჩულებდით და შუქურას თვალს არ ვაშორებდით.

– აქ ვერ დავრჩებით, – თქვა ემამ, – მილარდი სისხლისგან დაიცლება.

– ნაპირზე მის მიყვანას ოცი წუთი მაინც დასჭირდება, – მივუგე, – თან, შეიძლება, გზაში რამე დაემართოს.

– აბა, რა ვქნათ?!

– შუქურა საკმაოდ ახლოსაა, – ჩაერთო ბრონუინი, – იქ გადავიყვანთ.

– მაშინ გოლანი ჩვენს სისხლს დალევს! – მხრები ავიჩეჩე.

– არა! – მიპასუხა ბრონუინმა.

– რატომ? ტყვიაგამძლე ხარ?

– შეიძლება, – უცნაური სახით შემომხედა. მერე კი ჩაისუნთქა და წყალში გაუჩინარდა.

– რაზე ლაპარაკობს? – მივუბრუნდი ემას.

– აზრზე არა ვარ, მაგრამ, რაც უნდა იყოს, აჯობებს იჩქაროს.

ქვევით ჩავიხედე იმის გასაგებად, თუ რას აკეთებდა ბრონუინი, მაგრამ მის მაგივრად მილარდს მოვკარი თვალი, რომელიც კიბის საფეხურს ჩასჭიდებოდა და გარს მანათობელი თევზები ეხვია. შემდეგ ვიგრძენი, როგორ შეზანზარდა გემის კარკასი და მალე ბრონუინიც გამოჩნდა. ხელში მართკუთხედი ფორმის, დაახლოებით ორი მეტრი სიგრძისა და ერთი მეტრი სიგანის, ლითონის ნაჭერი ეჭირა, რომელსაც ზემოდან ხრახნით ილუმინატორი ჰქონდა მიმაგრებული – ანჯამებიდან საბარგო განყოფილების კარი მოეხსნა.

– რას აპირებ? – ჰკითხა ემამ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– შუქურასთან მისვლას, – ბრონუინი გაიმართა და კარი აიფარა.

– უინ, ახლა გესვრის! – იყვირა ემამ. გასროლამ არ დააყოვნა, მაგრამ კარმა ტყვია აისხლიტა.

– გასაოცარია! – შევძახე მე, – დამცავი ფარი!

ემამ გაიცინა.

– გენიოსი ხარ!

– მილარდს ზურგზე მოვიკიდებ, – თქვა ბრონუინმა, – თქვენ ორნი კი უკან მომყევით.

ემამ მილარდი წყლიდან ამოიყვანა და მანაც ბრონუინს კისერზე ხელები შემოჰხვია.

– პირდაპირ გამაოგნებელია, – მიუტრიალდა მილარდი ემას, – რატომ არასოდეს მოგიყოლია ანგელოზების ამბავი?

– რა ანგელოზების?

– მწვანე ანგელოზების, რომლებიც წყალქვეშ ცხოვრობენ, – ბიჭი კანკალებდა, მისუსტებული ხმით ლაპარაკობდა, – შემომთავაზეს, სამოთხისკენ გაგიძღვებითო.

– ჯერჯერობით სამოთხეში არავინ წავა, – აღელდა ემა, – ბრონუინს კარგად მოეჭიდე, კარგი?

– კარგი, – თავი დაუქნია მილარდმა.

ემა ბრონუინს უკან ამოუდგა, რომ მილარდს შეხიდებოდა, მე კი ემას უკან აღმოვჩნდი. ამგვარად ჩამწკრივებულები შუქურისკენ გავემართეთ.

გოლანმა მაშინვე სროლა აგვიტეხა. ტყვიები ლითონის კარს ხვდებოდა და საშინელ ხმებს გამოსცემდა, თუმცა უსაფრთხოების განცდა ძალას გვმატებდა. ათიოდე გასროლის შემდეგ გოლანი შეჩერდა. ისეთი ოპტიმისტი არ ვიყავი, რომ მეფიქრა, ტყვიები გაუთავდა-მეთქი.

კარკასის ბოლოს რომ მივაღწიეთ, ბრონუინი გაშლილი წყლისკენ ფრთხილად გაგვიძღვა. უზარმაზარი კარი კვლავ წინ აეფარებინა. ემა მილარდს ელაპარაკებოდა და აიძულებდა, მის შეკითხვებზე ეპასუხა, რომ არ მოშვებულიყო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მილარდ! ვინაა ჩვენი პრემიერმინისტრი?

– უინსტონ ჩერჩილი. ხომ არ გაგიჟდი?

– ბირმის დედაქალაქი რომელია?

– ღმერთო ჩემო, მე რა ვიცი. რანგუნი?

– ეგაა! დაბადების დღე როდის გაქვს?

– ოდესმე შეწყვეტ ყვირილს და მაცლი, მშვიდად დავიცალო სისხლისგან?

გემის ნამსხვრევებიდან შუქურამდე მანძილის დაფარვას დიდი დრო არ წაულია. ბრონუინმა ფარი აგვაფარა და ლოდებზე აცოცდა. გოლანმა კიდევ რამდენჯერმე გაისროლა. გოგონა შეტორტმანდა და კინაღამ ლოდებზე ჩამოსრიალდა. ასე რომ მომხდარიყო, მისი წონა, რომელსაც კარის წონაც დაემატებოდა, უთუოდ გაგვსრესდა. ემამ ხელები ბრონუინს მიაბჯინა და მიაწვა. მანაც, როგორც იქნა, მშრალ მიწაზე დააბიჯა ფეხი. დანარჩენები ჯგუფად შევიკარით და მივყევით. ციოდა და გვაკანკალებდა.

მიწა, რომელზეც შუქურა აღმართულიყო, პატარა კუნძულს ჰგავდა, თუმცა სიგანეში ორმოცდაათ იარდზე მეტი არ იქნებოდა. შუქურის დაჟანგებულ საძირკველთან ქვის საფეხურები და ღია კარი მოჩანდა. სწორედ იქ იდგა გოლანი პისტოლეტით ხელში და გვიმიზნებდა.

გავრისკე და ილუმინატორის ფანჯრიდან გავიხედე. ერთ ხელში პატარა გალია ეჭირა. შიგნით კი ორი ჩიტი ისე მიჰკვროდა ერთმანეთს, რომ ერთს მეორისგან ვერ ვარჩევდი.

ტყვიამ ჩაიწუილა და თავი დავხარე.

– კიდევ უფრო მომიახლოვდებით და ორივეს ჩავხოცავ! – დაიყვირა გოლანმა და გალია ააზანზარა.

– იტყუება, – ვთქვი მე, – მას ისინი სჭირდება.

– ეგ დანამდვილებით არავინ იცის, – შემომხედა ემამ, – ბოლოს და ბოლოს, შეშლილია.

– ჰო, მაგრამ რაღაც ხომ უნდა გავაკეთოთ.

– სასწრაფოდ მისკენ გავიქცეთ! – შესძახა ბრონუინმა, – უცებ ვერ მოიფიქრებს, რა მოიმოქმედოს. თუ გვინდა, რომ ამ გეგმამ იმუშავოს, ახლავე უნდა დავიძრათ. ახლავე!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და სანამ გეგმის აწონ-დაწონვას დავიწყებდით, ბრონუ-ინი უკვე შუქურისკენ გარბოდა. ფარიც თან წაიღო და ამიტ-ომ სხვა გზა არ დაგვიტოვა – უკან უნდა გავყოლოდით. იმავე წამს ტყვიები აზუზუნდა, ხან ჩვენს ფეხებთან ცვიოდა, ხანაც ქვებზე ეცემოდა.

ისეთი განცდა მქონდა, თითქოს თავსხმა წვიმის საწინააღ-მდეგო მიმართულებით გავრბოდით. ბრონუინი შემაძრწუნებ-ლად გამოიყურებოდა: ბარბაროსივით ღრიალებდა, კისერზე ძარღვები გამობერვოდა, მკლავები და ზურგი მილარდის სის-ხლით გადღაბნოდა.

შუქურას რომ მივუახლოვდით, გვიყვირა:

– კედელს ამოეფარეთ!

მე და ემამ მილარდს ვტაცეთ ხელი და მკვეთრად შევუხ-ვიეთ მარცხნივ. ამასობაში ბრონუინმა კარი მაღლა ასწია და გოლანის მიმართულებით გატყორცნა.

გაისმა დაცემის ხმა, რომელსაც მაშინვე ყვირილი მოჰყვა და რამდენიმე წამში ბრონუინი ჩვენ შემოგვიერთდა. ფეხზე ძლივს იდგა და მძიმედ ქშენდა.

– მგონი, მოვარტყი! – თქვა აღელვებულმა.

– და ჩიტები? – ემა ვერ ისვენებდა, – მათზე არ გიფიქრია?

– გალია ხელიდან გაუვარდა. კარგად არიან.

– ნებისმიერ შემთხვევაში, სანამ გადაირეოდი და ჩვენს სიცოცხლეს სასწორზე შეაგდებდი, ჩვენთვის აზრი უნდა გე-კითხა! – გაბრაზდა ემა.

– ჩუმად! – ტუჩებზე თითი მივიდე. ლითონის ჭრიალის სუსტი ხმა გავიგონეთ, – ეს რა არის?

– კიბეზე ადის, – მიპასუხა ემამ.

– აჯობებს, გაჰყვეთ, – ამოიკვნესა მილარდმა. კედელს მიჰყრდობოდა.

– მაგას ვერ ვიზამთ, სანამ შენ არ მოგხედავთ, – მივუგე მე, – რომელიმემ თუ იცით, ჭრილობა როგორ შევუხვიოთ?

ბრონუინი დაიხარა და შარვალს ნაჭერი ჩამოახია.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მე ვიცი და სისხლდენას შევაჩერებ. თქვენ კი გოლანს მიხედეთ. ეტყობა, ჩემი დარტყმა არ ეყო. გაქცევის უფლება არ მისცეთ.

ემას მივუბრუნდი.

– მზად ხარ?

– თუ იმას გულისხმობ, რომ სიფათი გავუბრტყელო, რა თქმა უნდა, მზად ვარ, – თქვა მან და ხელებიდან ცეცხლის ენები ამოუშვა.

* * *

მე და ემა კარზე გადავბობღდით, რომელიც გაღუნული ეგდო და შუქურაში შევედით. შენობაში უზარმაზარი კიბე დაგვხვდა, რომელსაც კიბის უჯრედს უფრო უწოდებდი. კიბის სიგრძე ოცდაათიოდე მეტრი იქნებოდა და იატაკიდან ქვის ოთახამდე ადიოდა. გოლანის მძიმე ნაბიჯების ხმა ჩვენს ყურს სწვდებოდა, მაგრამ მეტისმეტად ბნელოდა საიმისოდ, რომ გაგვერკვია, ზუსტად საიდან ისმოდა.

– ხედავ? – ვკითხე ემას და თავბრუდამხვევ საფეხურებს ავხედე.

ჩემი კითხვის პასუხად ახლომდებარე კედელმა ტყვია აისხლიტა. მას მეორე ტყვია მოჰყვა, რომელმაც ახლოს ჩამიქროლა. უკან გავხტი. გული გამალებით მიცემდა.

– აქეთ! – მიყვირა ემამ. მხარში ხელი ჩამჭიდა და კიბის ქვეშ შემათრია – იქ, სადაც გოლანის ტყვიები ვერ მოგვწვდებოდა.

მერე რამდენიმე საფეხური ავიარეთ. კიბე ისე ირწეოდა, როგორც ნავი ქარიშხლის დროს.

– საკმაოდ საშიშია! – წამოიძახა ემამ. მოაჯირს ჩაბღაუჭებოდა.

– ზევით რომც ავაღწიოთ, გვესვრის!

– მაშინ იქნებ ვაიძულოთ, თვითონ ჩამოვიდეს ქვემოთ.

ქანაობა დავიწყე, მოაჯირს ვარყევდი და თან ფეხებს ვაბაკუნებდი. ემა ჯერ ისე მომაჩერდა, როგორც შეშლილს, მაგრამ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შემდეგ ჩანაფიქრს მიმიხვდა და თვითონაც მომბაძა. ძალიან მალე კიბე აზანზარდა.

– მთელი კიბე თავზე რომ ჩამოგვემხოს? – ჩამომძახა ზემოდან.

– იმედი ვიქონიოთ, რომ ასე არ მოხდება!

მოაჯირი ისე ტორტმანებდა, თავს ძლივს ვიმაგრებდი. გავიგონე, გოლანმა რამდენჯერმე როგორ შეიკურთხა, მერე კი კიბეზე რაღაცამ ჩაიქროლა და შორიახლოს დავარდა.

გული გამისკდა. ჯერ ვიფიქრე, ჩიტის გალიაა-მეთქი და დაბლა ჩავირბინე.

– რას აკეთებ? – აღშფოთდა ემა, – გესვრის!

– ვერ მესვრის! – მივუგე და გოლანის იარაღი ტრიუმფით მაღლა ავწიე.

სროლის მერე ჯერ კიდევ თბილი იყო და საკმაოდ მემძიმა. აზრზე არ ვიყავი, შიგნით ტყვიები იდო თუ არა და ისიც არ ვიცოდი, სიბნელეში როგორ შემემოწმებინა. ამაოდ ვცდილობდი, რაიმე სასარგებლო გამეხსენებინა იმ რამდენიმე გაკვეთილიდან, რომლებიც ბაბუამ ჩამიტარა. ბოლოს მაინც ემასთან გავიქეცი, კიბისკენ.

– მაღლაა გამომწყვდეული, – დავუძახე, – გონივრულად უნდა ვიმოქმედოთ. შეიძლება ჩიტებს რამე დაუშავოს!

საფეხურებს ავუყევით. კიბე ისევ ირყეოდა. ისეთი ვიწრო იყო, რომ რიგრიგობით გვიწევდა გავლა. თავი დავხარეთ და ვლოცულობდით, როგორმე სამშვიდობოს გავსულიყავით.

ბოლო საფეხურებზე სვლა შევანელეთ. ქვევით ჩახედვას ვერ ვბედავდი. მხოლოდ ჩემს ფეხებს ვგრძნობდი საფეხურებზე, ხელს – მორყეულ მოაჯირზე რომ დასრიალებდა და მეორე ხელს, რომლითაც იარაღი მეჭირა. ჩემთვის სხვა აღარაფერი არსებობდა.

მოულოდნელი თავდასხმისთვის მოვემზადე, მაგრამ არაფერი მომხდარა. ქვებს შორის ღამის სუსხი და ქარის სტვენა ატანდა. იარაღიანი ხელი აღვმართე და თავი ავწიე. დაძაბული

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვიყავი, ბრძოლის მოლოდინში, თუმცა გოლანი არ ჩანდა. ჩემგან ერთ მხარეს სქელი შუშის მიღმა მოქცეული უზარმაზარი პროჟექტორი ტრიალებდა და იმდენად თვალისმომჭრელად ბრდღვიალებდა, რომ თვალები მეხუჭებოდა. მეორე მხარეს კი მოაჯირი გრძელდებოდა. მოაჯირს იქით სიცარიელე იყო – უფსკრული, ლოდები და აბობოქრებული ზღვა.

შევტრიალდი, რომ ემას მივშველებოდი. ზურგით პროჟექტორის თბილ გარსაცმს ვეყრდნობოდით, სუსხიანი ქარი კი სახეში გვცემდა.

– ფრინველი სადღაც ახლოსაა, – დაიჩურჩულა ემამ, – ვგრძნობ.

ხელი შეარხია და წითელმა ალმა იელვა. მისი ფერი და ელვარება იმაზე მიუთითებდა, რომ ამჯერად გზის გასანათებლად კი არა, იარაღად უნდა გამოეყენებინა.

– უნდა გავიყოთ, – ვთქვი მე, – შენ ერთი მხრიდან მოუარე, მე კი მეორედან, გაპარვა რომ ვერ მოახერხოს.

– მეშინია, ჯეიკობ.

– მეც, მაგრამ ახლა ის დაშავებულია, ხოლო მისი იარაღი ჩვენ გვაქვს.

ემამ თავი დამიქნია, მკლავზე შემეხო და გატრიალდა.

ნელი ნაბიჯით წავედი. ჩემი ვარაუდით, იარაღი დატენილი იყო და ხელს მაგრად ვუჭერდი. თანდათან ჩემი მხედველობის არეში კოშკის იქითა მხარე მოექცა.

გოლანი თავჩაქინდრული იჯდა და ზურგი მოაჯირზე მიეყრდნო. გალია მუხლებს შორის მოექცია. ცხვირიდან სისხლი მოსთქრიალებდა, სახეზე ზოლებად დამჩნეოდა და ცრემლივით სდიოდა.

გალიაზე პატარა, წითელი შუქი იყო მიმაგრებული, რომელიც რამდენიმე წამში ერთხელ ციმციმებდა.

მისკენ გავემართე. გოლანმა თავი ასწია, რომ ჩემთვის შემოეხედა. ტუჩის კუთხეში დორბლი მოსდგომოდა.

გალიას ხელი წაავლო და ბარბაცით წამოდგა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ძირს დადე, – ვანიშნე გალიაზე.

დაიხარა, თითქოს მნებდებოდა, მაგრამ ხელიდან დამისხლტა და გაქცევა სცადა. დავედევნე, თუმცა როგორც კი პროჟექტორის მინას ამოეფარა, ემას ცეცხლმა იელვა. გოლანი ჩემკენ ყვირილით გამოექანა. თმაზე ბოლი ასდიოდა და ცალი ხელით სახეს იფარავდა.

– შეჩერდი! – დავჭყივლე და მივხვდი, რომ მახეში გვყავდა გაბმული. გოლანმა გალია ასწია და შეაზანზარა. ჩიტები აფართხალდნენ და თითები დაუკორტნეს.

– ეს გინდათ? – გვიღრიალა, – მიდით, წამიკიდეთ ცეცხლი! ჩიტებიც ჩემთან ერთად დაიწვებიან! მესვრით და აქედან გადავუძახებ!

– თუ თავში გესვრი, ვერსადაც ვერ გადაუძახებ!

გოლანს გაეცინა.

– მაგას ვერ იზამ. გავიწყდება, რომ შენს სუსტ, არამყარ ფსიქიკას ძალიან კარგად ვიცნობ?! მესვრი და კოშმარები დაგტანჯავს!

ვცადე, წარმომედგინა, ჩახმახს თითს როგორ გამოვკრავდი. პისტოლეტი გაისვრის და ხმას გამოსცემს. რა იყო ამაში რთული? ამის გაფიქრებისას რატომ მიკანკალებდა ხელი? ნეტავი, ბაბუაჩემს რამდენი *იმგვარი* მოუკლავს? ათობით? ასობით? ახლა აქ ჩემ მაგივრად რომ ყოფილიყო, გოლანი კარგა ხნის მკვდარი იქნებოდა. ეს ხელიდან გაშვებული შესაძლებლობა იყო – ერთწამიანი ყოყმანის შედეგი, რაც შეიძლებოდა იმბრინებს სიცოცხლის ფასად დასჯდომოდათ.

უზარმაზარმა ნათებამ გადაგვიარა და თითქოს თეთრ სილუეტებად გვაქცია. გოლანი, რომელიც ნათებას თვალს უსწორებდა, დაიჯღანა და გვერდზე გაიხედა. „აი, კიდევ ერთი, ხელიდან გაშვებული შანსი“, გავიფიქრე მე.

– გალია ძირს დადე და წამოგვყევი, – ვუთხარი გოლანს, – არაა საჭირო, კიდევ ვინმე დაშავდეს.

– არ ვიცი, – თქვა ემამ, – მილარდი რომ ვერ გადარჩეს, ჩემს თავზე პასუხისმგებელი არა ვარ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჩემი სიკვდილი გინდათ? – შემოგვხედა გოლანმა, – კარგი, სწრაფად იმოქმედეთ. მაგრამ იცოდეთ, რომ გარდაუვალს მხოლოდ დროებით აკავებთ და თავს უარეს განსაცდელში იგდებთ. ჩვენ უკვე ვიცით, როგორ გიპოვოთ. ბევრი ჩემნაირი მოვა და გპირდებით, რომ მათგან მოყენებული ზიანი ისეთი საშინელი იქნება, თქვენი მეგობრის მდგომარეობას მოგანატრებთ.

– სწრაფად ვიმოქმედოთ? – ემას ხელში მოგიზგიზე ცეცხლმა ცას ნაპერწკლები შეაფრქვია, – ვინ თქვა, რომ შენი სიკვდილი სწრაფი იქნება?

– გაფრთხილებთ, დავხოცავ! – გოლანმა გალია შეარხია.

ემამ მისკენ ერთი ნაბიჯი გადადგა.

– 85 წლისა ვარ, – უთხრა შეუდრეკელი და ამოუცნობი გამომეტყველებით, – გგონია, აღმზრდელები მჭირდება? ვერც კი წარმოიდგენ, როგორ მომბეზრდა მაგ ქალის ფრთის ქვეშ ყოფნა! დამიჯერე, მათ თუ დახოცავ, მხოლოდ დაგვეხმარები.

გოლანმა თავი ააკანტურა და შეშფოთებული მზერა შეგვავლო. „სერიოზულად ამბობს?“ გავიფიქრე. წამით გოლანი მართლა დაშინებული ჩანდა, მაგრამ შემდეგ სახე გაუმკაცრდა:

– ტყუი!

ემამ ხელისგულები ერთმანეთს გაუხახუნა და მერე ნელნელა დააშორა. იქიდან ცეცხლის ენები ამოიზარდა.

– აბა, შევამოწმოთ.

არ ვიცოდი, რამდენად შორს აპირებდა ემა შეტოპვას, მაგრამ იძულებული გავხდი, ჩავრეულიყავი, სანამ ჩიტებს გარეთ გადაუძახებდნენ ან შეტრუსავდნენ.

– გვითხარი, იმბრინებს რას უპირებ და შეიძლება დაგინდოს!

– იმის დამთავრება გვინდა, რაც დიდი ხნის წინ დავიწყეთ, – მომიგო გოლანმა.

– ექსპერიმენტს გულისხმობ, – თქვა ემამ, – ერთხელ ხომ უკვე სცადეთ და ეს შედეგი მიიღეთ – ურჩხულებად გადაიქეცით!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– დიახ, – უპასუხა გოლანმა, – მაგრამ როგორი ულიმლამო იქნებოდა ცხოვრება, ყველაფერი პირველივე მცდელობით რომ გამოგვდიოდეს! – ირონიულად გაიღიმა, – ამჯერად მსოფლიოს ყველა საუკეთესო მანიპულატორის დახმარებით ვისარგებლებთ და მარცხი აღარ მოგვივა. ეს ორი ქალბატონი კი მათ სიაშია. ასი წელი გვქონდა იმის გასარკვევად, თუ რა გავაკეთეთ არასწორად. ჰოდა დავადგინეთ, რომ უფრო ძლიერი რეაქტიული ქმედება გვჭირდებოდა!

– უფრო ძლიერი? – გავიოცე, – წინა ჯერზე ნახევარი ციმბირი ააფეთქეთ!

– თუ დამარცხება გიწერია, – თქვა შემართებით, – შთამბეჭდავად დამარცხდი!

ჰორასის წინასწარმეტყველური სიზმარი გამახსენდა აღელვებულ ზღვებსა და გადაბუგულ მიწაზე და მივხვდი, რას ხედავდა სინამდვილეში. თუ *იმგვარებისა* და უსულოების ეს ექსპერიმენტიც წარუმატებლად ჩაივლიდა, მაშინ ისინი კიდევ უფრო მეტს გაანადგურებდნენ. ხოლო თუ ექსპერიმენტს წარმატებით დაასრულებდნენ, მაშინ უკვდავ ნახევრადღმერთებად იქცეოდნენ... ამის წარმოდგენაზეც კი გამაჟრიალა. მათი ბატონობის ქვეშ ცხოვრება ჯოჯოხეთად გვექცეოდა. ნათებამ ხელმეორედ გადაგვიარა და გოლანი კიდევ ერთხელ დააბრმავა. დაძაბული მოვემზადე შეტევისთვის, თუმცა ეს მომენტიც ხელიდან გავუშვი.

– მაგას რა მნიშვნელობა აქვს, – თქვა ემამ, – თუ გინდა, ყველა იმბრინი მოიტაცე. ისინი არასოდეს დაგეხმარებიან.

– დამეხმარებიან. თუ არადა, სათითაოდ დავხოცავთ. თუ ესეც არ გაჭრის, მაშინ მათ აღსაზრდელებს მივადგებით და იმბრინებს ამის ყურებას ვაიძულებთ.

– გაგიჟებულხართ!

ჩიტებმა ფრთხიალი და შფოთვა დაიწყეს. გოლანი მათი ხმის გადაფარვას შეეცადა.

– არა! სიგიჟე ისაა, რომ თქვენ, უჩვეულოები, სამყაროს ემალებით, როცა მისი მართვა შეგიძლიათ. სიკვდილთან დათმო-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბაზე მიდიხართ, როცა ძალა შეგწევთ, მასზე იბატონოთ, ხოლო ჩვეულებრივ მდაბიოებს ნებას აძლევთ, ჩრდილში მოგაქციონ, როცა შეგიძლიათ, ისინი მონებად აქციოთ. ადამიანები კი სწორედ ამას იმსახურებენ! მონობას! – თან ყოველი წინადადების დამთავრების შემდეგ გალიას აზანზარებდა, – აი, ესაა სიგიჟე!

– კმარა! – შესძახა ემამ.

– ესე იგი, მათი ბედი გაღელვებს! – გოლანმა გალია კიდევ უფრო ღონივრად შეარხია. უცებ გალიაზე მიმაგრებული წითელი შუქი მკვეთრად აკაშკაშდა. გოლანმა თავი მიატრიალა და გამეფებულ სიბნელეს თვალი შეავლო. მერე ისევ ემას შეხედა და გაიცინა:

– გალია გინდა? აჰა! – უკან დაიხია და გალია ემას მიმართულებით გააქნია.

ემამ შეჰყვირა და თავი დახარა. გოლანმა გალიის ქნევა განაგრძო, ბოლოს კი ხელი გაუშვა. გალია ემას თავზე გადაევლო, მოაჯირისკენ გაფრინდა და სიცარიელეში გაუჩინარდა.

მე შევიკურთხე, ემამ კი იკივლა და მოაჯირზე გადაეყუდა. ჰაერში ხელები გაიწვდინა, მაგრამ გვიანღა იყო – გალია ზღვაში გადავარდა. დაბნეულობის მომენტში გოლანი წინ გადმოხტა, ძირს დამანარცხა და მუშტები დამიშინა.

თავბრუ მეხვეოდა და ველარ ვსუნთქავდი. გოლანი პისტოლეტს წაეპოტინა და მეც მთელი ძალით ვცადე, მისთვის ხელი შემეშალა. ისე ძალიან უნდოდა იარაღის აღება, მივხვდი, დატენილი იქნებოდა. ემა გოლანს უკიოდა, მერე კი გამოექანა და აგიზგიზებული ხელები ყელში წაუჭირა.

გოლანს კანი შეეტრუსა, დაიღრიალა და გვერდზე გადაგორდა. მის თხელ თმას ბოლი ასდიოდა. მერე ძალა მოიკრიბა და ემას კისერზე ხელები მოხვია, თითქოს თუ ემასაც თან წაიყოლებდა, აღარ ინაღვლებდა, დაიწვებოდა თუ არა. ფეხზე წამოვხტი, პისტოლეტი ორივე ხელით ჩავბღუჯე და დავუმიზნე.

შევეცადე, თავიდან სულელური აზრები გამომედევნა და მკლავმაგარ მებრძოლად ვქცეულიყავი. არა, ეს ადამიანი კი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

არა, გახრწნილი არსება იყო. ურჩხული, რომელმაც ბაბუაჩემი მოკლა და ცხოვრება დამინგრია, რომლის წყალობითაც ეს საშინელი წამები გამოვცადე. ის გაცილებით უარესად მექცეოდა, ვიდრე სხვა მოძალადეები, ჩემ მაგივრად რომ იღებდნენ გადაწყვეტილებებსა და ჩემს ცხოვრებას მართავდნენ.

მოდუნდი, ჩაისუნთქე და თითი გამოჰკარი.

პისტოლეტმა ჩემს ხელში შეითამაშა და ისეთი საზარელი ხმა გამოსცა, თითქოს დედამიწა შუაზე გაიპოო. თვალები დავხუჭე. რომ გავახილე, მომეჩვენა, რომ ყველაფერი ადგილზე გაყინულიყო. გოლანი ემას უკან იდგა, ხელები მისთვის კისერზე შემოეხვია და მოაჯირს მიყრდნობოდა. ორივე ბრინჯაოს ქანდაკებას ჰგავდა. ნუთუ, იმბრინები ადამიანებად იქცნენ, დრო გააჩერეს და დაგვეხმარნენ? შემდეგ ემამ გოლანის მკლავები მოიშორა და ისიც უკან-უკან ტორტმანით წავიდა, წაბორძიკდა და მოაჯირზე მძიმედ ჩამოჯდა.

გაოგნებულმა შემომხედა. პირი დააღო, რომ რაღაც ეთქვა, მაგრამ ხმა არ ამოუვიდა. ხელები ყელზე, ნატყვიარზე მიიჭირა და თითებზე სისხლი ჩამოედინა. მერე თითქოს ძალა მთლიანად გამოეცალა, უკან გადაქანდა და ბნელში გაუჩინარდა.

ემამ მაშინვე ზღვაზე მიმანიშნა და იყვირა:

– იქ, აი, იქ!

მისი თითის მიმართულებას მივყევი, თვალები მოვჭუტე და ჰორიზონტზე ძლივს გავარჩიე წითელი ნათება. მოქანავე კიბეს ჩავუყევით. იმედი არ გვქონდა, რომ გალიამდე მივაღწევდით, სანამ ჩაიძირებოდა, მაგრამ გადავწყვიტეთ, მაინც გვეცადა.

გარეთ გავვარდით. მილარდს ჭრილობა შეხვეული ჰქონდა. ბრონუინი გვერდით ედგა. ბიჭმა რაღაც დაგვიძახა. სიტყვები ვერ გავარჩიეთ, მაგრამ დავრწმუნდით, რომ ცოცხალი იყო. ემას მხარზე ხელი წავავლე და ჩავჩურჩულე:

– ნავი!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ემას მოპარული ნავი შუქურის გალმა მხარეს ლოდებს ეხეთქებოდა. მასთან მისასვლელად დრო დაგვჭირდებოდა, ამიტომ პირდაპირ ზღვისკენ გავიქეცით და წყალში შევცვივდით.

სიცივე თითქმის არ მიგრძნია. მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, როგორმე გალიამდე მიმეცურა, სანამ ტალღებში გაუჩინარდებოდა. წყალი სახეზე გვეხეთქებოდა და ამიტომ წამდაუწუმ ვაფურთხებდით და ვახველებდით. ძნელი გასარკვევი იყო, საიდან მოდიოდა ნათება, რადგან გალია ხან ამოტივტივდებოდა, ხან – იძირებოდა, გვიახლოვდებოდა და მერე ისევ გვშორდებოდა. ორჯერ მხედველობის არედანაც კი დავკარგეთ და იძულებული გავხდით, გავჩერებულიყავით.

მძლავრ დინებას გალია შორს მიჰქონდა და მასთან ერთად ჩვენც გვიტყუებდა. მალე თუ ვერ მივაღწევდით, ცურვას ვეღარ შევძლებდით და დავიხრჩობოდით. როდესაც ნათება მესამედაც გაუჩინარდა, იმდენ ხანს ვეძებდით, რომ ყოველგვარი იმედი გადამეწურა და ემას ვუყვირე:

– უკან უნდა გავბრუნდეთ!

ემამ არ მომისმინა და წყალში უფრო ღრმად შევიდა. ფეხზე ხელი წავავლე, მაგრამ წიხლი მკრა.

– დაიკარგა! ველარ ვიპოვით!

– მოკეტე! მოკეტე! – მიყვირა. გამუდმებით ქოშინობდა და მივხვდი, რომ ისიც საშინლად გადაქანცულიყო, – მოკეტე და აქაურობა მოათვალიერე!

ფეხზე ისევ წავავლე ხელი და, თავი რომ ვერ გაითავისუფლა, ტირილი დაიწყო. სიტყვასაც არ ამბობდა, მხოლოდ სასოწარკვეთილების ცრემლები ჩამოსდიოდა.

ვეცადე, შუქურისკენ წამეთრია, მაგრამ ადგილიდან არ იძვროდა და მეც ქვევით მექაჩებოდა.

– უნდა გაცურო! გაცურე, თორემ დავიხრჩობით!

სწორედ ამ დროს მოვკარით თვალი სუსტ ციმციმს. ზედაპირთან ძალიან ახლოს კრთოდა. როგორც ჩანს, გალია სხვა გემის ნამსხვრევებზე დაშვებულიყო. ემამ ყვირილი და-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იწყო. საკუთარი თავი დავარწმუნე, რომ შეიძლებოდა ჩიტები ცოცხლები ყოფილიყვნენ.

გავცურეთ და ჩასაყვინთად მოვემზადეთ. სუნთქვა უკვე ძალიან გვიჭირდა და ჰაერს ხარბად ვყლაპავდით, როცა უცებ გალია ზემოთ ამოიზიდა.

– რა ხდება? – გავძახე ემას, – გემის ნამსხვრევებია?

– შეუძლებელია! აქ ჩაძირული გემი არ არის!

– აბა, ეს რა ჯანდაბაა?

მეგონა, ვეშაპი ამოყვინთავდა, გრძელი, უზარმაზარი და ნაცრისფერი ან კიდევ რომელიმე გემის აჩრდილი წამოიმართებოდა საფლავიდან, მაგრამ ფსკერიდან უცნაურმა, მძლავრმა ზვირთმა ამოხეთქა და გვერდზე მიგვწია. შევეცადეთ, ზვირთების საწინააღმდეგოდ გაგვეცურა, მაგრამ მძლავრ დინებაში მოყოლილ ნაფოტებს ვგავდით. შემდეგ ფეხებზე რაღაც მოგვედო და წყლიდან ამოსვლა ჩვენც მასთან ერთად დავიწყეთ.

ეს ვეებერთელა, მექანიკური მონსტრი სისინებდა და ჩხარუნობდა. აქაფებული ტალღები მის ლითონის ზედაპირს ეხეთქებოდა. თითები გისოსებს შემოვაჭდეთ, რომ ზღვაში არ გადავცვენილიყავით. შუქურის შუქმა შემოგვანათა და დავინახე, რომ გალია მონსტრის ზურგიდან გამოშვერილ ორ საგანს შორის გაჭედილიყო. ერთი კონუსის ფორმის პატარა კოშკი იყო, ხოლო მეორე უზარმაზარი, ლითონზე მიჭედებული ტყვიამფრქვევი გახლდათ.

– წყალქვეშა ნავი! – ვიყვირე და მივხვდი, რომ მისი ამ წერტილში ყოფნა შემთხვევითი სულაც არ იყო. ალბათ, გოლანი სწორედ მას ელოდა.

ემა უკვე გემბანზე გარბოდა გალიისკენ. მეც წამოვდექი, მაგრამ როგორც კი ნაბიჯი გადავდგი, ტალღამ გადაგვიარა და ორივე წაგვაქცია.

ყვირილი გავიგონე, ავიხედე და ნაცრისფერ უნიფორმაში გამოწყობილი კაცი დავინახე, რომელიც კონუსის ფორმის კოშკიდან ამოსულიყო და თოფს გვიმიზნებდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავს ტყვიების წვიმა დაგვატყდა. გალია საკმაოდ შორს იყო. სანამ მივწვდებოდით, დაგვცხრილავდნენ, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ემა მაინც აპირებდა, ბედი ეცადა.

გავიქეცი და წავაქციე. გემბანიდან გადავგორდით და წყალში ჩავცვივდით. ზევიდან ზღვის შავმა ტალღებმა გადაგვიარა. ტყვიებმა წყალში გაიელვა.

როდესაც ამოვყვინთეთ, ემამ ხელი ჩამავლო და მიღრიალა:

– ეს რატომ გააკეთე?

– შენ მოკვლას აპირებდა! – თავი გავითავისუფლე და უცებ მივხვდი, მისი ყურადღება იმდენად დაეპყრო გალიას, რომ ის კაცი არც კი დაუნახავს. გემბანზე მივუთითე, სადაც არტილერისტი ჩვენი მიმართულებით მოაბიჯებდა. მან გალიას ხელი წაავლო და შეაყანყალა. გალიის კარი გაიღო და წამით მომეჩვენა, რომ ჩიტებმა გაიფრთხიალეს, რამაც იმედი ჩამისახა. შემდეგ კვლავ შუქურის სხივებმა გაგვანათა და არტილერისტის სახე დავინახე. ეშმაკურად იღიმოდა და თვალის გუგები არ უჩანდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ *იმგვარი* გახლდათ.

გალიაში ხელი შეყო და ერთ-ერთი გაწუწული ჩიტი ამოიყვანა. კონუსის ფორმის კოშკიდან მეორე ჯარისკაცი გამოჩნდა, რომელმაც დაუსტვინა და არტილერისტს რაღაც ანიშნა. ისიც ლუკისკენ გაიქცა და შიგ ჩაძვრა.

წყალქვეშა ნავმა რყევა და სისინი დაიწყო. გარშემო წყალი ისე აქაფდა, გეგონებოდა, დუღსო.

– გაცურე, თორემ ჩაგვითრევს! – ვუყვირე ემას, მაგრამ ის მე არ მიყურებდა. მისი თვალები ნავის კარკასთან მუქი ფერის წყალს მიშტერებოდა.

ნავისკენ გაცურა. ვეცადე, შემეჩერებინა, მაგრამ დამისხლტა. რამდენიმე წამის შემდეგ ნავის ზუზუნში მისი განწირული კივილი შემომესმა: „მის პერეგრინ!“

ფრინველი ტალღებს ებრძოდა. ცდილობდა, თავი წყალზევით გაეჩერებინა. ცალ ფრთას აფართხალებდა. მეორე, მგო-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნი, მოტეხილი ჰქონდა. ემამ ხელში აიყვანა. ვიყვირე, აქაურობას მოვშორდეთ-მეთქი.

რაც ძალი და ღონე გვქონდა, გავცურეთ. მორევი უკან მოვიტოვეთ. ნავი იძირებოდა და წყალი სიცარიელის ამოვსებას ლამობდა. ზღვა თითქოს შთანთქმით გვემუქრებოდა, მაგრამ ჩვენ ხელთ გვეპყრა გამარჯვების თუ სანახევრო გამარჯვების ფრთამოტეხილი სიმბოლო და მისი წყალობით საზარელ რეალობასთან შესაბრძოლებლად ძალა გვემატებოდა. შემდეგ ბრონუინის ძახილი გავიგონეთ. გოგონა ტალღებისკენ გამოექანა და, როგორც იქნა, სამშვიდობოს გაგვიყვანა.

* * *

გულაღმა ვიწექით. ცა თანდათან იწმინდებოდა. ღრმად ვსუნთქავდით და დაღლილობისგან ვკანკალებდით. მილარდსა და ბრონუინს ბევრი შეკითხვა ჰქონდათ, მაგრამ პასუხის გაცემას ვერ ვახერხებდით. ჰაერი არ გვყოფნიდა. მათ დაუნახავთ, როგორ ჩავარდა წყალში გოლანის სხეული, როგორ ამოიზიდა წყალქვეშა ნავი და შემდეგ ისევ ჩაიძირა; ნახეს, როგორ ამოვიყვანეთ წყლიდან მის პერეგრინი, მაგრამ ვერაფერი ვუშველეთ მის ავასეტს. მანამდე გვეხუტებოდნენ, სანამ კანკალი არ შევწყვიტეთ. ბრონუინმა მის პერეგრინი გასათბობად თავისი პერანგის ქვეშ შემალა. აზრზე მოვედით თუ არა, ემას ნავი მოვხსენით და ნაპირისკენ გავწიეთ.

ნაპირს რომ მივუახლოვდით, ბავშვები ჩვენკენ გამოექანენ.

– სროლის ხმა გავიგონეთ!

– ის უცნაური წყალქვეშა ნავი ვისია?

– მის პერეგრინი სადაა?

ნავიდან გადმოვბობღდით და ბრონუინმა პერანგი აიწია, რომ მოკუნტული ფრინველი გამოეჩინა. ბავშვები გარს შემოგვეხვივნენ. მის პერეგრინმა ნისკარტი ასწია, რათა ენიშნებინა, გადაღლილი ვარ, მაგრამ არა მიშავსო. ბავშვებმა მაშინვე ყიჟინა დასცეს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– თქვენ ეს შეძელით! – იყვირა ჰიუმ.

ოლივმა ცეკვა და სიმღერა დაიწყო:

– ჩიტი, ჩიტი, ჩიტი, ჩიტი! ემამ და ჯეიკობმა იხსნეს ჩიტი!

თუმცა ზეიმი დიდხანს არ გაგრძელებულა. სულ მალე მის ავასეტის არყოფნა და მილარდის შემაშფოთებელი მდგომარეობა შენიშნეს. ჭრილობა მჭიდროდ ჰქონდა შეხვეული, მაგრამ ბევრი სისხლი დაეკარგა და დასუსტებულიყო. ენოქმა მას თავისი ლაბადა ათხოვა, ფიონამ კი შალის ქუდი შესთავაზა.

– ქალაქში წაგიყვანთ, ექიმთან, – უთხრა მილარდს ემამ.

– სისულელეა, – იუარა მან, – ექიმს უჩინარი ბიჭის შესახებ არაფერი ეცოდინება და ვერ მიხვდება, რა გააკეთოს. შეცდომით სხვა კიდურზე წამავლებს ხელს ან ყვირილით გაიქცევა.

– რა აზრი აქვს, ყვირილით გაიქცევა თუ არა. როგორც კი მარყუჟი გადაიტვირთება, მაინც ალარაფერი ემახსოვრება.

– გარშემო მიმოიხედე. მარყუჟი ერთი საათის წინ უნდა გადატვირთულიყო.

მილარდი არ ტყუოდა – ცაში სიმშვიდეს დაესადგურებინა და იერიშიც დასრულებულიყო, მაგრამ ღრუბლებს ჯერ კიდევ კვამლის სქელი ნაკადი ერეოდა.

– მთლად სახარბიელო ამბავი ვერ არის, – თქვა ენოქმა და ყველა გაჩუმდა.

– ყოველ შემთხვევაში, – განაგრძო მილარდმა, – სახლში ყველაფერი გვაქვს, რაც მჭირდება. მხოლოდ ცოტა ოპიუმის ნაყენი დამალევინეთ და ჭრილობა ალკოჰოლით დამიმუშავეთ. სამ დღეში ყოჩაღად ვიქნები.

– მაგრამ სისხლი ჯერ კიდევ ჟონავს, – მიუგო ბრონუინმა და ქვიშაზე დარჩენილ სისხლის წვეთებზე მიუთითა.

– მაშინ უფრო მჭიდროდ შემიხვიე ეგ დაწყევლილი ჭრილობა!

ბრონუინი ასეც მოიქცა. მილარდს სული შეეხუთა, მერე გული წაუვიდა და ბრონუინის მკლავებს მიესვენა. ამის დანახვაზე ყველას სახე შეეჭმუხნა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– კარგადაა? – შეშფოთდა კლერი.

– უბრალოდ, გონება დაკარგა, – უპასუხა ენოქმა, – არც ისეთი საღსალამათია, როგორადაც თავს გვაჩვენებს.

– ახლა რა უნდა ვქნათ?

– მის პერეგრინს ვკითხოთ! – თქვა ოლივმა.

– მართალია. ძირს დასვით, რომ ადამიანად იქცეს. სანამ ფრინველია, ვერაფერს გვეტყვის.

ბრონუინმა შევარდენი ქვიშის მშრალ ნაწილზე ჩამოსვა. ყველამ თითო ნაბიჯით უკან დავიხიეთ და დაველოდეთ. მის პერეგრინი რამდენჯერმე ახტა, საღი ფრთა შეარხია, ბუმბულებიანი თავი დაატრიალა და თვალები დაახამხამა – მაგრამ სულ ეს იყო. ისევ ფრინველად დარჩა.

– იქნებ განმარტოება სჭირდება, – თავისი ვარაუდი გამოთქვა ემამ, – მოდით, ზურგი შევაქციოთ.

ასეც მოვიქეცით. წრე შევკარით და ზურგი ვაქციეთ

– ახლა უსაფრთხოდ ხართ, მის პი, – მიმართა ოლივმა, – არავინ გიყურებთ!

ცოტა ხანში ჰიუმ გამოიხედა და აღელდა:

– არა, ისევ ჩიტია.

– შეიძლება ძალიან დაიღალა და სცივა, – თქვა კლერმა და, რადგან სხვებიც დაეთანხმნენ, გადავწყვიტეთ, სახლში წავსულიყავით და მილარდისთვის იმ რესურსებით გვემკურნალა, რაც გვებადა. ვიმედოვნებდით, რომ დასვენების შემდეგ ორივენი, დირექტორიცა და მისი მარყუჟიც, ჩვეულებრივ მდგომარეობას დაუბრუნდებოდნენ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ციცაბო ბილიკს ავუყევით და მთაგრეხილი გადავიარეთ. გეგონებოდა, ომგამოვლილი ვეტერანები ვიყავით: თავჩაქინდრულნი, მწკრივად მივაბიჯებდით. ბრონუინს მილარდი მოჰყავდა ატატებული, მის პერეგრინი კი ფიონას თავის ჩიტის ბუდის მსგავს თმაში შეეფარებინა. მიწა ყუმბარებს ჩაეზნიქა, თითქოს იქაურობა უზარმაზარ ძაღლს გადაეთხარა. ერთი სული გვქონდა, გაგვეგო, სახლს რა ბედი ეწია, თუმცა ამ კითხვის დასმის ყველას გვეშინოდა.

პასუხი ტყიდან გასვლამდე მივიღეთ. ენოქი რაღაც ნივთს წამოედო. დაიხარა, რომ შეემოწმებინა და ხელთ აგურის ნატეხი შერჩა.

პანიკა დაიწყო. ბავშვები ბილიკს სირბილით გაუყვნენ და გაზონს რომ მიაღწიეს, პატარებს ტირილი წასკდათ. ყველაფერი კვამლში გახვეულიყო. ყუმბარა ადამის გაშვერილ თითზე კი არ დასვენებულიყო, როგორც სხვა დროს ხდებოდა, არამედ ფიგურა შუაზე გაეხლიჩა. სახლის უკანა ნაწილი ჩამონგრეულიყო. ორ დანახშირებულ ოთახს ჯერ კიდევ ცეცხლი ეკიდა. ადამის ადგილას უშველებელი კრატერი წარმოქმნილიყო. ახლა უკვე მარტივი იყო იმის წარმოდგენა, როგორ იქცეოდა ეს ადგილი რამდენიმე ათწლეულში კოშმარებიდან გადმოსულ სახლად – იმ სევდიან და შემზარავ ნანგრევებად, რომლებიც ამ რამდენიმე კვირის წინ პირველად ვიხილე.

მის პერეგრინი ფიონას თმიდან ჩამოხტა და გადაბუგულ ბალახზე აქეთ-იქით სირბილი დაიწყო, თან გამყინავად კიოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– დირექტორო, რა მოხდა? – იკითხა ოლივმა, – მარყუჟი რატომ არ გადაიტვირთა?

მის პერეგრინმა საპასუხოდ მხოლოდ იკივლა. დანარჩენებივით დაბნეული და შეშინებული ჩანდა.

– გთხოვთ, ადამიანად იქეცით! – შეევედრა კლერი და მის წინ ჩაიმუხლა.

მის პერეგრინმა ფრთები აიქნია, ახტა და დაიძაბა, მაგრამ საწყის მდგომარეობას მაინც ვერ დაუბრუნდა. შეფიქრიანებული ბავშვები ერთად შეჯგუფდნენ.

– რაღაც ვერაა კარგად, – თქვა ემამ, – ადამიანად ქცევა რომ შეძლებოდა, კარგა ხნის წინ მოიქცეოდა ასე.

– შეიძლება მარყუჟმა რღვევა ამიტომაც დაიწყო, – გამოთქვა ვარაუდი ენოქმა, – გახსოვთ ამბავი მის კესტრელის შესახებ, ველოსიპედით ავარიაში რომ მოყვა? თავი დაარტყა და მთელი კვირა ფრინველად ქცეულმა გაატარა. მისი მარყუჟიც სწორედ მაშინ მოიშალა.

– ეგ მის პერეგრინთან რა შუაშია?

ენოქმა ამოიოხრა.

– სავარაუდოდ, მის პერეგრინმაც თავი დაიზიანა და ისღა დაგვრჩენია, ერთი კვირა ველოდოთ, აზრზე მოვიდეს.

– სატვირთო მანქანასთან შეჯახება ერთია, – შეხედა ემამ, – *იმგვარებთან* შეხვედრა კი, მეორე. არ ვიცით, იმ ნაბიჭვარმა მის პერეგრინს რა დაუშავა.

– *იმგვარებმა?* მრავლობითში?

– მის ავასეტი *იმგვარებმა* წაიყვანეს, – ვთქვი მე.

– საიდან იცით? – აღელდა ენოქი.

– ერთ-ერთ არტილერისტს თვალები დავუნახე.

– მაშინ მის ავასეტი შეგიძლიათ მკვდრად დაიგულოთ, – თავი ჩაქინდრა ჰიუმ, – ნამდვილად მოკლავენ.

– იქნებ არც მოკლან, – ვუპასუხე, – ყოველ შემთხვევაში, ასე მალე მაინც.

– თუ *იმგვარებზე* რამე დანამდვილებით ვიცი, – თქვა ენოქმა, – ნაღდია, რომ ისინი უცნაურებს კლავენ. ეს მათი ბუნებაა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არა, ჯეიკობი მართალია, – მხარი ამიბა ემამ, – გოლანმა გვითხრა, რატომაც იტაცებენ იმბრინებს. უნდათ, დახმარება აიძულონ. აპირებენ, ექსპერიმენტი გაიმეორონ, ოღონდ ამ-ჯერად გაცილებით უფრო დიდი მასშტაბით.

ბავშვებს სუნთქვა შეეკრათ და გაყუჩდნენ. თვალით მის პერეგრინს დავუწყე ძებნა და დავინახე, რომ კრატერის კიდე-ზე უიმედოდ ჩამომჯდარიყო.

– უნდა შევაჩეროთ, – შეჰყვირა ჰიუმ, – ის ადგილი უნდა ვიპოვოთ, სადაც იმბრინები მიჰყავთ.

– როგორ? – იკითხა ენოქმა, – წყალქვეშა ნავს გავყვეთ?

ჩემ უკან ვიღაცამ ხმამაღლა ჩაახველა. შევტრიალდით და ძირს მჯდომი ჰორასი დავინახეთ. ფეხები გადაეჯვარედინე-ბინა.

– მე ვიცი, საითაც მიდიან, – თქვა მშვიდად.

– როგორ, საიდან?!

– რაში გაინტერესებს, საიდან? იცის და მორჩა, – შემო-მიბღვირა ემამ, – სად მიჰყავთ ის, ჰორას?

მან თავი გააქნია.

– ადგილის სახელწოდება არ ვიცი, მაგრამ მინახავს.

– მაშინ დაგვიხატე, – ვთქვი მე.

ცოტა ხანს დაფიქრდა, გულგრილი გამომეტყველება მი-ილო და წამოდგა. დახეულ შავ ფრაკში გამოხვეული, მათხო-ვარ მქადაგებელს წააგავდა. შუაზე გადახსნილი სახლიდან ჩამოყრილი ფერფლი მოქექა და მუჭა ჭვარტლის ასაღებად დაიხარა. შემდეგ დანგრეულ კედელზე ხაზების გავლება და-იწყო. იქაურობას მთვარის სუსტი შუქი ანათებდა.

ჰორასს გარს შემოვეხვიეთ, რომ გვენახა, რას დახატავდა. ჯერ სქელი, ვერტიკალური ხაზების წყება გამოსახა, მერე კი მარყუჟის მსგავსი კლაკნილები მოხაზა. ზღუდეს და მავთუ-ლის ღობეს ჰგავდა. ერთ მხარეს დაბურული ტყე იყო, ძირს კი თოვლი იდო, რომელიც შავად აღნიშნა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ხატვას რომ მორჩა, უკან დაიხია, ბალახზე წამოჯდა და თვალები დაებინდა. ემამ ნაზად დაადო ხელი მხარზე და ჰკითხა:

– ჰორას, ამ ადგილის შესახებ კიდევ რა იცი?

– იქ ცივა.

ბრონუინმა ჰორასის ხელით დახატული ლაქების შესასწავლად წინ წაიწია. ხელი ოლივისთვის შემოეხვია, გოგონა კი შეშინებული მიხუტებოდა.

– მგონი, ციხეს ჰგავს, – თქვა ბრონუინმა.

ოლივმა თავი ასწია.

– აბა? – დაიწყო დაბალი ხმით, – როდის მივდივართ?

– სად? – შეიცხადა ენოქმა, – ეს ხომ უბრალო ნაჯღაბნია!

– ჰო, მაგრამ ეს ადგილი ხომ მაინც არსებობს! – მიუტრიალდა ემა.

– ყველა თოვლიან მხარეს ხომ ვერ შემოვივლით ციხეების ძებნაში?!

– აქაც ვერ დავრჩებით.

– რატომ?

– აქაურობას შეხედე, რა დღეშია! ან დირექტორს შეხედე. მარყუჟში შესანიშნავად ვცხოვრობდით, მაგრამ ყველაფერი დამთავრდა.

ემა და ენოქი ერთხანს კიდევ კამათობდნენ. ბავშვებიც ორ ბანაკად გაიყვნენ. ენოქი ამბობდა, რომ რადგან სამყაროსგან დიდი ხანია მოწყვეტილი ვართ, აქაურობას თუ დავტოვებთ, ან ომში ჩაგვითრევენ ან უსულოები დაგვიჭერენო. ამიტომ გვიჯობს, ისევ იმ ტერიტორიაზე დავრჩეთ, რომელსაც ვიცნობთ მაინცო. ემა და მისი მომხრეები კი მიიჩნევდნენ, რომ ომი და უსულოები უკვე კარს მოსდგომოდნენ და სხვა არჩევანი აღარ ჰქონდათ. უსულოები და *იმგვარები* მის პერეგრინის წასაყვანად კვლავ დაბრუნდებოდნენ. ფრინველის მდგომარეობა კი შემაშფოთებელი იყო.

– სხვა იმბრინს ვიპოვით, – დაასკვნა ემამ, – მის რომელიმე მეგობარს, რომელსაც ეცოდინება, დირექტორს როგორ დაეხმაროს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მაგრამ თუ სხვა მარყუჟებიც მოიშალა? – დაეჭვდა ჰიუ, – იქნებ უკვე ყველა იმბრინი გაიტაცეს?

– ვინმე მაინც დარჩებოდა.

– ემა მართალია, – თქვა მილარდმა, რომელიც იწვა და, ბალიშის ნაცვლად, თავქვეშ დამსხვრეული აგურის გროვა ამოედო, – თუ ისღა დაგვრჩენია, რომ ველოდოთ და ვიფიქროთ, იმედია, მეტი უსულო აქ აღარ მოვა და დირექტორი უკეთ გახდებაო, არჩევანი საერთოდ არ გვქონია.

უთანხმოებას წერტილი დაესვა. შევთანხმდით, რომ ნივთებს ჩავალაგებდით და სახლს დავტოვებდით, დილით ნავსადგურიდან რამდენიმე ნავს ვინათხოვრებდით და ყველანი გზას დავადგებოდით.

ემას ვკითხე, გზის გაგნებას როგორ მოახერხებდნენ, როცა 80 წლის განმავლობაში კუნძულს არ გასცდენიან, მის პერეგრინს კი არც ლაპარაკი შეეძლო და არც ფრენა.

– რუკა გვაქვს, – მომიგო და თავი დანგრეული სახლისკენ მიატრიალა, – თუ არ დამწვარა.

რუკის მოსაძებნად დახმარება შევთავაზე. თავზე სველი ტილო შემოვიხვიეთ და სახლში ჩამონგრეული კედლის მხრიდან შევაბიჯეთ. ფანჯრები დალეწილიყო, ჰაერი კვამლს დაემძიმებინა, მაგრამ, ემას ხელებიდან გამომავალი ნათების წყალობით, კაბინეტისკენ გზა იოლად გავიკვლიეთ. თაროები ჩამოცვენილიყო. ისინი გვერდზე გავაჩოჩეთ და მიმობნეულ წიგნებს შორის ძებნას შევუდექით. საბედნიეროდ, ატლასის პოვნა არ გაგვჭირვებია, რადგან ბიბლიოთეკაში დაცული წიგნებიდან ყველაზე დიდი ის იყო. მის დანახვაზე ემამ სიხარულისგან შეჰკივლა და წიგნი ზევით ასწია.

სანამ გარეთ გავიდოდით, მილარდისთვის ალკოჰოლი, ოპიუმის ნაყენი და სახვევები მოვაგროვეთ. ჭრილობა რომ გავუწმინდეთ და შევუხვიეთ, წიგნი გადავშალეთ. მეწამული, ზოლებიანი ტყავის ყდა ჰქონდა. თითოეული რუკა პერგამენტის მსგავს ფურცელზე იყო დატანებული. ძალიან ძველი და ძვირფასი წიგნი იყო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– დღის რუკა ჰქვია, – თქვა ემამ, – და ყველა მარყუჟი ზედ არის.

გადაშლილ გვერდზე, თუ არ ვცდები, თურქეთის რუკა იყო გამოსახული, თუმცა მასზე არც გზები იყო მონიშნული და არც საზღვრები. ამის მაგივრად, პატარა სპირალები აღენიშნათ, რომლებიც მარყუჟების ლოკაციებად მივიჩნიე. თითოეული სპირალის შუაში განსხვავებული სიმბოლო გამოესახათ, რომელსაც ქვევით ლეგენდა[1] ერთვოდა, ხოლო სიმბოლოების გვერდით რიცხვები ეწერა. ემას ერთ-ერთ მათგანზე მივუთითე: 29-3-316/?-?-399 და ვკითხე:

– ეს რა არის? კოდია?

ემამ რიცხვებს თითი გააყოლა.

– ეს მარყუჟი 29 მარტს შეიკრა, ქრისტეშობამდე 316 წელს და დაახლოებით 399 წლამდე იარსება, თუმცა ზუსტი თვე და რიცხვი უცნობია.

– 399 წელს რაღა მოხდა?

ემამ მხრები აიჩეჩა.

– არ წერია.

დავიხარე და საბერძნეთის რუკაზე გადავშალე, რომელიც კიდევ უფრო დახუნძლულიყო ციფრებითა და სპირალებით.

– მაშინ მათ ჩამოთვლას რა აზრი აქვს? – გავიოცე, – ამ უძველეს მარყუჟებში ხომ ველარ მოხვდები?

– როგორ არა, შემოვლითი გზით, – მომიგო მილარდმა, – საკმაოდ სახიფათო წამოწყებაა, მაგრამ ერთი მარყუჟიდან მეორეში თუ გადაინაცვლებ და, მაგალითად, 50 წლის წინანდელ დროში გადახვალ, შენთვის ხელმისაწვდომი გახდება ყველა ის მარყუჟი, რომლებიც მაშინ არსებობდა. ხოლო თუ მათშიც გადაწყვეტ მოგზაურობას, იქ სხვა მარყუჟებსაც იპოვი და ასე უსასრულოდ.

– ეს ხომ დროში მოგზაურობაა! – შევძახე გაოგნებულმა, – ნამდვილი დროში მოგზაურობა!

---

[1] ლეგენდა – რუკაზე არსებული მინიშნებების აღწერილობა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჰო, ალბათ ასეა.

– ესე იგი, – ვთქვი მე და ჰორასის მიერ მოხატულ კედელზე მივუთითე, – მხოლოდ იმას კი არ უნდა მივხვდეთ, სად არის ეს ადგილი, არამედ იმასაც, თუ როდის არსებობდა?

– სამწუხაროდ, ასეა. თუ მის ავასეტი ნამდვილად *იმგვარებმა* დაიჭირეს, რომლებიც შემოვლით გზებს საკმაოდ კარგად იცნობენ, მაშინ, სავარაუდოა, რომ ისიც და სხვა იმბრინებიც სადღაც წარსულში გადაიყვანეს, რაც მათ პოვნას კიდევ უფრო გაართულებს. თანაც, იქ წასვლა საშიშია – ისტორიული მარყუჟების ადგილმდებარეობა ჩვენი მოწინააღმდეგეებისთვის ცნობილია და ხშირად მარყუჟების შესასვლელთან არიან ჩასაფრებულნი.

– გაგიმართლათ, რომ მეც თქვენთან ერთად მოვდივარ.

ემა მოტრიალდა და შემომხედა.

– რა კარგია! – იკივლა და ჩამეხუტა, – დარწმუნებული ხარ?

– სრულიად, – მივუგე ღიმილით.

იმის მიუხედავად, რომ გადაქანცულები იყვნენ, ბავშვებმა ყიჟინა ატეხეს და ტაშისკვრა დაიწყეს. ზოგი ჩამეხუტა კიდეც. ენოქმაც კი ხელი ჩამომართვა. კვლავ ემას შევხედე, მაგრამ მის სახეზე ღიმილი გამქრალიყო.

– რა მოხდა? – ვკითხე დაეჭვებულმა.

უხერხულად შეიშმუშნა.

– უნდა გაგაფრთხილო, – თქვა ხმადაბლა, – როცა ამას გაიგებ, შეიძლება ჩვენთან ერთად წამოსვლა აღარ მოგინდეს.

– ასე არ იქნება!

– აქედან რომ წავალთ, ეს მარყუჟი დაიკეტება და შეიძლება ვეღარასოდეს შეძლო იმ დროში დაბრუნება, საიდანაც ხარ. ყოველ შემთხვევაში, იქ იოლად ვეღარ დაბრუნდები.

– გული არაფერზე მწყდება, – მივუგე სწრაფად, – უკან დაბრუნება რომც შემეძლოს, არ ვიცი, წავიდოდი თუ არა.

– მაგას ახლა ამბობ. მე კი მინდა, რომ ეჭვი არ გეპარებოდეს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი დავუქნიე და წამოვდექი.

– სად მიდიხარ? – მომაძახა ემამ.

– უნდა გავისეირნო.

შორს არ წავსულვარ, ბაღის მიდამოებში დავხეტიალობდი. გადაწმენდილ ცას მივშტერებოდი, რომელზეც ახლა მილიარდობით ვარსკვლავი კაშკაშებდა. ვარსკვლავებიც დროში მოგზაურობდნენ. რამდენი მათგანი დაბადებულიყო, მაგრამ მათ სინათლეს ჩვენამდე ჯერ ვერ მოეღწია! თუ ყველა ამ ღამეს დაიღუპებოდა, რამდენი ათასი სიცოცხლე დაგვჭირდებოდა იმის გასაცნობიერებლად, რომ სრულიად მარტონი დავრჩით? ყოველთვის ვიცოდი, რომ ცა იდუმალებით იყო მოცული, მაგრამ მხოლოდ იმ წამს გავაცნობიერე, რომ დედამიწაც ბევრ საიდუმლოს მალავდა.

ტყიდან გამოსასვლელ ბილიკს მივუახლოვდი. გზის ერთ ბოლოში ჩემი სახლი და ჩემთვის ნაცნობი, ჩვეულებრივი და უსაფრთხო სამყარო სუფევდა, რომელშიც არაფერი იყო მისტიკური.

თუმცა არა. ყველაფერი შეიცვალა. ბაბუაჩემი ურჩხულებმა მოკლეს და ახლა ისინი ჩემზე ნადირობდნენ. ადრე თუ გვიან, კვლავ მომადგებოდნენ. ნუთუ ერთხელაც, შინ დაბრუნებული, იატაკზე სისხლისგან დაცლილ მამაჩემს ვიპოვიდი? ან დედაჩემს?

გზის მეორე ბოლოში აღელვებული ბავშვები პატარა ჯგუფებად იკვრებოდნენ და სამომავლო გეგმებს აწყობდნენ.

ემასთან დავბრუნდი, რომელიც ისევ უზარმაზარ წიგნს ჩაჰკირკიტებდა. იქვე მის პერეგრინი ჩამოსკუპულიყო და რუკაზე ნისკარტს უკაკუნებდა. როდესაც მივუახლოვდი, ემამ თავი ასწია.

– ეჭვი არ მეპარება, – ვუთხარი მე.

გამიღიმა.

– ძალიან მიხარია.

– მაგრამ წასვლამდე ერთი საქმე უნდა მოვაგვარო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

* * *

ქალაქში მზის ამოსვლამდე დავბრუნდი. ისე ძლიერად აღარ წვიმდა და ჰორიზონტზე ლურჯი ცის ზოლი მოჩანდა. მთავარი ბილიკი ძარღვებდაბერილ მკლავს ჰგავდა, ხრეში ალაგ-ალაგ წვიმას გადაერეცხა და ორმოები წყლით დატბორილიყო.

ლუდხანაში შევედი, ცარიელი ბარი გადავჭერი და ჩვენი ოთახისკენ გავწიე. დარაბები დახურული დამხვდა, მამაჩემის ოთახის კარი კი დაკეტილი. შვებით ამოვისუნთქე, რადგან ჯერ კიდევ არ ვიცოდი, როგორ ამომეღერღა სათქმელი. დავჯექი, კალამი და ფურცელი ავიღე და წერილის წერას შევუდექი.

შევეცადე, ყველაფერი ამეხსნა. უცნაურ ბავშვებსა და უსულოებზე ვწერდი, იმაზე, რომ ბაბუა პორტმანის ამბები სიმართლე აღმოჩნდა. ავუხსენი, მის პერეგრინსა და მის ავასეტს რაც შეემთხვათ და ვცადე, ნათლად მეჩვენებინა, რატომ იყო აუცილებელი ჩემი წასვლა. შეევედრე, არ ენერვიულა.

შემდეგ შევჩერდი და ნაწერი გადავიკითხე. უაზრო ნაჯღაბნი იყო. ამას არასოდეს დაიჯერებდა. იფიქრებდა, რომ მეც ისევე დამეკარგა საღად აზროვნების უნარი, როგორც ბაბუას ან კიდევ, გავიქეცი, მომიტაცეს ან კლდიდან გადავეშვი. ნებისმიერ შემთხვევაში ცხოვრებას დავუმახინჯებდი. ფურცელი დავკუჭე და ნაგვის ურნაში ჩავუძახე.

– ჯეიკობ!

მოვტრიალდი და მამაჩემი დავინახე, რომელიც კარს მიყუდებოდა. თვალები დაბინდვოდა. მაისური და ჯინსი ტალახით ჰქონდა მოსვრილი.

– გამარჯობა, მამა.

– ახლა ერთ მარტივ კითხვას დაგისვამ, – ყურადღება არ მომაქცია, – და მინდა, სიმართლე მითხრა. წუხელ სად იყავი? – ვხვდებოდი, რომ სიმშვიდის შენარჩუნება ძალიან უჭირდა.

გადავწყვიტე, რომ მეტს აღარ ვიცრუებდი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– კარგად ვარ, მამა. მეგობრებთან ერთად...

მეგონა, ხელი ყუმბარას გამოვკარი.

– შენი მეგობრები წარმოსახვის ნაყოფია! – იყვირა და სახეაწითლებული ჩემკენ წამოვიდა, – ნეტავი, მე და დედაშენი იმ გადარეულ ფსიქიატრს არ დავთანხმებოდით და აქ არ წამომეყვანე, რადგან ეს ყველაფერი საშინელი შედეგით დასრულდა! იცოდე, უკანასკნელად იტყუები! ახლავე შენს ოთახში შეხვალ და ბარგის ჩალაგებას შეუდგები. პირველივე ბორნით მივდივართ!

– მამა!

– და შინ რომ დავბრუნდებით, იქამდე ვერ გახვალ გარეთ, ვიდრე ნორმალურ ფსიქიატრს არ ვიპოვით, გოლანივით გამოტვინებული რომ არ იყოს!

– მამა!

წამით ვიფიქრე, მისგან გაქცევა ხომ არ მომიწევს-მეთქი. წარმოვიდგინე, მამაჩემი ძირს როგორ დამანარცხებდა, მერე კი დახმარებისთვის ხალხს მოუხმობდა და ხელებშებორკილს ბორანში ძალით შემათრევდა.

– შენთან ერთად არ მოვდივარ, – ვუთხარი ხმადაბლა.

მამამ თვალები მოჭუტა და დამაკვირდა, თითქოს ჩემი ნათქვამი კარგად ვერ გაიგონაო. ვაპირებდი, ნათქვამი გამემეორებინა, მაგრამ უცებ კარზე კაკუნი შემომესმა.

– შეგვეშვით! – იყვირა მამამ.

კარზე კიდევ ერთხელ დააკაკუნეს, ამჯერად უფრო დაჟინებით. მამა კარს გაშმაგებით მივარდა და გიჟივით გამოაღო. იქ ემა იდგა, რომელსაც ხელებში პატარა, ლურჯი ცეცხლოვანი სფერო უთამაშებდა. მის გვერდით ოლივი დავინახე.

– გამარჯობა, – თქვა ოლივმა, – ჯეიკობის სანახავად მოვედით.

მამამ დაბნეულმა შეხედა:

– ეს რას ნიშნავს...

– აქ რას აკეთებთ? – აღმომხდა მე.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– უბრალოდ, გვსურდა, გავცნობოდით, – ემამ მამას გაულიმა, – ჯეიკობმა ჩვენთან მოსვლა დააგვიანა და მოვაკითხეთ, რომ გაგვეგო, ყველაფერი რიგზე იყო თუ არა.

– კარგი, – მამას მზერა ერთი ბავშვიდან მეორეზე გადაჰქონდა.

– მართლა კარგი ბიჭი გყავთ, – განაგრძო ოლივმა, – ისეთი მამაცია!

– და სიმპათიური! – დაამატა ემამ და თვალი ჩამიკრა. ცეცხლს ხელიდან ხელში სათამაშოსავით აბურთავებდა. მამაჩემი სფეროს ისე მისჩერებოდა, თითქოს ჰიპნოზის ქვეშ იყო.

– კ-კი, – შეყოვნდა იგი, – ნამდვილად.

– შეიძლება, ფეხსაცმელი გავიხადო? – იკითხა ოლივმა. პასუხს არც დაელოდა, ისე ამოცურდა ფეხსაცმლიდან და მაშინვე ჭერისკენ გაფრინდა, – გმადლობთ. ახლა უფრო კომფორტულად ვარ!

– მამა, ესენი ჩემი მეგობრები არიან. ხომ გიყვებოდი. ეს ემაა, ხოლო ჭერში რომ ზის – ოლივი.

მამამ ერთი ნაბიჯით უკან დაიხია.

– კიდევ მძინავს, – წაილუღლუღა გაურკვევლად, – ისეთი დაღლილი ვარ...

იატაკიდან სკამი აიწია და მამაჩემისკენ დაიძრა, ჰაერში მხოლოდ სახვევი მოჩანდა.

– გთხოვთ, დაბრძანდეთ, – გაისმა მილარდის ხმა.

მამა დაჯდა.

– აქ რას აკეთებ? – გადავუჩურჩულე მილარდს, – ახლა არ უნდა იწვე?

– სამეზობლოში ვიყავი, – თანამედროვედ შეფუთული აბების კოლოფი დამანახა, – ვაღიარებ, მომავალში საკმაოდ ეფექტიან ტკივილგამაყუჩებლებს ამზადებენ!

– მამა, ეს მილარდია. მას ვერ დაინახავ, რადგან უჩინარია.

– სასიამოვნოა შენი გაცნობა.

– ჩემთვისაც, – მიუგო მილარდმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მამაჩემთან მივედი და მის სკამთან ჩავიმუხლე. ოდნავ შესამჩნევად თავს აკანტურებდა.

– მამა, უნდა წავიდე. შეიძლება, კარგა ხანს ველარ მნახო.

– ჰოო? სად მიდიხარ?

– სამოგზაუროდ.

– სამოგზაუროდ, – გაიმეორა, – როდის დაბრუნდები?

– არ ვიცი.

თავი გააქნია.

– ბაბუაშენის მსგავსად.

მილარდმა მინის ჭიქაში ონკანიდან წყალი ჩაასხა და მამას მოუტანა. მამამ გამოსართმევად ხელი გაუწოდა, თითქოს ჰაერში მოტივტივე ჭიქები სულაც არ იყო უჩვეულო ამბავი. ალბათ, ეგონა, რომ მართლა ეძინა.

– კარგი, ძილინებისა, – წამოდგა, სკამს დაეყრდნო და შემდეგ თავის ოთახში გაფრატუნდა. კართან შეჩერდა და მომიტრიალდა.

– ჯეიკ!

– ჰო, მამა.

– ფრთხილად იყავი, კარგი?

თავი დავუქნიე. კარი მიიხურა. ცოტა ხანში გავიგონე, როგორ დაენარცხა საწოლზე.

დავჯექი და სახე მოვისრისე. საკუთარ გრძნობებში ვერ გავრკვეულიყავი.

– დაგეხმარეთ? – იკითხა ჭერში დასკუპულმა ოლივმა.

– არ ვიცი, – მივუგე, – არა მგონია. გაიღვიძებს და ეგონება, რომ ყველანი დაესიზმრეთ.

– შეგიძლია, წერილი დაუტოვო, – თქვა მილარდმა, – ის უთხრა, რაც მოგესურვება. ჩვენ მაინც ვერ გამოგვყვება.

– წერილს დავწერ, მაგრამ ეს მტკიცებულება ვერ იქნება.

– ჰოო, სერიოზული პრობლემა გაქვს.

– რა სასიამოვნო პრობლემაა, – ჩამოსძახა ოლივმა, – ნეტავ, მამაჩემსა და დედაჩემს ისე ვყვარებოდი, რომ, როდესაც სახლიდან წამოვედი, ჩემზე ენერვიულათ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ემა ადგა და ხელები მოიფშვნიტა.

– მგონი, მე მაქვს მტკიცებულება.

კაბის ქამრიდან პატარა საფულე ამოიღო, იქიდან ფოტოსურათი ამოაძვრინა და გამომიწოდა. ეს მისი და ბაბუაჩემის სურათი იყო, ბაბუას ახალგაზრდობაში გადაღებული. ემას მთელი ყურადღება ბაბუასთვის მიეპყრო, მაგრამ ბაბუა, მგონი, სხვა რამეზე ფიქრობდა. ძალიან სევდიანი და ლამაზი ფოტო იყო. მთლიანად გამოხატავდა იმას, რაც მათი ურთიერთობის შესახებ ვიცოდი.

– ეიბის ომში წასვლამდე გადავიღეთ, – თქვა ემამ, – მამაშენს ჩემი ცნობა არ გაუჭირდება, ხომ ასეა?

გავულიმე.

– ისე გამოიყურები, თითქოს ერთი წელიც არ მოგმატებია.

მილარდმა ფოტო გამომტაცა და შესძახა:

– განსაცვიფრებელია! უტყუარი მტკიცებულებაა!

მე ისევ ემას მივუბრუნდი.

– ამას ყოველთვის თან დაატარებ?

– კი, მაგრამ ახლა აღარ მჭირდება, – ემამ მილარდს ფოტო გამოართვა, მაგიდასთან მივიდა, ჩემი კალამი აიღო და სურათის უკანა მხარეს წერა დაიწყო, – მამაშენს რა ჰქვია?

– ფრანკლინი.

როდესაც წერა დაასრულა, ფოტო კვლავ გამომიწოდა. წავიკითხე. მერე ნაგვის ურნიდან ჩემი წერილი ამოვიღე, გავასწორე და სურათთან ერთად მაგიდაზე დავტოვე.

– მზად ხართ? – ვკითხე ბავშვებს.

ისინი უკვე კარში იდგნენ და მელოდნენ.

– თუ შენ ხარ მზად, – მომიგო ემამ ღიმილით.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ძვირფასო თანამეგობრებო,

სასიამოვნო იყო თქვენთან შეხვედრა. ეს თუნდაც მაშინ ხარის გაკეთებულია, როდესაც მაძალებენ ამ ცხოვრებაზე. იქნები მაინც, საქმიანობა მგზავრობასა და დაფინანსებაში, თორემ მე ჯერ კიდევ ცოცხალია ვარ და თორემ ჯვარედინის მიყოლებულია ინტერესი მიგვიანია სულაც არ ხარ.

ჯვარედინი თავის შეგობრებთან ერთად საშინელი მიდის. ვეცდებიო, ერთმანეთია დავიცავით, თანდებულად ეს ჩვენთანაა აღადგინებინის შესაძლებელია იქნება. თუ სათანადო ჩაგვიყენა, ის თქვენთან დასაბრუნებელია. ამას მე გპირდებიო!

გულწრფელად, თქვენი

ეკა ბერეკაშვილი

P.S. თუკი ვხვდები, მოსულია ჩვენის ჩინა მაძალთქვენისთვის ჩემ მიერ გაგზავნილია ჩვენიანია ასოვეთი. ცოტალა მივიქცია და მხოლოდ საქართველო ინიციალგიათ ვიმეორებდე. გაფრთხილებთ, თორემ მას ჩემთვის ისევე გორხანაზეთ ან ყასსეხია. ეიბი ერთ-ერთია ყველაზე უფრო ჯვარედინიზიანია აღადგინა იყო მათ შორის, ვინაც ეი ოდესმე ვიცანი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მთაგრეხილისკენ დავიძარით. მწვერვალზე ერთი ადგილი მქონდა ამოჩემებული, სადაც ყოველთვის ვჩერდებოდი და შევტრიალდებოდი ხოლმე, რომ დამენახა, რა მანძილი გავიარე, მაგრამ ამჯერად არ შევჩერებულვარ. ზოგჯერ ჯობს, უკან არ მიიხედო.

როდესაც სამარხს მივადექით, ოლივი ქვებს შინაური ცხოველივით მიეფერა.

– ნახვამდის, ძველო მარყუჟო, – თქვა აღელვებულმა, – კარგი მარყუჟი იყავი და ძალიან, ძალიან მოგვენატრები.

ემამ ოლივს მხარზე მოუთათუნა ხელი, მერე კი ორივემ თავი დახარა და სამარხში შეცოცდნენ.

ემამ აკლდამის კედელს ცეცხლის ალი მიუშვირა და ის დამანახა, რაც მანამდე არ შემიმჩნევია – ქვაზე ამოკაწრული თარიღები და ინიციალები.

– ეს იმ თარიღების ჩამონათვალია, როდესაც მარყუჟს სხვა ადამიანები იყენებდნენ.

კედელზე ეწერა: პ.მ. 3-2-1853 და ჯ.რ.რ. 1-4-1797. ოდნავ ეტყობოდა ზ.ჯ.1580 – იც. ბოლოში უცნაური აღნიშვნები იყო, რომლებიც ვერ გავშიფრე.

– ეს რუნული[1] წარწერებია, – ამიხსნა ემამ, – ძალიან ძველია.

მილარდმა მიწის ქექვა დაიწყო და მანამდე არ შეწყვიტა, სანამ წვეტიანი ქვა არ იპოვა. მერე კი მეორე ქვის დახმარებით, რომელსაც ჩაქუჩად იყენებდა, წარწერების ქვევით დაარჩხაპნა: ე.პ. 3-9-1940.

– ე.პ. ვინ არის? – იკითხა ოლივმა.

– ელმა პერეგრინი, – მიუგო მილარდმა და ამოიოხრა, – წესით ამ წარწერას თვითონ უნდა აკეთებდეს.

ოლივმა ამოკაწრულ წარწერას ხელი გადაუსვა.

– თქვენი აზრით, ოდესმე სხვა იმბრინებიც მოვლენ და აქ თავიანთ მარყუჟს შექმნიან?

– იმედი მაქვს, – თქვა მილარდმა, – დიდი იმედი მაქვს.

---

[1] რუნული – ძველი გერმანული ტომების დამწერლობა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

* * *

ვიქტორი დავმარხეთ. ბრონუინმა მისი ცხედარი გარეთ საწოლიანად გამოიტანა. ბავშვები ბალახზე ისხდნენ. გოგონამ ძმას ქვეშაგები გაუსწორა, ჩაფუთნა და შუბლზე ნაზად აკოცა. ბიჭებმა საწოლი კუბოსავით კუთხეებით ავწიეთ და იმ კრატერისკენ წავასვენეთ, რომელიც ყუმბარას გაეჩინა. ჩავასვენეთ და თხრილიდან ამოვძვერით. მხოლოდ ენოქი დარჩა, რომელმაც ჯიბიდან თიხის კაცუნა ამოიღო და ბიჭს გულზე ფაქიზად დაადო.

– ეს ჩემი საუკეთესო ჯარისკაცია, – თქვა მან, – მეგზურობას გაგიწევს.

თიხის კაცუნა წამოჯდა, მაგრამ ენოქმა ცერა თითით ისევ დააწვინა. კაცუნა ცალ მხარეს გადატრიალდა და, მგონი, ჩაეძინა.

როდესაც კრატერი მიწით ამოვავსეთ, ფიონამ ბუჩქები და ვაზი მოზიდა, ნიადაგში ჩარგო და მათ გახარებას შეუდგა. იმ დროისთვის, როცა დანარჩენებმა ნივთების ჩალაგება დავასრულეთ, ადამი კვლავ თავის ადგილას იდგა, ოღონდ ახლა ვიქტორის სამარხზე მიანიშნებდა.

ბავშვები სახლს გამოეთხოვნენ და კუნძულის მეორე ბოლოსკენ დავიძარით. ზოგიერთმა სამახსოვროდ აგურის ნატეხები და ყვავილები წამოიღო. დანახშირებული ტყე და ყუმბარებისგან დახვრეტილი ჭაობი გავიარეთ, მერე მთაგრეხილი გადავიარეთ და პატარა, კვამლში გახვეულ ქალაქში შევედით. მაცხოვრებლები აივნებსა და კარებში გახევებულიყვნენ. ისე გადაღლილიყვნენ და შოკისგან ისე მოდუნებულიყვნენ, რომ უცნაური შესახედაობის ბავშვებისთვის ყურადღება არც კი მიუქცევიათ.

ხმას არ ვიღებდით, მაგრამ გვიხაროდა. ბავშვებს მთელი ღამე არ სძინებიათ და, მიუხედავად ამისა, ხალისიანი გამომეტყველებით მიაბიჯებდნენ. 4 სექტემბერი იდგა და ამდენი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

წლის შემდეგ პირველად ერთი დღე მეორეს ცვლიდა. ზოგიერთები იფიცებდნენ, სხვაობას უკვე ვამჩნევთო – ფილტვები ჟანგბადით ევსებოდათ და თავს უკეთ გრძნობდნენ, რეალობას უფრო მძაფრად შეიგრძნობდნენ.

ისევე, როგორც მე.

* * *

ყოველთვის მინდოდა, ჩემს ერთფეროვან ცხოვრებას გავქცეოდი, თუმცა სინამდვილეში ის არასოდეს ყოფილა ჩვეულებრივი. უბრალოდ, ამას ვერ ვხედავდი. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე სახლი მომენატრებოდა, მაგრამ გარიჟრაჟზე, ნავების ჩატვირთვისას, როდესაც ჩემი ცხოვრების ორ ნაწილად გაყოფის ზღვარზე ხელახლა ვიმყოფებოდი, ყველაფერი გამახსენდა, რაც უკან მოვიტოვე – მშობლები, ჩემი ქალაქი, ოდესღაც საუკეთესო და ერთადერთი მეგობარი და მივხვდი, რომ მათი მიტოვება მძიმე ტვირთის მოხსნას სულაც არ ჰგავდა. მოგონებები ხელშესახები და მძიმე იყო და მათი თან ტარება მომიხდებოდა.

ძველ ცხოვრებას ვერ დავუბრუნდებოდი, ისევე, როგორც დაბომბილ ბავშვთა სახლს.

ათი უჩვეულო ბავშვი და ერთი უცნაური ფრინველი სამ ნავში ჩაეტია. რაღაცები ნავსადგურში დავტოვეთ. როდესაც ჩავსხედით, ემამ შემოგვთავაზა, რომელიმე ჩვენგანს მომავალი მოგზაურობისთვის სიტყვა მიეძღვნა, მაგრამ, როგორც ჩანს, სიტყვების პოვნა ყველას უჭირდა. ენოქმა მის პერეგრინის გალია ასწია და ფრინველმა ხმამაღლა დაიკივლა. ჩვენც ყვირილით ვუპასუხეთ. ეს როგორც გამარჯვების, ასევე გოდების ხმა გახლდათ. დაკარგული გვადარდიანებდა, მაგრამ, იმავდროულად, ახლის მოლოდინი გვავსებდა.

მე და ჰიუ პირველ ნავს მივაცურებდით. ენოქი ჩვენ პირდაპირ, ამაღლებულ ადგილზე იჯდა და თავის რიგს ელოდა. ემას მზისგან დამცავი ქუდი ეხურა და კუნძულს მიშტერებოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ზღვა მინასავით გამჭვირვალე იყო. თბილი დღე იდგა, თუმცა წყლიდან გრილი ნიავი უბერავდა. ვერ ვხვდებოდი, ამ ომში ასეთი სიმშვიდე როგორ მოვიპოვე.

გვერდითა ნავიდან ბრონუინმა ხელი დამიქნია და დავინახე, როგორ ასწია მის პერეგრინის ფოტოაპარატი. გავიღიმე. ძველი ალბომები არ წამოგვიღია, ჩვენს ახალ ალბომში კი ეს ალბათ პირველი სურათი იქნებოდა. უცნაური გრძნობა დამეუფლა. შეიძლება ოდესმე მეც შემენახა გაყვითლებული ფოტოების დასტა, რომელსაც შვილიშვილებს ვუჩვენებდი და საკუთარ ფანტასტიკურ ისტორიებს მოვუყვებოდი.

ბრონუინმა ფოტოაპარატი ჩამოსწია და რაღაცაზე მიგვანიშნა. შორს, ამოწვერილ მზესთან კონტრასტული შავი ზოლი დავინახეთ – ჰორიზონტს საბრძოლო გემების მდუმარე პროცესია მიაპობდა.

ნიჩბებს უფრო სწრაფად მოვუსვით.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

წიგნში მოცემული ყველა ფოტო არის ნამდვილი, ძველი ფოტოსურათი და სულ რამდენიმე გამონაკლისის გარდა, დაუმუშავებელია. ფოტოები მოპოვებულია იმ ათი კოლექციონერის პირადი არქივებიდან, რომელთაც მრავალი წელი და უამრავი საათი გაუტარებიათ ძველმანების ბაზრებში, ანტიკური საგნების მაღაზიებსა და ოჯახიდან გატანილი ნივთების უზარმაზარ, დაულაგებელ დასტებში ქექვაში, რათა ხარახურის გროვაში აღმოეჩინათ რამდენიმე შესანიშნავი, ისტორიული მნიშვნელობისა და ამოუცნობი მომხიბვლელობის მქონე ფოტოსურათი. მათი მუხლჩაუხრელი შრომა თავიანთი საქმიანობისადმი სიყვარულის დიდი გამოხატულებაა და ვფიქრობ, ეს ადამიანები ფოტოგრაფიის სამყაროში დაუფასებელი გმირები არიან.

გვ.	სათაური	კოლექციონერი
14	უჩინარი ბიჭუნა	რობერტ ჯექსონი
15	ჰაერში მოლივლივე გოგო	იეფიმ ტობვისი
16	ბიჭუნა ლოდით ხელში	რობერტ ჯექსონი
17	მოხატული კეფა	რობერტ ჯექსონი
28	ეიბს ჩაეძინა	რობერტ ჯექსონი
57	გოგონა ბოთლში	რობერტ ჯექსონი
58	ჰაერში მოლივლივე ახალშობილი	პიტერ კოენი
59	ბიჭისსახიანი ძაღლი	რობერტ ჯექსონი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

60	აკრობატი	რობერტ ჯექსონი
61	ბალერონები ნიღბებში	რობერტ ჯექსონი
73	მის პერეგრინის სილუეტი	რობერტ ჯექსონი
106	ბიჭი ბაჭიის კოსტიუმში	რობერტ ჯექსონი
136	გოგონები პლაჟზე	თანათოსის არქივი
137	ანარეკლი გუბეში	პიტერ კოენი
138	ბიჭი და ფუტკრები	რობერტ ჯექსონი
139	ბალერონებს მოშივდათ	რობერტ ჯექსონი
142	ემა სიბნელეში	მიურიელ მუტე
147	აკლდამა	მარტინ ისააკი
160	საბრძოლო თვითმფრინავები	რობერტ ჯექსონი
172	მის პერეგრინი	ავტორი
185	მის პინჩი	როსლინ ლიბოვიჩი
186	მის ავასეტი და მისი აღსაზრდელები	ჯულია ლორენი
189	მის პინჩის მარყუჟი	როსლინ ლიბოვიჩი
195	კლერის ოქროსფერი დალალები	დევიდ ბეისი
200	ჩვენი ულამაზესი სანახაობა	რობერტ ჯექსონი
218	ბრონუინ ბრანტლი	რობერტ ჯექსონი
221	გოგონა ქათმით ხელში	ჯონ ვან ნოუტი
222	გოგონა ტოტზე	რობერტ ჯექსონი
225	მოდის პირველი მერცხალი	რობერტ ჯექსონი
246	მის ნაითჯარი და რთულად აღსაზრდელები	ავტორი
250	ენოქის სათამაშოები	დევიდ ბეისი
255	ვიქტორი	რობერტ ჯექსონი
262	ნამდვილი ბომბი	პიტერ კოენი
263	კარტოფილის ნათალი	რობერტ ჯექსონი
264	ემას სილუეტი	რობერტ ჯექსონი
266	აი, ამიტომ	რობერტ ჯექსონი
293	ნადირობა	ავტორი
303	მაღაზიაში ჩასაფრებული სანტა	ავტორი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

304	კბილის ექიმი ვიქტორიანული ეპოქიდან	თანათოსის არქივი
305	მარსი და უაითი	რობერტ ჯექსონი
316	წინასწარმეტყველება	პიტერ კოენი
355	ყვა, ყვა, ყვა	როსლინ ლიბოვიჩი
397	ეიბი და ემა	რობერტ ჯექსონი
403	ნიჩბების მოსმას ავუჩქარეთ	რობერტ ჯექსონი

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მადლიერების ნიშნად

მსურს, მადლობა გადავუხადო:

ქუირკის პერსონალს, განსაკუთრებით ჯეისონ რეკულაკს თავისი ნებისყოფისა და გასაოცარი იდეების გამო, სტივენ სიგალს, ტექსტის დაკვირვებით წაკითხვისა და რჩევებისთვის, დუგი ჰორნერს, უდავოდ საუკეთესო წიგნის დიზაინერსა და კომიკოსს.

ჩემს გასაოცარ და შეუპოვარ აგენტს, კეით შეიფერ ტესტერმენს.

ჩემს მეუღლე ების, რომელმაც აუღელვებლად გადაიტანა თვეების განმავლობაში ჩემი მოუსვენრობა და წვერის გაპარსვაზე უარის თქმა, ასევე მის მშობლებს, ბერისა და ფილისის გვერდში დგომის გამო. ბერის მშობლებს, გლედისსა და აბრაამს, რომელთა გადარჩენის ისტორიამ შთამაგონა.

დედას, რომელსაც ყველაფერს უნდა ვუმადლოდე, რაც გამაჩნია.

ჩემს ფოტოების კოლექციონერ მეგობრებს: გულუხვ პიტერ კოენს, ლინარდ ლაითფუტს, რომელმაც ეს ადამიანები გამაცნო, როსლინ ლიბოვიჩს, ჯეკ მორდს თანათოსის არქივიდან, სტივ ბანოსს, ჯონ ვან ნოუტს, დევიდ ბეისს, მარტინ ისააკს, მიურიელ მუტეს, ჯულია ლორენს, იეფიმ ტობვისს. განსაკუთრებული მადლობა რობერტ ჯექსონს, რომლის მისაღებ ოთახშიც უამრავი სასიამოვნო საათი გავატარე უჩვეულო სურათების თვალიერებაში.

კრის ჰიგინსს, რომელსაც დროში მოგზაურობის ექსპერტად მივიჩნევ და რომელიც ჩემს ზარებს ყოველთვის პასუხობდა.

ლუი პორტერს, რომელმაც მოჰავის უდაბნოში მიტოვებული ნანგრევების თვალიერებისას გადამიღო ის ფოტო, რომელიც წიგნის ყდაზეა გამოსახული.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/